



ჩვენს მწერს

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

17 ოქტომბერი 2014

№ 21 (229)

ვანო ჩხიკვაძის ლექსები
 უოლტ უიტმენი და სიტყვა
 თემურ გაბუნიას მოთხრობა
 ჯანო ჯიქიძის ახალი რომანი
 რას ღაღადებენ ქვეები შინდისთან
 რობერტ სტურუას ახალი სპექტაკლი
 ალექო თუთბერიძის მემუარისტული ჩანახატები
 ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტური ნოველა
 პატარა ქალაქების დიდი მისტერიები
 იბრაჰიმ ალ-ქუნის მინიატურები
 ინტერვიუ ივანე ჯაფარიძესთან
 ერიკა მიტერერის ლირიკა
 ჩუნეშიდან ვარადამდე



შინაარსი

საპარტიზო გზაზე	2	იოსებ ქუმბურიძე ჩუნიანიდან ვარადამდე
მსხარე-ინტერვიუ	5	ივანე ჯაფარიძე „ამოდ არ გავრჯილვარ“ (მომზადა ნატა ვარადამ)
თეატრალური სინაზნი	6	ნათელა არველაძე გულწრფელი ხელოვანი აფხიზლებს ერს!.. (პოლიკარპე კაკაბაძისა და რობერტ სტურუას სპექტაკლი „ასულნი“)
პროზა	9	თემურ გაბუნია ცაცხლის გამგაცვლები
პოეზია	22	ვანო ჩხიკვაძე ნიბნიდან: „2014“
ესეისტიკა	26	ფრენსის ოტო მატისენი „სიტყვებო! ნიბნის სიტყვებო! რაში ხართ თქვენ“ (მონოგრაფიიდან „ამერიკული რენესანსი“)
დიალოგი	33	„ტკივილი უფრო მანერინებს“... (თამარ შაიშველაშვილს ესაუბრება თამარ ლომიძე)
მოგონებათა სივრდი	38	ალეკო თუთბერიძე დასაკარგავად რაც მინანება
წუთები და წლები	47	ელგუჯა თავბერიძე მე რომ ნარბუთოვი ვიყო
ერი და პოეტისება	50	ეკა ბუჯიაშვილი რას დადებენ ქვები შინდისთან
ლიტერატურული სმოვრება	51	ანა ამირხანაშვილი მეზღაპრის გზა (გურამ პეტრიაშვილის ახალი წიგნის წარდგინება)
ახალი რომანი	52	ნინო ბაქანიძე ვარინაციები თემაზე: „ფარშევანგის სოლო“
	53	მაია ჯალიაშვილი თვითდასმენის ვნება (ჯანო ჯიქიძის რომანი „ფარშევანგის სოლო“)
კრიტიკა	55	ნანა კუცია პატარა ქალაქის დიდი მისტიკები (არქიმანდრიტ ადამის „ჩემი ბოცორია“)
დოკუმენტური ნოველა	58	ეკატერინე ტუკვაძე ამბავი „ლუზიადების“ საპარტიზოდან პორტუგალიაში გამგზავრებისა
ახალგაზრდავო. ან კი თქვენ	60	ნინო უგრეხელიძე ღამის მგზავრი
	62	შოთა ჩანქსელიანი ღამის მგზავრი
	63	ომარ ჩხეიძე მისი სხელი
	64	მარიამ ნინაშვილი სხელი სხვებან
აინტოლე	65	ეთერ ბერიაშვილი ტკივილი, რომელიც ელავს („ჩვენი მწერლობის“ 2013 წლის 25-ე ნომრის რამდენიმე პუბლიკაციის საპასუხოდ)
პოეზიის მარილიანები	66	ერიკა მიტერერი ყარინბთა სიმღერა და სხვა ლექსები
ახალი თარგმანები	68	იბრაჰიმ ალ-ქუნი თითის ფალანგზე მოკლე მოთხრობები
ამ მთისა და იმ გარისა	71	სპარსთა ენისა სიტკომან...



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 31 ოქტომბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: თამარ ლომიძე
ლოს-ანჯელესი, აშშ

ოსებ ჭუმბურიძე

ჩუნეშიდან პარადამი

არცთუ აუცილებელი შესავალი

ძალიან ბევრს წერ როსტომზეო, — მითხრა ახლობელმა, ვინც მთელი ცხოვრება ამ პრინციპს მისდევს: „მოყვარეს პირში უძრახე“...

რა თქმა უნდა, არ მწყენია.

მაგრამ დათანხმებაც გამოიჭირდა.

სხვათა შორის, ჩემს კოლეგებსაც ეგონათ, რომ ნოდარ ტაბიძეზე ბევრს ვწერდი, მაგრამ საიუბილეო კრებულის გამოცემა რომ განვიზრახეთ, აღმოჩნდა, რომ სხვებს უფრო მეტი ჰქონიათ დანერვილი.

სხვა საკითხია, რომ მე უფრო მეტი მიბრძოლია ნოდარ ტაბიძისათვის.

მეტიც „მომხვედრია“...

ასევე იტყვის როსტომთან დაკავშირებითაც.

ზოგიერთს ისიც ჰგონია, რომ როსტომს ყველაფერში ვეთანხმები.

სინამდვილეში, ასე სულაც არ არის.

ჯერ კიდევ როდის დავუნერე გაზეთ „თბილისში“: „ჩემი მეგობრის მტერი ყოველთვის ჩემი მტერია, ჩემი მეგობრის მეგობარი კი ყოველთვის არ არის ჩემი მეგობარი“.

მაშინ ადვილად მიხვდა, რას და ვის ვგულისხმობდი;

როსტომისაგან განსხვავებით, სულაც არ ვფიქრობ, თითქოს ქართულ პოეზიას მეორე ბარათაშვილი ჰყავდეს;

როსტომის ხელიდან გამოსულ ერთ-ერთ საუკეთესო ტექსტად აღვიქვი ახლახან გამოქვეყნებული სტატია „გედის სიმღერა აკაკი განერელიასი“, თუმცა მის ავტორს ზოგ რამეში არ ვეთანხმები...

კიდევ გავაგრძელებდი, მაგრამ ამით ზემოხსენებულ შენიშვნას გადავადრთობდი:

ბევრს წერ როსტომზეო...

გასაგებია, რომ ამგვარი განცდა ჩემს ახლობელსა და კეთილმოსურნეს იმ ბოლოდროინდელმა რეპორტაჟებმა გაუმძაფრეს, სადაც როსტომზე კი არ ვწერ, მისი მოღვაწეობის ერთ მხარეს აღვწერ — მის მოგზაურობას საქართვე-



ლოს სხვადასხვა კუთხეში, შეხვედრებს, უმეტესად, ახალგაზრდებთან, საუნივერსიტეტო აუდიტორიებში, სკოლებში თუ სულაც ღია ცის ქვეშ გამართულ საჯარო ლექციებს.

როსტომთან დაკავშირებით არაერთხელ მომისმენია ასეთი გაცეცხა: „როდის ასწრებს, ამდენს რომ წერს?“

არანაკლებ საფუძვლიანი იქნებოდა ასეთი გაკვირვება: „როდის ასწრებს, ამდენს რომ დადის?“

ბოლო დროს, მოგზაურობაში ხშირად ვახლავარ, რის წყალობითაც ვიხილე ჩვენი სამშობლოს ისეთი ადგილები, რომელთა უნახაობა ქართველს არ ეპატიება. მაგალითად, ჩუნეში — ნიკო ლორთქიფანიძის მშობლიური სოფელი.

„... და იშვიათი ჩვენში პროზილი“

ჩუნეში წყალტუბოდან შვიდი კილომეტრის სავალზეა. ულამაზეს გორაკებზე შეფენილია ეს სოფელი. ერთ-ერთ გორაკზე კი ლორთქიფანიძეების ულამაზესი ეზოა.

„თქვენთვის ეს ეზო ცაცხვის ჩრდილით დაფენილია ეზო, როგორც სხვა ათასი“, — თითქოს გვსაყვედურობს მწერალი თავისი ჩანაწერებიდან.

არადა ამ ეზოს სხვა ათასს ნამდვილად ვერ შეადარებ. ჭიშკრიდან სახლამდე თვალს ვერ მიანვდენ, არა იმიტომ, რომ ხელს ორი უზარმაზარი (250 წლის!) ცაცხვი შეგიშლის. მთავარი კი სწორედ ის სახლია, სადაც 1880 წლის 17 სექტემბერს, ღამის 12 საათზე დაბადებულა დიდი მწერალი.

სახლი ნაბლის ხისაგან აუგიათ და მთელს სიგრძეზე თაღებიანი აივანი გაუყოლებიათ. ეზოში დღემდე შემორჩენილა ქვისგან გამოთლილი მაგიდა — იმერეთის თავადთა ეზო-კარის აუცილებელი ატრიბუტი.

სახლიდან მარჯვნივ ერთი ბორცვია, საიდანაც მოურავი ლორთქიფანიძეთა მამულებში მომუშავე გლეხებს მეთვალყურეობდა.

ამ ბორცვზე ახლა თავადი ჩხეიძე იმისთვის შედგება, რომ ახალგაზრდებს ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე ესაუბროს. ის აქ, უპირველესად, მათთვის ამოსულა, თორემ ეს ეზო-კარი მანამდეც ჰქონია ნანახი და საგულდაგულოდ დათვალიერებული.



ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი სოფელ ჩუნეში

ახალგაზრდები კი ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 41-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან (ზოგიერთი უკვე კურსდამთავრებული და სულ ახლახან სტუდენტად ნაკურთხიც).

რა თქმა უნდა, თან ახლავთ თავიანთი მწყემსი — ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ფილოლოგიის დოქტორი **ლია კუხიანიძე**.

როსტომი ისაუბრებს ნიკო ლორთქიფანიძის იშვიათ პიროვნულ თვისებებზე, ზნეობრიობის, პრინციპულობის, უშიშრობის მისეულ მაგალითებზე, გამოკვეთს ქართულ ლიტერატურაში მინიატურული პროზის დიდოსტატის სრულიად გამორჩეულ ადგილს და „სცენას“ ლია კუხიანიძეს დაუთმობს. ის კი, როსტომის გამოსვლის საილუსტრაციოდ, ყველაზე შთამბეჭდავ ნიმუშს წაიკითხავს: „ტრაგედია უგმირით“.

მამა მჭადს მთლიანად შეჭამს, ბავშვებს კი მშვიერს დატოვებს. სინდისის ქენჯნას გვიანდა იგრძნობს და სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაამთავრებს. ქალბატონი ლია ყმანვლების ყურადღებას განსაკუთრებით ერთ ფრაზას მიაპყრობს: „რა ვქენი? დედა ხომ არ იზამდა!“

პედაგოგი ხომ იმისთვის არსებობს, რომ ის დაგვანახოს, რაც ყველაზე მეტად დასანახავია.

შემდეგ ბორცვზე კურსდამთავრებული და ან უკვე სტუდენტი **ბუბა ბაღდავაძე** შედგება. ჯერ ნიკო ლორთქიფანიძის „გულს“ წაიკითხავს, შემდეგ კი პაოლო იაშვილის ცნობილ ლექსს, სადაც დიდი მწერლის პორტრეტი ყველაზე ზუსტი შტრიხებითაა გადმოცემული:

**გაგიძნელებდა ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი,
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი...**

ამის შემდეგ ქვის მაგიდასთან გადავინაცვლებთ. და ამ ჭეშმარიტად იმერულ გარემოში სიტყვა ორ იმერულს დაგვეთმობა: **ელგუჯა თავბერიძე**, განათლებით ისტორიკოსი, ნიკო ლორთქიფანიძის წარმოშობა ისტორიულ ასპექტებს შეეხება, მე კი, პუბლიცისტი, იმის დამტკიცებას შევეცდები, რომ დიდი მწერლები დიდ პუბლიცისტიკასაც ქმნიან.

ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტურ ოსტატობაზე საუბრისას ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მოულოდნელობას გამოვყოფ და, საილუსტრაციოდ, მწერლის ერთ იდეას დავასახელებ: ჩემი ნება რომ იყოს, ქართულის გაკვეთილს აკაკის ჩავატარებინებდი, ყმანვლებს მშობლიური ენა და ლიტერატურა სამუდამოდ რომ შეყვარებოდათო. აქ ერთ ხუმრობასაც დავურთავ: ეტყობა იმ დროს არ იყვნენ ლია კუხიანიძისთანა პედაგოგები, თორემ ნიკო ლორთქიფანიძე აკაკის არ შეაწუხებდა-მეთქი.

ვითომ ხუმრობაა?..

...ყმანვლებმა ნახეს ნიკო ლორთქიფანიძის ეზო და სახლ-კარი, ორასწლოვანი ცაცხვების ქვეშ, ცვრიან ბალახზე ფეხშოშველა გაიარეს, მისი შემოქმედების სიღრმისეული შრეებიც მოიხილეს და ხელშესახებად იგრძნეს, რაა მამული.

ცოტაა ერთი მწერლისთვის და მისი სამიოდე მეგობრისათვის?

არადა, ბევრს წერ როსტომზეო...

ტკივილს არა აქვს სახა

როსტომის მოგზაურობა ხშირად გულისხმობს მისი ინიციატივით გამართულ შეხვედრებს.

შეხვედრებს ვისთან?

მათი შერჩევა როსტომს, დამეთანხმებით, არ გაუჭირდება.

თუმცა, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს თავდაპირველად ცოტა გაუკვირდათ, მათთან შესახვედრად მაინცდამაინც **ნატა ვარადა** რომ შეარჩია.



როსტომ ჩხვიძე, ნატა ვარადა, იოსებ ჭუმბურიძე, მარინე ტურავა, ჯემალ ინჯია

ერთმა-ორმა პირდაპირ მითხრა, მის ლექსებს ბევრი ვერაფერი გავუგეთო. აქედან გამომდინარე, მათი „მწყემსი“ (საბედნიეროდ, ასეთი მათაც ჰყავთ) — პროფესორი **მარინე ცერცვაძე** ცოტა შეფიქრანებული იყო: როგორი სალამო გამოვიდოდა?

არ დავმალავ და თავადაც ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი.

მაგრამ ისეთი სალამო გამოვიდა, ნებისმიერ უნივერსიტეტს შეურდებოდა.

აღფრთოვანება ვერც პოეტმა **ჯემალ ინჯიამ** დაფარა და ვერც უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი სოსიაშვილმა**.

მომხსენებელი **მარინე ტურავა** იყო. მან ჩვეული სიღრმითა და პასუხისმგებლობით ისაუბრა ნატა ვარადას პოეტურ ბუნებაზე და იმაზეც, რითაც ის ესმა ონიანს ენათესავება. მე ყველაფერში არ დავეთანხმე (რა ვქნა, ვერა და ვერ გავხდი თეთრი/თავისუფალი ლექსის თავყვანისმცემელი).

მომხსენებელი იქ არ შემკამათებია, მაგრამ ჩემი გამოჯიბრებით შემდეგ ნატა ვარადას პოემას („მერვე დღისა, უადამიანოდ“) მართლაც შესანიშნავი ესეი მიუძღვნა („შობის მისტერია“ — „ჩვენი მწერლობა“ №19, 2014 წელი):

„ნატა ვარადა — სახელიც კი პოეტურია, ვარადაშვილი ფიროსმანაშვილივით...“

ნატა ვარადა უკვე კარგა ხანია თანამედროვე პოეზიის გამორჩეული სახელია — თავისი ვარამით, ტკივილიდან გასხივოსნებამდე“...

...რაც შეეხება სტუდენტებს — კი თქვეს, ბევრი ვერაფერი გავუგეთო, მაგრამ ეს ერთი წაკითხვით, როცა ხელმეორედ წაიკითხეს და ჩაუღრმავდნენ, ძალიანაც მოეწონათ და ისეთი კითხვები დაახვედრეს, რომ მათზე პასუხის გაცემა მხოლოდ დიდი ინტელექტის მქონე, ღრმად მოაზროვნე პოეტს არ გაუჭირდებოდა.

საბედნიეროდ, ნატა ვარადა სწორედ ასეთი პოეტია.

წაიკითხეთ მისი პასუხები და დარწმუნდებით:

მარიამ ბესიაშვილი: ლექსში „ყარაჯა დაილამაო“ რომელ ტაძარს გულისხმობთ?!

ნატა ვარადა: არის ლექსების ის სახეობა, რომლებსაც წერ და მალევე ივიწყებ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათი ემოცია ერთჯერადია და სასულეს იქით არ მიდის. ეს ლექსი კი მიყვარს და მახსოვს. „ყარაჯა დაილამაო“ ჩემი გულის ლექსია. შეიძლება ითქვას, ჩემი პიროვნების არტეფაქტი.

კახეთში, ალაზნის ქალაქში დგას ყარაჯაანთ საყდარი. 90-იან წლებში იქ სკოლიდან ბავშვები იყვნენ წასულები ეგრეთწოდებულ „შატალოზე“ და მათ მოიტანეს დიდი, თეთრი ქვა, რომელსაც ძველქართულად ეწერა: „მეფის მეფისაი გიორგის შვილს თამარს“. თამარის ყმების ტაძარია, მაგრამ როგორც ჩანს, თამარი ჯერ კიდევ 9 ან 10 წლის გოგონაა მაშინ, როცა ეს ტაძარი შენდებოდა. კომუნისტური კვალი ემჩნეოდა, გუმბათამდე ჩადირული იყო მდინარის მიერ მოტანილ ქვიშაში, მხოლოდ გუმბათი ჰქონდა ამოჩრილი და სარკმლები მოხუცი კაცის ამოღამებულ თვალებს მიუგავდა. სოფელში ამბობდნენ, მგლები და აუარება გველები ჰყავს შესულები. ეს არ ვიცი, ვინ მოიგონა, მაგრამ ხალხმა „ყარაჯა“ ამ ხმით დაიცვა. უკარება გახადა და ხელდაუკარებელი ჩადიოდა წმინდად მიწაში. ზუსტად 9-10 წლისანი ვიქნებოდით მე და ჩემი და, მამაჩემმა რომ კომბაინის სანახავად წავიყვანა ხორბლის და ქერის ყანაში. იდგა კალაოების დრო. პატარა ხევში შეგვიყვანა საბანაოდ. ხევის მერე იყო მწიფე ხორბლის ყანა, რომელსაც კომბაინი ცელავდა, იქეთ კიდევ ეს „თვალეზამოღამებული ბერიკაცი“ — „ყარაჯა“ იდგა და ამოგვცქეროდა. ისეთი ძალა ჰქონდა, მაგნიტივით მიგვიზიდა. გვინდოდა გასვლა, ვერც მამალი მგელი და ვერც ქერცლიანი გველი წინ ვერ დაგვიდგებოდა. ერთი იყო მამაჩემის სახე და კომბაინის მძლოლისაც — არ შეიძლებაო. არაო და მორჩა.

ანა სამადაშვილი: როგორ შეიქმნა ეს ლექსი?

ნატა ვარადა: დიდი ხნის შემდეგ, როცა მე უკვე ციხე-ქალაქისკენ გამოვემგზავრე ყოფიერების შესასწავლად, მართლა ასე იყო: სმს შეტყობინება გამომიგზავნა კლასელმა ბიჭმა, „ყარაჯა დაილამაო“, თურმე ალაზნის კალაპოტი გაუფართოებიათ და გაუმეტებიათ. ასე დაიწერა ეს პატარა ლექსი. ამ სმს-ს შთაგონებით და ჩემი ბავშვობის შავ-თეთრი კადრებით. თუმცა, იცი, ბოლოს რა მოხდა?! ყარაჯას აფხაზეთიდან დევნილმა სასულიერო პირებმა, ბერებმა მოაკითხეს. გაასუფთავეს, მისი ნახევარი მიწიდან ამოიყვანეს, იქვე ვენახი გააშენეს და ახალი სიცოცხლე შთაბერეს. თუმცა ასეც მოხდა, რომ ჩვენ იმ რწმენას და სინამდვილეს ერთი კლასელი ბიჭი შევწირეთ, ასეთივე წმინდა, ბავშვივით დარჩენილი 34 წლის, უშვილ-ძირო, უქორწილო.

ნათია ტერტერაშვილი: რომელმა პოეტებმა მოახდინეს თქვენზე გავლენა?!

ნატა ვარადა: წესიერად ანბანი არ მქონდა ნასწავლი, რომ ვწერდი. ეს იყო ჩემი ერთადერთი გართობაც და სასიცოცხლო სურვილიც. ბევრსაც ვკითხულობდი, არცთუ მცირე საოჯახო ბიბლიოთეკიდან სტალინის, მარქსის და ენგელსის წიგნების ჩათვლით. თუმცა სულიერი ნათესაობა მხოლოდ ერთი პოეტი ქალის ლექსებთან ვიგრძენი. ეს თხელი წიგნი, სიფრიფანა, მსუბუქი, ფრინველის ბუმბულივით ეგზოტიკური — ასეთი მახსოვს სოფლის წიგნების ჯიხურში და ორი ცალი ვიციდე. ესმა ონიანი. „თეთრი სტუმრები“. ეს იყო სრული ცის გახსნა. სრული გახარება. ბევრი რამ მასწავლეს ამ ლექსებმა. დამოკიდებულებები, მოთმენა, წერა, უბრალოება, ადამიანებისადმი სიბრალული, სიყვარული. თუ ვინმეს გავლენაზეა საუბარი, დაე, იყოს ესმა ონიანი. ეს ჩემი ამპარტავნებაა.

ნათია საზანდრიშვილი: რამდენად იგრძნობა თქვენს ლექსებზე რუსთაველის გავლენა?!

ნატა ვარადა: ყველა ქართველი პოეტი მოდის, უფრო კი ამოდის „ვეფხისტყაოსნიდან“. ეს ისეთი რამეა, გვერდს ვერ

აუვლი, რაღაც ზეიერარქიაა. პოეტების ქურუმი. მისი ხელდასხმაა საჭირო, რომ პოეტური სულიწმინდა გადმოვიდეს. რუსთაველმა ყველა პოეტურ სანყის თავი მოუყარა. გააერთიანა. ასე რომ, თუ სანყისთან გინდა მისვლა და სხვანაირად ვერც დაიწყებ, გვერდსაც ვერ აუვლი უკვდავებას. „ვეფხისტყაოსანი“ ეს პოეტური რელიგიაა.

ეკატერინე ქერდიყოშვილი: „ყვავების წვიმა“ — გაქვთ ასეთი ლექსი. ხომ არ იქონია გალაკტიონმა გავლენა, კერძოდ, გვულისხმობ მის ლექსს „ათოვდა ზამთრის ბალებს?!“

ნატა ვარადა: „ყვავების წვიმა“ მაშინ დავწერე, როცა კიდევ ერთი სმს- შეტყობინება მოვიდა ჩემი კლასელისგან. როცა მომწერეს, რა ღორულად მოკლეს ჩვენი ბავშვობის წყალ-ჭალების, მინდვრების გზაზე კლასელი ბიჭი. როგორ დაუფლითეს გული ტყვიით და იმ ტყვიამ ჩვენც დაგვჭრა სასიკვდილოდ.

ყველა თაობა სამშობლოსთვის, რწმენისა და სიცოცხლისათვის საუკეთესო ნაწილს გაიღებს ხოლმე, წმინდა კრავივით. თუმცა ამის გააზრება რეალობაში, ყოფიერებაში, დედის პიეტის დროს, უშვილძიროდ განწირული სახლის ცქერაში აბსურდულობამდე მიდის.

გალაკტიონი არ იქნებოდა ფრაზებისა და რითმების პოეტი. ის არც ისეთი ადამიანი იქნებოდა, პროცესიას ჩაეელო და მასზე სასიკვდილო ემოცია არ გამოეწვია.

თუმცა „ათოვდა ზამთრის ბალებს,/მოჰქონდათ შავი კუბო“ — აქ მთელი ეპოქის დატირებაა, გალაკტიონის ეპოქისაც, თაობისაც და სამშობლოსიც.

ტკივილს სახე არა აქვს. ის მოდის გულიდან და, სიხარულის მსგავსად, წამდვილია. რაც წამდვილია, ის კი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. აი, თუნდაც: სიკვდილ-სიცოცხლე.

თითქმის აუცილებელი ეპილოგი

ბევრს წერ როსტომზეო...
შარშანდელი ამბავი: „ჩვენი მწერლობის“ სალონში მორიგი შეხვედრა უნდა დაიწყოს. სტუმარი იგვიანებს. როსტომი ზის და ლელვას არ იმჩნევს. დრო გვაქვს და მაკა ჯოხაძეს ვეუბნები: ამას წინათ ოთარ ჩხეიძის ახალგაზრდობისდროინდელი პორტრეტი ვნახე და გავიფიქრე, რომ როსტომი ალი-კვალი მამაა. არადა, რაგინდ უცნაურიც იყოს, ხშირად მაგონებს იმათ, ვინც მისთვის იდეალია, ხან ალექსანდრე ორბელიანს ჰგავს, ხან — პავლე ინგოროყვას, ზოგჯერ ზვიადსაც კი ვამსგავსებ... ძალიან კარგი მიგნებაა. აუცილებლად დანერე, რაც ახლა მითხარი, — მიუბნევა ქალბატონი მაკა.
დავწერო?
არ დავწერ.
ისედაც ბევრს ვწერ როსტომზეო...



ივანე ჯავახიძე

„ამაოდ არ ბავრჯილვარ“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?

- ახლობელი გიკვდება და შენ ვერაფერს შევლი.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- არსად, საქართველოს გარდა.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- შვილების დაბადება და განცდა იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- დათა თუთაშხია, დონ კიხოტი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ილია მართალი, ექვთიმე ლეთისკაცი, ივანე ჯავახიშვილი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ალორძინების ხანის მხატვრები, ფიროსმანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ვერდი, მოცარტი, ფალიაშვილი, ლალიძე.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- ღირსებას, იუმორს, ვაჟკაცობას, თავისუფლების სიყვარულს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ღირსებას, კდემამოსილებას, ერთგულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მძიმე?

— თანაგრძნობა, მოყვასის სიყვარული, თავმდაბლობა, სხვისი სიხარულით გახარება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მოგზაურობა, უნიკალური საარქივო მასალების გაცნობა, მემკვიდრული ლიტერატურისა და ბიოგრაფიული რომანების კითხვა, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არასოდეს მქონია სურვილი, სხვა ადამიანი ვყოფილიყავი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— კაცთმოყვარეობა, უანგარობა, გამძაფრებული პასუხისმგებლობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ღირსებას, ერთგულებას, მოთმინებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიფიცხე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— როცა შენი სამკვიდრო, ქვეყანა, სადაც ცხოვრობ, ეკონომიკურად ძლიერია, კულტურა და სულიერება ჰყვავის, ოჯახებში კი შვილთა სიმრავლეა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ქვეყანაში კულტურის დაკნინება, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების რღვევა და ქართველთა გადაგვარება.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— გაცილებით ნიჭიერი და უფრო მეტად მიზანდასახული.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ნითელი, თეთრი და შავი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ედღევისი, სინმინდის, სისპეტაკის, მიუნდომლობის სიმბოლო.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— ძნელია ერთი ან ორი მწერლის დასახელება, სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა მწერალი გიტაცებს, მაგრამ მუდამ მაქვს მოთხოვნილება კვლავ გადავიკითხო მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ოთარ ჩხეიძე, დოსტოვესკი, ეგზიუპერი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— აქაც ძნელია ჩამოთვლა, მაგრამ ჩემი მუდმივი თანამგზავრები არიან: შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ბართაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი, ნიკო სამადაშვილი, ლადო ასათიანი, ანა, მურმანი, მუხრანი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— თინათინი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— შორს წასვლა არ მჭირდება, ჩემი ოჯახის წევრები, მამის და-ძმანი: ლეგენდარული მთამსვლელები, მთამსვლელობისა და ალპინისტური სკოლის ფუძემდებლები საქართველოში ალექსანდრა, სიმონ და ალიოზა ჯავახიძეები, თავიანთ საქმეში გამორჩეულნი, რომლებიც მთამსვლელობას შეეწინნენ. მათი ცხოვრების მაგალითით ჩვენგან თავდადების, თავგანწირვისა და გმირობის არსს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი, მარო მაცაშვილი, ალექსანდრა ჯავახიძე, რომლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ჩვენმა დიდებულმა პოეტმა და მთარგმნელმა თამარ ერისთავმა თქვა: „მას თუ იცნობდი პირადად, მთელი განზომილებით, ქეთევან დედოფლის სულიერი სიმტკიცე არ გაგიკვირდება მისი მონამბრევი აღსასრულის ჟამს, ეს შეიძლება სხვადასხვა მასშტაბია, მაგრამ არსი ამისი ერთია. ეს არის ხორციელ სისუსტეზე გამარჯვება, ამაღლება და ალბათ, არ შემცდარა ქართველი ხალხი, რომ ალექსანდრა ჯავახიძეს „მთების დედოფალი“ უწოდა.“

— საყვარელი სახელები?

— მარიამი, ივლიტა, გიორგი, კონსტანტინე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უნამუსობას, უმადურობას, მდაბიოთა და უნიგნურთა ამბიციურობასა და ამპარტავნობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— ყველა ის პიროვნება, ვისაც უდანაშაულო ადამიანის სისხლი აქვს დაღვრილი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რუის-ურბნისის კრება, რაც დღესაც სჭირდება საქართველოს.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?


— ხატვის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ფეხზე მდგომი, ყველას წინაშე ვალმოხდილი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აფორიაქებული იმის შეგნებით, რომ დარჩენილი სიცოცხლე არ მყოფნის ჩაფიქრებული საქმეების შესასრულებლად.



- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- უნებლიე შეცდომა, რომელიც ქვეყანას და ხალხს არ აზიანებს.
- თქვენი დევიზი?

- გიყვარდეს სამშობლო და ხალხი შენი.
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- გავიხარებდი, თუკი მოვისმენდი, რომ ამოდ არ გავრჯილვარ და ღვთის სათნოდ მიცხოვრია.

რუსთაველის თეატრმა 2014-15 წლის სეზონი პრემიერით გახსნა. პოლიკარპე კაკაბაძის ნაწარმოებთა კოლექციით შეიქმნა ფანტაზია დრამატურგის პიესების მიხედვით — „ასულნი“. სასცენო ვერსია შექმნეს თავად რეჟისორმა, რობერტ სტურუამ და ნინო კანტიძემ. სცენოგრაფია ეკუთვნის ანა ნინუას, მუსიკალურად გააფორმა ია საკანდელიძემ, გამოყენებულია ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის, არვოიარტის, ნილ ჰეფთის მუსიკა, გააყენეს მელიორიძის ასრულებს ლიზა ბაგრატიონი; ლოტბარია ზურაბ ჯორჯაძის მუსიკის; ქორეოგრაფი — მარიამ ალექსიძე; მხატვარ-გამნათებელი — გოჩა გიორგაძე; რეჟისორის თანაშემწე — მარინე ამაღლობელი.

ნათელა არველაძე

გულწრფელი ხელოვანი აფსიზლებს ერს!..

სიბნელე, სიცივე, სიმარტოვე... მოქუფრული, გაშლილი სცენა, იავარქმნილი საცხოვრისი... შინაგანად გატყევილი, მიუსაფარი, ილაჯგანწყვეტილი შოხანი ასულები, ვაჟკაცები გადაშენდნენ თითქოს... არსით ხსნა, არსით საშველი. მხოლოდღა გოდება და მხსნელის მოლოდინი ასულდგმულებს მოფარფატი ასულებს... ასე ხედავს რობერტ სტურუა თავის ქვეყანას... დიდებულ წინაპართა, საჭეთმპყრობელთა ტახტიც კი, ვერ გადაურჩა ჟამთა სიავეს, ღალატსა და გაუტანლობას, დაკნინებული და ფეხმორყეული გადაეცა შთამომავლობას... სასცენო მეტაფორაც გოდებს და ისე ღალადებს...

მშიერ-მწყურვალთა, სმენადახშულთა, ბრმათა ამბავს მოგვითხრობს რეჟისორი. უფრო ზუსტად კი, თითქოს გულისპირი გადაიხსნა სტურუამ და იქ, გულის ფიცარზე ამოტიფრული სატკივარი გვამცნო. იგავური ნაივობითა და ფეთქებადი მუხტით გვიმხელს ეროვნულ და პიროვნულ დრამას: უყვარს თავისი ქვეყანა და ვერ ეუბება მის დაცემასა და გავერანებას; უყვარს თავისი ერი და ვერ ეუბება მის თავდადრეკილ, უღონო და უსამველო ყოფას. ეს სპექტაკლი — იგავი რეჟისორის სიყვარულიანი მოსახანება; მკვახე შეძახილია, შეულამაზებელი და მკაცრი სიმართლეა, რათა გამოაფხიზლოს ერი მხსნელთა მოლოდინის ბანგისაგან, სულიერი სიბერავისაგან გამოიხსნას თავისი მრევლი. რუსთაველის თეატრი ფორუმს დაემსგავსა, საიდანაც მოქალაქეებს გვმოძღვრავს დასი და მისი პროტაგონისტი, საიდანაც ჩაგვესმის „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა“.

პოლიკარპე კაკაბაძის ორლესული გამოთქმები აფორიზმებივით ჟღერს და თავისი ქვეტექსტით ზუსტად მიესადაგება სატკივარს, რომელმაც თავის დროზე ხელში კალამი ააღებინა მწერალს და ახლა რეჟისორს უბიძგა შეექმნა სპექტაკლი — იგავი „უგზობით“ გატანჯულ ხალხზე, უგზო-უკვალოდ მიგდებულ ერზე. მართალს ამბობს ერთი მათგანი: „ისე მოკვდებით, ვერც დაგვიტყვიან, თითქოს არც ვყოფილვართ“. ეს ის ერია, რომელსაც, ლეგენდის მიხედვით, მამაზეციერმა საცხოვრისად თავისთვის გადანახული ედემი არგუნა; ეს ის ერია, რომელმაც ოქროს სანმისი შექმნა; ეს ის ერია, რომელსაც წარსულში რელიგიური იმპერიის შექმნის ამბიცია ჰქონდა...

ეს სპექტაკლი უმისამართო ქადაგება როდია. ეს სანახაობა ააღელვებს და შეძრავს მას, ვისაც „ერის წყლული“ უბოთ დააქვს, ვისთვისაც პატრიოტიზმი ისტერიული და საქილიყო სიტყვა არ არის, ვინც იცის საქართველოს წარსული, ვინც მამულის დაცე-

მა-დაკნინებაში პიროვნულ პასუხისმგებლობასაც გრძნობს. სტურუა განიცდის, აღშფოთებულია და... მოქმედებს! სამოქმედოდ ინვესს თავის სვეგამწარებულ ერსაც!.. მისი სამოქმედო ასპარეზი — თეატრია, სცენაა, სიმართლის ქადაგების არენაა და ამბობს: ქვეყანას გადაარჩენს, იხსნის თ ა ვ ა დ ე რ ი!..

მარიამ ალექსიძის მიერ დამუშავებულია შეთხზული, მოარული და ადაპტირებული პლასტიკური პარტიტურა, მოძრაობები, ტეხილი ხაზები, მსახიობის სხეულის მოქნილი რხევები, ხელებისა და ფეხების რიტმული წყობა, რომელსაც თანსდევს ადეკვატური მუსიკალური ფრაზა, ხან სვანურ ზარს მოგვაგონებს, ხან ხელგანვიდო მთხვენელთა შეჭირვებას, ხანაც დიასახლისის სამზადში მორიდებულ ფუსფუსს. უმწეობის ოხვრა-ვაებაა გამოსახული პლასტიკის ენაზე.

სცენოგრაფი ანა ნინუა „მეტყველებს“ მუქი ფერებით, მკაცრი ტონალობით გამოიღო სივრცეში საგანგებოდ დაგმანული კარიბჭეა, კარიც ჩაკეტილია და მრუმე სიბნელეში ძლიერ არჩევ უმეტყველო, სევდიან მანეკენებად ქცეულ ადამიანებს; იქ, საქუსართან რომ გაყურებულან. კონკრეტული მოქმედების ადგილის მიუნიშნებლად, მხატვარს რეჟისორის ჩანაფიქრი ორგანულად გადააქვს „გრაფიკის ენაზე“. ის, რაც ამ გავერანებულ, ფლორა-ფაუნისაგან დაცლილ საცხოვრისში ხდება, ბუნებისაგან განდგომილი, ბუნებაზე მოძალადე, ვალდებულებისაგან დაცლილი თემის ლოგიკური შედეგია. სიცივე, სიბნელე, უსახსრობა, გათითოკაცება — მათი ამჟამინდელი ყოფის რეალობაა. მოქმედების სანაცვლოდ კი მხოლოდღა გოდებენ მიუსაფარი ასულები. მათი ეული გოდება, „ცას რომ მისწვდება“, უსასრულო სივრცეში იკარგება, რადგანაც არც ამ საცხოვრისის მიღმა ურთიერთშესმენის შედეგად ჰარმონიული და განონასწორებული ყოფა. იქ, სცენის სიღრმეში, ამ ასულთა მსგავსი, კაემნით გათანგული, სხვა ბრმა და ყრუ ასულთა გუნდია გაყურებული. რამაჰსთანაც და სცენის სიღრმეშიც უსიცოცხლო და უნიათო ადამიანთა თანაცხოვრებას აწყდება მაყურებლის მხედველობა. მენამულ სვეტზე კი განწირული ფიტულია სისხლში ამოგანგლული... ქვეც განაჩენივით „გაჰკვირი“...

ტექნიკურად გამართული და მოულოდნელობის ეფექტით მოქმედი განათების სისტემა ამ წარმოდგენის კიდევ ერთი პერსონაჟია. მართალია რეჟისორის მიგნებაა ამგვარი შოკისმომგვრელი ზემოქმედება მაყურებელზე, მაგრამ რომ არა გოჩა გიორგაძის ოსტატობა, რთული იქნებოდა ამ ეფექტის მიღწევა. ქექაქუხილის მსგავსად ელავს და გრგვინავს სცენა, მორიგი მხსნელის მოლოდინით ატყვინებული და მალევე იმედგაცრუებული ასულნი თითქოს მეხთამტეხის რისხვას იმკიან, დედამინას ეხეთქებიან, მისგან ელიან შვებას. მერე ისევ ელავს და გრგვინავს სცენა, ისევ ელიან მხსნელს... ეს მხსნელი კი ხან ახალშობილია, რომლის მშობელსაც ღალატით ყელს გამოლადრავენ, მერე მალალ სადგომში ნანასაც ვერ უმღერიან რიგიანად. ასოციაციით ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი და მზეჭაბუკი აღსდგება. პოეტის ეს მეტაფორაც დაკნინებული, დამცრობილი, გაუფასურებულია პოსტ-მოდერნულ ეპოქაში, რადგანაც... ბალღი კი ტირის, მართალია ასული უმღერის, მაგრამ „ისე უმღერის, რომ რა დააძინებს!“

მხსნელი ხან უმანკო სითეთრით მოსილი, მანერული მოძრაობებითა და ყალბი პათოსით მოუბარი, ალესილი და ბრჭყალებმო-

მართული მოძალადეა, ხელისუფლის გვირგვინს რომ დაეძებს მხოლოდ. ზღაპრიდან აღმსდგარი ალქაჯის მოდერნულ ნიღაბს ქმნის მარინა კახიანი. მხსნელი ხან გაორებული, თუ ორთავიანი და ერთად შედუღებული, ყოყლოჩინა და მოჩხუბარი „ტყუპები“, თავს რომ წამოსდგომიან უგონო ვაებით გაბეზრებულ ასულებს. ჩამოქოჩრილი უზიავობა — ასე თამაშობენ მარინე ჯანაშია და დარეჯან ხარშილაძე მოძალადე პერსონებს. ტელევიზორის „ყუთიდან“ თავნამოყოფილი წამყვანები პროკურორის სიმკაცრითა და გაუზარებელი მრისხანებით მოძღვრავენ გაოგნებულ ასულებს. „სიგნალი არ არისო!“ უცხო ენაზე აწერია ეკრანს, მათი „ქადაგებაც“ ფუჭია. სიგნალი არ მოქმედებს! ახლა მათ ადგამს ერთი ასულთავანი გვირგვინს, მაგრამ დახეთ, როგორი მზაკვარია ბედისწერა! თავი ორია, გვირგვინი კი — ერთი... მაგრამ... ესეც სომ ჩვენი მოგონილია, რომ ხერხი ჯობია ღონესა, და უხუცესი ასული უმალ გაგლეჯს, ორ ნაწილად გაყოფს გვირგვინს, თავზე წამოაცვამს თვითკმაყოფილ მოძალადე-ორატორებს.

მერე ისევ ელვა აზნაზარებს ასულთა სამყოფელს. ახლა ტკბილმოუბარი, „პატრიოტული გზებით“ აღვსილი; კარგად განვრთნილი მანერებით, საგანგებოდ დაყენებული ღიმილითა და დასწავლილი ტექსტით, ქადაგად ქცეული მოყვასი-მოძალადე წამოადგება თავგზააბნეულ ასულებს. დემოკრატი-მოძალადე ხალხში გაერევა და მხურვალე დაპირებას იძლევა — აგაყვავებთო! მერე კი თავდაჯერებით მიმართავს მსმენელს: „აქ, როგორც ვატყობ, ბაღინჯოც კი სხვაგან არ იჭყლეტს თავს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე“. ვერაგი მოძალადის ნიღაბს ქმნის ეკა მინდიაშვილი.

მერე ცეცხლოვანი რიტმით, კამკაშა სხივით, ქუხილის მძვინვარებით შემოგრიადდება მომხიბვლელი მომღერალი. მელიოდის აცდენილი „გალობი“ სურს დაატყვევოს დაზარალებული ასულები. კეკლუცად ყელმოღერებული ლექსს კითხულობს თუ მღერის, ვერც გაიგებ: „ასი ათასი კაცის ჭკუა ვირის ჭკუასაც ვერ მოერევა... ათასი კაცის ძალას, ერთის ჭკუა აჯობებს“... თითქოს ქვესკნელიდან ამოდისო, უფროსი ასული გოდებს: „თქვენ ერთი კაცის ჭკუაც ვერ გიშველით, იმედი ნუ გაქვთ, ვერ გიშველით!“ პროვინციელის თვითდაჯერებით მაღიმილ ისწორებს თეთრი სისამურის მოსასხამს. სირინოზა ქვეყნიდან „მოფრენილ“ ამორძალს თამაშობს თათული დოლიძე. მერე ისევ შეჯგუფდებიან ასულები, თითქოს ერთმანეთს სურთ დაესესხონ სიმხნეს და ისევ ელიან მხსნელს... ფინალში დამანულ კარიბჭესთან ისევ შეიკვრებიან ერთ გუნდად ასულები, დათალხულები და ტუსადებივით ხელებაპყრობილები ისევ ელიან მხსნელს...

წარმოდგენა ისეა აწყობილი, რომ თითოეულ ასულს ერთი ეპიზოდი მაინც აქვს მონოსპექტაკლივით სათამაშო. ასეა მოფარფატე პუპელასავით „მორბენალი“ ასული, ხან ოფელიას მიუსაფრობას, ხანაც ბაღის მიამიტობას რომ განასახიერებს. მისი არავის ესმის, იმ კალიასაც კი, რომელსაც დაიჭერს, ცნობისნადილით დააკვირდება და ისევ გაუშვებს. ის ვერ გრძობს, ვერ აცნობიერებს ვერ ჭვრეტს რეალობის სიმკაცრეს. არაამქვეყნიურ მიაშიტს თამაშობს ნინო არსენიშვილი.

ამ მრუშე სისასტიკეში ჩიტის სიკვდილს ძალუმად განიცდის ერთი მათგანი. გულწრფელად დაიტირებს პატარა არსებას და, შეძრული, დარბაზს მკაცრად მიახლის: „მკვლელებო!“... ნანა ლორთქიფანიძე ტლანქი ნაბიჯებით, ჩამცხრალი თვალებითა და მკაცრი გამომხედვით განშორდება რამპას, სადაც გულში ჩახვეული მისხვა ძალუმად დაატეხა გარინდულ „უდანაშაულო“ მაცურებელს.

დახვეწილი პლასტიკური მონახაზით, გრაციოზული მოქნილობითა და „უმეტყველო“ მიმიკით, მწუხარება და სევდა რომ შეჰყინვია პირისახეზე, რთული „მონოლოგით“ გვიმხელს მსახიობი პერსონაჟის სულიერ შეჭირვებას. რამდენიმე წუთით შევიგრძენით უმწიხრობის უსაშველოება. მარიაკა ჭიჭინაძე პლასტიკური მონახაზის სახიერებით, სიტყვის გამიზნულებითა და კუმტი მიმიკით წარმოაჩენს წრფელ კაემანსაც და ამ განწყობის ტაქტიან პაროდიასაც...



სცენა რობერტ სტურუას სპექტაკლიდან „ასული“

სპექტაკლი დახუნძლულია სასცენო მეტაფორებით, რისკიანი მინიშნებებით, ძნელად ამოსახსნელი რებუსებით, სახიერი მიგნებებით. ერთი ეპიზოდის გადაწყვეტამ მაინც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაცურებელზე. რამბასთან გაითამაშეს ეს სცენა, თითქოს მოქანდაკის საჭრეთელითაა ჩამოქნილი სამი ასული, სამი სხვადასხვა თაობის პერსონაჟი: უფროსი — ზაზა ლებანიძე, საშუალო თაობა — მანანა გამცემლიძე, ყმაწვილი ქალბატონი — ნინო არსენიშვილი. მიმქრალი შუქი, ნაღვლიანი მელიოდა, სევდიანი ასულები, დები იშხნელების გულშიჩამწვდომი სიმღერა, ლამპის მბჟუტავი სხივი, სითბოს და მათთან სულიერ სიახლოვეს რომ ბადებს... იმპრესიონისტთა ნახატის ასოციაცია დაბადა ჩემში ამ გამოკვეთილმა ფიგურებმა, თბილი ფერებით შესრულებულმა „სურათმა“. სულშიჩამწვდომად გალობენ იშხნელები — „ჩონგური საქართველოა, სიმეზბი ჩვენ ვართ ყველაო“... და სახელოვანი წარსულის, მამა-პაპათა ცხოვრების წესის შორეულ ექოდ აღიქმება ეს მეტაფორა.

გიტარის აკვანესებს უფროსი ასული და აკაკი წერეთლის ტექსტის პერიფრაზით შეესიტყვება მთრთოლვარე ჰანგს: „ჭემბარიტება, სიმართლე ყველა ენაზე უცხოა, არავის ესმის, არავის, ვერავის გააგებინებ“... ამ სამი ასულის ტანდემი — თავისი გრაფიკული მონახაზით, მოლიცლიცე ფერებით, სევდიანი განწყობით — წარმოაჩენს სიმბოლისტური დრამის უმთავრეს თვისებას — წყლის წვეთში მოვლენის არსია წარმოჩენილი. იდუმალი და საკრალური ვნებათაღელვა ფაქიზი და დახვეწილი გარეგნული სახიერებითაა აღბეჭდილი. ყოფითი ჟესტი, საქციელი, იმერული კილოვანი სასცენო მეტაფორის რანგშია აზიადილი — წარსულში ჩინებული მომღერალი იქნებოდა ზაზა ლებანიძის ასული, მაგრამ... წარსულში მოხდენილი დიასახლისი იქნებოდა მანანა გამცემლიძის ასული, ასე ოსტატურად რომ „ზელს ცომს“ და „აცხობს ჭაღს“. მამა-პაპათა ცხოვრების წესის, ტრადიციული ყოფის შორეულ და მიმქრალ ექოდ აღიქმება ეს ეპიზოდი. მაგრამ ახლა ამ მრუშე მრისხანებაში იშხნელების სულშიჩამწვდომ გალობას აწინდელთა აუწყობელი სულის კენესა ჩაენაცვლა. მახვილგონივრული რეჟისორული გადაწყვეტა მსახიობებმა ნიჭიერად გაათამაშეს, ტკობა და სიხალი-ლე მინაჩქეს მაცურებელს. ეპიზოდის მხატვრულმა გადაწყვეტამ ისიც გვამცნო, რამდენად იოლი იქნებოდა ადამიანთა თანაცხოვრება, ყველა თავის საქმეს რომ აკეთებდეს!

ამ ეპიზოდის ქვეტექსტი სახიერად „ჩაინერა“ მთლიანი სანახაობის სიმწყობრეში და... ისიც გვამცნო: ეროვნულ კულტურას ანდამატის ძალა რომ აქვს! ეროვნული ინდივიდუალობის, ყოფის ნიუანსებს როგორ ძალუმს გაათბოს, შინაგანად დამუხტოს, გაამთლიანოს დარბაზი და სცენა. ამ რთულმა, მრავალპლანაანმა მეტაფორამ არამარტო სიამოვნება და სილაღე შთაბერა დაზაფრულ მაცურებელს, არამედ სიამაყემ „დენივით“

დაუარა ყველას, შინაგანად შეაკავშირა თითოეული მაცურებელი, შემდეგ კი ერთი მუხტით ალაგვო დარბაზი და ემოცია ერთსულოვანი ტაშით გამოიხატა. რეჟინი ერთი ჟღერს ერთი ასულთაგანის უსაშველო ტკივილიანი ამონაკენესი — „გზა რომ ვიცოდე, გავიქცეოდი!..“ ბუდეშობილ, ფრთამოტეხილ და უმოქმედო ადამიანთა საკრებულო აღდგა ასოციაციით. ბუდე აღდგენა უნდა, ფრთას — მკურნალობა, უმოქმედობას — მოქმედება, საქმე, მხოლოდ საქმე უნდა ჩაენაცვლოს! სხვა გამოსავალი არ არსებობს ამ სმენადანმოხილი, თვალისჩინს დანატრებული, განსაცდელში ჩავარდნილი ასულებისთვის.

თეატრის სევედიანმა და დამაფიქრებელმა დიდაქტიკამ უმთავრესი სიმართლე შეგვასახა: სხვისი ხელის შემყურე ერს, სხვის იმედად მყოფ ერს, გამუდმებულად მსხნელის მომლოდინე ერს სამარცხვინო რეალობა ელის! მას ფიზიონომიის შეცვლა, ინდივიდუალობის მოშლა, უპიროვნებო არსებობა, ერთსახოვან ბაკანალიაში ჩაბმა, სხვა კილოკავზე მომღერლობა ელის! მოდერნული მონობისათვის განიშვავა ელის! აწინდელეებს ღიად, საქმიანად, სიყვარულიანი სიმკაცრით მოგვმართა რეჟისორმა რობერტ სტურუამ.

სპექტაკლი თავისი განწყობით ილია ჭავჭავაძის „ბედნიერ ერს“ მაგონებს. აკი ამ სიტყვებით, ყოველგვარი ყალბი პათოსი-გაგან დაცლილი შეძახილი იწყება სანახაობა: „ჩემო ერო!“ ზოგჯერ სარკაზმამდე ასული ირონია გაკრთება პლასტიკური მონახაზით, საქციელთა რიგით და შეუსმენელი სამდურავივით ჩაგვესმის ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, პოლიკარპე კაკაბაძის სიტყვები, წინაპართა შეგონება!

ქვეყნის ბედ-იღბალზე დაფიქრებულ რობერტ სტურუას, ქვეყნის აწმყოთი შეძრწუნებულ რეჟისორს ტკივილით აღმოხდა: „ჩემო ერო!“

ქვეტექსტი კი, ვგონებ, ასეთია: საკუთარი უწინაობით, ურთიერთქმედით, მსხნელის მოლოდინით ღონემიხდის, ეს რა დაგმართინა, ჩემო ერო! როგორ დაკნინებულხარ და დაბეჩავებულხარ!

ილია ჭავჭავაძის პათოსს შევადარებდი ამ სანახაობა — იგავის თხრობის სიმძაფრეს. აქ ყოველი სიტყვა, აფორიზმი თუ სიმღერის ტექსტი სამიზნეს გულისგულში ხვდება. რეჟისორისა და ნინო კანტრიძის დამახაზრება ასე ზუსტად და გამიზნულად რომ არის დაძვნილი ქართულ პოეტთა გამოთქმები, რომლებიც ასე იროგანულად და ჩაქსოვილ-ჩაკირული სანახაობის პლასტიკურ მონახაზში, უმეტესად კი ამ მონახაზის სათავედაც რომ იქცევა.

რობერტ სტურუას პოლიტიკური თეატრი-ბალაგანი თავისი განვითარების ახალ საფეხურზე იმყოფება. გასული საუკუნის 20-30-იანი წლების აგიტორიადების ტლანქ და ერთნიშნა დიდაქტიკას, პოლიტიკური მიზნის ღია დემონსტრირებას, სტურუამ ახალი სიციცხლე მიანიჭა: პლაკატურ გამჭრიახობას სიღრმე, რელიეფური წყობა, აზრის სიმახვილესთან ერთად, მასშტაბი შესძინა. მაგალითად ომახიან, მაჟორულ მელოდიაზე ნეოპოინერ-კომკავშირელთა მწყობრ საზეიმო დემონსტრაციას უმაღ ჩაენაცვლა მოქუფრულ სივრცეში უღონო ბრმათა და ყრუთა უილაჯო მსვლელობა.

ასევე ტაქტიკითა და ზომიერების დაცვით მიმართავს რეჟისორი მის მიერ მრავალგზის ნაცად, პოსტმოდერნიზმისათვის აგრერიგად ორგანულ ირონიულ-პაროდიულ გამომსახველობას. რეჟისორმა თანამედროვე თეატრის მიერ მიგნებული ვიზუალური პლასტის კულტივირება ვიზუალურ-ვერბალური თანახმიერებით შეცვალა, რეჟისორი ცალკეული ეპიზოდების დაშლა-გაერთიანების პრინციპით (ანალიზი-სინთეზი) აგრძელებს ფრაგმენტული თხრობისკენ მიდრეკილებას.

კონცეპტუალური რეჟისორული თეატრის მაღალ საფეხურზე მყოფი შემოქმედი წარმატებულად წყვეტს რთულ ამოცანას: თეატრის ყველა კომპონენტი, მათ შორის სცენის ტექნიკური აღჭურვილობის შესაძლებლობაც, მონოლითური ერთიანობით წარმოადგინოს და, ამასთანავე, თითოეულს მიანიჭოს თავისუფლება ოსტატობის წარმოჩენისათვის. ორკესტრის თანახმიერებაში თითოეულ საკრავს სოლო პარტიის შესრულების

შესაძლებლობა მიანიჭოს, მხოლოდ იმ დოზითა და სიზუსტით, რომელიც არ დაარღვევს სანახაობის მონოლითურობას.

ამ სპექტაკლის უპირველეს დამსახურებად მიმაჩნია ორი მომენტი:

1. შემოქმედის წმინდა მოქალაქეობრივი მოვალეობისა და ვალდებულების აღსრულება;

2. წმინდა სპეციფიკური აზროვნების მაღალი ხარისხი, სანახაობის ვიზუალურ-ვერბალური პლასტების ერთი დონით წარმოჩენა.

პირველზე შეძლებისდაგვარად ჩამოვყალიბე ჩემი მოსაზრება. ახლა მეორე ასპექტს განვიხილავ.

პოსტდრამატულმა თეატრმა გარეგნული, ფიზიკური, პლასტიკური პარტიტურის, სახიერი და ყოფითი შესტისა თუ საქციელის კულტივირებით დომინანტად აქცია სანახაობის ვიზუალური ასპექტი, მას ჩამოაცილა სიტყვიერი პლასტების სიჭარბე და დაუბრუნა თეატრს პირველქმნილი რიტუალურ-საკრალური ქმედებისაკენ მიდრეკილება. გავიხსენოთ, რომ ანტიკური ხანის ბერძნულმა პროფესიულმა თეატრმა, რომელიც დონისეს კულტისადმი მიძღვნილი რიტუალური სანახაობით კულტურიდან იღებს სათავეს, შემდგომ მითის ინტერპრეტაციითა და ქოროს ვიზუალურ-ვერბალური, სახიერი ქმედებით გააგრძელა მოღვაწეობა. შემდგომმა ეპოქებმა სიტყვიერი დიდაქტიკისკენ გაამახვილეს ყურადღება. განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, სიტყვამ დომინანტის როლი შეასრულა, სიტყვიერი დიდაქტიკა სცენის ხელოვნება უმთავრესი საზრუნავი აღმოჩნდა. გამოსახვის საშუალებათა ვიზუალური მხარე სიტყვამ, სიტყვიერი მოქმედების სიძლიერემ გადაფარა. უწინარესად სწორედ ამ ვითარებამ წარმოშვა პოსტდრამატული თეატრის პრინციპები (ასე დაიბადა ამ სვლის უკიდურესი გამოვლინება — მოძრაობის თეატრი). ახლა კულტივირებული აღმოჩნდა დადგმების ვიზუალური, გარეგნული, პლასტიკური ასპექტი.

დრამატული თეატრი ხომ ვიზუალურ-ვერბალური აქტის განხორციელების ასპარეზია. ამრიგად, მისი რომელიმე ნაწილის კულტივირება არღვევს მთლიანობის ეფექტის მოქმედებას. ჩემი აზრით, სწორედ დარღვეული თანაფარდობის აღდგენაა რობერტ სტურუას ამ წარმოდგენის უპირველესი ღირებულება, მოქალაქეობრივ სითამამესთან ერთად.

...იქ, ზემოთ, მიმჭკნარი ხმით აძინებენ ყრმას. ქვევით უმოქმედობით ქანცგანწყვეტილი ასულნი უმიზნოდ „დაეხეტებიან“ დახშულ სივრცეში. შეუსმენელია მათი სწრაფვა თავდახსნისაკენ, მუშტად შეკრულ მარჯვენას ძალბრუნად უშენენ მკერდს. სვანური ზარის ვიზუალური სახიერებით გამოისახა ასულთა მწუხარების ხარისხი. სამდურავივით გაისმა მიუსაფრობის სევდა: „გზა რომ ვიცოდე, გავიქცეოდი!“ ეპიზოდის მხატვრული გადაწყვეტის სახიერებამ აირეკლა სიტყვის, მუსიკალური ფრაზის, სცენოგრაფიის, განათების, შესტისა თუ განცდის თანახმიერება, მათი ერთიანობა ძლიერად ზემოქმედებს დარბაზზე.

ასეა აწყობილი ყოველი ეპიზოდი. ზემოთ აღნიშნული სცენაც — მსახიობთა მიერ სიმღერის შესრულება, შეფასებები, საქციელი, შესტი, მოძრაობები, დები იშხნელების გალობა, ბუტაფორიული ნივთი (ლამპა), მბჟუტავი განათება, სიტყვა, რეჩიტატივის ტექსტი — ერთიანობით ზემოქმედებს მაცურებელზე. ახალი ხარისხის ერთიანობით აღწევს ზემოქმედების ეფექტს.

და ...მთავარი მაინც თეატრის გულწრფელობაა, რეჟისორის სითამამეა, მსახიობთა ერთსულოვნებაა, გამოსახვის საშუალებათა მონოლითურობაა...

მართლაც ბრძანებს რობერტ სტურუა, სცენიდან ნათქვამი სიტყვა მაინც სხვა ძალას და მასშტაბს იძენს: „ცუდი ხელოვანი ხრწნის ერს!“ დაძვინდი: ცრუპენტელა ხელოვანი თავგზას უზნევს ერს, ის აყალბებს ისტორიას, ის ვერ ასრულებს ილია ჭავჭავაძის შეგონებას: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“...

ჭეშმარიტად, უაღრესად მნიშვნელოვანია ხელოვანის ნიჭიერებასთან ერთად, მისი პატიოსნება და პასუხისმგებლობა ქვეყნის, ერის, შთამომავლობის წინაშე!

დაიბადა თბილისში, 1962 წელს. 1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1986-94 წლებში მუშაობდა თსუ-ში საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე ინგლისური ენის პედაგოგად. 1995 წლიდან დასაქმებულია ბიზნესში. ხელმძღვანელობდა შპს „რაინდს“, რომელმაც 1995-2005 წლებში თბილისში ააშენა ორი საავტორო-საყოფაცხოვრებო ობიექტი. ამჟამად არის ჟურნალის „ალავერი“ რედაქციის წევრი. მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა 1984 წელს ჟურნალში „ნობათი“. მწერლის ლექსები, ნარკვევები, ესეები გარკვეული ინტერვალებით იბეჭდებოდა და იბეჭდება სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში — ჟურნალებში: „ცისკარი“, „ჩვენი მწერლობა“, „გზა და ჭეშმარიტება“, „ალავერი“; გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო“, „საშუალო ფენა“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული გაზეთი“... 1991 წელს გამოიცა მისი პოეტური კრებული და რომანი „მედეა“. უკანასკნელ წლებში მუშაობს ნიგნებზე: „ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი ბრძოლა“, „ჯოისის ლაბირინთი“, „უილიამ ფოლკნერი“, „ცხოვრება ქართველთა“... ნაწევრები ამ ნიგნებიდან დროდადრო ქვეყნდება ესეების სახით. ამჟერად მწერალი მკითხველის წინაშე წარსდგება მოთხრობით — „ცეცხლის გამტაცებლები“, თუმცა ნაწარმოებს მხოლოდ პირობითად თუ ვუწოდებთ მოთხრობას, რადგან ის უფრო მისტიკური კვლევა იმ მიოლოგიური გვირგვინის შესახებ, რომლის სახელიცა და საქმენიც ოდესღაც ასე საგულდაგულოდ გაასაიდუმლოეს ქურუმებმა...

თემურ გაბუნია


ცეცხლის გამტაცებლები

როდესაც ოქროსფერი მთის დასავლეთი ფერდობი სამჯერ დაგრაგნილმა გველის მსგავსმა ნაპრალმა დალარა, ყველას მოაგონდა, რომ მისი გაჩენა მართალ იოს ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ ეწინასწარმეტყველა. ეს უნდა ყოფილიყო ნიშანი ტიტანის დაბადების, რომელიც ღმერთს ზეციურ ცეცხლს მოსტაცებდა და სამყაროს დიდ განსაცდელს მოუვლენდა. მაშინ ღვთისშვილებისა და ბუმბერაზების ქურუმები შიშმა შეიპყრო. მეთის შთამომავლები ამბობდნენ: ღმერთს კრავი ან უშობელი შევნიროთო. კაენის მოდგმის ქურუმებს კი მიაჩნდათ, რომ მართებული იქნებოდა, თუკი შემოდგომის ბუნიობაზე სამსხვერპლო ცეცხლში ხორბლის მარცვლებს დაწვავდნენ. როცა ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ, გადაწყვიტეს, მოხუცთან მისი უმრწემესი მონაფე გაეგზავნათ, რომელიც ატლანტს ყველაზე მეტად უყვარდა, და გაეგოთ, თუ რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ყოველივე ეს.

რჩეული მდინარე გიხონის სათავისკენ ახალმთავარეობის დღესასწაულამდე სამიოდე დღით ადრე გაემგზავრა. მაგრამ თვით ამ უწვერულმა ჭაბუკმაც კი, რომელიც ახლა ვინრო ხეობას მიუყვებოდა, არ იცოდა, თუ როგორ უჭირდა მოხუცს იმ ტვირთის მარტოდმარტო ტარება, სიმართლე რომ ერქვა. ასი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ის თასი გადასცეს, რომელშიც სამსხვერპლო კრავის სისხლს ასხამდნენ ხოლმე. მას შემდეგ უამრავ წყალს ჩაევლო. აღარ იყო ცოცხალი აღარც მისი მასწავლებელი და აღარც ის მონაფეები, პირველობაში რომ ეცილებოდნენ. იგი კი ახლა ოქროსფერი მთის ამ წმინდა ადგილზე, სადაც ქვეყნიერების ოთხი კუთხისკენ მიმართული მდინარეები: ფიქონი, გიხონი, ხიდეკელი და ფერათი — ბუნებრივ ჯვარს ქმნიდნენ, მარტოდმარტო ცხოვრობდა და არ ჰქონდა უფლება, ამქვეყნიდან ისე წასულიყო, შემცველი რომ არ ეპოვა. ხოლო ცის თალი სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა და მასაც თანდათანობით უიმედობა იპყრობდა, რადგან ვერ ხედავდა კაცს, რომელსაც ამ ძვირფასი ტვირთის ტარებას ანდობდა. ახალგაზრდები ერთმანეთთან დავით იყვნენ გართულები. პირველობისთვის მებრძოლეთა ვერც კი ხვდებოდნენ, რა მძიმე იყო სიმართლე და რა სუსტი მათი მხრები. ისინი დროდადრო მოხუცს ოქროსფერი მთის წმინდა ადგილებში ასვლის ნებას სთხოვდნენ, სადაც ღმერთის სული იყო დავანებული. არცერთს არ სურდა გაეაზრებინა, რომ იქ ამსვლელის ენას დაკარგული უნდა ჰქონოდა ტკივილის მიყენების უნარი, გონებას კი — ეჭვებით ავსებისა. ისინი მთელ დროს იმის გარკვევის მცდელობაში ატარებდნენ, თუ ვის უნდა შეეცვალა მოხუცი და საკუთარი აღმატებულობის დასამტკიცებლად უღირს კამათში მონაწილეობასაც არ თავიკობდნენ.

ხოლო თვით წინასწარმეტყველი ყველას დავინწყობდა. მისი არსებობა მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, როცა უჭირდათ. მაგ-

რამ თვით განსაცდელის დროსაც კი ცალი ყურით უსმენდნენ. „მაშ რატომღა ნახულობდნენ, თუკი ყველაფერი მაინც ისე უნდა გააკეთონ, როგორც თავად სურთ?“ — ფიქრობდა რჩეული. მართლაც, განა ვინმემ შეისმინა მისი გაფრთხილება, არ დაეშვათ სისხლის აღრევის საშინელი დანაშაული? არც დიდებულებისთვის დაუშლია ვინმეს შორიელთა ასულებზე ქორწინება, დიდ ქალაქებში თითქმის ყოველდღე იმართებოდა შერეული ქორწინებანი. დიდებულების წამხედურებით მალე მდაბიობებაც უამრავი კანონიერი თუ უკანონო შვილი გაუჩინეს კაენის მოდგმის ქალებს და ბუმბერაზთა ის ამაყი მოდგმა მოამრავლეს, რომელიც აყვავებულ ქვეყანას დაქცევის პირას მიიყვანდა. ისინი მალეები იყვნენ, ამპარტავნები და ურჩები, არც ღმერთს ეუბურდნენ, არც ადამიანებს. რატომ დუმდნენ ქურუმები? რატომ ნადიმობდნენ მათ ქორწინებში? მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, მეფე ბაალმაც შორიელთა ასული რომ მოიყვანა ცოლად და ქვეყანას ის ოქროსთმიანი ბალლი მოეკლინა! დაიხ, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, ის ბავშვი რომ ნახეს, და რა ქნეს? დედას მკერდიდან ააგლიჯეს და მონასტერში გადამალეს. მეფე კი აიძულეს ხელმეორედ ექორწინა. ნუთუ ამით გამოსასწორებდნენ გაფუჭებულ საქმეს? ეს ხომ კიდევ ერთი ახალი ცოდვის ჩადენა იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ვინ ჰკითხა მაშინ ჭკუა, როცა ამას სჩადიდოდნენ? არავინ. ახლა კი სურთ განსაცდელი თავიდან აარიდოს, როდესაც ბუმბერაზები უკვე ყველაფერს ითვისებენ — ქურუმების საუკეთესო მინებასაც და სხვის ცოლებსაც. რალას ითხოვენ მისგან? განა მართალი იო თავის დროზე არ აფრთხილებდა მეფესაც და დიდებულებსაც, მორიდებოდნენ სისხლის აღრევის მძიმე ცოდვას, რათა განსაცდელი არ მოემკათ? ახლა კი ყველაფერი გვიან იყო და მოხუცსაც აღარ შეეძლო მათთვის რაიმე ეშველა...



„რაც მოსახდენია, მაინც მოხდება“, — გააგრძელა ფიქრი წარგზავნილი და უნებლიეთ ის საღამო მოაგონდა, როცა მართლამა იომ მონაფეებს პირველად განუცხადა, რომ ისინი მოესწარებოდნენ უამს, როდესაც დედამინის მფარველი თეთრი ცდომილი მენამული ლაქებით დაიფარებოდა. მსხვერპლშენიერვა დასრულებულიყო და იმ ჭაბუკთა შორის, მოხუცს გარს რომ შემოჯარვოდნენ, თვითონაც ერია.

მაშინ მოძღვარმა ასე ბრძანა:— კაცთა უსამართლობითა და სიმრავლით შეწუხებულმა დედამინამ სთხოვა მფარველ ცთომილს, ეხსნა იმ ტვირთისაგან, რომელსაც ველარ ეზიდებოდა. რადგან იმრავლა ცოდვამ, მორიყა რწმენა და აღზევდა რიტუალი. ქალმა მორჩილება და რიდი დაკარგა, ყრმამ — უფროსის პატივისცემა, კაცმა ოჯახის გაძლოლის უნარი. დედამინას ძარღვები

მოეშალა — მისი დიდი მდინარეები კაშხლებით გადაკეტეს, ტაძრები თეატრებს დაემსგავსა, მსხვერპლშენიერვა წარმოდგენას. ირგვლივ შური და გაუტანლობა ზეობს. ბრძენნი თაყვანისცემას ითხოვენ, ვაჭრები — ძალაუფლებას, რძლები მამამთილების თანდასწრებით მრავალსიტყვაობენ და მამაკაცური სამოსელით იმოსებიან. კაცები ლოთობენ და მსახურ ქალებთან ცოლების თვალწინ ლაზღანდარობენ. ქურუმები ერთმანეთს სიმდიდრესა და თაყვანისმცემელთა სიმრავლეს იჯიბრებიან. მზის ამოსვლას ლოცვით აღარავენ ეგებება, ხოლო სახელმწიფო მოხელეთა და ღვთის მსახურთა შორის მამათმავლობამ იძალა. უბინოება და-კარგა დედამინამაც. ამიტომ მოხდება ის, რაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროს იყო ნანინასწარმეტყველები, მფარველი ცთომილი დედამინას სურვილს შეუსრულებს, მზეს ცეცხლს მოსტაცებს და მენამულად შეიმოსება. განრისხებული მნათობი კი მას ცის კაბადონზე ამოსვლას აუკრძალავს. ამიერიდან იგი მხოლოდ ორჯერ გამოჩნდება, დილით და საღამოს. ცეცხლის გამტაცებელი ასე დაისჯება... ამგვარადვე დაისჯება ყრმაც, რომელიც უკვე იშვა. იგი ღმერთს ღვთაებრივი ცეცხლის ადონინების საიდუმლოს გამოსტაცებს, იმ ცეცხლისა, სამყაროს შექმნისა და განადგურების უამს რომ ამოდის ხოლმე კვერცხიდან, რომელიც წყალში ძევს... ზუსტად ასევე შეიბორკება იგიც ერთ უშველებელ ქედზე, რათა კვლავ გათავისუფლდეს, როცა ამის უამი მოვა...

— მოძღვარო, — მიუგო მამინ რჩეულმა, — როგორ ვიცნო ყრმა, რომელიც ცეცხლს გაიტაცებს?

— ღმერთთან მებრძოლს, ვისი სახელიც ჯერჯერობით დაფარულია კაცთათვის, შუბლზე მბრწყინავი მძივი გამოესახება, — უპასუხა ნინასწარმეტყველმა და საუბრის შეწყვეტის ნიშნად შეტყუებული ხელისგულები ტუჩებზე მიიღო. მამინ ისიც მიხვდა, რომ მოძღვარს მეტის თქმის უფლება აღარ ჰქონდა, თავი დაუკრა და განშორდა...

„ნუთუ უკვე ჩვენს შორისაა, იქნებ ყოველდღე ვხვდები კიდევ და ვერ ვცნობ, ვერც ვიცნობ, ვიდრე შუბლზე მანათობელი მძივი არ გამოესახება...“ — გაუელვა წარგზავნილს და მთებს შეაქცერდა. იქ კი, დათოვლილი მწვერვალების თავზე, ოქროსფერი მზე ჯერ ისევ თვალისმომჭრელად კაშკაშებდა...

სამი დღის შემდეგ, როცა ოქროსფერი მთის ახალგაჩენილი ნაპრალი გამოჩნდა, მოულოდნელად შემფოთდა, შორიდან ის მართლაც მთაზე განლოლი უზარმაზარ დაგრაგნილ გველს ჰგავდა, გასწორებას და მთაზე შემოხვევას რომ ცდილობდა, რათა საკუთარი კუდი პირში ჩაედო. ეს ის ადგილი იყო, სადაც, გადმოცემის თანახმად, ადამი ხშირად მიდიოდა, სამოთხიდან განდევნა რომ გამოეტირა. როგორც უხუცესი ქურუმებისგან სმენოდა, ედემის ბაღის კარიბჭე სწორედ იქ, ოქროსფერი მთის მწვერვალზე, ოთხი მდინარის სათავესთან მდებარეობდა. როგორ არ ჰგავდა ეს წმინდა ადგილი დიდ და ბინძურ ქალაქებს, რა სხვანაირი იყო აქაურობა! როცა მზეს რუხი ღრუბელი მოეფარა, უნებლიეთ კაენი მოაგონდა და შეკრთა, „ახლა კი ვხვდები, რატომ დაიწყო ქალაქის მშენებლობა“, ფიქრობდა ის, „მინის დამუშავება აღარ სურდა, რომელიც მისივე ძმის, აბელის სისხლით იყო მორწყული. აღარ უნდოდა დამუშავებინა მინა, რომელიც ძველებურად უხვ ნაყოფს აღარ მისცემდა. ამიერიდან დევნილი და მიუსაფარი იქნებოდა, შორეულ ქვეყანაში გადაიხვეწებოდა, მის შთამომავლებს კი შორიელებს შეარქმევდნენ...“

გარე სამყაროსგან განცალკევებით მდგარ მამათა მონასტერში რომ მიიყვანეს, ჯერ სამიოდ წლისაღარ იქნებოდა. მას შემდეგ ოქროსთმიანი ბაღის სანახავად, გაზაფხულის ბუნიობაზე, ყოველთვის მოდიოდა შავებში ჩაცმული მამაკაცი. თუმცა ის ბავშვს არასოდეს გამოლაპარაკებია, მაგრამ ბერებს ეჩვენებოდათ, რომ მოსვლისთანავე გამორჩეულად ეძებდა. ეს შეგრძნება განსაკუთრებით მას შემდგომ გაულრმავდათ, როცა ერთ წელს, შეხვედრის საზეიმო რიტუალის შესრულებისას, განგებ ტანმალა ქურუმის ზურგსუკან დამალეს. შაოსანი დიდხანს ათვალთვლებდა ნინა რიგებს, სადაც იგი ჩვეულებისამებრ იდგა და, როცა ბოლოს შენიშნა, შვებითაც ამოსუნთქა...

ბაღი, რომელსაც აქ ენგირანი შეარქვეს, საერო თვალსაზრისით პატიმარს ჰგავდა, სასულიეროთი კი — უბედნიერეს კაცთა შორის, რამეთუ სულიერ ცოდნას მთელ ქვეყანაში საუკეთესო მოძღვრებისგან ეუფლებოდა. თუმცა მას ჯერ ბედნიერებასა და უბედურებაზე წარმოდგენაც არ უნდა ჰქონოდა, რადგან ერთადერთს, რასაც ნატრობდა — დედის თბილი კალთა იყო...

ერთხელ ჰკითხა კიდევაც იერარქს: რატომ არ დადის აქ თბილმკერდიანი ხალხიო, რაზეც მან მკაცრად უპასუხა: დღეის აქეთ მათ მაგივრობას წმინდა წერილი გაგინევსო...

მალე ოქროსთმიანმა ყრმამ, უშველებელ თვალში უცნაური სევდა რომ ჩასდგომოდა, ყველას დიდი თავსატეხი გაუჩინა. ისე ადვილად ითვისებდა საღმრთო სჯულს და სხვადასხვა საგნებს, თითქოს კი არ სწავლობს — იხსენებსო. მას განზოგადების საოცარი უნარიც აღმოაჩნდა. საკმარისი იყო კაშხლის ან სარწყავი ნაგებობის ერთ-ერთ ძირითად დეტალს გასცნობოდა, უმალვე დახაზავდა მთელ გეგმას. მაშასადამე, შექმლო ნაწილის შემეცნებით აღედგინა მთელიც. ხოლო თხუთმეტი წლისა უკვე ფლობდა გრამატიკასაც და ასტრონომიასაც, დოგმატიკასაც და მათემატიკასაც, სამხედრო ხელოვნებასაც და საირიგაციო სისტემების მოწყობის წესებსაც. ყოველივე ამას კი არ შეიძლებოდა იერარქის შემფოთება არ გამოეწვია, რადგან გრძნობდა, რომ საკუთარი ნიჭით გაამაყებული ადრე თუ გვიან მონასტრის უმდიდრეს ნიგთსაცავში შესვლის ნებასაც მოითხოვდა. იქ კი წმინდა წერილის განმარტებებთან ერთად ინახებოდა საიდუმლო მოძღვრებანიც...

— ნეტა როდის შეუშვებს? — ჩურჩულდნენ ბერები, მოხუცი კი დუმდა, რადგან მხოლოდ მან იცოდა, რომ ყრმის ძარღვებში შორიელთა, ანუ როგორც ღვთისშვილები იტყოდნენ — კაციჭამია ტიტანთა წინაპრების სისხლიც ჩქეფდა. მართალია, ზედმინევით კარგად ერკვეოდა წმიდა წერილშიც და ხორცის დათრგუნვის საოცრებებსაც ახდენდა, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავდა. მოძღვარს მიაჩნდა, რომ ადამიანს სიამაყისა და სამომავლო ჯილდოს მიღების სურვილის გამოც შექმლო ჩაედინა ამგვარი გმირობები. თან ღვთისშვილთა მონასტრებში კაენის მოდგმის ქურუმებს, როგორც წესი, ხელდასხმულებად არც აკურთხებდნენ, მეტიც, არც ლებულობდნენ, თუმცა არსებობდა იშვიათი გამოჩაქისები. მაგალითად, ამ სავანეში ჯერ კიდევ ახსოვდათ ვინმე ნათელმხილველი არითევსი, რომელსაც რჩეულთა საქმეში მიღების შემდგომ ხორცის ჭამა და ქალთან ცხოვრება აუკრძალეს, რათა კვლავ ტიტანების სჯულს არ დაბრუნებოდა. მოხუცმა გადაწყვიტა მსგავსი აკრძალვა ენგირანისთვისაც დაენებებინა, თუკი ოდესმე შინაგანი ხედვა გაუნათლებოდა. და აი, ეს დღევ მალე დადგა.

იმ დილით მონაფეხები ტაძრის ეზოში იხსდნენ და ფსიქიკურ ვარჯიშს ატარებდნენ. მისი არსი ასეთი იყო: უნდა შეემეცნათ უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი და ცდილიყვნენ მათ შორის შემაერთებელი ხიდი გაედოთ. უეცრად მოძღვარმა შენიშნა, რომ ფეხმორთხებით მჯდარი ენგირანის სხეულმა რიტმული მოძრაობა დაიწყო. იგი ქარში მოცეკვავე ლერწამით ირხეოდა და ბუტბუტებდა: „უკვდავია, ვინც ორს სამად აქცევს და სამს ერთად, უკვდავია, ვინც ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის მესამეს სჭვრეტს, უკვდავია გარეგანის შინაგანად გარდამქმნელი, შინაგანისა კი გარეგანად...“

ეს ჯერ კიდევ არ იყო ნათელხილვა, მხოლოდ პირველი საფეხური გახლდათ. ნიაღში მთვლენარე სამად დაგრაგნილი გველი წაბოინა და ბნელ დერეფანში გასრიალდა. მამინ ჭაბუკიც მყისვე მოსწყდა მინას და მელეგარე ზღვას თავზე მოექცა. ნისლში ჩამალული მზე მკრთალად ანათებდა.

უეცრად ენგირანის წინ ქერუბიმი აღიმართა, რომელსაც ხელში მბრუნავი ცეცხლოვანი მახვილი ეკავა.

— თუ არ ხარ დარწმუნებული, რომ ადამიანებისთვის მუდამ სიკეთე გენდომება, ამ კარიბჭეს ნუ გაივლი. — უთხრა მან.

— მე ჩემ თავში დარწმუნებული ვარ! — მიუგო ენგირანმა. მალე ღრუბლები გაიპო და გამოჩნდა ახალი ცა, სადაც მზე, მთვარე და ვარსკვლავები ერთდროულად ანათებდნენ.

ენგირანი ენითაუნერელ ნეტარებას განიცდიდა. თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

— აქ შენი ადგილი არ არის! — მოესმა უცებ და დაცემის შეგრძნებაც დაეუფლა. მას უკვე დიდი ძალისხმევაც სჭირდებოდა, ხუთი ფეხივით წამოზრდილი სტრიქონებისთვის კვლავ ერთ ნერტილში რომ მოეყარა თავი. ხოლო როცა ბოლოსდაბოლოს ეს შესძლო, შუბლზე მანათობელა მძივიც გამოეცა. მის თვალებს ხედვა დაუბრუნდა, ყურებს — სმენა, ხელებს — შეხების უნარი... და როდესაც საგნებმაც ჩვეული ფორმა მიიღო, მიხვდა, რომ მის წინ კვლავ მოძღვარი იდგა და დაცვა-რულ შუბლს მოსასხამის კალთით წმენდდა.

მოგვიანებით, როცა ორივენი მონასტრისკენ დაიძრნენ, იერარქმა მოახსენა, რომ მალე გაქრებოდა გასხივოსნებით მიღებული პირველი სიხარული და დადგებოდა ხანგრძლივი, მოსაწყენი ერთფეროვნებით აღსავსე უამი, რომლის დროსაც უმთავრესი იქნებოდა მიღწეულის შენარჩუნება.

— ხოლო იმისთვის, რომ არ დაკარგო თავი და სამყაროც, ამიერიდან უარი უნდა თქვა ხორცის გემებაზე და თან უბინობის აღქმაც უნდა დადო. — განაგრძო მშვიდად მცირეოდენი დუმილის შემდგომ.

— რატომ? — იკითხა შემკრთალი ხმით ენგირანმა.

— რათა ქვეყანას კიდევ ერთი დაცემული ანგელოზი არ შეემატოს. — უპასუხა მოხუცმა და ტაძარში შევიდა.

მოძღვრის სიტყვები გამართლდა. დღეები გაჭრილი ვამლებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს. ცისკრისა და მწუხრის ლოცვები, უკვე კარგა ხნის წინათ ათვისებული საგნების გამეორება, პურის კვერი, რძისა და თაფლის გემო, მონასტერი და გალავანი, ერთი და იმავე ადამიანთა სახეები და ის მოჯადოებელი მინის ნაგლეჯი, რომლიდანაც გასვლა აუკრძალეს...

ყოველივე მოყირჭებოდა, ისე რომ მზად იყო გაქცეულიყო, უკვალოდ გამქრალიყო პირველი წარმატებით გამოწვეული სიხარულიც. ყურში აღარც ზარების სუსტი ხმა ჩაესმოდა, რომლებიც სწორედ იმ დროს ანკრიალდნენ, როდესაც კოსმიურ ქარებს მინებდა. საგნებსაც დაკარგოდათ იმ მკრთალი ნათების უნარი, მაშინ რომ შეიძინეს. რჩებოდა ერთადერთი ნუგეში — მოხუცთან საუბარი, მან კი ბოლო დროს ამის ნებაც დართო. ამიერიდან, როგორც რჩეულს, ნებისმიერ შესაფერის დროს შეეძლო დაერღვია მისი მყუდროება.

— მოძღვარო, ბევრჯერ მოუყოლიათ ქურუმებს სამოთხიდან ადამის გამოძევების შესახებ. ვიცი, რომ ურჩობისთვის დაისაჯა. მაგრამ, არ მესმის, რატომ არ სურდა უფალს, ადამსაც ეგემა სიცოცხლის ხის ნაყოფი? — ჰკითხა ერთხელ მოხუცს, როცა ტრაპეზის შემდეგ აღმოსავლეთის გალავანთან განმარტოვდნენ, — ნუთუ მისი უკვდავებით ღმერთს რაიმე დაუშავებოდა?

— ადამმა ცდუნებას ვერ გაუძლო, იგემა აკრძალული ხილი და მოკვდავად იქცა. სწორედ ამის გამო გახდა საშიში ედემის ბაღში მისი დატოვება. ის ვერ გაუძლებდა მეორე ცდუნებასაც, აუცილებლად გასინჯავდა სიცოცხლის ხის ნაყოფსაც, რისთვისაც არ იყო მზად. არ იყო მზად უკვდავებისთვის. ისევე როგორც არც ჩვენ ვართ მზად მისთვის, შვილო, — უპასუხა მოხუცმა დაბალი, ხავერდოვანი ხმით.

— რატომ უნდა ყოფილიყო ცოდნის მიღება ცოდვა, სიკეთისა და ბოროტების შემეცნება კი — დანაშაული?

— დანაშაული ურჩობა იყო და არა ცოდნის მიღება. ურჩობით მიღებული ცოდვა, აი, რა სძულდა ღმერთს.

— ქურუმები ამბობენ, რომ ღმერთმა ევას მაცდუნებელი გველი დასაჯა, მას მთელი ცხოვრება მუცლით უნდა ეხობა და მტკერი ეჭამა. ენოქის ეპოქაში დასჯილან მეამბოხე ანგელოზებიც, ადამიანებს რკინის გამოდნობის ხელოვნება, ვარსკვლავთმრიცხველობა და სხვადასხვა მეცნიერებები რომ ასწავლეს. მათი ნაწილი უფალს ქვესკნელში ჩაუყრია, აზაზელის მეთაურობით, სხვები კი ჰაერის სულებად უქცევია. ამ

ამბების შესახებ უამრავი ზეპირი გადმოცემა არსებობს, თურმე ანგელოზთა ამბობებაზე ნიგინც ბევრი დაწერილა, მაგრამ ქურუმებს ისინი გაუნადგურებიათ. არ მესმის, რატომ. გავა დრო და ჩვენს შესახებ არაფერი ეცოდინებათ, რადგან ჩვენივე ხელით წავშალეთ ჩვენი ისტორია.

— ისტორიის ნაშლაზე საშიში, მისი დამახინჯებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ღვთაებრივ გამოვლინებას ეხება. ანგელოზთა აჯანყების შესახებ ბევრ გამოგონილ ამბებს ყვებოდნენ, გამრავლდნენ ცრუ მოძღვრები. ყველამ მიჰყო ხელი წიგნების თხზვას. იმდენი წიგნი დაგროვდა, კაცი ვერ გაიგებდა, სად მთავრდებოდა სიმართლე და სად იწყებოდა სიცრუე. დროთა განმავლობაში აუცილებელიც კი გახდა ქურუმთა დიდი კრების მოწვევა. ამ კრებაზე გადაწყდა, წიგნების ნაწილი გაენადგურებინათ, ნაწილი კი შეენახათ მონასტრების საცავებში, სადაც მხოლოდ ხელდასხმულებს შეუშვებდნენ. არსებობს მოძღვრებები, რომელთა გაცნობაც ჩვეულებრივი ადამიანისთვის სასარგებლო არც იქნება. ისინი მხოლოდ ხელდასხმულთათვისაა განკუთვნილი.

— რატომ, ნუთუ სიმართლე ყველასთვის ერთი არაა?

— სიმართლე ყველასთვის ერთია, მაგრამ თვითონ ადამიანები არ არიან თანაბარი შესაძლებლობების, — უპასუხა მოხუცმა.

— თუკი სიმართლე ყველასათვის ერთია, მაშ რატომ ეკრძალებათ ქურუმებს კაცის კვლა, მეომრებს კი — არა? რატომ ემორჩილებიან სხვადასხვა წესებს? ღმერთმა ხომ ყველა თანასწორად შექმნა? თუკი ღმერთი თავის მადლს ყველას თანაბრად უნანილებს, მაშინ რატომ არსებობს მდიდარი და ღარიბი? ან რატომ უნდა იყოს გლეხის შვილი — გლეხი, ვაჭრისა კი — ვაჭარი? რატომ უნდა არსებობდეს კასტები?

მოძღვარმა გამომცდელად შეხედა. უკვე გრძნობდა, რომ საუბარი უხერხულ თემას უნდა შეხებოდა.

— თავიდან კასტები მართლაც არ არსებობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კაენის შთამომავლებმა ღვთის ნების საწინააღმდეგოდ პირველი ქალაქები ააშენეს, გაჩნდნენ ვაჭრები. მათ ქარავნებს დაცვა ჭირდებოდა, დაცვა ჭირდებოდა ქალაქ—სახელმწიფოებსაც, რადგან ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ, ასე რომ, გაჩნდნენ მეომრებიც. თანდათანობით ძლიერი მეომრები მეთაურებად იქცნენ, მეთაურები კი — თავადებად. ასე შეიქმნა კასტები. ადამიანებს სხვადასხვა მოვალეობის შესრულება უნებდათ: მეომარს მომხდური მტრის შეტრახება სილაჩრედ ეთვლებოდა; ქურუმს კი, შეწყალების უნარი რომ არ გააჩნდა, სასტიკს უწოდებდნენ; გლეხი, რომელიც მინათმოქმედებაზე იტყოდა უარს, ამ ქვეყნიდან ვალმოუხდელი მიდიოდა; ხოლო მეჯოგე, თავის სამწყსოს რომ ვერ უწვლიდა, სულს ცოდვით იძიმებდა...

ენგირანი მოხუცს გამომწვევად შეაცქერდა.

— ე. ი. განსხვავებულ კასტაში დაბადებულთ სხვადასხვა საქმის აღსრულება ევალებათ, — ჩაიბუტბუტა და გალავნის თიხა თითებით მოფშენა. უკვე გრძნობდა, რომ გასხივოსნებაში ხელს სწორედ საკუთარ მოვალეობებში გაურკვეველობა უშლიდა. არ იცოდა, გლეხი იყო, ქურუმი, ვაჭარი თუ მეომარი. სჯობდა გლეხის შვილი ყოფილიყო, მაშინ მშვიდად დაამუშავებდა მინას, ან — მწყემსის, მაშინ თხებს დამწყემსავდა. არც დაკოჟრილი ხელების შერცხვებოდა და არც კლდეებზე სირბილით დახეთქილი ფეხების, ახლა კი რა, ისიც არ იცოდა, თუ ვინ იყო მამამისი.

ბაალის სამეფო კარის დიდ სვეტებთან დარბაზში, სადაც ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ფრთოსანი ლომების ქანდაკებები იდგა, ნერვულად მიმოდიოდა შავებში ჩაცმული მამაკაცი. იგი დროდადრო ჩერდებოდა და მზერაგაშეშებული დიდხანს დასცქეროდა მარმარილოსფილებიან იატაკს, სარკმლებიდან შემოსული მზის სხივები ირიბად რომ ეცემოდა. ეს იყო კაცი, რომელიც შიშის ზარს სცემდა დიდებულთაც და მდაბითაც. მასზე ხუმრობდნენ: „ის ერთადერთია, ვისაც შეუძლია მეფე შუალამისას გააღვიძოს, რათა დარწმუნდეს — დანინდულს ხომ არ ლალატობსო“. ...და, მართლაც, ბევრს კარგად ახსოვდა, გვირგვინოსანს რომ აუჯანყდა. მაშინ სამეფო დინასტიის ბედიც ბენეზე ეკიდა. ბაალს ან ტახ-

ტი უნდა დაეთმო ან ქალი, რომელიც შესაძლოა ქვეყანასაც ერჩია... მაგრამ იმჟამად საქმე სისხლისღვრამდე არ მისულა, რადგან, როგორც ამბობენ: გადამწყვეტ მომენტში იერარქთან განმარტოვდნენ და რაღაც მოითათბირესო. რა უნდა ეთქვა დროის იმ მცირე მონაკვეთში — არავინ უწყდა, თუმცა გვირგვინოსანი სწორედ მას შემდეგ წასულა დათმობაზე...

როცა ბაალის ქორწინების დღეს ტიტანის ასულმა თავი მდინარეში დაიხრჩო, ხალხი კვლავ აყაყანდა, ზოგი იმასაც ჩურჩულებდა: აქ უთუოდ იმ გველადუას ხელი ერიაო, მაგრამ მითქმა-მოთქმა მალე შეწყდა, რადგან მათი ურთიერთობა ოდნავადაც არ შეცვლილა...

ის ახლაც ჩვეული სიფიცხით მიმოდიოდა და გონების თვალთვლით ზომავდა სათქმელს. მეფე კი იგვიანებდა, ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა, ორივე სარკმელთან მდგომ პატარა სამფეხა მაგიდისკენ გაეშურა.

— რატომ ჭიანურდება უხუცესთა საბჭოს მონვევა? — იკითხა მოსულმა, წითელი ხისგან გაკეთებულ სავარძლებში რომ მოკალათდნენ და დიდი სევდიანი თვალები მოსაუბრეს მიაპყრო. — დიდებულები სწუხან და ამტკიცებენ: ამის უმთავრესი მიზეზი შენ ხარო.

— ისინი არც სტყუიან, მეუფეო, — თქვა შაოსანმა და გამჭოლი მზერა ხელმწიფის კვერთხს დააბჯინა, — მე მგონი, უხუცესთა საბჭოს მხოლოდ დღევანდელი მძიმე მდგომარეობის გამწვანება ძალუძს. რისი გადწყვეტა შეუძლიათ დიდებულებს? ისინი ტრიბუნას ორატორული ნიჭის გამოსავლენად გამოიყენებენ, ერთმანეთს წაეკეკლუცებიან, საქმეს კი გააფუჭებენ. სინამდვილეში მდგომარეობა ბევრად უფრო რთულადაა, ვიდრე მათ ჰგონიათ. გვალვებისა და ეპიდემიებისგან განამებულ ხალხს ნაპერწკალია უნდა, რომ აენტოს.

— შენ რას გვთავაზობ? — იკითხა მეფემ და კვერთხი ისე მიაყრდნო სავარძელს, თითქოს დალილიყო მისი ტარებით.

— როგორც მოგესხენებათ, მინათმოქმედთა ბელადი კანითი სისხლიანი მსხვერპლმწიფის ნინაალმდეგია, ხოლო მისი მეჯვრე ნათესავი — აბაოსი — ამ რიტუალის ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებას ითხოვს. ეს საკითხის გარეგანი მხარეა. დავის ნამდვილი მიზეზი კი სიძულვილი ვახლავთ, სიძულვილისა — შიში, ამიტომ მისი განკურნება მხოლოდ კიდევ უფრო დიდი შიშის დათესვითაა შესაძლებელი.

— რას მოითხოვ? — გაოცდა ბაალი.

— ვიდრე სიძულვილი არ გაღვივებულა და ქვეყანას არ მოდებია, საჭიროა ჩანასახშივე მოისპოს. რას მოიმოქმედებს უხუცესთა საბჭო? — მოპაექრებს წინასწარმეტყველ იოსთან გააგზავნის. ის კი ან ერთ მხარეს გაამართლებს, ან მეორეს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ვიდრე გვიან არაა, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ორივე მემამბოხე. ამით ხალხს დიდი ხნით დავაშოშინებთ. ვიდრე ყაჩაღთა ბანდები გათიშულად მოქმედებენ, ამის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ გაურკვეველობამ სულ ორიოდე თვე კიდევ რომ გასტანოს, ბრბო უკვე თავად გამოიტანს განაჩენს. ამიტომ უმჯობესია გავნიროთ ორადორი კაცი...

— მე გაუსამართლებლად დასჯის უფლება არ მაქვს — შეანწყვტინა ბაალმა და კვერთხი მძიმედ დაუშვა. ეს კი ნიშნავდა, რომ საკითხს ამონურულად თვლიდა.

ერთხანს ორივე დუმდა. მაგრამ ბოლოს სიჩუმე კვლავ მეფემ დაარღვია.

— კიდევ ხომ არ გსურს რაიმეს თქმა? — იკითხა მან.

— ჩემი სათხოვარი იქნებოდა გაორკეცებულიყო შინაგანი ჯარისა და მსტოვართა რაოდენობა, — მიუგო შაოსანმა, — თუკი, რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს სახელმწიფო ხაზინას ტვირთად არ დაანება.

გვირგვინოსანს სახეზე ღიმილი გამოეხატა.

— კი მაგრამ, რატომ? ისინი ხომ ისედაც მრავალრიცხოვანი არიან?

— ამას ერთადერთი მიზეზი აქვს, — თქვა მრჩეველმა და მეფეს მკაცრად შეხედა, — ქვეყანაზე ყოველთვის არსებობდა ისეთი ხალხი, რომელიც უამრავ პირუტყვობას ჩაიდენდა, თუ არ

დააშინებდი. სამწუხაროდ, მისმა რაოდენობამ დღესდღეობით იმატა. ამიტომ უნდა გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვიც, ვისაც მხოლოდ მაშინ სძინავს ტკბილად, როცა მათი ვინმეს ეშინია.

მეფეს სახიდან ღიმილი გაუქრა და მოახსენა, რომ ამ თხოვნას სულ მალე დააკმაყოფილებდა. ამჯერად უკვე მოსაუბრეს გადაუარა მხიარულმა ჩრდილმა.

— არ ვიცი, თქვენი ყურადღების ღირსია თუ არა, — თქვა მან, — რაც ახლა უნდა გაიმბოთ. სიმართლე გითხრათ, ამბავი უცნაურიცაა და სასაცილოც. ალბათ, გეხსომებათ ის ახირებულნი მონაფე, ქურუმებმა ბრძენ იოსთან რომ გააგზავნეს. იგი თურმე რახანია უზარმაზარ კიდობანს აგებს, რათა შიგ დედამამალი ცხოველები, ფრინველები და სხვა არსებები ჩასვას.

— რატომ? — გაოცდა ხელმწიფე.

— ასე ამბობს, მალე მოკვდება უკანასკნელი მართალი წინასწარმეტყველი, მხრებით ცის თალი რომ უკავია და განრისხებული ღმერთი ქვეყანას დიდ წყალდიდობას მოუვლენსო.

— ვინმეს თუ სჯერა მისი? — დაინტერესდა გვირგვინოსანი.

— ცნობილი მნიშვნობარი ან მჭევრმეტყველი არ ვახლავთ. ერთი ჩვეულებრივი, პატიოსანი მუშაკია, არც პირველობისთვის იბრძვის და არც საჯაროდ ქადაგებს. ამას თურმე მხოლოდ ახლობელთა წრეში ამბობს. რელიგიური რეფორმატორი რომ ყოფილიყო ან ცრუ წინასწარმეტყველი, რომელიც ხალხს გონებას ურევს, აქამდე შევიპყრობდი. მაგრამ მისი არავის სჯერა, თავისივე ხელით გაშენებულ უზარმაზარ ტყე-პარკში გაშვებული ცხოველების გარდა, თვით მეგობრებსაც კი, პირიქით, დასცინიან კიდევც... ამიტომ ეს უწყინარი გიჟი, ვგონებ, არავითარ საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს თქვენს უდიდებულესობას.

— მეც ასე ვფიქრობ, კიდობანის აგებისა და სამეფოს უშიშროებას შორის მართლაც არავითარი კავშირი არ უნდა არსებობდეს. — თქვა ბაალმა და წამოდგა. შაოსანიც წამოიმართა. სულ მალე ისინი კარისაკენ გაეშურნენ.

— რაც შეეხება თქვენს ძეს, მას, როგორც ყოველთვის, ამ გაზაფხულზე ვნახავ. — დასძინა პირველმა მრჩეველმა გამომშვიდობებისას და კარს უკან გაუჩინარდა.

მარტოდარჩენილ მეფეს კი სახეზე შემოფოტებასთან ერთად სინანულიც გამოეხატა. იგი სარკმელთან მივიდა და დიდხანს გასცქეროდა შემოდგომაშეპარულ ბაღს, რომლის ბუმბერაზ ხეთა ფოთლებსაც უკვე ოდნავშეშამჩნევი სიყვითლე დასტყობოდა.

როცა თოვლი გადნა და მონასტრის აღმოსავლეთით მდებარე მდინარეშიც მოშავო შეფერილობა მიიღო, ენგირანს მოეჩვენა, რომ რაღაც დაირღვა. მართალია მზე კვლავინდებურად ანათებდა და მთვარეც ჩვეულებრივად დასრიალებდა ცაზე, მაგრამ, ბუნებაში მაინც რაღაც მომხდარიყო, დროთა კავშირს ბზარი გასჩენოდა...

მალე გაზაფხულის დღესასწაულიც დადგა და ქურუმებიც საგანგებოდ შენახულ ტყავებში მოირთნენ. ამ დღეს ჭაბუკიც თავის რჩეულ სამოსში გამოენყო, მაგრამ შაოსანი არ გამოჩენილა... მის ნაცვლად მოსული უცნობი კი საკმაოდ პირქუში ჩანდა. სტუმრის გაწყობა მყისვე მასპინძლებსაც გადაედოთ. თითქოს იქ, ქვემოთ, რაღაც ხდებოდა. წარბშეკრულები ისე ზანტად ასრულებდნენ სამსხვერპლო რიტუალს, კაცი იფიქრებდა: ყველანი უცხო სიზმარს ნახულობენ და თვითონაც იმ უსაშველოდ განელილი ზმანების აჩრდილები არიანო. უღიმღამოდ იკლაკნებოდა კოცონიდან ადენილი კვამლიც...

ამიტომ მოგვიანებით, როცა განმარტოების საშუალება მიეცა, შევება იგრძნო. იმ საღამოს დიდხანს იჯდა აღმოსავლეთის გალავანთან და მონასტრისკენ მომავალ ერთადერთ ციკაბო ბილიკს გასცქეროდა. დაისს მენამულად შეეღება ცა, რომელიც გუმბათივით ეხურა ტყვიისფერ მთებს. უეცრად ნაბიჯების ხმაც მოესმა და ფეხზე წამოიჭრა. მის გვედით იერარქი იდგა და შუბლშეჭმუნნილი გასცქეროდა ჰორიზონტს.

— ის არ მოვა. — თქვა ბოლოს.

— რატომ? — იკითხა ენგირანმა.

— იმიტომ, რომ იქ შავი ჭირი მძვინვარებს. — დასძინა მოძღვარმა და ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა.

...თანდათანობით ღამეებმა იკლო, დღე გაიზარდა. მიდამო მწვანდებოდა. ტერასებზე მოფუსფუსე ქურუმებსაც მალე ახალი სატიკივარი გაუჩნდათ — მომაკვდინებელი სენი, რომელიც სასონარკვეთამდე მისულ გლეხებს მამაპაპისეულ ადგილებს ატოვინებდა და აიძულებდა სამუდამოდ გადახვენილიყვნენ.

„ეპოქის დასასრული“ — ეს სიტყვები უკვე ყველას ენის წვერზე ადგა, მაგრამ ვერავინ ბედავდა სათქმელის ბოლომდე გამჟღავნებას. მაინც რა იმალეობდა ამ ავბედითობის მიღმა და რატომ ძუნწიციყვაობდნენ ასკეტები? დიახ, გადმოცემის თანახმად მალე მიიწურებოდა მესამე და დაიწყებოდა მეოთხე ყამი, თუმცა როდის და როგორ უნდა მომხდარიყო ყოველივე, ამას ქურუმები არ აზუსტებდნენ. ტაბუ ედო წარღვნის თემას ნინას-წარმეტყველთა საგალობლებშიც, რომლებსაც შხოლოდ დღე-სასწაულებზე კითხულობდნენ. მაშინ კოდირებულ სიბრძნესაც მკრთალი ნათელი ეფინებოდა, მაგრამ არასრულად, შუქრდილებით. მისტიკოსები სათქმელს ბოლომდე არასოდეს ამბობდნენ, რაც ენგირანმაც მშვენივრად იცოდა. ამიტომ არც უკვირდა, როცა ბალ-ვენახებში მომუშავე ქურუმებს აყურადებდა, წართაულად რომ ბაასობდნენ, ერთგვარი შიშითა და მოწინებით.

— განადგურების ღმერთი, — ამბობდა ერთი, — ტიტანების ღვთაებათა შორის უხუცესია, რამეთუ მისი ტაძრები აქ ჯერ კიდევ მანამდე იდგა, ვიდრე ჩვენი წინაპრები მათ მიწებს დაიპყრობდნენ.

სარეველას მთხრელები დუმდნენ, რადგან გრძნობდნენ, რაზეც მიანიშნებდათ მეგობარი. დიახ, ძველ წინასწარმეტყველებში სწორედ მასზე იყო საუბარი, პირგამხეხებულ ცეცხლისმფრქვეველზე, რომელსაც ეპოქათა გასრულების უამს დიდი ძალაუფლება ეძლეოდა...

— მაგრამ ის ხომ ტიტანთა ღმერთია და არა ჩვენი? — პასუხობდა სხვა, — ჩვენ მას ხან დაცემულ ანგელოზს ვეძახით, ხან ღმერთთან მებრძოლს.

— ღმერთთან მებრძოლს, — ჩურჩულებდნენ ბერები და თხრას ავრძელებდნენ.

— ღმერთთან მებრძოლს! — ბუტბუტებდა ენგირანიც.

დიახ, ალბათ ისიც გრძნობდა, რომ სულ მალე რალაც უნდა მომხდარიყო.

...იმ დამეს კი, როცა სენაკებში მთვლემარე ქურუმები ზარების საგანგაშო რეკვამ გააღვიძა, ჯერ ისევ გვიანი გაზაფხული იდგა და ჰაერშიც მწვანედშემოსილი მიწის თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებდა. „კაციჭამია ავაზები“, — გაუელვა მყისვე და მონასტრის ეზოში გამოსულთ თვალი შეავლო. ახლა ყველანი ღამის გუშაგის სამრეკლოსკენ მიემართებოდნენ, რომელიც კვლავ გაშმაგებით რეკდა ზარს და ხელს აღმოსავლეთისკენ იძვერდა, სადაც ვილაც უცნობებს ათობით კოცონი დაეგუზგუზებინათ. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ წმიდა ადგილის მყუდროების დამრღვევნი? გზასაცდენილი მგზავრები? არა. მიწათმოქმედნი, სწეული თანასოფლელები და წინაპართა საფლავები რომ მიატოვეს და უგზო-უკვლოდ გადაიხვეწნენ? „ალბათ“, — ფიქრობდნენ ისინი და ბინდში ჩაფლულ მიდამოს ეჭვით გასცქეროდნენ, იქ კი კვლავ ციციანათელებივით ციმციმებდა ახალწვეულთა კოცონები...

მალე ლტოლვილთათვის საიმედო საცხოვრისების აგება მონასტრის ბინადართა მთავარი საზრუნავი გახდა. დასახლების მდებარეობა ისე უნდა შეერჩიათ, რომ ზვავებსა და მენწყვრებს მათთვის არ ევნო, საჭირო იყო აქმენებინათ საყდარი და მომცრო კამხალი, გაეთხარათ ჭა...

ენგირანის მოუთმენლობას საზღვარი აღარ ჰქონდა, მისი უზარმაზარი ხელები მოქმედებდა ითხოვდნენ, ფეხები — მოძრაობას, არც ეს სხარტი და დაუდეგარი გონება იყო გაჩენილი მარტოოდენ განყენებულ საგნებზე ფიქრთათვის, ხოლო თვალები — ციურ მნათობთა ჭვრეტისთვის, მას სიცოცხლე სწყუროდა.

„ვის ძალუძს ჩემზე უკეთ ადგილის შერჩევა და კამხლის აგება, გეგმის დახაზვა და საყდრის აღმართვა? მამ რად მაცოვნებენ? რატომ არ მიხმობენ? იქნებ...“ — ფიქრობდა ახლას და უმოქმედოდ ჩამოყრილ ხელებს ნაღვლიანად ჩასცქეროდა. „იქნებ...“ — იმეორებდა კვლავ ვილაც უხილავი, „იქნებ...“ — ბანს აძლევდა შინაგანი ხმაც და ჭაბუკს ეჩვენებოდა, რომ ღალატობდნენ...

იმ ნაცრისფერ დილას კი, როცა შორიასლოს „ის ორნი“ დალანდა, მიხვდა — რომ არათუ მშენებლობაში მონაწილეობა, თვით გალანის გარეთ გასვლაც აუკრძალეს. მაშინ იგი ბავშვობისდროინდელ კუნძთან განმარტოვდა და ფიქრებს მიეცა. ამიერიდან საპირფარეოში ყოფნისასაც უნდა ეთვალეთვალათ. იერარქს ეშინოდა, მაგრამ რისი? იქნებ იმის, ახალმოსულ ლტოლვილებთან ფარულად რომ არ დაახლოებულიყო? არა, საამისოდ სიტყვიერი გაფრთხილებაც იკმარებდა. მოძღვართ-მოძღვრის ნება ხომ კანონი იყო და მას არცერთი ჭკუათმყოფელი არ გადაუხვევდა. რჩებოდა კიდევ ორი მიზეზი, დიახ, ამ გადაჭრილი ხიდან ყველაფერი კარგად ჩანდა და ენგირანიც გრძნობდა, რომ მოხუცი ყოველთვის უფროსობდა, თვით მაშინაც კი, როდესაც ბავშვობაში აქ მარტოვდებოდა და სივრცეს გასცქეროდა... მას ახლაც ეშინოდა — წიგნთსაცავის სამიოდე გუშაგის ამარა დატოვების. იქ ინახებოდა საუნჯე, რომელიც უნდა დაეცვათ, მაგრამ ვისგან? ნუთუ ენგირანისგან? აქ ჭაბუკი დანაშაულში წასწრებულად კრთებოდა და იმ დღეს იგონებდა, როცა პირველად აუკრძალეს, დიახ, თვალებით დაუშალეს. მაშინ იგი ახლანდელივით კუნძზე იჯდა და საცავს მისჩერებოდა, იერარქი კი იდგა, იდგა შორიასლოს და როდესაც, ბოლოსდაბოლოს, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ციციანით შეხტა... ის მზერა ეხებოდა, აფრთხილებდა და იცავდა, ვისგან? — საკუთარი თავისაგან.

ჰო, ამ გადაჭრილი ხიდან ყველაფერი კარგად ჩანდა არამარტო მიდამო, არამედ მესამე მიზეზიც. ეს მისი ოდინდელი თავსატეხი გახლდათ. „იქნებ რომელიმე დიდი თავადის ვაჟი ვარ, რომელიც მეფეს აუშხედრდა?“ — ფიქრობდა ახლა, მსტოვრების მიჩენით გაგულისებული და ამავე დროს გაამაყებული და დამცინავად შეჰყურებდა სათვალთვალოდ გამწესებული გამხდარი ქურუმის ნაყვავილარ სახეს...

ამასობაში გაზაფხულიც მიიღია, აღმოსავლეთის გალანინდან უკვე კარგად ჩანდა დაწყებული მშენებლობები. მოძღვარი მთელი არსებით ჩაბმულიყო საქმეში. მდინარის გადაღმა მოფუსფუსე ადამიანები კი გაუთავებლად მიდი-მოდიოდნენ. გვიანობამდე ისმოდა ქვისმთელთა უროების რაკარუკი. ხოლო ენგირანი კვლავ იმ უსაზღვრო სევდას მოეცვა, რომელიც ოდითგანვე ღრღნიდა. ახლა მისთვის მშენებლობაში მონაწილეობის ნებაც რომ დაერთოთ, ალბათ, უარს იტყობდა. არსებობდა ორადორი გამოსავალი, თუმცა ერთ-ერთს ხსნაც არ ერქვა, რადგან იმ ცდუნებას უფრო ჰგავდა, ადამიანს თავგზას რომ აკარგვინებს. ეს იყო — გაქცევა. მონასტრიდან წასვლის სურვილი როდის გაუჩნდა, აღარც ახსოვდა. შესაძლოა, იგი მასზე უფროსიც გახლდათ და სულში ჩადებული იდეის სახით მის ამქვეყნიურ მოვლინებამდეც არსებობდა. თუ არადა რად ეზმანებოდა აკვირებულნი სიზმარი, სადაც მუდამ ლტოლვილი იყო, უმოწყალოდ დევნილი? რატომ ხედავდა თავის თავს უცნობ ქალაქში, უცხო ადამიანებით გარემორტყმულს, ან რად ესიზმრებოდა ცეცხლის სარტყელში გახვეული სამეფო, რომლის ხელმწიფეც თავად გახლდათ? დიახ, ამ ხილვას სიმძაფრე აკლდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის ჰყოფნიდა ძალა ცდუნებისთვის ცდუნება ენოდებინა, თვით ახლაც, უარყოფილი და დათრგუნული, მზად იყო უფრო სახიფათო და, შესაძლოა, მომაკვდინებელ გზასაც კი დასდგომოდა, ოღონდ გამოსავალი ეპოვნა. ამიტომაც შეჩერდა მისი არჩევანი ხორცის დათრგუნვის იმ უძველეს წესზე, ხანდახან რელიგიურ თვითმკვლელობასაც რომ უწოდებდნენ. ეს გახლდათ ხანგრძლივი და გამომფიტველი შიმშილობა,

რომლის უკანასკნელ საფეხურზეც ადამიანს ან უმაღლესი ნათელხილვა უნდა სწევოდა, ან სიკვდილი.

ენგერანმაც სწორედ ეს გზა აირჩია და როცა, ზაფხულის ერთ მშვიდ საღამოს, სენაკი თალხით მორთო, შესაძლოა ყველაფერზე მეტად იმ სამყაროში გადასვლაც კი სურდა, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებოდა. უკვე აღარ ანაღვლებდა, რას ეტყოდნენ იერარქს სახტადდარჩენილი მსტოვრები, რომელთაგანაც ერთ-ერთი მაშინვე გაუჩინარდა, როგორც კი განმარტოვდა. უმთავრესი ახლა გაფანტული ფიქრების თავმოყრა იყო. მანათობელ მძივში უნდა აეტყორცნა შინაგანი ცეცხლიც, რომელსაც მის მიერ ჩადენილ კეთილ და ბოროტ საქმეთა თესლების შემუსვრა ევალებოდა.

...დროდადრო სუნთქვასაც აჩერებდა იმ ხერხით, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ აითვისა, და მთავარეულივით ბუტბუტებდა საკრალურ სიტყვებს, რათა ის მესამე — განჭვრეტა, რომელიც ფლობდა მზის სამი ნაბიჯიდან ერთ-ერთის საიდუმლოს. მაშინ სხეულის უმცირესი ნაწილაკები ზენიტში მყოფ მნათობებს ემსგავსებოდნენ და ქარიც ჩერდებოდა. ამ დროს თვალები კარგავდნენ მხედველობის უნარს, ყურები — სმენის, ხოლო თითები — შეხებისა... დღეები საათებად იქცეოდა, საათები — წუთებად, წუთები — წამებად. შინაგანი ცეცხლი კი ერთიმეორის მიყოლებით წვავდა კეთილ და ბოროტ საქმეთა თესლებს. მაგრამ ისინი კვლავ თევზის ქვირითივით მრავლდებოდნენ და არ ეშუებოდნენ შემუსვრელ სტიქიას. ალი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა, მალე იგი ოდნავ მბუჭებდა ნაკვერჩხლად ქცეული მიინავლებოდა კიდევ და სულიც მიატოვებდა არნახული გმირობის სულ ამოდენ ჩამდენ სხეულს... და სწორედ მაშინ, როდესაც უკანასკნელად უნდა გაებრძოლა, უნებლიეთ იხილა ცეცხლოვანი არსება. მისი წიაღიდან მუსიკასავით ამოდიოდა უმშვიდესი ხმა.

— შენ უნდა იცოცხლო! — ჩაესმა უცებ და მყის მიხვდა, რომ გასაკეთებელი რჩებოდა საქმე, ურომლისოდაც ამქვეყნიდან ნასვლას უკრძალავდნენ.

... ხოლო მოგვიანებით, როცა სენაკიდან გასულს ჩიტების ჭიკჭიკი შემოესმა, მუხლებმაც უმტყუნა... ის ახლა მიწას კოცნიდა, ნიავს ლოყას უშვერდა და ნათლად გრძნობდა, რომ ეს იყო მისი ახალი ცხოვრების პირველი დღე.

უხუცესთა საბჭოს დიდ თაღებიან დარბაზში, სადაც თავი უამრავ ხალხს მოეყარა, ჩქარი ნაბიჯით შევიდა. ახლა გაცილებით უჯობდა თავის ბაღში ეფუსფუსა, ან ხელოვნურად გაშენებულ ტყე-პარკში მიწაყრილობითა და ქვის გალავნებით ერთმანეთისგან გამიჯნულ ცხოველებისთვის მიეხედა. ვის არ ნახავდით იქ: უზარმაზარ სპილოებსა თუ მარტორქებს, კბილბასრა ვეფხვებსა თუ უმწეო შვლის ნუკრებს, ზანტ კამეჩებსა თუ აქლემებს... ნოეს ყველა ძალიან უყვარდა, ლამაზიც და უშნოც, სასტიკიცა და უმწეოც, რადგან მათში არა მხოლოდ გარეგნულ ფორმას ხედავდა, არამედ არსსაც, რის გამოც ისინი ღმერთმა შექმნა. რა თქმა უნდა, ის კამეჩიც უყვარდა, ერთხელ ავად რომ გაუხდა, სწორედ მის გამო დასცინოდნენ: „ნოოოე, ნოოოე!“ — ასე ეძახდა თავის მამა-მარჩენალს ავადმყოფი. ჰო, ნოეს ახლა თავის ცხოველებთან ყოფნა ერჩია ან უზრალოდ ლედვის ხის ძირას ჯდომა და ფიქრი... თუმცა ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა დედაქალაქიდან ჩამოსულმა შიკრიკმა აქ მოინვია, გული მაინც ძალუმად აუტკერდა. რატომ გაიხსენეს? ის ხომ რახანია აღარავის ახსოვდა, აღარც ქურუმებს და არც დიდებულებს? მას ხომ ყველა დასცინოდა, მამ ახლა რა ღმერთი გაუწყრათ?

„ამდენი ხალხი...“ — ფიქრობდა და თავს დაბნეულად აქნევდა. დარბაზი კი თითქმის უკვე სავსე იყო. თავმოწონედ საუბრობდნენ შორეული ქალაქებიდან ჩამოსული მსცოვანი თავადები, ქვეყნის სამხრეთით მცხოვრები ველური ტომების დამორჩილებასა და ახალი მიწების დაპყრობაში თავი რომ გამოეჩინათ, ცალკე შეჯგუფებულიყვნენ გავლენიანი ვაჭრები, რომელთა ახალგაზრდა, ლამაზ ცოლებზე მთელი სამეფო ჭორაობდა...

დაიხ, ნოე მათ ზედმიწევნით კარგად იცნობდა, რადგან პირველი ადამიანის დარად მასაც ჰქონდა განსაცვიფრებელი უნარი — ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქმია. ვინ იცის, მარტოობისას რამდენჯერ ცდილა გაეაზრებინა თითოეული მათგანის როლი იმ უცნაურ წუთისოფელში, ამიტომ ამჯერად მათი ერთად ხილვა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაშიც კი აყენებდა. „ჰმ, დახეთ, დახეთ...“ — გაუელვებდა ხოლმე, როცა თვალს რომელიმე ნაცნობს ჰკიდებდა. აქ გახლდნენ: დიდვაჭარი არითევსი, ცოლის საყვარელმა ბინა რომ გაუქურდა; მეფის მრჩეველი შაოსანი, რომელსაც სახელმწიფოს მართვისთვის საკმარისად მხოლოდ ძალა და გამჭრიახობა მიაჩნდა; ძელებზე გასმას გადარჩენილი და სატუსალოში ძალით გამამათავლებული სამი, ერთ დროს მეამბოხე, დიდებულიც: ხაზინადარი დიო, მნიგნობართუხუცესი რიო და მხედართმთავარი სიამათი; ასევე მინათმოქმედთა ბელადი — კანითი, რომლის ირგვლივაც ახლა ისინი შეჯგუფებულიყვნენ და, რაც მთავარია — ქურუმები, ამ რამდენიმე წლის წინათ ნოე რომ გაამასხრეს...

„შეინანონ!“ — კვლავ ჯიუტად ჩაესმოდა ყურში მართალი იოს სიტყვები და ქურუმთა ის თავყრილობა ახსენდებოდა, ყველასათვის საბედისწერო... „რატომ არ მომისმინეს, იქნებ დამაჯერებლობა მაკლდა და ვერ შევძელი დანაბარების გადმოცემა...“ — ფიქრობდა ნოე და დარბაზს გასცქეროდა.

აქ კი თორმეტი უხუცესი კვლავ მდუმარედ ისხდა და მოუთმენლად ელოდა მეფის გამოჩენას.

... როცა დარბაზში ბაალი გამოჩნდა, სამარისებური სიჩუმე ჩამონვა, მეფე დაღლილი და ფერმკრთალი ჩანდა, კვერთხი კი არ მიჰქონდა, მიათრევდა, თითქოს მისი ტარება უჭირსო. მეფე უხუცესთა ზემოთ, შემალღებულ ადგილას დადგომულ ტახტზე რომ დაჯდა, დარბაზი კვლავ ახმაურდა, მალე ორატორებმა სიტყვა მინათმოქმედთა და მეჯოგეთა შორის არსებულ უძველეს უთანხმოებაზე ჩამოაგდეს, ისინი ერთიმეორის მიყოლებით ადიოდნენ ტრიბუნაზე და ცდილობდნენ მსმენელები ამ დავის მშვიდობიანად მოგვარებისათვის განენყოთ.

— ყველაფერს რატომ ვაზვიადებთ, სანატრელნო, — ამბობდა ერთი თოვლივით თმა და წვერგათეთრებული თავადი, — განა არ გავსოვთ, როგორ დააქორწინა მზის ღმერთმა თავისი და? ეს თქმულება ყველამ მშვენივრად უნყოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით ისმენდნენ ბავშვობიდანვე შესისხლბორცებულს: — დაო ჩემო, მწყემსმა წაგაცივაროს! ქალწულო ინანა, რად არ ინებებ? ტკბილია ერბო მისი, ტკბილია რძე მისი.

— მე მწყემსი იგი ვერ ნამიყვანს, — პასუხობდა და. თავისი ახალი სამოსელით ვერ შემომსავს, მე, ქალწულს, მინის მოქმედი ნამიყვანს, მინისმოქმედი, ხილის მომყვანი, მინისმოქმედი, ხორბლის მეხვავე.

— მინისმოქმედი ნუთუ მე მჯობს? — მინისმოქმედი მე რითი მჯობს? — ბრაზობდა ლექსის გმირი მეჯოგე, — ენქიდუ, კაცი არხებისა და გუთნისა, მინათმოქმედი მე რითი მჯობს? უკეთუ მომცემს თავის თეთრ ხორბალს, სანაცვლოდ მინათმოქმედს ჩემს შავ ცხვარს მივცემ. უკეთუ მომცემს თეთრ ხორბალს, სანაცვლოდ მინისმოქმედს ჩემს თეთრ ცხვარს მივცემ. უკეთუ დამისხამს თავის ლუდს უკეთესს, სანაცვლოდ მინათმოქმედს ყვითელ რძეს დავუხსნამ. უკეთუ დამისხამს თავის ლუდს უტკბილესს, სანაცვლოდ მინისმოქმედს ჩემს ნალებს დავუხსნამ...

შემდგომ ქალწულის გული მწყემსისკენ იხრებოდა და მცირეოდენი დავის შემდგომ ჭაბუკებიც რიგდებოდნენ.

— მე შენთან მწყემსო, შენთან, მწყემსო, მე შენთან რად უნდა ვდავობდე? ძოვდეს ცხვარი შენი ჩემს მორწყულ მიწაზე. ჩემს ყანებში ცხვარი შენი დაბალახობდეს...

— მაშინ ჩემს ქორწილზე, მე, მწყემსი, ჩემს ქორწილზე, მინისმოქმედო, მაყრად წაგიყვან! მინისმოქმედო, ენქიმდუ, მაყრად წაგიყვან!

— ხოლო მე პურებს მოგიტან, ცერცვს მოგიტან, ხორბალს მოგიტან, თაფლუჭს მოგიტან, ქალწულო ინანა, ყოველივე უკეთესს მოგიტან. — ასე შერიგდნენ მეჯოგე და მინათმოქმედი, შერიგდნენ ღვთის წყალობით, ასე რომ, ჩვენც შევთანხმდებით. — ამბობდა ორატორი, მცირეოდენი პაუზის შემდგომ კი ასეთ დასკვნასაც აკეთებდა:

— მზის ღმერთის და მხოლოდ ქალი როდია, ის სიბრძნის სიმბოლოცაა, ამიტომ ამ საკითხში ჩვენც გონიერება გვმართებს.

გამომსვლელით ალტაცებული მსმენელები ერთხანს გუგუნებდნენ, მერე კი ტრიბუნას სხვა დიდებულს უთმობდნენ, თუმცაღა მშვენივრად უწყობდნენ, რომ საკითხი ასე იოლად მოსაგვარებელი არ იყო...

შეფარული დაძაბულობა დარბაზში ყოველთვის იგრძნობოდა, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, როდესაც სიტყვის სათქმელად ნოეს უზმეს. ამ ახირებული კაცისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ამიტომ დიდებულებიც აზუზუნდნენ:

— მგონი ნოე თავისი კამეჩებივით ჩვენც კიდობანში შერეკვას გვიპირებს. — ბურღუნებდნენ ერთნი.

— დაიწყებს ახლა... — კვერს უკრავდნენ მეორენიც.

მაგრამ როგორც კი ტრიბუნაზე ავიდა, ყველა გაიხსნა. ნოე დაბნეული ჩანდა. ერთხანს თავდახრილი იდგა, თუმცა მერე ნებისყოფა მოიკრიფა და მზერაც აენთო.

— მოგესალმებით, ჩემო მეგობრებო და მშვიდობას გისურვებთ, რაც ყველაზე მეტად გვეჭირდება. დღეს ყველას გვიჭირს. გვალვები და ეპიდემიები კარგს არას გვპირდება. გახშირდა ყაჩაღობაც. მაგრამ მთავარი უბედურება მაინც დავაა, გამწვავებული ურთიერთობა ძმათა შორის...

— ვიცით! — მოისმა დარბაზიდან.

— იცით?! — გაოცდა გამომსვლელი, — მაშ დაიმახსოვრეთ, ეს უღირსი კამათია...

ფუტკრის სკა აზუზუნდა, ნოემ კი განაგრძო:

— განა ღირსეული შეიძლება ვუნოდოთ პაექრობას, რომელიც რელიგიას ნიღაბით იფარებს? ან დავას, განსაკუთრებით მაშინ რომ მწვავდება, როცა საქმე საერო და სასულიერო ძალაუფლების გაყოფამდე მიდის? ნუთუ ასე იყო ადრეც? არა, მაშინ მინათმოქმედი და მეჯოგენი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ერთმანეთს მხოლოდ საქონლის გაცვლისას თუ ნახულობდნენ, ხოლო ახლა მათი შთამომავლები დიდ ქალაქებში ერთურთის გვერდიგვერდ ბინადრობენ და ვერაფრით გაურკვევიათ: როგორ მსხვერპლშენიერვას უნდა ასრულებდეს იერარქი. მაგრამ, მეგობრებო, ეს ხომ სრული უაზრობაა?! რელიგიაში კარგა ხანია ყველაფერი გარკვეულია, აქ საქმე გვაქვს, უბრალოდ, არსებობისთვის ბრძოლასთან. ყველას სურს მნიგნობართუხუცესად ან გარნიზონის უფროსად თავისიანი იხილოს, ამიტომ მოიგონეს ეს დავაც...

— რა არის გარკვეული? როგორ თუ მოიგონეს? — აყვირდნენ დარბაზიდან.

— დიახ, — თქვა მან და ხელები უმწნოდ გაშალა, — დიახ, ეს დავა ოდესღაც საღმრთო წერილის არასწორი გაგების გამო დაიწყო...



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

...ნოე უყვარდათ აქ მყოფ დიდებულთაც, რომლებიც უკიჟინებდნენ, ქურუმებსაც, ერთ დროს აზუზუნად რომ აიგდეს, მტრებსაც და მეგობრებსაც. მას ეთაყვანებოდა ცოლიც, ვაჟიშვილებიც, თუმცა ყველა თავისებურად.

პირველთათვის იგი ახირებული კაცი იყო, ღმირის მომგვრელი... მეორეთათვის — ნინასწარმეტყველის რჩეულობის ვერშემშნობი, მის ადგილას სხვა სულ ცოტა მრჩევის ადგილს მაინც დაიკავებდა სამეფო კარზე, ან უხუცესთა საბჭოში მაინც მოხვედებოდა, ის კი სადაც უკაცრიელ ადგილას გადახვეწილიყო და რაღაც უშველებელ კიდობანს აშენებდა. დიახ, ის მათთვის კეთილი ბრიყვი იყო, რომელზე გაბრაზებაც სისულელე იქნებოდა. მეუღლე უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ხოლო სემი და იაფეტი უბრალოდ აღმერთებდნენ.

მართალი კაცი ცხოველებსაც უყვარდათ. მის დანახვაზე ძაღლები კუდს აქიჩინებდნენ და მიწაზე გორაობდნენ, კამეჩები კისერს სწევდნენ და სასაცილოდ ღმუოდნენ, ცხენები ილურსებოდნენ... მაგრამ ყველაზე უკეთ მაინც მოხუცი ნინასწარმეტყველი იო აფასებდა, რომელიც მასში გადარჩენას ხედავდა, ვითარცა მამა — საკუთარ ვაჟში, ის ერთგვარად უკანასკნელი ადამიანიც იყო და პირველიც, ამიტომ უნდა სცოდნოდა საგანთა არსი. ნოეც სწორედ ისე ცხოვრობდა, როგორც ნინასწარმეტყველის რჩეულს შეეფერებოდა, იგი უმთავრესს ემსახურებოდა, სამყაროს ფესვს რწყავდა, ალბათ, ამის გამოც შეიყვარეს...

— საღმრთო წერილში, — ამბობდა ახლა ის, — გარკვევით წერია, რომ სამსხვერპლოზე მიტანილ უნდა იქნეს აჯა. მაგრამ რა არის აჯა? ეს სიტყვა ნიშნავს უმნიფარსაც, უბინოსაც, უშობელსაც. მინათმოქმედებმა კი რატომღაც მიიჩნიეს, რომ აქ საუბარი იყო ხორბლის თესლზე, რომელიც მართლაცდა მოუშინებელია...

— დიახ, — განაგრძო მცირეოდენი ღუმლის შემდეგ, — შესაძლოა, მოგვეჩვენოს, რომ მინათმოქმედნიც მართლები იყვნენ და მეჯოგენიც, თუმცა ეს ასე არაა, მათ დაივიწყეს უმთავრესი, ურომლისოდაც ნებისმიერი ქმედება აზრს ჰკარგავს. მაინც რაზე იყო საუბარი ნმიდა წერილში? რომელ აჯაზე? ნათელმხილველებს სწამდათ, რომ ოდესმე კაცობრიობას მსხნელად მოევლინება უფლის ძე, რომელიც ადამიანთა ცოდვების გამო უმანკო არსებასავით დაიკვლებოდა. სწორედ ამიტომაც ანიჭებდნენ უპირატესობას სისხლიან მსხვერპლშენიერვას, ანუ რიტუალს, თავისებურად ნინასწარმეტყველურად რომ იყო... დიახ, ასეთი რწმენა ჰქონდათ ჩვენს ნინაპ-

რებს, ამიტომ აუცილებელია ვირწმუნოთ და შევიწინაოთ, რამეთუ ის მოვა, უცილობლად მოვა, რათა გამოისყიდოს ცოდვები, რომლებიც ჩავიდინეთ...

დარბაზში ავისმომასწავლებელი დუმილი ჩამოწვა. მინათ-მოქმედნი და მეჯოგენი არ ელოდნენ კვანძის ასეთ უცნაურ გახსნას. ის ხომ მათ დავას საუკუნოდ გადაუწყვეტელს ხდიდა. გამოდიოდა, რომ სიძულვილი, რომელიც მთელ თაობებს ღრღინდა, სრულიად ფუჭ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. როგორ შეიძლება ამდენი ხალხი არარსებული მიზეზის გამო დაპირისპირებოდა ერთმანეთს?!

— სტყუის! — ნამოიძახა უცებ ვილაცამ და დამსწრეთაც მისვე შფოთის დიდმა ტალღამ გადაუარა. ნოეს ამჯერად ძლიერ გაუჭირდა მათი დანყნარება, ხოლო როცა დარბაზში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა, ნაჩქარევად განაგრძო:

— დავუბრუნდეთ ისევ მსხვერპლშენივას, ღმერთი ღებულობს ყოველივეს, რაც კი სუფთა გულითაა მირთმეული, ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — რა იქნება ეს: კრავი, ხორბლის მარცვალი თუ ფოთოლი... მთავარია გვახსოვდეს, რომ უფალი ჩვენგან მხოლოდ გულწრფელობას ითხოვს... გულწრფელობას და სინანულს...

— ჩვენც სწორედ ის გვანტიერებს, ვინა სწირავს სუფთა გულით! — ნამოიძახა უცებ დარბაზიდან ვილაც მალაღმა, გამხდარმა კაცმა, სიმჭლევისგან სახეზე ყბების ძვლები რომ მოუჩანდა. ეს იყო მინათმოქმედთა ბელადი კანითი...

ჯერ კიდევ მაშინ, როცა არსებობისთვის ბრძოლა ახსენეს, მოუსვენრობა დაეუფლა, თითქოს მოურიდებლად ეხებოდნენ და ჯიჯგინდნენ. თანდათანობით ძარღვებიც დაებერა და თვალებით ნათესავსა და მეტოქეს — მეჯოგე აბაოსს — დაუწყო ძებნა. ის კი იქვე, შორიხლოს მიმჯდარიყო და უწყინარი მზერა სარკმლისათვის მიეზღინა, იქიდან შემოჭრილი სინათლე მხრებზე საამურად ეღვრებოდა... კანითს მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ადრეც ენახა. „ღმერთო, მას ამ დარბაზშიც ჩემზე უკეთესი ადგილი ერგო...“ — ფიქრობდა და ტუჩებს ნერვიულად კუმავდა. ხოლო როცა ძე ღვთისა ახსენეს, უნებლიეთ შეხტა, „უწყინარი ცხოველივით უნდა დაიკლასო“, — ამბობდა წინასწარმეტყველება და მინათმოქმედს შეძრწუნდა. ის ახლა ტრიბუნისკენ მიილტვოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა...

დიახ, აბაოსი მართლაც რაღაცით ჰგავდა კრავს!

როცა სახტად დარჩენილი ნოე გვერდზე გადა და ადგილი დაუთმო, წელში გაიჯგინა. უკვე მხოლოდ ერთი რამ სურდა, გულში დაგროვილი ბოლმა როგორმე სწრაფად ამოენთხია, რათა ძველ ბალბალს თავადვე არ მიუსპო. ეს კი არცთუ ისე ადვილი ჩანდა... სიტყვები ყელში ეჩხირებოდა და მუხლებიც უთრთოდა.

— რა უნდათ ჩვენგან მეჯოგებს?! — ღმუოდ იგი, — აგერ უკვე რამდენი საუკუნეა უმონყალოდ დაგვცინიან. თვით ბავშვებსაც კი გვინამლავენ, წარამარა კაციჭამია ტიტანთა შვილუკებს ეძახიან და მერე ვინ? ციკნის მწყემსები. თითქოს თვითონ უკვდავი ღმერთების ნაშიერნი იყვნენ. ქვეყანამ იცის — მათი წინაპარი შეთი რომ იყო. მაშ რა სურთ მეჯოგებს? რატომ დიდგულობენ? ნუთუ ჰგონიან, რომ მართლა ჩვენზე აღმატებულინი არიან? თუკი ასეა, მაშინ ამ უნიადაგო ოცნებებს ერთი ხელის დაკვრით დაუფანტავ. ალბათ, ყველას ახსოვს ის ძველი კეთილშობილური წესი, რომლითაც ფილოსოფოსები იშვიათად, მაგრამ მაინც სარგებლობენ. კამათის შემდეგ, შეთანხმებისამებრ, დამარცხებული კვდებოდა. მეგობრებო, აბაოსი ჩემი ნათესავი რომ არ იყოს და სხვა ღირსებებთან ერთად ვაჟკაცობაც გააჩნდეს, სწორედ ამგვარ პაექრობაში გამოვიწვევდი. — ორატორი შეყოვნდა, აყაყანებულ დარბაზს ამაყად გადახედა და მცირედენი ფიქრის შემდეგ განაგრძო:

— პატივცემულ საზოგადოებას შეიძლება აღეძრას კითხვა, თუ რამ მიმიყვანა ამ უკიდურესობამდე. მის გასაგონად

მინდა დავძინო — მხოლოდ სასონარკვეთამ. წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, რომელსაც თვით საკუთარ სახლშიაც ისე ექცევიან, როგორც მონას. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, მართლაც, რომელ სამართლიანობაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ჩვენს დასახლებაში თორმეტი უხუცესიდან რვა სწორედ ყოფილი მეჯოგეა, და ეს იქ, სადაც მოსახლეობის ორ მესამედს კაენის შთამომავლები წარმოადგენენ. ალბათ, ხვდებით რა უსამართლობაც იქნება ისეთ დაბეზში, მწყემსები რიცხობრივად რომ გვჭარბობენ... უკვე აღარაფერს ვამბობ იმ უწესრიგობებზე, რომელთაც მათი ლოთი უხუცესები სჩადიან, თუმცა რა წესი და კანონი შეიძლება მოსთხოვო ხალხს, ღმერთს მსხვერპლად კრავს რომ სწირავს? — დარბაზში სიცილი ატყდა. ხოლო ფეხზე ნამომდგარი გაფითრებული მეჯოგენი თავს ძლივს იკავებდნენ...

— ძმებო! — განაგრძობდა კანითი, — ალბათ თქვენც ხვდებით, რა დღეშიც ვართ ჩაცვნილინი, ამიტომ მოვიწოდებთ — დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლიანი მსხვერპლშენივაც და ყველა გამორჩეულად ერთ ჭეშმარიტ ღმერთს ეთაყვანოს!

ირგვლივ გამამხნეველები შეძახილები გაისმა, რასაც ხარხარიც ზედ ერთვოდა. ყველაზე მეტად მამათმავალ დიოს უხაროდა. იგი სიცილისგან აცრემლებულ თვალებს ინმენდა და გვერდით მჯდომ რიოს ეუბნებოდა:

— ხედავ, რა კარგად ილაპარაკა! რის აჯა, რა აჯა! აჯა გვინდა ახლა ჩვენ?!

ისიც თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა და მთელი ხმით გაჰკიოდა:

— დიდება კანითს! მართალ კანითს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

მას შემდეგ, რაც აღეღებულნი ხალხი დაშოშმინდა, ტრიბუნაზე მალალი ცისფერთვალეა ყმანვილი ავიდა, ეს გახლდათ აბაოსი. იგი ოდნავ ფერმკრთალი ჩანდა, ხელებს წარამარა იფშვინებდა და სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადაჰქონდა. ბოლოს, როგორც იყო, გამბედაობაც მოიკრიფა და თქვა:

— მეგობრებო, ჩემი ნათესავისთვის აქამომდე შეურაცხყოფა არასოდეს მიმიყენებია, არც ცხადში, არც სიზმარში, ამიტომ ახლაც ვერ გამიგია, რატომ უნდა ვძულდე. მიუხედავად ამისა, გამონვევას ვლებულობ, ოღონდ ვთხოვთ, გამარჯვების შემთხვევაში თავიდან ამაცილოთ მისი სისხლი. ჩვენ ხომ ფილოსოფოსები არა ვართ? ხოლო თუ დამამარცხა, დაე რაც სურს, ის დამმართოს...

მეორეც, ჩვენ, შეთის შთამომავლებს, ოდითგანვე ღვთისშვილებს გვინოდებენ და აქ გასაკვირიც არაფერია. დიახ, მწყემსებს მტკიცედ გვწამს, რომ ძელზე დაკლული კრავი უფალთან მიდის, მაგრამ მოდი თამისთვის აბუჩად ნუ აგვიგდებთ, უხუცესთა აუგად მოხსენებაც მკრეხელობაა, თქვენს რწმენას ხომ არავინ ამასხრებს? ჩვენ, მართალია, არ გვემის ხორბლის დანვის არსი და ადრე ამ რიტუალის სასტიკი წინააღმდეგნიც ვიყავით, მაგრამ ახლა — უკიდურესობისა და გვალვების დროს — ვგონებ ეს კამათიც უნდა გადაიდოს...

— რატომ! — იყვირეს დარბაზიდან, — რას ვუცადოთ, როცა ღმერთი სწორედ მაგათ გამო გვსჯის?!

— როგორ?! — გაოცდა აბაოსი, — ნუთუ გგონიათ, რომ შავი ქორი ჩვენ დაგატყებთ?

— სისხლიანმა მსხვერპლშენივამ! — მოისმა პასუხად.

მწყემსს სუნთქვა შეეკრა, ის ახლა გულამოვარდნილივით ხვნეშოდა და დიდებულებს დაბნეულად გასცქეროდა.

— ძმებო! — თქვა ბოლოს, — მე, მართალია, ერთი უბრალო კაცი ვარ, მაგრამ უხუცესთა მონათხრობიდან ვიცი, რომ კაცობრიობის ისტორია, დღიდან ადამის შექმნისა, იყოფა რამდენიმე პერიოდად. უკვე ჩავლილია ოქროს ხანა, ბრინჯაოსიც... ხოლო ჩვენ ვცხოვრობთ რიგით მესამე ეპოქაში. ადრე თურმე ვერსად ნახავდით სნეულებს, არ არსებობდა ციხეებიც, რადგან ხალხისთვის სიტყვიერი მითითებაც კმაროდა.

სამოთხეში კრავს არავინ კლავდა. მაგრამ, აი, გავიდა ჟამი და ჯერ სიბრძნის მეოთხედი დაიკარგა, შემდეგ — ნახევარიც. სიცოცხლის ხანგრძლივობაც ერთი-ორად შემცირდა...

— რას გვასწავლის ეს ყმანვილი, ნუთუ ჰგონია, რომ ბერი იცის? — გადაულაპარაკა რიომ დიოს და სახეზე სინთლემ გადაუარა.

— ...ამრიგად, გამრავლდა ცოდვა და დადგა სისხლიანი მსხვერპლშენიერვის აუცილებლობაც. ეს არაერთგზის დაუდასტურებიათ ქურუმებსაც, ამიტომ, არა მგონია, ამ რიტუალის წინააღმდეგ ვინმეს რაიმე სერიოზული ბრალდების წამოყენება შეეძლოს.

ირგვლივ კვლავ უკმაყოფილოდ აზუზუნდნენ.

— დიახ, მეგობრებო, — გააგრძელა ჭაბუკმა, — მოდით, რაც უდავოა, მასზე ნურც ვიკამათებთ. შემამოფოთებელია სრულიად სხვა რამ, ბოლო დროს რალაც საგრძნობლად მომრავლდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც პოლიტიკასა და რელიგიას ერთმანეთში ურევენ, ტაძრები კი მსტოვარი ქურუმებით აივსო...

— საკმარისია! — აყვირდნენ უკვე ერთდროულად, — ძირს აბაოსი! ძირს!

მაშინ გამომსვლელმაც მხრები აიჩჩა და ვიდრე დაჯდებოდა ესლა თქვა: შესაძლოა, მალე ცოცხალიც არ ვიყო, მაგრამ იცოდეთ — ეგ კაცი სიკეთეს არ მოგიტანთ.

მეფე ბაალმა კვერთხი იატაკს დააბჯინა და დარბაზშიც სირუფე ჩამოწვა. მბრძანებლის აზრით, რომელსაც სახეზე დალილობა გამოჰხატვოდა, საჭირო გახლდათ გამოცხადებულიყო შესვენება, რათა უხუცესთათვის თავისუფლად განსჯის საშუალება მიეცათ.

ხალხმა ნამოშლა და ჯგუფ-ჯგუფად გასვლა იწყო. ნაწილი კი კვლავ მოჩხუბარი მამლებით ნამონთებულ კანთისა და აბაოსს შემორტყმოდა. როგორც ჩანდა, უმრავლესობა აქ სეირის საყურებლად მოსულიყო, ამიტომ როცა საღამოხანს ისევ შეიკრიბნენ და უხუცესთა განჩინებაც შეიტყვეს, სახეებზე უკმაყოფილება გამოეხატათ. არავის მოეწონა ის, რომ დავა შორს, ოქროსფერ მთაზე მცხოვრებ მოხუც წინასწარმეტყველის საბრძანისში უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან მაშინ მონონებული მამლის გამარჯვებით მიღებულ შთაბეჭდილებებს ასე საჯაროდ ვეღარ გაუზიარებდნენ ერთმანეთს. წარმოდგენა დასრულდა, მსახიობებმაც ნაჩქარევად დატოვეს სცენა. ერთადერთი კაცი, რომელიც გაოგნებული ჩანდა, ბაალის მრჩეველი გახლდათ. შაოსანის აზრით, ამ დღეს მეფემ სამუდამოდ დაჰკარგა ქვეყანაში შექმნილი არეულობის მშვიდობიანად მონესრიგების უკანასკნელი საშუალებაც. იგი ერთხანს თავჩალუნული იჯდა, მერე კი უცებ ნამოდგა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა დარბაზს, სადაც სულ მალე მისი სამოსივით პირქუში უკუნეთი დაისადგურებდა...

ზაფხული იწურებოდა, ხანგრძლივი შიმშილობით დაღლილს გალავნიდან გასვლის ნება რომ დართეს. ახლა მშენებლობა გაორკეცებული ძალით მიმდინარეობდა და იერარქიკ მხოლოდ შუადღისას თუ ახერხებდა მონასტერში ასვლას. ენგირანი მთელ დღეებს ტერასაზე ატარებდა, გადაჭრილ ხესთან, საიდანაც ნათლად ჩანდა მიდამო. „უცნაურია, — გაიფიქრებდა ხოლმე, — ადამიანი აშენებდა სახლს, აგებდა ტაძარს, თუმცა იცოდა, რომ სულ მალე მინად იქცეოდა, ყოველივე კი — ნანგრევებად. რატომ? ნუთუ არად აგდებდა ამ უაზრობას? ბუნება ხომ მისით თამაშობდა, ისევე როგორც ბავშვი — კენჭებით? — სისულელეა! — ეწინააღმდეგებოდა შინაგანი ხმა, — ადამიანი ყოვლისმომცველი მსხვერპლშენიერვის მონანილეა და არა თამაშის. ბალახი ეწირება კრავს, კრავი — კაცს, ეს უკანასკნელი კი ღმერთს. ყველანი ერთად — სამსხვერპლო არსებანი ვართ, მზე — მსხვერპლშენიერვის დანთებული ცეცხლია, ხოლო უზენაესი — მსხვერპლი-

(ცაა, წმიდა ცეცხლიც და მსხვერპლის შემწირველიც... საოცარია,“ — ფიქრობდა იგი. ხოლო ხარები კვლავ ჩვეული სიჯიუტით ეზიდებოდნენ ქვებს, მორებსა და დულაბისთვის აუცილებელ მასალას. გვიანობამდე ისმოდა ხარაჩოებზე მომუშავეთა გამამხნეველები შეძახილებიც...

ახლა სავანეში სამად-სამი ბერიღა დარჩენილიყო. ორი გალავნის კარიბჭეს იცავდა, მესამე კი — მონასტერს, სადაც მთელს ქვეყანაში უმდიდრესი წიგნთსაცავი მდებარეობდა. მოძღვარი სამწყობოში იმ ქურუმებთან ერთად ამოდიოდა, რომელთაც მოდარაჯეთა სამეული უნდა შეეცვალა.

— რატომ არ ცურავ? — ჰკითხა ერთხელ, ასეთი სტუმრობისას, ტერასაზე მყოფს და ჭაბუკიც შეკრთა. ის ერთხანს თავდახრილი იდგა, შემდეგ კი მზერა გველივით დაკლანკილი გიხონისკენ გაექცა...

იქ ყოველი ხე თუ ბუჩქი ბავშვობას აგონებდა. ვინ იცის, რამდენჯერ ჩაჰყოლია კლდოვან ფერდზე გამოკვეთილ საფეხურებს, რათა ზვირთებს სწრაფი ცურვით გაყოლოდა... ხოლო როცა მწყემსებმა ერთი უცნაური ზღაპარიც უამბეს — ქვაქვეყნის უფლისწულზე, უკვე მდინარეც და ის ლოდიც, თავი წყლიდან დამხრჩვალნი გოლიათივით რომ ამოეყვ, სულიერებით შეიყვარა... განსაკუთრებით მასზე აბობლებდა და გულაღმა დაწოლა ხიბლავდა. აქედან მონასტერიც ჩიტის ბუდესავით ჩანდა და გალავანიც, ხშირად მიულულავს თვალი და წყლის დუდუნისთვის ყური მიუგდია. მაშინ წარმოსახვაში საიდანაც უცნობი მწყემსებიც კრთებოდნენ და მეზღაპრეც არ აყოვნებდა:

— მეფის კარზე, — ამბობდა იგი, — სილამაზით თურმე ერთი ასული გამოირჩეოდა, სახელად თულა. უეჭვიანია დედოფალს და განუდევნია. გასულა დრო. დიაცი ერთი სახელოვანი თავადის მეუღლე გამხდარა. გაქანებულა ბედის ეტლი და თვით ხელმწიფე დაუჩრდილავს დიდებულს. ჭმუნვას მოუცავს კვერთხისმპყრობელი, საგონებელში ჩავარდნილა...

მაშინ ბრძენკაცს უთქვამს: „ნუ იფარებ ღრუბლებს, მზე-თამაზი, მისი ძალა თულას ერთგულებათაში, აცდუნოს ვინმემ და შენი მეტოქეც დამარცხდება.“

მამის ღირსების დაცვა თურმე თვით ხელმწიფის უსაყვარლეს ძეს განუზრახავს, უსარგებლია ღამის სიბნელით და დიდებულის სამოსში გამოწყობილს შეუცდენია მეფის მეტოქის ერთგული ცოლი... ამოსულა მზე, უხილავს თულას თავისი შერცხვენა და დაუნყველია უფლისწული...

შეუსმენია უფალს მისი ვედრება, ვაჟი ქვად უქცევია, მანყევარი კი — მდინარედ. მას აქეთ ბანს თურმე წყალი ლოდს გამოდმებით, თავზე ევლებს, რამეთუ ის მისი საყვარელიცაა და შვილიც — საკუთარ წიაღში ჩამალული...

„მშობლის მუცელშიც წყალია, პირველქმნილი წყვდია...“ — გაუელვებდა ხოლმე და უცერად კრთებოდა, ახლა თვითონ იყო უფლისწული — დაწყველილი და ქვაქვეყნის, მდინარე კი — დედა... „რომელიც თან...“ — ამბობდა მეზღაპრე და ენგირანიც ფრთხებოდა...

დიახ, ამ იგავს დასრულება ნამდვილად აკლდა, რადგან მწყემსი ყოველთვის უდროო დროს ქრებოდა და მარტო დარჩენილ ჭაბუკსაც ტანზე ბურძღებები აყრიდა. ზღაპარში აღწერილი დედა-მდინარე რალაცით გიხონსაც ჰგავდა. ის ახლა კუმტად ჩასცქეროდა მის მარადმობოგავ ზვირთებს და მხოლოდ ერთი რამ ვერ გაეგო: რატომ მიატოვეს?!

იერარქმა საიდუმლოს შენახვა მშვენივრად იცოდა, თავის დროზე, შესაძლოა, სწორედ ამის გამო შეარჩიეს. ღვთის მსახურთა შორის ალბათ იყვნენ მასზე ნიჭიერნიც, მაგრამ სამეფო დინასტიასთან სიახლოვე ყველას ხვედრი როდი იყო...

„ათასში ერთს თუ გააჩნია ამის უნარი“, — გაიფიქრებდა ხოლმე, როცა იმ დღეს იხსენებდა, ოქროსთმინი ბალღი რომ მოუყვანეს. მას შემდეგ, მართალია, ბევრ წყალს ჩაველო, მაგრამ ავიწინათგრძნობა, რომელიც მაშინ დაუფლდა, ოდნავდაც არ განე-

ლებია. ამ სევდიანთვალე ბავშვში, დროთა განმავლობაში ნამდვილ გოლიათად რომ იქცა, მართლაც იყო რაღაც უცნაური...

„ბაალის ძე მონასტერში ცხოვრებისთვის არცაა გაჩენილი“, — ფიქრობდა ახლა და მდინარისკენ მიმავალს ნაღვლიანად გასცქეროდა...

— რად არ ცურავ, ამ ცხელი დღეებით შენც უნდა ისარგებლო, — უთხრეს მამინ და ჭაბუკიცი მიხვდა, რომ გიხონი მარტოდენ დედას როდი აგონებდა, იგი მისთვის გაქცევის ერთადერთი საშუალება იყო. რატომ ერთადერთი? ამას ბევრი მტკიცება არც სჭირდებოდა, სხვა ნებისმიერ შემთხვევაში მდედრები სულ რაღაც ორიოდ დღეში უკან დააბრუნებდნენ... ეს აზრი განსაკუთრებით მას შემდეგ განუმტკიცდა, როცა ნაშიშპილები და ფერდაკარგული ქვის საფეხურებს ფრთხილად ჩაუყვავა. სანაპირო ოდნავადაც არ შეცვლილიყო, მდინარეც, ის კვლავინდებური სიჯიუტით მიიღვტოდა სამხრეთის მცხუნვარე მზისა და ველურების ქვეყნისკენ, სადაც, ალბათ, კაციშვილიც ვერ მიაგნებდა... ახლა აღარავინ უთვალთვალავდა, რადგან იერარქს, როგორც ჩანს, მასზე გული მოღობოდა. ვინ იცის, იქნებ იმასაც ფიქრობდა, რომ ასეთი დასუსტებული შორს ვერსად წავიდოდა? ასე იყო თუ ისე, მისთვის სრული თავისუფლება მიენიჭებინათ და ამით უნდა ესარგებლა...

მზემ და წყალმა თანდათანობით ძველი ენერჯია დაუბრუნა. ხოლო როცა მესამე დღეს მოგრძო მორი მდინარეში შეათრია და ატივტივებულს ხელებით დაეკიდა, შვება იგრძნო. ახლა ცდილობდა, დაახლოებით მაინც გამოეთვალა, რა მანძილზე წაიღებდა დინება ერთი ღამის განმავლობაში. დიას, სწორედ ღამე უნდა ეცურა, დღისით კი ფოთლებში მიმალულიყო. ყველა სხვა შემთხვევაში იპოვნიდნენ და კვლავ მონასტერში დააბრუნებდნენ. შესაძლოა ფეხებზე ხუნდებიც დაედოთ და საპყრობილეში გადაეყვანათ, თუკი მართლაც რომელიმე მეამბოხე დიდებულის ვაჟი იყო... აი, მამინ კი ნამდვილად სამუდამოდ უნდა გამოთხოვებოდა საიდუმლო სიბრძნის ხელში ჩაგდების იმედს, თუმცა ენგირანი ამას არ დაუშვებდა, ყველაფერს იღონებდა, ათი, ოცი, თუნდაც ოცდაათი ღამე გაძლო, ამის შემდეგ უკვე უსაფრთხო ადგილას იქნებოდა... თანდათანობით მორთი ცურვა ერთადერთ გასართობად ექცა. „თუკი ოდესმე გავიქცევი... სწორედ ასე...“ — გაიფიქრებდა ხოლმე და მთაზე დაკიდებულ მონასტერს დაჟინებით გასცქეროდა, ის კი სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა და ჭაბუკიცი იძულებული ხდებოდა, მორისთვის ხელი გაეშვა.

...უკან დაბრუნება ბევრად უფრო დამლული ჩანდა. სანაპირო ალაგ-ალაგ გაუვალი ბარდებითა და წვეტიანი ქვებით დაფარულიყო, ამიტომ სიარულიც ჭირდა. მაგრამ მოგვიანებით ფეხის გულელები გაუთხემდა, მოძრაობებში კი სილაღე შეეპარა, ზუსტად ისეთი — საიდუმლო ორთაბრძოლათა ილეთების დამუშავებისას რომ განიცდიდა. ამ ჭიდაობას მხოლოდ განდევილ-ქურუმებს ასწავლიდნენ მტაცებელთაგან თავდასაცავად და მალე ყმანვილმაც იმგვარი უნარი გამოავლინა, თვით მრავლისმნახველი მწვრთნელებიც გაოცდნენ...

„ეს გოლიათი სხეულს გარეულ კატასავით ფლობს“, — ჩაიბურღუნებდნენ ხოლმე განცვიფრებით და არც ცდებოდნენ, რადგან ჭაბუკს მართლაც ძალუძდა საათობით ცალ ფეხზე მდგარიყო, ხელის ერთი დაკვრით გადაემტვრია მსხვილი ტოტი, თითებით მოეხრო მომხვედური ავაზა... თანდათანობით მოძრაობები ისეთი სწრაფი გაუხდა, მის ორთაბრძოლათა მნახველებს ეჩვენებოდათ, არა ორი, არამედ რვა ხელით იბრძვისო. ყოველივეს თავნყარო კი მაინც მისი შინაგანი სამყარო გახლდათ, რადგან, შესაძლოა, სხვებსაც ჰქონდათ მსგავსი მონაცემები, მაგრამ სულიერი სიძლიერით, რომელსაც ასხივებდა, ბევრი ვერ დაიტრახებდა. მნახველთ უკვირდათ — როგორ უხვად დახარჯულიყო მასზე ბუნება: ძალა და სიბრძნე ერთ სულში, ერთ სხეულში! — ეს მართლაც რომ იშვიათი მოვლენა გახლდათ.

„...დიას, ამ ნიჭს მოფრთხილება უნდა“, იტყოდა ხოლმე იერარქიც. ნიაღში მთვლემარე გველი კი, ალბათ, ყველაზე მეტად თავად ჭაბუკს აწუხებდა. ამიტომაც ხეტიალობდა საათობით, რათა ფიზიკურ დალილობაში მაინც ჩაეკლა მოძალბებული სევდა. მაგრამ ღამლამობით, როცა სენაკის წინ წებოდა და ვარსკვლავებით მოჭედულ ცას გასცქეროდა, მის არსებას კვლავ ძველი ეჭვები ღრღნიდა: მაინც რატომ ვერ მოახერხა საბოლოოდ დაენვა კეთილ და ბოროტ საქმეთა თესლები? იქნებ მოძღვარმა ბოლომდე არ გაუმჟღავნა ღვთაებრივი ცეცხლის შენახვისა და ამოდინების საიდუმლო? ნეტა კიდევ რამდენ ხანს უნდა ეცადა, ვიდრე მასში უკანასკნელი სურვილიც ჩაკვდებოდა და ხელთდასმულად აკურთხებდნენ? — ამგვარი კითხვები ეძალბოდა ღია ცის ქვეშ მწოლს და თვალის უნებლიეთ კვლავ იმ წიგნთსაცავისკენ გაურბოდა, რომელსაც ერთგულად დარაჯობდნენ...

მამათა სავანეში კი ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა. ქურუმთა ცხოვრებაც ციურ მნათობთა მოძრაობასავით მკაცრად განსაზღვრული და ერთფეროვანი იყო. ალბათ, არც არაფერი შეიცვლებოდა, რომ არა ის ფათერაკი, რომელიც სწორედ მაშინ შეემთხვა, როცა ჩვეულებრივ დიდხანს მიუყვებოდა გველივით დაკლაკნილ მდინარეს. მალე მონასტერსაც საკმაო მანძილზე გასცდა და მიდამოც აღარ ეცნო. ცხელოდა, წყალში ყოფნას ნამდვილად არაფერი სჯობდა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა მეორე ნაპირზე ასულიყო, ის შორიდან დაუბურავი ჩანდა და უკან დაბრუნებაც უნდა გაადვილებოდა. ვარაუდი გაუმართლდა, სანაპირო ქვიშიანი გამოდგა, სავალადაც ადვილი. ეკალბარდებს მხოლოდ აქა-იქ თუ ჩაეხერგათ ვინრო ბილიკი, რომელსაც სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა. თანდათანობით მრავალწლიანი ხეთა ბუნებრივ სეივანშიც შევიდა. ახლა ყოველწლიად ცდილობდა ყურადღებით ყოფილიყო, რათა მოულოდნელად გამოჩენილ რომელიმე მტაცებელს კლანჭებში არ ჩავარდნოდა. მიუხედავად ამისა, გარს მოჯარულ აზრებს დროდადრო მაინც თავისი გაჰქონდათ, მამინ თავს ჰკიდებდა და იძულებული ხდებოდა მათთვის ყური მიეგდო. რატომაც ეჩვენებოდა, რომ ეს ჭყე ადრეც ენახა, თუმცა სად ან როდის, ვერაფრით გაეხსენებინა. ამგვარ გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა უეცრად მეტად ნაზი შეკვივებისა და სწრაფი ნაბიჯების ხმა მოესმა. ენგირანი შეკრთა... მაგრამ სულ მალე ნათელი გახდა, რომ მასზე თავდასხმას არავინ აპირებდა. ის არსება კი, რომელმაც უცნაური ხმა გამოსცა, თვითვე ჩანდა დაბნეული. ზურგით ერთ ხავსმოდებულ ხეს მიყრდნობოდა და ოდნავადაც არ ცდილობდა მკერდზე მიტმასნილი ხელებით ვარდისფერი კერტები დაეფარა. ქალს ჩამოშლილი თმა მოხდენილ მხრებზე სცემდა და მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეულ შოშთან ერთად სახეზე დაცინვა, სიბრაღული და ცნობისმოყვარეობაც გამოჰხატოდა. ჭაბუკს თავბრუ დაეხვა, უცნობი ზურგი აქცია და სცადა ელოცა, მაგრამ მყისვე მუხლები მოეკვითა, ჩაიჩოქა და ქვიშაში პირქვე ჩაემხო. ლტოლვილი კი ერთხანს გაუნძრვლად იდგა, ხოლო მერე იქვე, სანაპიროზე დაგდებულ კაბასთან მივიდა, აიღო და სწრაფადვე გაუჩინარდა...

მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, თუ როგორ შეცვალა განდევილის ცხოვრება, ვისაც კარგა ხანი დასჭირდა, ვიდრე გავარვარებულ სხეულს აითრევედა, გონს მოეგებოდა და მონასტრისკენ გასწევდა. ქალმა არ უნყოდა, რომ მალე ვაჟი, რომელიც ასე დაფრთხილ, საბოლოოდ გადაწყვეტდა შეძლებისდაგვარად მოეახლოვებინა იმ ჟამის დადგომა, როცა ღვთაებრივ ცეცხლს გაიტაცებდა და სამუდამოდ დატოვებდა მთაზე მერცხლის ბუდეცავით დაკიდებულ სავანეს.

თუმცაღა ჯერჯერობით კვლავ თავის ძონისფერ ფარდაზე იწვა და განუწყვეტილ ბუტბუტებდა აკვირებულ სიტყვებს: რა მოხდება ვარსკვლავმა ერთხელ მაინც შეიცვალოს ორბიტაო. ენგირანი ვერ ხვდებოდა, რომ ცაშიც მომხდარიყო გარკვეული ცვლილებანი, თითქოს ამჩნევდა და ვერც ამჩნევდა, რომ დედამინის მფარველ მნათობს ქათქათა ტანზე მენამული ლაქები გამოსახვოდა...

ახლოვდებოდა შემოდგომის დღელამსწორობა, ჟამი, როდესაც მზე, როგორც ეს ქურუმებს სჯეროდათ, სამხრეთის ქვეყანას უნდა სტუმრებოდა — ხორშაკ ქართა და სიკვდილის სამეფოს. ეს დღესასწაული ენგირანზე ყოველთვის აღმგზნებდა მოქმედებდა, განსაკუთრებით კი ახლა, როცა გადამფრენი ფრინველივით თვითონაც ამ მიმართულებით უნდა გაუჩინარებულიყო. ნეტა რას ნიშნავდა ამგვარი გაქრობა, ნუთუ დროებით სიკვდილს, ახალი სიცოცხლის წინამორბედს? იქნებ მზესავით და ჩიტებივით ისიც ოდესმე უნდა დაბრუნებოდა სიცოცხლის სამეფოს გაზაფხულის ბუნიობაზე? მაგრამ ადამიანთა ცხოვრება ბევრად უფრო რთული ჩანდა, ბურუსით მოცული, და თუკი რაიმე სქემას ემორჩილებოდა, მისი არსი ბოლომდე მხოლოდ შემოქმედს უნდა სცოდნოდა, მოკვდავნი კი რატომღაც ბედისწერას აბრალებდნენ იმას, რაც მომავალში თავს უნდა გადახდებოდათ, უმეტესობას არც ესმოდა, რომ შექმლო გვირგვინი, თუკი მისი მიზანი უფლის ნებას დაემთხვეოდა, მაგრამ ყოველთვის ეთანხმებოდა კი კაცის სურვილები უფლის ჩანაფიქრს? ან რას ნიშნავდა შინაგანი უფლება, მხოლოდ საკუთარ თავთან თანხმობას თუ გარე სამყაროსთანაც? იქნებ ერთსაც და მეორესაც, თუმცა კუნძულებზე მჯდომის აზრით, მოსახდენი მაინც მოხდებოდა, ოღონდ როგორ, ეს ჯერ არ იცოდა...

მონასტერს კვლავინდებურად სამი უერთგულესი ქურუმი დარაჯობდა და იერარქიც მათ შესაცვლელად ყოველთვის შუადღეზე ამოდიოდა. მაშინ მათი თვალებიც ერთმანეთს ხვდებოდა. „ნუთუ ვერაფერს გრძნობ...“ — ფიქრობდა ჭაბუკი, მოხუცს კი უკვირდა, რომ მდინარეზე საბანაოდ თითქმის აღარც ჩადიოდა. ახლა მას ხშირად ნახვლობდნენ გადაჭრილ ხესთან — მდუმარესა და ჩაფიქრებულს. კარგ ამინდში აქედან ოქროსფერი მთის თავზე მოქცეული ქათქათა მწვერვალებიც ჩანდა და ენგირანიც მათ დროდადრო ნაღვლიანად გასცქეროდა. რა საიდუმლოს ინახავდნენ ეს მყინვარები? ისევე როგორც ადამიანის გულიდან ოთხი მთავარი ძარღვი, მათგანაც ამდენივე მდინარე გამოდიოდა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებისკენ მიმართული. არსებობდა მეხუთეც, უხილავი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელიც ზეცასა და ქვეყნიერებას აერთიანებდა. ღმერთთან კაცის შემრიგებელი მართალ ნინასწარმეტყველთა სიბრძნე გახლდათ, იმ განდევილთა, ოდითგანვე წმინდა მთაზე რომ ბინადრობდნენ. საკმარისი იყო ეს მეხუთე ძარღვი განყვეტილიყო, გულიც უმალ გაუჩერდებოდა...

ენგირანმა ეს იცოდა, ამიტომ ახლა, როცა საბოლოოდ გადწყვეტიდა აქაურობას გაშორებოდა, შორეულ ქათქათა გოლიათებს ნაღვლიანად გასცქეროდა...

გარდატეხა ყოველთვის მოულოდნელად ხდება, ამიტომ ვერც ვხვდებით, რომ ჩვენვე ვამზადებთ — გაუთავებელი ფუსფუსით, ფიქრებითა და ქმედებებით. არიან ხილვები წინასწარმეტყველურნი და უბადრუკნი, საქმენი — მცირენი და დიდნი, კაცნი — სულელნი და ბრძენნი, მაგრამ რაც უნდა უსუსური იყოს ადამიანი, თავის ბედს შინაგანად მაინც მომზადებული ხვდება, რამეთუ ღმერთი ისეთ ტვირთს არასოდეს აგვიდებს, რისი ტარებაც არ ძალგვიძს. მეტიც, რაც ოდესმე მომხდარა ცისქვეშეთში, ღვთის ნებით მომხდარა ან დაშვებით. ასე იყო ოდესღაც და ასე იქნება მუდამ. ხოლო თუკი მაინც ვტირთი და ვმარცხდებით, გავრბივართ და ვშფოთავთ, ვიბრძვით და ვეცემით, ეს უბრალოდ იმის ნიშანია, რომ ვარსებობთ, სხვაგვარად ჩვენს სიცოცხლეს ალბათ გამართლებაც არ ექნებოდა.

მაგრამ ხანდახან ცხოვრებაში დგება ისეთი წუთებიც, როცა ცხადსა და სიზმარს შორის განსხვავება იშლება და მაშინ ვხვდებით — რომ ზმანებანი წარგვმართავენ, ისინი უბრალოდ ჩვენი წარსულისა და აწმყოს შემადგენელი ნაწილები ხდებიან და განსაცვიფრებელი ძალით ცოცხლდებიან მომა-

ვალში, იმ მარადიულ ხვალეში, საითკენაც მივცურავთ... ამ დროს ადამიანი იღვიძებს და გრძნობს, რომ არავითარი განსხვავება არ ყოფილა შინაგანსა და გარეგანს, არსებულსა და არარსებულს შორის, რადგან რაც არის — შეიძლება აღარც იყოს, ხოლო ოდესღაც მომხდარი უკვალოდ არ დაკარგულა...

ამგვარად გამოფხიზლებული კაცი რაღაცით აფრიალებილ ხომალდსაც ჰგავს, შორეული მგზავრობისთვის გამზადებულს, დგას და ელის, ამიტომ საკმარისია ქარი ამოვარდეს, ისიც დაიძვრება. მაგრამ ნუთუ ზურგქარი ყოველთვის სასიკეთოდ უბერავს?

გალავნის კარიბჭიდან სასიკვდილოდ განწირული კაცის ღრიალი რომ შემოესმა, თავისი სენაკის წინ ბოლთას სცემდა და ამაოდ ცდილობდა წინა ღამით ნანახი სიზმრის გახსენებას. „ჯიქი!“ — ყვიროდა ვიღაც და მშველელს უხმობდა, მტაცებელთა გამოჩენა მონასტერში არავის უკვირდა, ყაჩაღების გაუთავებელმა თარეშმა და ეპიდემიებმა ქვეყანა გააუდაბურა. ნასოფლარებში მგლები დაძრწოდნენ, ჯაგნარებში კი — ვეფხვები და ჯიქები. ღრიალმა ენგირანი ფიქრიდან გამოარკვია. ახლა თვალწინ უნებლიეთ მტაცებელთან მოსალოდნელი ორთაბრძოლა დაუდგა და საკუთარმა სიძლიერემ სიამაყითაც აავსო. თუმცა მონასტერს რომ გაუსწორდა, თანდათანობით გონებაში სხვა აზრიც გაუკრთა: წიგნთსაცავის კარი ღია იყო, ხოლო მცველი, მის მსგავსად, განსაცდელში ჩავარდნილთა მისახმარებლად გარბოდა. „იქნებ...“ — გაუელვა მაშინ, მაგრამ ფიქრის დასრულება ველარც მოასწრო, რადგან სულ მალე თვალწინ შემზარავი სურათი გადაეშალა. კენტად დარჩენილი დარაჯი სისხლში ცურავდა და თითს დასავლეთისკენ იშვერდა, სადაც, როგორც ჩანს, მტაცებელი გაუჩინარებულიყო. მოსულებიც ამ მიმართულებით გაემართნენ. გაცაცებული ბერი, რომელსაც პირით მიათრევდნენ, სარწყავ ღარზე წითელ კვალს ტოვებდა და ენგირანსაც გულ-მუცელი აემღვრა. სისხლის დანახვა ყოველთვის თავგზას ურევდა, ახლაც, წინმავლის კეფას რომ შესცქეროდა, ნათლად წარმოუდგა, როგორ აიღებდა წანვეტილებულ ლოდს და... თანამგზავრს თავში ჩაარტყამდა. დიას, ეს იყო სრულიად მოულოდნელი და სასტიკი ხილვა, რომელიც რამდენჯერმე განუმეორდა...

„იქნებ სჯობს ფეხი დაუცდეს და გადაიჩეხოს, მაშინ ცოდვის ჩადენისგან მიხსნის...“ — ფიქრობდა ახლა და ტუჩებს აცმაცუნებდა. კვალმა კი ამასობაში ტერასის კიდისკენ ჩაუხვია. იქ, უძველესი გალავნის ნანგრევებთან სისხლის დიდი გუბე იდგა, რაც იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ მტაცებელი სადღაც ახლომახლო იმყოფებოდა. წიგნთსაცავის მცველმა კედელს ხელი ჩაავლო და გადაიხედა, წინ უძირო უფსკრული გადაშლილიყო...

„მივხვდი!“ — გაუელვა ქანდაკებასავით გაშეშებულ ჭაბუკს. დიას, იმ ავ ზმანებაშიც კიდესთან მყოფი კაცის ზურგს უკან იდგა და ხელში ქვა ეჭირა, თუმცა ამჯერად განძრევაც შეუძლებელი ჩანდა, რადგან მუხლები ეკვეთებოდა და დაძაბულობისგან ოფლიც ასხამდა.

„რა მოხდება სიზმარი ამხდეს?“ — გაიფიქრა და იქვე დაგდებული ლოდი სწრაფად აიტაცა. დარაჯი უეცრად შეკრთა, მერე შემოტრიალდა და ისინიც ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ...

ეს გახლდათ უცნაური წამი. მსხვერპლი „მკვლელს“ გაცივებით მისჩერებოდა. „რატომ?“ — კითხულობდნენ მისი თვალები. ხოლო ენგირანი საკუთარ თავს ებრძოდა. თავდაპირველად ხელი, რომელშიც ლოდი ეჭირა, მრისხანედ აღიმართა, თუმცა შემდეგ მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დაეშვა. ქურუმის დანაოჭებულ სახესაც შვეების ღრუბელმა გადაუარა, გალიმბაც სცადა და სწორედ მაშინ, როდესაც მოკუმული ტუჩები ერთერთს შორდებოდნენ, იქვე, გვერდით, სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით, ჯიქის ზოლიანმა ზურგმაც გაიელვა...

აბაოსი ოქროსფერი მთის სამხრეთ ფერდობისკენ ჯერ კიდევ ბუნიობის დღესასწაულამდე ოციოდე დღით ადრე გაემართა. კრავი, რომელიც მან შეარჩია, მისივე ხელით იყო გამოზრდილი. ერთი წელი გასულიყო, რაც უდებოდ დარჩენილი ხელში აიყვანა, ფარას რომ არ გადაეთელა. მას შემდეგ საწოვართი კვებავდა...

ტარიგს ადამიანით ქვეყანი თვალეები და ნაღვლიანი გამხედვა ჰქონდა. პატრონის გამოჩენისას სიხარულს ფაფუკი ზურგის გახახუნებით გამოხატავდა და თან ფეხქვეშაც ეგებოდა. აბაოსს უკვირდა სხვა კრავებში რომ არ ირეოდა და ხანდახან საკუთარ თავსაც კი ამსგავსებდა. მასაც ხომ მარტოობა უყვარდა...

ალბათ, ამიტომ თვალზე ცრემლიც მოადგა, როდესაც კისერზე შეისვა და წმიდა ადგილისკენ მიმავალ გზას გაუყენა. ბარში ჯერ ისევ ცხელოდა, თუმცა იმ დღით სამგზავროდ რომ განემზავდა, ჰაერში უკვე ადრინაი შემოდგომის სურნელიც ტრიალებდა. თანასოფლელები აღფრთოვანებით მისწერებოდნენ ოციოდე წლის ცისფერთვალეა ყმანვილს, რომელსაც გამორჩეულად სათნო გარეგნობის გამო ხშირად სამსხვერპლო რიტუალის შესრულებასაც კი ანდობდნენ. ბევრი ამხნევებდა, გზას ულოცავდა, გლეხები კი უბღვერდნენ...

აბაოსი ილიმობა, გასაცვილებლად გამოსულ ბაღებს საკუთარი ხელით გამოჩორკნილ თოჯინებს ჩუქნიდა, მოხუცებს — ტყაპუჭებს, სხვებს კი — კომბლებს... მთელი მისი არსებაც ერთთავად სიმშვიდეს ასხივებდა, მაგრამ მერე, ნაცნობი სახეები და ადგილები თვალს რომ მიეფარა, განშორების სევდასთან ერთად ყრუ ტკივილიც იგრძნო. რა ენახა ცხოვრებაში? რისი ვაკეთება მოესწრო? — ეს კითხვები ახლა ყველაზე მეტად ანუხებდა. მის ტოლებს უკვე საყვარლებიც ჰყავდათ, ხოლო მას კოცონთან ჯდომისა და მწყემსების სიმღერაზე დიდი ბედნიერება თუ არსებობდა, ვერც კი წარმოედგინა. უმანკოება, აი, რა თრგუნავდა... თუმცა ხეობა რომ დავინროვდა და ქათქათა მწვერვალებიც გამოჩნდა, თანდათანობით სიმსუბუქეც იგრძნო. დიახ, ქალს არ შეხებოდა, მაგრამ ნუთუ ეს რაიმეს ნიშნავდა? „ღმერთსაც ხომ უმანკო არსებებს სწირავენ, მოუწინიებლებს“ — გაუელვა უცებ და თვალწინ წოვ დაუდგა.

როგორც ჩანდა, იმ ბრძენმა ყველაფერი უწყოდა, ალბათ, სწორედ ამის გამო უფრთხოდნენ. „ადამიანებს სიბრძნის ყოველთვის ეწინიდათ, ასევე უმანკოებისაც...“

„...ჰო, აელიტა!“ — გააგრძელა განსჯა და უნებლიეთ თავის შიშველ ფეხებს დახედა. „შენ ისევ ბაღად დარჩიო“, — მოაგონდა ქალის სიტყვებიც... მართლაც, მასში იყო რაღაც ისეთი, რაც მნახველებში კრძალვასთან ერთად ღიმილსაც აღძრავდა. გოგონები გამორჩეულად ეტრფოდნენ, თანატოლები კი დასცინოდნენ, განსაკუთრებით იმ გრძელთმიანი და ამაყი ასულის გამო, ვის გამოჩენაზეც უმაღლესი ნიჭი უდებოდა. ასე იყო ბავშვობაშიც. მაშინ ამ ოხუნჯობებისთვის ერთმანეთი მოიძულეს, მაგრამ მერე ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა.

— მიყვარხარ! — უთხრა ერთხელ სავესემთვარეობის დღესასწაულზე, — მიყვარხარ და ჩემთვის სულერთია, რას იფიქრებს თემი.

ჭაბუკი შეკრთა, ხოლო როცა თვალეებამღვრეულ აელიტას შეაკცქერდა, მიხვდა — რა ძალაც ბორკავდა...

ის იმ წუთისაკენ ღმერთზე ფიქრობდა. „უკანონოდ შეუღლებას უფალი არ გვაპატიებსო“, — ასეც მიუგო. ქალი კი იღიმოდა. რას განიცდიდა, ძნელი სათქმელია, ოღონდ როდესაც ხელისკვრით მოიშორა და ფერდზე დაეშვა, მყის ზარის რეკვასავით ჩაესმა მისი სიტყვები: შენ ჩემზე მეტად ღმერთი გიყვარსო.

დიახ, აელიტაში იყო რაღაც საზარელი. თუმცა რა, ეს მაშინ არ უწყოდა, მაგრამ როცა ორიოდე კვირის შემდეგ მინისმოქმედ კანითზე დაინინდა, თვალის ახეხილა, იგი უკვე ნათლად გრძნობდა, რომ ამაყი ასული ღმერთს უფანყდებოდა.

„...მამ რატომ არ მაცალა, დაქორწინდებოდა ჩემი უფროსი ძმა და ჩვენც...“ — ფიქრობდა მწყემსი და დინჯად მიაბიჯებდა. ფართო მხრებზე განოლილ კრავს კი ცრემლი სცვიოდა. „უცნაურია“, — გაუელვა უცებ და ცას მიაჩერდა, ახლა მას ძლიერ სურდა ჰაერში მსხვილი და ვარსკვლავებით ლამაზი ფანტელები არეულიყო...

კანითი გიბონის სათავისკენ ბუნიობის დღესასწაულამდე ექვსიოდე დღით ადრე დაიძრა. მის სისხლით ნითელ ფაშატს ხორბლით სავსე ტომარა ეკიდა, თავად კი მხრებზე შავი ნაბადი მოესხა და უბეში საგვარეულო ხანჯალი ედო. ჯერ კიდევ მტკიცედ სწამდა: პაექრობაში აბაოსი დამარცხდებოდა და სხვებთან ერთად აელიტასაც დაუმტკიცებდა, რომ ღმერთი, რომელსაც მეჯოგენი ეთავყვანებოდნენ, მისი უმეცარი ნათესავით უფარვისი და არაფრის მაქნისი ხალხის გამოგონილი იყო. მაგრამ ლამამობით, როცა ცხენს ხეზე აბამდა და ამაოდ ცდილობდა თბილ ნაბადში გახვეულს თვალი მიეღწეოდა, მის არსებას შხამიანი ეჭვები ღრღნიდა. მგზავრს აღიზიანებდა აბაოსის სიმშვიდე. „უცნაურია, — ფიქრობდა ის, — თვით ცხვრებსაც კი უყვართ, ისე დასდევენ, თითქოს მათი მფარველი ღვთაება იყოს, ხოლო ჩემი — საკუთარ ცხენსაც ეწინია“.

სისხლისფერი ფაშატი მართლაც ნერვიულად ფრუტუნებდა, ისე ბორგავდა, კაცი იფიქრებდა: რომელიმე ბოროტი სულის სიახლოვეს გრძნობსო. კანითი წამოდგა, დამფრთხალ ცხოველს მიუახლოვდა და მიაღწერდა სცადა, მაგრამ ცხენმა კისერი მიბრუნა... მინისმოქმედს უნებლიეთ მისი ლამაზი ცოლი მოაგონდა, ისიც ზუსტად ასევე ატრიალებდა თავს, როდესაც მოფერებას უპირებდა. უეცრად სიბრახისგან მუხლები აუთრთოლდა, ქამრიდან მათრახი ამოიღო და მთელი ძალით გადაუჭირა. ცხენი აჭიხინდა, ახლა ის სულ ამაოდ ეძებდა მშველელს, ლამის ნისლისა და კუშტი პატრონის სიახლოვისაგან რომ იხსნიდა. ხოლო კაცი, რომელმაც ესოდენი ტკივილი მიაყენა, იქვე ჩამუხლულიყო და შუბლით ხის გრილ მერქანს მიყრდნობოდა. იგი თავად იყო ცხოველზე უბედური, რადგან ტკიოდა და არ ყვიროდა, ეტირებოდა და ვერ ტიროდა... ეს განხლდათ ადამიანი, ვისი სახელიც მალე ელვისუსწრავესად მოედებოდა ქვეყნიერებას, ოღონდაც მანამდე ჯერ კიდევ უნდა გასულიყო ექვსიოდე დღე — სავსე მარტოობით...

როდესაც მართლამა იომ მოახლოებულთ თვალი შეავლო, მყისვე მიხვდა, რომ უნდა განმეორებულიყო ის უძველესი ცოდვა, რომელიც ოდესღაც ადამის უფროსმა ძემ ჩაიდინა. კეთილი და ბოროტი, ცნობადის ხე, ვინ იცის, რამდენ თაობას ეგემა მისი ნაყოფი, რათა თვითონაც ორი რტო გამოელო, მაგრამ ვაი მათ, რამეთუ ბოროტმა დაჩრდილა კეთილი, კაცისმკვლელებმა — სათნო, ხოლო ცრუმ — მართალი...

„თუმცა დროებით, თუმცა მხოლოდ აქ...“ — ფიქრობდა ახლა და გაოცებას გადაჩვეული თვალეებით სივრცეს გასცქეროდა. მოსულთ კი განჩინების მოლოდინში თავები დაეხარათ, მაგრამ მოხუცი მათ არც უყურებდა. ახლა მთელი მისი არსება უძრავ მორჩილებას გამოხატავდა. ქუთუთოები მაშინაც არ შერხებია, მის წინაშე რომ აღიმართნენ, არც მოგვიანებით, როცა გიბონის სათავზე გაავზავნა. მხოლოდ იმ წამს შეიჭმუნა, როდესაც ხორბლის მარცვლებს ნაბდოსნის მოჭანილი წყლით ამწყალობებდა, ის საოცრად მღვრიე და უსუფთაო იყო... შავმოსასხამიანი კი იდგა და თვალეებს დაბნეულად აცეცებდა. მას არ შეეძლო შეენიშნა, რომ ჭურჭელი, რომელიც ფეხშიმველა მწყემსს ეპყრა, წყაროსავით ანკარა წყლით იყო სავსე.

მალე განზანდილ კრავს ხის ძელზე ჩამოჰკიდებდნენ, ხოლო მანამდე შორიახლოს ორი კოცონი უნდა დაენთოთ...

— ვის სახელზე სწირავ მსხვერპლს? — იკითხა მოხუცმა.

— უსამართლოდ დაჩაგრულთა, — უპასუხა კანითმა.

- რომელ ღმერთს სწირავ?
- ჩვენი წინაპრების.
- წინასწარმეტყველი ახლა მწყემსს მიუბრუნდა, რომელიც მორჩილად გასცქეროდა საავდროდ მოღრუბლულ ცას.
- ვის სახელზე სწირავ მსხვერპლს? — გაუმეორა პირქუშად.
- ყველა ცოდვილისა.
- რომელ ღმერთს სწირავ?
- უფლის ძეს...

მოხუცი გაუნძრევლად იჯდა და თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა სამსხვერპლო კოცონებს, რომელთა კვამლსაც სულ მალე უნდა გაემულავნებინა უცნობთა გულების საიდუმლო...

აბაოსის მზერაშიც სიმშვიდე ჩაბუდებულიყო. ის ჩუმი სიხარულით გასცქეროდა სივრცეს, სადაც წარმოუდგენელი სილამაზის ფანტელები ციმციმებდნენ. პირველი ფიფქი ხელზე ხომ სწორედ მაშინ დაეცა, ცეცხლს რომ ანთებდა. მისთვის უკვე სულერთი იყო: ვინ გაიმარჯვებდა, ვის მიემხრობოდა მოხუცი და რას მოიმოქმედებდა ნათესავი, რამეთუ ზუსტად ისეთი ალტყინება დაუფლებოდა, როგორც ადრე — ბავშვობაში. მან მართალია შენიშნა, მახლობელი კოცონიდან ადენილი კვამლი გველივით მიწაზე რომ გასრიალდა, მაგრამ არ შეეძლო გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ეგრძნო, რადგან ამჯერად უფრო დიდ და ყოვლისმომცველ ალტაცებას განიცდიდა. თავდავინწყებდნენ წამით მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა კანითმა უბიდან მამისეული ხანჯალი ამოიღო და სახე-შეშლილი მისკენ გამოემართა. მწყემსს არ უყვირია, არც გაქცეულა, ოღონდ როდესაც იკეცებოდა, სახეზე გაოცებასთან ერთად სუსტი ღიმილიც გამოეხატა... ის ახლა იმ ქალის თვალების წარმოდგენას ცდილობდა, რომელიც საძოვარზე მიმავალს მალულად აცილებდა. მინისმოქმედი კი გარბოდა და თან წარამარა უკან იხედებოდა. მან ჯერ არ იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ყოველი მპოვნელი მოკვლას დაუპირებდა, არ უწყობდა, რომ შვილებს ანდერძად უტოვებდა ქურუმთა წყევლასა და იმ შიშს, რომელსაც ახლა განიცდიდა. გიხონის სათავესთან კი თოვდა, თოვდა გადაუღებლად და საოცრად ლამაზი ფანტელები გულადმა მწოლ, თვალლიად დარჩენილ ჭაბუკს ვარსკვლავებივით ეცემოდა...

როცა საღამომხანს ერთგულმა მსახურმა აუწყა: სასახლეში იერარქი და პირველი მრჩეველი მოვიდნენო, რატომღაც ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო და ის დღე მოაგონდა, ტყეში გზა რომ დაებნა. მართლაც, მას შემდეგ მრავალი წელი გასულიყო, თუმცა ძონისფერ მოსასხამს რომ იცვამდა, თვალწინ ნათლად დაუდგა ჩანჩქერი, სადაც ქალი პირველად იხილა. მაშინ იგი ნადირობის ქალღმერთივით ამაყად იდგა და თავის ფაშატს არწყელებდა. გრძელი თმა მხრებზე სცემდა, წამწამებში კი წყლის წვეთები უკიაფებდა.

სადღა იყო ტახტი, ვის გამოც ამდენი იარა, ან თანმხლები მონადირენი? ეს არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რადგან ქალი უხორცოს ჰგავდა. იდგა და თმას იწნავდა. ხოლო როცა პატარა ნაწნავი შეიკვცა და გაოგნებულ ჭაბუკს გადასცა, სუნთქვაც შეეკრა...

მეფე ახლაც მძიმედ ხვნეშოდა, ნუთუ რაიმე ისეთი მომხდარიყო, რაც მათ ძველ ურთიერთობას შეეხებოდა?

„შეუძლებელია, ჩვენს შორის ხომ ყველაფერი დასრულდა,“ — უკვირდა და რატომღაც სწორედ ისეთ სა-

სონარკვეთას განიცდიდა, როგორსაც მაშინ, მშვენიერი უცნობი თვალსადახელსშუა რომ გაუქრა.

მას შემდეგ ყოველი გაზაფხულის პირველ დღეს იმ ჩანჩქერთან მიდიოდა, მაგრამ ქალი არსად ჩანდა. მხოლოდ მესამე წელს დახვდა იქ შავი ცხენი, საოცრად მეტყველი თვალები რომ ჰქონდა... „თითქოს სურდა რაღაც ეამბნა, ალბათ ამიტომაც ავედევენ,“ — ფიქრობდა მეფე და იგონებდა, როგორ მოხვდა ტყის პირას თეთრ სახლთან, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა. მან ჯერ არ უწყობდა, რომ იმ დღეს მოხუცი განდეგილის დაქვრივებულ ასულს ტიტანთა წესისამებრ ახალი ქმარი უნდა შეერჩია. ამის გამო გაოცდა კიდეც, როცა იქ მყოფ ჭაბუკთა თვალებში შური ამოიკითხა. გაუნძრევლად იდგა და მონუსხულივით მისჩერებოდა ქალღმერთს, რომელიც მალე თავზე დაფინს გვირგვინს დაადგამდა, ხელკავს გამოსდებდა და ტყეში წაიყვანდა...

ნუთუ კვლავ ეს ძველი ამბავი უნდა გაეხსენებინათ? იერარქი ხომ ტყუილურალოდ არ ესტუმრებოდა? ან იქნებ იმ ოქროსთმიან ბაღს შეემთხვა რაიმე, მონასტერში რომ გადამალდეს?

„ვინ იცის,“ ფიქრობდა მეფე და ძონისფერ მოსასხამს იცვამდა. ის ძვირფასი ნაწნავი კი ახლაც მარცხენა უბეში ეღო...

კანითის წასვლიდან ათი დღეც არ იქნებოდა გასული, შუაღამოს მთვლემარე აელიტას ძაღლების გაგულისებული ყეფა რომ შემოესმა. უნებლიეთ წამომხტარი დამფრთხალი ბაღლები კვლავ ლოგინებში დააბრუნა, თვითონ კი კარის გასაღებად გაემართა, რომელზეც ახლა ვიღაც გაბმულად აბრა-ხუნებდა. ხოლო როცა იმ კაცს ჩახედა თვალებში, ვისაც ფიქრში მუდამ თავისი შვილების მამას უწოდებდა და არა — ქმარს, მიხვდა, რომ რაღაც მომხდარიყო. კანითი ქშინავდა, მის ზურგსუკან კი მასავით შეიარაღებული ხუთიოდე ნაბღოსანი იდგა.

— მოხდა რამე? — ჰკითხა მკაცრად, მაგრამ უეცრად შეკრთა...

— მაგეების დრო არაა, — ამბობდა მოსული, — მოკიდე ხელი ბავშვებს და ჩემს დედისძმასთან გადამალე.

— კი მაგრამ მე? როდემდე დავრჩე შენს ბიძასთან? ხომ არ ჯობია კვლავ უკან დავბრუნდე?

— არა, — უპასუხა კაცმა.

— მამ სად წავიდე?


კანითი ერთხანს დუმდა, თითქოს საკუთარ თავსაც იმავე კითხვას უსვამდა. შემდეგ კი ცოლს ცივად შეხედა და კბილებში გამოსცრა:

— ეშმაკებთან.

...მოგვიანებით, როცა ბავშვებთან ერთად ეტლით იქაურობას ტოვებდა, უნებლიეთ შენიშნა, როგორ ააღდა მეჯოგეთა უბანში ერთ-ერთი სახლი, მალე მას კიდევ ხუთი, შემდეგ კი ცხრაც მიემატა.

„ღმერთო, ნუთუ ესეც ჩემს გამო მოიმოქმედა?“ — ფიქრობდა ძილგატეხილი ქალი და თვალმოხუჭული გასცქეროდა აღმოჩენილი ბინებიდან გამოცვენილ ხალხს, რომელიც იმ ღამეს თავიანთ გაბოროტებულ მეზობელთა მახვილებზე უნდა ნამოგებულიყო...

— თუკი ხუთი დღის წინ გაიქცა, ასე დაგვიანებით რად მაუწყებთ, — ამბობდა ბაალი და მოსაუბრეებს გამომცდელად შეჰყურებდა. ხანდახან



ერვენებოდა, რომ შაოსანი სტყუოდა. ეს ეჭვი პირველად მაშინ გაუჩნდა, როცა მოახსენეს: ენგირანის დედამ ყაჩაღთა დარბევის შემდეგ თავი მდინარეში დაიხრჩო. თუმცა მას მერე დიდი დრო გასულიყო, ახლაც ახსოვდა როგორ გაეჩხირა ყელში მახრჩობელა ბურთი. ერთადერთი, რაც სურდა — მრჩევლის მოხრჩობა იყო, მაგრამ მაშინ იერარქის იქ ყოფნამ იხსნა, ის ამჯერადაც მის ზურგსუკან იმალებოდა და ბაალსაც არაფერი დარჩენოდა, მშვიდად ჯდომისა და მოსმენის გარდა.

— საქმე ისაა, — ამბობდა მოძღვარი, — რომ თავდაპირველად უფსკრულში გადაჩეხილად ვთვლიდით. ყოველგვარი სამუშაოც შევწყვიტეთ, რათა მკვდარი ან ცოცხალი მაინც გვეპოვნა. მაგრამ ძებნამ შედეგი რომ არ გამოიღო, თავში ეჭვმა გამკრა და მივხვდი: მისი კვალი სულ სხვაგან, ხელდასხმულთა ნიგნოსაცავში უნდა გვეძია. თქვენი ძე იქ შეშვებას რახანია იმსახურებდა, თუმცა თხოვნით არასოდეს მოუმართავს, მაგრამ ვგრძნობდი — გულით ნატრობდა... ერთადერთი, რაც მატრკოლებდა, მისი წარმომავლობა იყო. მართლაც, ისტორიას არც ახსოვს ტიტანი ხელდასხმულად გვეკუთვნოს. დიახ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მიუხედავად ნიჭიერებისა, არ შეიძლება სრულყოფილ ცოდნაში განდობილად გვეცნო, რამეთუ, ჩვენი აზრით, შორიელთა ბუნებაში სიამაყის ჩაკვლა თვით უმაღლეს სიბრძნესაც არ ძალუძს. ხოლო ამაყი ადამიანი შეუძლებელია გახდეს ღვთის რჩეული. ამრიგად, ერთადერთი, რაც თქვენს ძეს რჩებოდა, სიბრძნის გატაცება იყო და, ჩემი ღრმა რწმენით, მან ეს უკვე მოიმოქმედა...

— რისი თქმა გსურთ? — იკითხა მეფემ.
— საცავში აღარაა ნიგნი, რომელიც ღვთაებრივი ცეცხლის ამოდინებას ეხება, — თქვა იერარქმა და ხმაში ბზარი გაუჩნდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა. მეფე გულის სიღრმეშიდან ამოსულ ეჭვებს თრგუნავდა. არ შეეძლო დაეჯერებინა, რომ იერარქი ცრუობდა, თუმცა მისი ნაამბობი ცოტა არ იყოს უცნაურადაც ერვენებოდა: რაღაც მშენებლობა, ვილაც ლტოლვილები, შემდეგ კი ის ჯიქი, შეჭმული და გადარჩენილი ბერები, ხოლო ბოლოს — დაშავებულიც, რომელსაც უკანასკნელად ენახა...

მაგრამ ვის რად სჭირდებოდა მისი მკვლელობა? იგი ხომ სასულიერო ნოდების გამო საერო ძალაუფლებას ველარასოდეს ნაეპოტინებოდა. „იქნებ მართლაც ცოცხალია,“ — გაუელვა უცებ თავში და შენიშნა, რომ თანდათანობით სიმშვიდე იპყრობდა. მერე კი, როგორც იყო, ძალაც მოიკრიბა და იერარქს ჰკითხა:

— კი მაგრამ, რას მოუტანს ჩემს ძეს ის ნიგნი, თუკი მართლაც ცოცხალია?


მოძღვარს სახე გაუქვავდა. იგი ახლა სივრცეს ისე გასცქეროდა, კაცი იფიქრებდა, საკუთარ თავს ებრძვისო.

— უნდა ვივარაუდოთ, — თქვა ბოლოს, — რომ მის სრულ გაშიფვრას ვერც შეძლებს, გარდა ამისა, იმ სიბრძნის დაუფლებამდე საჭირო იყო გასცნობოდა კიდევ ორ თეოლოგიურ წერილს, რომლებიც ახლაც ხელუხლებლად დევს ჩვენს ნიგნოსაცავში. მაგრამ მე ყოველთვის მაშფოთებდა მისი ნიჭიერება, ამიტომ არ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა: რომ მის გაშიფვრას ვერ მოახერხებს. უბრალოდ, მწამს: რაც ღმერთს სურს, ის მოხდება.

დარბაზში კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ისევ მეფემ დაარღვია:

— კი მაგრამ, თუკი მაინც გაშიფრა?
— მაშინ მას ქვეყნიერებაზე განუსაზღვრელი ძალაუფლება მიენიჭება.

— ჰმ, ძალაუფლება, რა არის ძალაუფლება? — იკითხა მაშინ პირველმა მრჩეველმა და სარკმელთან მივიდა. ახლა სახეზე შეშფოთება გამოხატვოდა. ბაღში კი ძლიერი ქარი ქროდა და ხეებიც კუმტი გოლიათებივით ირხეოდნენ. ხოლო იქ, მორკალულ კვიპაროსთა თავზე, ალისფერი ვარსკვლავი იდუმალად ციალებდა...



ვანო ჩხიკვაძე
**ნიგნიდან:
„2014“**

4 იანვარი

ილია მეორეს

ესეც ოთხმოცი და კიდევ ერთი — რომ მომკა უთუოდ უნდა თესო, — წინ გვიძევს დღეები უკეთესი! — უფალმა ინებოს, უწმინდესო!

ერი ცხოვარებით მოგენდობათ — ეს დღე ხომ სჯობია უწინდელსო, ქვეყნის ბედიოთა და უბედობით ძალიან დაღლილო უწმინდესო.

ყოველმხრივ ავსული გვეძალება, თუკი ხარ მახვილიც უნდა ლესო. თქვენს ფერხთით მდაბლდება მწვერვალები, ზეცა ახლოვდება, უწმინდესო!

ნიგნების მოგზაურობა

ზოგი ყოჩაღად, ზოგიც წვალებით, მოდიან უხმოდ და მოკრძალებით, კეთილშობილი მანანალები, ადევნებული მრევლით ფანების.

ფეხი აუდგამთ ნატანჯ პოეტებს, ვისი სიცოცხლაც ბენჯზე ეკიდა, პილიგრიმები ბიბლიოთეკის, და საოჯახო თაროებიდან,

მოდიან, სანდო თვალი სწყურიათ — კაცი კითხვაში გამონაჯეგვი. ზოგი თუ ძველი მოგზაურია, ზოგიც ნორჩია, ანუ დამწყები.

ყველას თავისი გზა და ბედი აქვს, ფიქრიდან ფიქრში, ხელიდან ხელში, გადადიან და ლოცვით შედიან გულებში, როგორც საკურთხეველში.

ესეც ომია, ბევრი მოკვდება, ფურცლებს დაფარავს შრიალი ქვიშის.

მაინც იბრძვიან, რომ ბოროტება
არ გაიფურჩქნოს უმეცარ ტვინში.

თუმცა ბევრს აღარ ტანჯავს წყურვილი
და არც ალალი ცრემლი ციმციმებს,
თუმცა სიყვარულის ჭა სიძულვილის
ამოუვსია ლოდთა სიმძიმეს.

სადაც მძარცველი დრამა ცვლის დრამას,
მუცლითმეზღაპრე, გულბოროტ მჩხიბავს,
მხოლოდ სიყალბის წვეთები ნამავს
ვირტუალური მეხოტბის ნილაბს.

მაინც სიმართლით „აღემართენით,“
და მოთმინებით აღიჭურვენით —
არ შეიძლება გული და ხელი
არ იყოს სადმე თქვენზე მზრუნველი.

იმედი ისევ დაიბადება,
ნიგნით, რომელიც დაგვექონდა უბით —
მზეს აფარებულ ბნელის პირბადეს
მაინც ჩამოხვეს იდალგოს შუბი.

ზოგი ყოჩაღად,
ზოგიც წვალებით,
მოდიან უხმოდ და მოკრძალებით...

* * *

გავწყვიტე ბორკილი.
ბორკილი დავიდე.
გადაწყდა, იმ ქვეყნად
ბორკილით წავიდე.

ვის ახსოვს მარაბდა,
ასპინძა, დიდგორი.
შეხედე,
შეცვალა,
ამ ღორმა ის ღორი.

წამხდარი ვნახე და
ვერ ვნახე მომკილი.
გადაწყდა, იმ ქვეყნად
წავიდე ბორკილით.

ღვთისმშობლის სატთან

ოცდამეერთეც გავა,
დრო ისე სწრაფად გადის.
აღარ მთავრდება დავა —
ბანდა იცვლება ბანდით.

კვლავ ველოდები ავდარს,
ვით უჭერო სახლს, მანვიმს.
ისევ მირონში ცურავს
დედა ღვთისმშობლის ღანვი.

რა დამრჩენია,
უნდა
ქოში უკულმა ვყარო.
უბეში აღარ გალობ
თავისუფლების ქარო.

ალარც იმისი მჯერა
ვინც ჩემს საშველად მორბის.
ვილაც ხელახლა კვერავს
ჩემი მონობის ბორკილს.

რა გემართება, გკითხე,
ფესვები გამიხმაო,
შინაურიც რომ პირს ტეხს,
ვერ მოგანვდინეთ ხმაო...

ეჰ, შენირულო ქრისტევე,
ეჰ, გულუბრყვილო ყრმაო!

* * *

შვილები თბილისში,
პირისპირ — მე და შენ.
წურავს შემოდგომა
სიბერის ზედაშეს.

დაგროვდა ქილები,
ბოთლები, ვალები.
შინიდან მაცილებ
გაბუტულ თვალებით.

უცოდველ სტრიქონებს
ვუძახი — მომკალით!
კვლავ წვეთავს ღამეში
მოშლილი ონკანი.

კართან მათხოვრები,
ფანჯრებთან ნისლები.
ჩვენ ვართ სასამისები —
თანდათან ვიცლებით.

ილბალზე გამწყრალი,
ბებრები, ავები,
მოფრინდნენ, ჩამოსხდნენ,
ნაცნობი ყვავები.

ის დრო გვენატრება —
წლების წინ, შვილები,
შუაში რომ გვინვენენ
უმნეო, ჩვილები.

სიზმრებმა აგიკლეს
და ელდა გაღვიძებს.
უპესთან ცრემლების
მდუღარე ჩაგირბენს.

ყურმილი. ზუმერი
ჯავრს მიაჩაქჩაქებს:
„სინათლე გამორთეთ,
ან გაზი არ დაგრჩეთ!“

დილამდე იწვიმა,
იზავთა, იქროლა —
ქუჩაში წუწუნით
ურიკა მიგორავს.

გაფრინდნენ ყვავები,
ჩამოდნენ ნისლები.
პარპალებს სანთელი —
გათენდა ღვთის ნებით.

დროს გავუბრაზდები,
ასე რად გარეკა,
და ფურცელს ყურივით
ავუნეე კალენდარს...

ნიგნებს ჩამოვართმევ
დაზურგულ ეტაჟერს.
შვილები — თბილისში,
პირისპირ — მე და შენ.

* * *

თვალს ვახელ. გეძებ და მერამდენედ
გადავლილ ღრუბლებში მელანდები.
მინდვრის აკვარელი მენატრება,
სხივებით — აპრილის ფერადებით.

ავცრემლდი, სიზმრებშიც დაგეძებდი,
ერთხელაც რატომ არ დამიყვავე.
სალამოს ჩრდილივით აგედევნე,
გეძახე — რატომ არ წამიყვანე.

იმედი ბინდივით მოლეულა,
შენ მაინც მოდი და დამამშვიდე,
ხსოვნაში ჩამტკბარო გოლეულო,
ვიდრე ამ თავფურცელს გადაშლიდე,

დახედე, ფოთლებზე ასვენია,
პატარა, უმანკო ნატერფლები,
უშენოს, მეტი რა დამრჩენია,
ამ ლექსით ძალღივით ავყეფდები.

პროტისტი

ის ხარ, ვინც ქართლის სანახებში
დასცა კარავი,
ვინაც ქართლოსის მოდგმა გამარგლა,
ვინც აგვიმხედრა
ყველა ბილნი მინის მპარავი,
ვინც მავთულხლართის
სერპანტინი შემოგვაქარგა.

დაუსრულებელ გვირაბებში
და უკუნეთში
შემიძეხი და
რა ვიცოდი რას მიპირებდი.
ვერ დავიბადე
მთლად ბედნიერ საუკუნეში —
რა დროშიც ვცხოვრობ,
იმ სპექტაკლის მერგო ბილეთი.

რაც მე მომკერძე,
ღვთის კარნახით,
ასე მგონია,
იგივე გექნება
მომავალში გადასატანი —
შენც ნაიქვევი,
როგორც ყველა მეტროპოლია,
შეგაბარბაცებს
შენივ სისხლით მთვრალი ვანდალი.

ყოჩაღ, მავსტრო,
გადმიქციე ლხინი ღრეობად,

შენს ჯილაგს სულით ძმა კი არა,
მხოლოდ ყმა უნდა —
ვინც გამწირა და
ვინც დასცინა ჩემს უმწეობას —
ფეხზე ამდგარმა,
უნდა რუსეთს,
ტაში დავუკრა!

ბლუზი

მე და შენ — ორნი,
დილის რადიო:
— Good morning!
როგორც გედები
სიცივით გალურჯებულ ტბის ზედაპირზე,
სტუდიის სიჩუმეში ათრთოლდებიან
როიალის ნერვიული ფოლადის ძარღვები.

— Good morning!
მე და შენ — ორნი,
და ის მესამე,
თეთრი პერანგით,
შავი სმოკინგით,
ვისი ხელებიც საჰარას მხურვალეობამ დააჭკნო,
ვისი თითებიდანაც ნავთობივით ამოხეთქა
უცნობმა ბლუზმა.
— დილა მშვიდობის, საყვარელო! —
როგორც დათვი ბუნაგიდან,
მეც გამოვდივარ
მტანჯველ ხსოვნიდან,
და ჩინჩხვარივით ფეხქვეშ იმტვრევა
კლავიშების ყვითელი კარამელი...

ბიძია თომას მემკვიდრეობა —
მძიმე თითები.
მსუბუქი ბლუზი.
ხოლო სარკმელთან
შენითლებულა ნეკერჩხალი —
ნოემბრის მუზა...

შენც გაგაღვიძებს დილის რადიო:
— Good morning!
— დილა მშვიდობის, საყვარელო!
გადაენიე შენი თმის ბურუსი.
თვალები.
ტუჩები —
სიმწიფით გადამსკდარი ბროწეული.

შორს შემოდგომის ნისლების ტორტმანს,
საზღვაო კარი გაულო პორტმა,
და ირწვევიან, წყალზე გემები.
ნისლები, ნისლები.
— Good morning!
— დილა მშვიდობის, საყვარელო!
ჩვენც იმ ნისლებმა გაგვიტყუეს —
ხიდი რომელიც ფეხქვეშ ჩაგვეფშვნა
ძირს მიგვაქანებს.
ნუ გეშინია.
მონყალეა უფალი ჩვენი,
ადრე თუ გვიან ფრთებს მოგვაშველებს...

ჯერ კი,
გაშლილია ქორების ბანქო

და ჩემს უკიდევანო ხელისგულს
ჭრელკაბიანი მკითხავი უზის...

მარტო ჩვენ, ორნი,
უცნობი ბლუზი.
კიდევ რადიო.
და თომას კუზი.
შავი თითები —
კარამელზე მოფუთფუთე ფუტკრები...
— Good morning!
ბლუზი...

* * *
ქალი, რომელიც სულ გელოდება,
ფლოსტის ნკაპუნით, უხმო ჩურჩულით,
ზოგჯერ ვეფხვია,
ზოგჯერ უმწეო,
ბარტყია მკლავქვეშ შემოყუყული.

მისი ხელები შენსკენ მორბიან,
გზას უღობავენ ქარს და ქარაშოტს,
ერთი თეატრის მსახიობია —
ბედნიერებას შენთვის თამაშობს.

იმასაც შესძლებს, რაც ვერ ინატრე,
და გააღვივებს ჩამქრალ იმედებს,
შენი ღირსების ციხე-სიმაგრეს
ლალატისათვის ვერ გაიმეტებს.

ხან ფეხაკრეფით უკან მოგდევდა,
ხან მოთმინების ფრთებით იფრინა,
ქალი, რომელიც სულ გელოდება,
თეთრ ღამეებში ჩამოითრთვილა,

ცხადშიც, სიზმარშიც უნდა ღელავდეს,
სასონარკვეთის ფრთების საესავით,
თუ აგვიანებ, გათენებამდე,
ფანჯრებს აწყდება ფარვანასავით.

ზოგჯერ მახვილსაც გააელვარებს
(ერთი ხარ მისთვის და შეუცვლელი) —
ალბათ, ამიტომ, ზოგჯერ მთვლემარე
იღვიძებს ეჭვი — ფიცხი ძუ მგელი.

მაგრამ ფიქრებში მოდებულ ხანძარს
მალე ჩააქრობს ცრემლი დუბელა,
და უნებლიეთ, უთოთი დამწვარ
ხელივით, ცხელ გულს სულს შეუბერავს.

ფარფატებს, როგორც სანთელი ქარში,
ძილგატეხილი, ფიქრით დაღლილი,
მაინც ძალაობს, ბრმა ბედისწერამ
რომ არ წაართვას იღბალს აღვირი.

რალაც მთავრდება და ბოლოვდება —
ბედნიერება რამდენ ხანს გასტანს —
მხოლოდ ის ერთი დაგელოდება,
სასთუმალთან თუ საფლავის ქვასთან.
რომ მიაღწიო ნაპირს უვნებლად
მიგიძღვის თეთრი აფრის ფრიალით.
ზოგჯერ შვებაა ეს ერთგულება,
ზოგჯერ ტანჯვა და სასჯელი არის.

და გელოდება —
ქალი სარკმელთან,
სიხარულის და დარდის აუზთან,
ადრე თუ გვიან, ისიც ჩაჭკნება,
თუ სიყვარულის წყალს არ დაუსხამ.

ნადირობა

ჩაცხრა ვნებები.
გაიშოტა ნანადირევი.
ზოგან ბიზონი, ზოგან დათვი, ზოგან ირემი.

ითვლიან ნადავლს —
უხმეს ძაღლებს, უხმეს მარეკებს,
დაყარეს ხორცი, გამარჯვების ზარი დარეკეს.

ჭირისუფლები,
მხიარული მუცლის მონები,
სულ აქ არიან, ჭორიკანა მიკროფონებით.

ვის უბოძებენ
ხელისუფლის ნანატრ თიკუნებს —
ნანადირევის ნაჭრებიდან ვინ რას ირგუნებს.

გადაყრილია სანაგვეზე ძველი ნაქაჯი,
ზოგს ბეჭი უყვარს,
ზოგს — ბარკალი,
ზოგს — ჩალაღაჯი.

დაუნდობელი კანკანებენ ბასრი ეშვები,
ხელის ბიჭების,
მეზობტენის და ფარეშების.

როგორ გაიყონ —
ნათელია უკვე დღესავით —
ყველას მთავარი საფიქრალი ახლა ეს არის.

ყველას თავისი
ელანდება მხოლოდ არჩივი —
ემმაკი დგას და ალაღმართალ გრძნობებს დასცინის.

თავისუფლების ვინც ახარა მორცხვი ყვაილი,
განზე გადგნენ და მოკრძალებით თავი ჩალუნეს.
მათ სურვილებზე ხარბი ხროვა ზედ გადაივლის,
გაძვალტყავებულ და უმაქნის „ფეხებს“ არგუნებთ.

შენყდა ყეფა და
ნადირობა მორჩა, ჩათავდა,
მთავარი არის ახლა ნაღებს ვინ მოქაფავს და,

ყველა აქ არის,
სისხლის სუნი ყველას აბრუებს,
ძველ ყალბისმქმნელებს,
ახალ „მოგვებს“,
დამწყებ ჰამპულებს.

ალარ გვაოცებს
რაც უცხოა და გასაკვირი,
ნიღაბშეცვლილი
თვალს გვიხვეს და გვართობს ფაკირი.
აბა, სად არის, რაც ჩაუთქვი, რასაც დამპირდი,
გვირაბის ბოლო, ან ხსნის ნაპირი.

დაუნდობელი კანკანებენ ბასრი ეშვები,
ხელის ბიჭების,
მეზობტენის და ფარეშების.

ჩემი დროც მოდის —
კვალში მიდგას შავი მწვევარი,
უიღბლო ბედი — შერისხული და მანყევარი.
ბოლოს მომიღებს მხოლოდ შენი დარდი — მდევარი,
გულისფიცარში ჩატეხილი ვით სატევარი.

კონცერტი

ფრთების შარი-შური.
რა უცხო ხმებია.
თეთრი აჩრდილები.
ჩამცხრალი ტაში.
თანდათან მაღალი შანდლები ქრებიან —
ყვითელი ხეები, ნოემბრის ქარში.

ყავარჯნის კაკუნი აღვიძებს ქვაფენილს.
მაფრთხილებს ხიხინი ასთმიან ჩაიდნის —
გულქვა დროს ხელებში მაინც ჩააბერდა —
წავიდა მამა და შენც ამ გზით ჩაივლი.

თვალეებში ჩამდგარი სიბნელის ტიხარი.
ვერ გხედავ, მაფხიზლებს სიკვდილის პირქარი.
ცა და დედამინა თავის წილს იბრუნებს,
აქეთ ვილა დარჩა?
სუყველა იქ არის!

ჩხრიალებს საკეტი. არავინ დამინდო —
სული ღრღნის სხეულის ჟანგიან გისოსებს.
უკვე ყველაფერი მომბეზრდა, არ მინდა,
რა მინდა, უფალო, ნეტავი ვიცოდე!..

დაღლილი ორღანი.
ჩამქრალი ტოკატო.
პასუხგაუცემელ ყულფივით კითხვები
მიხმობენ. მშვიდობით.
მწყალობელ ქალბატონს,
ხელჩაკიდებული ბავშვივით მივყვები
ბნელში რომ ტოკავენ — ნაცნობი მხრებია.
ჭალარა მაესტრო, ამაოდ დაშვრი.
დარბაზში მაღალი შანდლები ქრებიან —
ყვითელი ხეები, ნოემბრის ქარში.

ქალუაჩიმი

მეშინია ესეც არ დაგვარგო,
უკანასკნელი გასაღებივით
წარსულის ჟანგიან კლიტეს
ესლა ერგება,
აყაყანებულ ბაზარში
ვედროებშორის რომ ჩაყუნტულა
და მისი დაღლილი თვალებიდან
ფიქრის დამფრთხალი კურდღლები
რომ იყურებიან...

მეშინია-მეთქი —
ამასლა ახსოვს
რაც დანარჩენებმა საფლავეში წაიღეს —

ერთადერთი ჭიკარტივით
ეს დედაკაცილა ამაგრებს
წარსულის კედელზე
ჩემი ბავშვობის აგლეჯილ სურათს.

ქსანა

ქალო მანანა,
ქალო მანანა,
კალთა ჟუჟუნა ცრემლმა დანამა.

გატეხილია ციხეც და ფიციც,
უკან არავინ არ მიგახედებს.
ვინ დაგანახევებს, ამაყი კვიცი,
უცხო ლაჯებმა როგორ გახედნეს.

სავსე მზე დილას ვისთვის ათენებს,
საფინჯნოს თავში ახლა სხვა უზის,
ქსანზე ბალახი ვინც გადათელა,
მთრთოლვარე ხელი რომ გადაუსვი.

რამდენმა ტალღამ გადილივლივა,
თან გაიყოლა ნატერის გვირილა.

ძვირფას სალოცავს შორიდან ვუვლით,
ჩამქრალა ცეცხლი, მანანა, ქალო.
ჩემი სანყალი, ცოდვილი სული
ამოსასვლელად ბორგავს და წვალობს.

ქალო, მანანა, ისევ იავდრა,
ქსანს ჩემი გულის მდულარეც ერთვის,
ეს ჩემი ლექსიც ყმულია და
უილაჯობის მოთქმა-მეთქი...

ქალო, მანანა...

* *

მწუხრის ლოცვა — ფანტელები ირევიან,
ზარის მოთქმა ამახედებს ცისკენ.
სული ჩემი გადაფრენი ფრინველია,
ცრემლი წვეთავს —
მაცხოვარო მიხსენ.

მაღე ირგვლივ თეთრი ფარდა დაეშვება,
ვინც მეძახის, საბოლოოდ იქ მო...
მთვარის ლანგარს მოგართმევენ ფარეშები,
ზეციური დედოფალი გიხმობს.

ვიდრე ხელებაპყრობილი მონაზონი,
ჩემს სახელზე წმინდა სანთელს ანთებს,
კრძალვით შეგთხოვ, ერთხელ კიდევ მომიგონე,
მიმაცილე უკანასკნელ გზამდე.

კალენდარზე ფურცელ-ფურცელ მოცელილან
დღეები და ჩამორეკავს ჟამი.
დაიხსომე, მხოლოდ შენთვის მლოცველია
წამწამებზე მობრჭყვიალე ნამი.

მწუხრის ლოცვა — ვიცი სადღაც მიმელიან,
თოვლიანი ზამთრის მისამღერით,
სული ჩემი გადაფრენი ფრინველია,
ცერზე ვზივარ,
ამიქნიე ხელი.

ფრენის ოტო მატისენი

„სიტყვებო! წიგნის სიტყვებო! რანი ხართ თქვენ“

უიტმენის შემოქმედების ერთი ასპექტი, რასაც ვერ შესაფერისი ყუ-
რადლება არ ღირსება, გამოკვეთილია „ემერიქენ ფრაიმერში“, ესაა შე-
ნიშვნები ლექციისათვის, რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითადად 1855-60
წლებში შეუგროვებია, და ამ შენიშვნების ჩასანერად სახელდახელოდ გა-
მოყენებია „ბალახის ფოთლების“ პირველი გამოცემის აუკინძავი ეგზემ-
პლარების ყდები. ეს ლექცია, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, „ალ-
მოჩინას კი არ გვთავაზობს, არამედ აღწერს ამერიკული ინგლისურის
ზრდასა და მის მკაფიო გამორჩეულობას“, უიტმენის სხვა ლექციებზე, არც
წაკითხულა და არც გამოცემულა მის სიცოცხლეში. მაგრამ უიტმენი
ხშირად ესაუბრებოდა ხოლმე ტრაუბელს ამის თაობაზე მეცხრამეტე საუ-
კუნის ოთხმოცდამეათი წლების მიწურულს, ეუბნებოდა, ამ საკითხზე ფიქრი
თავიდან ვერ ამოვიგდე, რადგან ყოველივე ამის წიგნად გამოცემაზე ბე-
რი ვიფიქრო, და უმატებდა, „ხანდახან მგონია, რომ „ბალახის ფოთლები“
მხოლოდ ენობრივი ექსპერიმენტი“. ამიტომაც საგულისხმოა გვენახა
თუ რამდენ რაიმეს შევიტყობდით უიტმენზე მისი ენის ანალიზით.

იგი ხვდებოდა, რომ ენა არ იყო სწავლულთა მიერ შექმნილი „აბსტ-
რაქტული კონსტრუქცია“, და რომ ენა წარმოიშვა შრომისა და საჭიროე-
ბისაგან, სიხარულისა და ბრძოლისაგან, კაცობრიობის მრავალ თაობათა
ენებისაგან, და რომ ენას აქვს „თავისი საფუძველი, ფართე და დაბალი,
მინიერი“. სიტყვები შემთხვევით კი არ გამოუგონიათ, არამედ ესაა ადა-
მიანური ყოფისა და ადათების ნაყოფი, ზნე-ჩვეულებათა ჩამომავალი.
აქედან გამომდინარე, მას სწამდა, რომ ინგლისური ენისათვის ამერიკაში
დაიძებნებოდა უამრავი ახალი შესაძლებლობა, რასაც არაერთი ამერი-
კული ფაქტი ადასტურებდა. მის ლექსებს, ამ ფაქტების ერთგულებას
რომ იჩენენ, შეეძლოთ წარმოეჩინათ გამოხატვის „ახალი შესაძლებლო-
ბანი ჩვენი მშობლიური ხასიათისათვის“. როცა მან განავითარა თავისი
რწმენა, ის, რომ „ვინც სწორად იყენებს სიტყვებს, სწვდება საგანთა
არსს“, ერთი იმ საგანთაგანის აღნიშვნისას იგი ქვეშეცნულად მიმოიხი-
ლავდა თავის პოეზიის არეულ-დარეულ რიტმებს: „ისინი იღვსებოდნენ
ძალითა და მშვენიერებით — მის ხელთაგან გამოსული საოცრებით —
მის ბაგეთაგან გადმოღვრილი საოცრებით... საგნებით, ერთმანეთში რომ
არეულიყვნენ და ისე ზრიალებდნენ, თითქოს კლდისთვის ჯაჭვით უცე-
მიათო, ამბოხით, იძულებით, სახლებით, რკინით, ლოკომოტივებით, მუ-
ხით, ფიჭვით, გამჭირაბი თვალით, ბალნიანი მკერდით, ტეხასელი მხედ-
რით, ბოსტონელი მძღოლით, ქალით — კაცს რომ ალაგზნებს, კაცით —
ქალს რომ აღუძრავს ვნებას“.

აქ იგი ავლენს ბავშვურ სიხარულსა თუ პირველყოფილ აღტაცებას
პოეტისას იმით, რომ საგნებს ჩამოთვლის. ეს იყო კოლრიჯის თვისება,
რამაც უიტმენს მასზე ათქმევინა, იგი ჰგავს „სამოთხეში მყოფ ადამს და
თითქმის ისევეა თავისუფალი ხელოვნურობისაგან, როგორც ადამიო“ —
თუმცა უიტმენისეული აღტაცება გაცილებით უფრო გულუბრყვილოა და
სუსტი, ვიდრე ნებისმიერი ადგილი კოლრიჯის შემოქმედებისა. უიტმენის
აღფრთოვანებას წონა იმიტომ აქვს, რომ იგი ხვდებოდა, ადამიანი ვერ იხ-
მარს სიტყვებს, როგორც საჭიროა, ვიდრე არ გამოსცდის იმ ფაქტებს,
რომელთაც ეს სიტყვები გამოხატავენ, ვიდრე იგი ამ ფაქტებს საკუთარი
გრძნობით არ ჩასწვდება. ამგვარი წარმოდგენა ძირითადად უცხო იყო
მეცხრამეტე საუკუნისათვის ნაწილობრივ ამ ეპოქის ტენდენციის გამო,
განეცალკეებინათ გონებრივი განათლება სხეულისაგან და ენა მიეჩნიათ
ისეთ რაიმედ, რისი შესწავლაც ლექსიკონით შეიძლება. ასეთი დაყოფა პი-
როვნების მთლიანობისა, გამძაფრებული საზოგადოების მექანიკური
სულით, გახდა ძირითადი მიზეზი ნერვიული დაძაბულობისა, დღევანდელ

* მონოგრაფიიდან „ამერიკული რენესანსი“

ადამიანს რომ ტანჯავს, ადამიანისა, ვის არსებაშიც საგაზეთო სათაურები ტრიალებენ და ძალზე იშვიათად გამოხატავენ კონკრეტულ სინამდვილეს, რასაც იგი პირველ რიგში ხვდება. უიტმენისათვის ეჭვგუშევალი გახლდათ ის, რომ ამგვარი სიტყვებით მოლაპარაკენი მხოლოდ და მხოლოდ უცხო ენაზე ჯახირობდნენ. ეს ჯერ კიდევ 1847 წელს ირწმუნა — როგორც გადმოგვცემს ყველაზე ადრეულ ხელნაწერ რვეულში, რამაც ჩვენამდე მოაღწია — რომ „ადამიანი მხოლოდ მაშინ არის დაინტერესებული რაიმით, როცა მას ერწყმის“. როცა იგი „პრაიმერში“ მსჯელობს იმაზე, რომ „ჭეშმარიტმა მწერალმა უნდა აიძულოს სიტყვები იმდერონ, იცეკვონ, აკოცონ... ან აკეთონ ის, რაც კაცს, ქალსა და ბუნებრივ ძალებს შეუძლიათ“, სწამს, რომ ამგვარმა მწერალმა უნდა გამოიყენოს თავისი ცხოვრების მთელი მარაგი და ჩაეფლოს თავისი დროის სოციალურ გამოცდილებაში, გარს რომ აკრავს.

ამგვარად, გუმანით, თუნდაც უხეშად, იგი უახლოვდება რწმენას, რომ „მხოლოდ უდიდესი მათ შორის, ვინც სიტყვებს იმორჩილებს, ახერხებს დატკეპს საკუთარი თავით და გაუყვას მას“. ეს რწმენა საოცრად ახლოა ელიოტის თვალსაზრისთან, რომ რასინი და ბოდლერი, ეს ორი უდიდესი ფრანგი „ოსტატი სიტყვისა ორი უდიდესი ფსიქოლოგიცაა“ ფრანგ პოეტებს შორის. უიტმენი ფიქრობდა, რასინის მთელი მეტყველება „ოჩოფხებზე სიარულია“, ხოლო ბოდლერი ერთადერთხელ ახსენა, როცა დაიმონმა ერთი იმ მცირე შეხედულებათაგანი, რასაც ორივე იზიარებდა, „მეტისმეტ გატაცებას მშვენიერებითა და ხელოვნებით ადამიანი საშინელ გადაჭარბებამდე მიჰყავს“. მიუხედავად იმისა, რომ „ბოროტების ყვავილები“ „ბალახის ფოთლების“ გამოსვლიდან სულ რაღაც ორ წელიწადში გამოქვეყნდა, ელიოტი კითხულობდა, განა რომელ ეპოქას წარმოუშვია „უფრო განსხვავებული ფოთლები და ყვავილები?“ მაგრამ ელიოტის შეხედულება, რომ უიტმენისათვის „არც არსებობდა უფსკრული რეალურსა და იდეალურს შორის, როგორი უფსკრულიც ბოდლერის თავზარდაცემულ თვალთა წინაშე იშლებოდა“, იმდენად არ აბრმავებდა მას, რომ ვერ დაენახა უიტმენის განსაცვიფრებელი ნიჭი, „გადაექცია ჩვეულებრივი ამერიკა... რაღაც დიადად და მნიშვნელოვნად“, „რეალური იდეალურად გარდაექმნა“.

როცა იგრძნო, ნამდვილი ამერიკა აღმოვაჩინეო, ზედაპირული კულტურისათვის ნიშანდობლივი მეტყველების მიღმა რომ მიმაღულიყო, რაც ძლივძლივობით თუ უახლოვდებოდა მშობლიურ ცხოვრებას, უიტმენმა ალტაცებით ამოიძახა: „მონონგაჰელა — პირში რომ ტრიალებს და ირმის ხორცის მსუყე გემოს ტოვებს“. თავის გვიანდელ კრებულში „ნოემბრის ტოტები“ ჩართულ ესეიში „ამერიკული სლენგი“ (1885) იგი აგრძელებს საუბარს იმაზე, თუ როგორ „ცოცხლდებიან სიტყვები და გამოხატავენ საგნებს“. აქ ჩასწვდა ჭეშმარიტებას, რომ ენა არის „უნივერსალური შთანთქმული და გამაერთიანებელი“, ესაა ენის საუკეთესო განსაზღვრება ცივილიზაციის ისტორიაში. „პრაიმერში“ გამოქვეყნებულმა შეხედულებამ — რომ ითვისებდა ყველაფერს, ყოველი წყაროდან, და რომ ინგლისური ენა გახდა გამაერთიანებელი ყოველი ერის მეტყველებისა, ისე რომ, არაფერს უარყოფდა — უიტმენი მიიყვანა იმის განცხადებამდე, რომ იგი ვერასოდეს მოიხსენიებდა ამ ენას „აღუფრთოვანებლად“. მისი გამოქვეყნებული ესეის ორიოდ გვერდზე უფრო მეტი აღფრთოვანება იგრძნობა, ვიდრე სინათლე და გარკვეულობა, კერძოდ, ეს ეხება მის კონცეფციას სლენგის შესახებ. მისი ამოსავალი დებულება საკმაოდ პირდაპირია, ეს გახლავთ შეხედულება, რომ „სლენგი, ღრმად თუ განვიხილავთ, უმდაბლესი ჩანასახოვანი ელემენტია, დგას ყოველგვარი სიტყვისა და ფრაზის ქვემოთ, ყოველგვარი პოეზიის მიღმა და მეტყველებაში შემოაქვს ერთგვარი ცუდი სურნელება და პროტესტანტიზმი“. მაგრამ როცა სლენგს უთანაბრებს „არაპირდაპირობას, უბრალო ადამიანურ მცდელობას, გაექცეს შიშველ პნკარედულობას და საკუთარი თავი

შეუზღუდავად გამოხატოს“, გვახსენდება, თუ რა მნიშვნელობით ხმარობდა ემერსონი ტერმინ „არაპირდაპირობას“ და მოგვინევს დახმარებისათვის მივმართოთ უიტმენისეულ სხვა პასაჟებს იმ მოუხელთებელი დამატებითი მნიშვნელობისათვის, რასაც უიტმენი ამ სიტყვას ანიჭებდა.

როცა იგი თავისი წიგნის 1855 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში აცხადებდა, ამერიკელი პოეტის ფრაზა უნდა იყოს „ახალი და არაჩვეულებრივი“, „არაპირდაპირი და არა უშუალო ან გამომხატველი თუ ეპიკური“-ო, სწორედ მაშინ ჩამოთვლიდა ყოველივე იმას, რაც პოეტმა უნდა განახორციელოს, რათა თავისი ხალხის მოთხოვნებს უპასუხოს: კონტინენტის გეოგრაფია და ისტორია, მოსახლეობის უთანაბრო მოძრაობა, მისი ფაბრიკული ცხოვრება, კომერციული ცხოვრება და სამხრეთის პლანტაციების მდგომარეობა. როგორც ჩანს, იგი ფიქრობდა, რომ ეს სიახლენი უნდა ყოფილიყო „არაპირდაპირი“. ამ აზრით, ეს სიახლენი ვერცერთ კონვენციურ ფორმას ვერ მიესადაგებოდა, ის უნდა დალოდებოდა პოეტს, ვინც „ხედავს მომავლის მტკიცე და მშვენიერ ფორმებს იქ, სადაც ამგვარი ფორმები არსადაა“. აქ უიტმენისეული რწმენა იმისა, თუ როგორ უნდა შეიქმნას ორგანული სტილი, თანხედება მის ასეთივე წარმოდგენას სიტყვების წარმოშობაზე. მას ალბათ ახსოვდა ერთ-ერთი ან ორივე ამ აზრთაგანი, როცა შემოქმედებითი პროცესის შესახებ წერდა თავის მეორე, ადრეულ, რვეულში: „ჭეშმარიტებანი დამარხულია ყოველ საგანში“. ისინი არც ამოსხნას მოითხოვენ და არც გვეწინააღმდეგებიან, რომ ამოვხსნათ. მათი დაბადებისათვის საჭირო არ არის სამეანო მაშები. ისინი შენს თვალწინ გადაიშლებიან და მეტ სურნელებას აფრქვევენ, ვიდრე ვარდის ნორჩი კვირტი აფრქვევს, როცა გაზაფხულის კაშკაშა მზე ზაფხულის წვიმიტა დასველებული. — მაგრამ ეს შენში უნდა იყოს — შენი სულიდან უნდა დიოდეს. — ეს უნდა იყოს სიყვარული“.

კაცი ცოცხალ მეტყველებას მხოლოდ მაშინ შეითვისებს, როცა ირგვლივ არსებულ ცხოვრებაში ჩაეფლობა. მან უნდა შეიგნოს, რომ ენის საბოლოო სახეს ლექსიკონები კი არ ჰქმნის, არამედ „მასები, გარკვეული ხალხი, ვინც უფრო ახლოა მიწასთან და ზღვასთან“. ეს გზა შესაძლოა ალოგიკურიც იყოს, მაგრამ ამ გზით უიტმენი მივიდა იმ აზრამდე, რომ სლენგი არაპირდაპირ მოვლენად წარმოიდგინა, ძალად, რომელიც მუდღერ სიტყვასა და ფრაზაში განახორციელებდა „ულრმეს, მდუმარებით მოსილ იდუმალებას, რასაც ვერასოდეს ჩანვდები, ისევე, როგორც ცხოვრების თავისებურებებს ვერ გადმოსცემ“. როცა შეეცადა, გასაგებნი გაეხადა თავისი თვალსაზრისი იმ მაგალითთა მოშველიებით, თუ რამდენ „უძველესსა და უკეთილშობილეს სიტყვას ვიყენებთ, რომელნიც თავიდან სლენგის გაბედული და ნებადართული ხმარებით წარმოშობილა“, გვიჩვენა, რომ ის, რასაც იგი ფიქრობდა, ძალზე ნააგავდა ემერსონის პირველ განცხადებას ენის შესახებ — სიტყვები ბუნების მოვლენებს აღნიშნავსო. უიტმენისეული მაგალითები თითქმის ზუსტად ემთხვევა „ბუნებაში“ დამონშებულ მაგალითებს: ს ნ ო რ ი გ უ ლ ს ს ხ მ ო ბ ს პ ი რ დ ა პ ი რ ს , ა რ ა ს ნ ო რ ი — დ ა ხ ლ ა რ თ უ ლ ს, ს უ ლ ი, უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ვ ლ ს ა, ჰ ა ე რ ს გ უ ლ ს ს ხ მ ო ბ ს, დ ა რ ღ ვ ე ვ ა — ხ ა ზ ი ს



გ ა დ ა კ ვ ე თ ა ს, ქ ე დ მ ა ლ ო ბ ა — ნ ა რ ბ ი ს ა ნ ე ვ ა ს “. უფრო მეტიც, უიტმენი აგრძელებს მსჯელობას და ავრცობს ემერსონის შემდეგ განცხადებას — რომ ბუნების მოვლენა რომელიმე სულიერი მოვლენის სიმბოლოა — ამოდის სიტყვიდან, „წინასწარმეტყველი“, და აყალიბებს პოეტის ტრანსცენდენტურ თვალსაზრისს: „ებრაული სიტყვა, რომელიც ითარგმნება, როგორც „წინასწარმეტყველება“, ნიშნავდა დუღილსა და შადრევანივით ამოფრქვევას. შთაგონებულ ადამიანში ღვთის სული იწყებს დუღილს და შადრევანივით ამოფრქვევას. სიტყვა „წინასწარმეტყველება“ ამ ცნების ვერგაგებაა. ბევრს ჰგონია, ეს ცნება უბრალო პროგნოზამდეა შეზღუდული; ეს კი წინასწარმეტყველების უმცირესი ნაწილია. უფრო დიადი საქმეა ჩანვდეს ღვთის საიდუმლოს. რელიგიით ჭეშმარიტად შთაგონებული ყოველი ადამიანი წინასწარმეტყველია“.

ასეთ ნაწყვეტში შეხვედებით ყველაზე რთულ ასპექტს უიტმენის აზროვნებისა, გულუბრყვილო გზას, სადაც იგი წინ და უკან ქანაობს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის და სულაც არ ანუხებს ეს შეუთავსებლობა. როცა ვფიქრობთ „აღამის შვილებზე“ ან სხვა რაიმეზე, რაც ლორენსს უყვარდა უიტმენში, „სრულყოფილ შეფასებაზე გაელვებული წამისა, თავისივე წყაროსთან აზვირთებულ ცხოვრებაზე“, გვაიძულებს უარვყოთ, რომ მისი კავშირი ტრანსცენდენტალიზმთან ძლიერი იყო. მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ყველაზე ადრეული ციტატა ემერსონის „შეუდარებელი ლექციებიდან“, „ბრუკლინი იგელში“ 1847 წელს უიტმენის მიერ მოთავსებულ ინფორმაციაში, ამოღებულია „სულიერი კანონებიდან“ და ასე იწყება, „როცა გონებაში მოგონებანი იბადება, როცა ჩვენი თავს ფიქრის სინათლეში შევცქერით, აღმოვაჩინებთ, რომ ჩვენი ცხოვრება მშვენიერებითაა გარშემორტყმული“. უიტმენი ასეთი სახის იდეალიზმს ძალზე სწრაფად ეხმაურებოდა, რაც შეგვიძლია განვსაჯოთ მინანქრით ემერსონის გაურკვეველი პერიოდის ესეიზე „წარმოსახვისა და ფაქტის“ შესახებ, რომლის დაწერასაც ბაკი ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ვარაუდობს. ამ წინადადებაში, პოეტი რომ განუცვიფრებია, ვკითხულობთ: „მთები, მდინარეები, ტყეები და სტიქიონნი, მათ რომ გარს ერტყმინან, მხოლოდ და მხოლოდ მკრთალი გამოვლინება იქნებოდა მატერიისა, გონება რომ არ ჰხვევდეს მათ თავის ღვთაებრიობაში“. უიტმენს მიუწერია: „ეფიქრობ ეს არის ყველაზე ღირსშესანიშნავი წინადადება, რაც წამიკითხავს“.

იდეალისტური ნაკადი იჭრება მის კონცეფციაში ენის შესახებაც. და თუმცა იგი კითხულობს თავის ლექსში „გამთენიისას მღერის ადამი“:

სიტყვებო! წიგნის სიტყვებო! რანი ხართ თქვენ? და მტკიცედ ამბობს ლექსში „სიმღერა მზროვნავი დედამისისა“:

უმნიშვნელოვანესი სიტყვები მინასა და ზღვაშია.

ამის მიუხედავად, „პრაიმერის“ პირველ გვერდზე აცხადებს, „ყველა სიტყვა სულიერია — არაფერია სიტყვაზე უფრო სულიერი“. ეს ის უიტმენია, ვისაც შეუძლია თქვას, „ჩემი წიგნის სიტყვები არაფერია, მათი დინებაა ყველაფერი“; უიტმენი, ვინც იმდენადაა უფრო იდეით მოცული, ვიდრე ფორმით, რომ შეუძლია ჩაეფლოს უზუნდოვანეს, განურჩეველ განსაზღვრებაში („დემოკრატია, ჩემი მეუღლე“) ან დაწეროს, თუნდაც უნებლიედ, „ელექტრულ სხეულზე“, ისე, რომ არც კი ახსენოს:

ო, შენ, ვინც უნდა იყოს, შენი დასაწყვილებლად შესაფერისი სხეული ყველაფერზე უმჯობესია, დამატკობელი.

ეს ის უიტმენია, ვინც, ლინგვისტთა აზრით, თითქოს ცდილობდა ენის საზღვრები გადაეღებინა. საპირის აზრით, რასაც ოგდენი და რიჩარდსი ეთანხმებიან, იგი ხანდახან ისე მთლიანად ეფლობა აბსტრაქტულ ტერმინებში, რომ გვეჩვენება, თითქოს „ენის განზოგადებული ხელოვნებისაკენ, ლიტერატურული ალგებრისაკენ ისწრაფისო“. უიტმენის შემოქმედების ამ თავისებურების მიხედვით საპირი მას მიიჩნევს განსა-

კუთრებულ ნიმუშად ტრანსცენდენტური ნაკადისა, ხელოვანად, ვისი „გამომსახველობაც ხშირად გაჭიანურებულია, და ხან ისე უღერს, თითქოს უცხო ენიდან, უცნობი ორიგინალიდან იყოს თარგმნილი — რაც, მართლაც, ზუსტად ის არის, რაც არის“. გვახსენდება, რომ ემერსონის ყველაზე უფრო იდეალიზებული ლექსების ნაწყვეტები თითქმის ასეთივე შთაბეჭდილებას იწვევდა ჩემთვის.

ამგვარად, უიტმენი თითქოს გვიჩვენებს გაორებას მატერიალურსა და იდეალურს შორის, კონკრეტულსა და აბსტრაქტულს შორის, რაც ჩანს ემერსონის შენიშვნებში ენის შესახებ. მიუხედავად ამისა, როცა მათ ლექსებს ვაკვირდებით, ნათელია, რომ უიტმენი ხშირად აერთებს ნაპრალს, მამინ, როცა ემერსონი ამას ვერ ახერხებს. მთელი საკითხი უიტმენის ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის მიმართებისა ემერსონთან, მომხიბლავია, თუმცა ძალზე ხშირად ერთი და იგივე პოზიციიდან იწყებენ და სულ სხვადასხვა შედეგს ღებულობენ. ემერსონის გავლენის მთელი სიდიადე გააზუნდოვანა უიტმენის სიბერის დროინდელმა სურვილმა, რომ არავისგან დავალეზული არ ყოფილიყო. თავის ღია წერილში ემერსონთან რაც მეორე გამოცემას (1856 წ.) დაერთო, თუმცა შემდგომში აღარ დაბეჭდილა, უიტმენი არ შეეცდებოდა, ისე უწოდებდა ემერსონს „მოძღვარი“. როცა საუბრობდა „იმ ახალი ზნეობის ამერიკულ კონტინენტის შესახებ, ურომლისოდაც ფიზიკური კონტინენტი შეუვსებელი იქნება“, ამბობდა: „ეს ნაპირები თქვენ იპოვეთ. მე ვაცხადებ, რომ შტატები აქამდე თქვენ მოიყვანეთ. მეც თქვენ მომიყვანეთ“. მოგვიანებით თავის მონაფეებს ეუბნებოდა, ემერსონის კითხვა მას შემდეგ დავიწყე, რაც მისი ქება-დიდება მივიღე „ფოთლების“ პირველი გამოცემის გამო, მაგრამ ყველაზე უფრო სანდო უნდა იყოს ის, რასაც ჯ. ტ. ტრაუბრიჯი გვაცნობებს. ამ ვერსიით, რაც დაფუძნებულია 1860 წლის საუბარზე — თუმცა უიტმენის სიკვდილამდე არ დაბეჭდილა — პოეტს უთქვამს, ლექსებს ვერასოდეს დაწერდი, ჯერ „ჩემი თავი რომ არ მეპოვნა“ და ემერსონი „ჩემი თავის პოვნაში“ დამეხმარაო. ტრაუბრიჯს უკითხავს, თავს მის დაუხმარებლადაც ხომ ვერ იპოვნიდიო. უიტმენს მიუგია, ვიპოვნიდი, მაგრამ ამას დიდი დრო დასჭირდებოდაო. აქ უიტმენი ამ ნაყოფიერი კითხვის თარიღად ასახელებს 1854 წლის ზაფხულს; როცა იგი ხუროდ მუშაობდა, წიგნები სასაუზმო ბაღით თან დაჰქონდა ხოლმე. ერთ დღეს „ემერსონის წიგნი მოხვდა ხელთ; და მას შემდეგ სხვა მწერლისათვის ხელი აღარ უხლია“. როგორც ვიცით, იგი ემერსონის იდეებს გაეცნო ამ შემთხვევამდე, სულ ცოტა, რამდენიმე წლით ადრე და ეს იდეები მას თანდათან ალაგზნებდა. მან თავისებურად დაახასიათა ეს პროცესი: „მე ვდუღდი და გადმოვდუღდი; ემერსონმა ამაფორიაქა“.


ძნელი არ არის უიტმენთან აღვლილბის დაძებნა ნებისმიერ საკითხზე, რასაც პარალელი აღმოაჩნდება ემერსონის უმთავრეს მოსაზრებებთან ხელოვნების ბუნების შესახებ. მაგრამ უმჯობესია ამ პარალელთა სათავეში დაგვეყენებინა ორი ნაწყვეტი „თავდაჯერებიდან“ და ლექსიდან „სიმღერა ჩემს შესახებ“: „ვთქვათ, ეწინააღმდეგები საკუთარ თავს; მერე რა? ...დაიდ სულს არაფერი ესაქმება თანამიმდევრობასთან“; და

**განა მე ვწინააღმდეგები ჩემს თავს?
ძალიან კარგი, მაშ, მე ვწინააღმდეგები ჩემს თავს,
(მე დიადი ვარ, მე მოვიცავ მასებს).**

ვრცელი შენიშვნების დასასრულს, შენიშვნებისა, რასაც ბაკი ორმოცდაათიან წლებით ათარილებს, უიტმენი წერს, „ძნელად მოიძებნება მოსაზრება ემერსონის ლექსებსა თუ პროზაში, რომელსაც სხვა ადგილას თვითონვე არ უპირისპირდებოდესო“. მიუხედავად ამისა, ემერსონის გამომსახველობითი დოქტრინის უმთავრესი კონტურები, როგორც მისი განვითარება ვიხილეთ, შეუმცდარია, ასევე შეუმცდარია უიტმენის დოქტრინაც. ორივე ამას შეკუმშული სახით წინათ-

ქმეზშივე გადმოსცემს: ემერსონი — „ღმერთმანი, ეს ჩემშია და ჩემგან უნდა წარმოდინდეს“; უიტმენი — „უოლტ, შენ ბევრი რამ გაქვს და რატომ არ უნდა გასცე?“ ამას გარდა, ემერსონის ყოველი ესეი, განსაკუთრებით „პოეტი“, მჭევრმეტყველურად ლაღადებს იმაზე, რისგანაც უიტმენმა თავისი პოეზიაში შეჰქმნა. ორივე იზიარებს ერთსა და იმავე შეხედულებას პოეტზე, როგორც შთაგონებულ მჭვრეტელზე, და რომ პოეტს განსაზღვრავს ის, თუ როგორ გადმოსცემს თავის შინაგან ნათებას. და მაინც, ორმოცი წლით უკან რომ მივიხედოთ, თუმცა უიტმენი კვლავ დაბეჯითებით აცხადებდა ჩემი უკანასკნელი სიტყვა „ერთგულება“ იქნებაო, აღნიშნავდა, რომ ემერსონის შემოქმედება ბოლო დროს „ძალზე დაკნინებულ“ ერვენებოდა, ერვენებოდა „ნაკეთებად და არა შთაგონებულ ზრდად“, და „ცოტა არ იყოს, გამინიერებულად“.

უიტმენის ენა უფრო მინიერია, რადგან მან იცოდა სქესის ძალა და ეს განასხვავებს არა მარტო ემერსონისაგან, არამედ ყველა იმდროინდელი მწერლისაგან. მტკიცე ბუნებრივ ვენებაში იდო „ყოველისმომცველი საფუძველი“, იგი საუბრობდა სქესის სიჯანსაღეზე, ადამიანის სხეულის სინმინდებზე, იყენებდა სპეციფიკურ რელიგიურ ტერმინებს: „ჩვენ ყველა დაღუპულნი ვიყავით და არც მიმტევებელი ჩანდა, მხოლოდ საგანთა სქესობრივმა არსმა გვიხსნა“. უიტმენი დაჟინებით იცავდა ამ ელემენტს თავის ლექსებში (1856 წ.) და ამით გახდა მკაფიო მისთვის, რომ ცოცხალ მტყვევლებას უნდა დაყრდნობოდა: „ის, რომ ახდილად, ნაქეზებითა და თამამად არ ვეხმარებით სქესის განვითარებას (ერთადერთ ხსნას), ისიც, რომ ორატორები და მწერლები თაღლითობით მუდამ მკვდრად ასაღებენ იმას, რაც ყველამ იცის, რომ მარად ცოცხალია, განსაზღვრავს მნიშვნელოვან უპიროვნებასა და გაურკვეველობას წიგნებში წარმოდგენილი თანამედროვე შემოქმედებისა“. შემდეგ ამავე გზებით აგრძელებდა და იგივე დაკვირვებებს ახდენდა ტრადიციულ საზოგადოებაში, რაც მოგვიანებით გამოთქვა ჰენრი ადამსმა, ვინც შემთხვევით აღმოაჩინა, რომ უიტმენი იყო ერთადერთი ამერიკელი მწერალი, სქესის დინამიკურ ძალას რომ მიაგნო „ისევე, როგორც ამას ყველა კლასიკოსი აგნებდა ყოველთვის“. ორივე, უიტმენიცა და ემერსონიც, ეთანხმებოდა ერთმანეთს, თუმცა ამას ამჯერად უიტმენი ამბობს, რომ განსაკუთრებით ეგრეთწოდებულ კულტურული კლასის საზოგადოებაში გაბატონდა საშუალო სქესი, და რომ „თუკი ტანსაცმელს გაცვლიდნენ, კაცები ქალებს და ქალები კაცებს ადვილად შეენაცვლებოდნენ“. ემერსონს არასოდეს შეუწყვეტია ჩივილი, ჩვენს ლიტერატურაში მამაკაცური პრინციპები გვჭირდებაო, ხოლო მიზეზი იმისა თუ რატომ არ გადაიტანა ეს ფურცელზე, გვხვდება მის სიტყვებში (1834): „მე მნამს მატერიალური სამყაროს არსებობა, როგორც სულიერის ან რეალურის გამოხატულებას“. ამ აზრის გაგრძელება წარმოაჩენს მისი შეხედულების განსხვავებას „ბრუკლინის ბორანის“ ავტორის თვალსაზრისისაგან: „და ამგვარად, კომიკური და დამამცირებელი ინტერესით უყურებს ბროდვეის ბრწყინვალეებს მოხუცი ჯენტლმენის გამომეტყველებით, როცა ამბობს, „სერ, მე მამათქვენს ვიცნობდიო“, განა რეალურის მცდელობა და მიზანი ყოველთვის იქითკენ არ იყო მიმართული, რომ არაჩვეულებრივად ქცეულიყო“. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად არათანმიმდევრული იყო ემერსონი სხვა დროს, ამ ძირითად იდეალისტურ პოზიციას იგი მაინც არასოდეს დაშორებია. უიტმენი გაცილებით ნაკლებ თანამიმდევრული გახლდათ სხეულისა და სულის მიმართების გააზრებისას. მას ალაფრთოვანებდა ჯონ სტერლინგის სტრიქონები, რაც ემერსონსაც უყვარდა, „მაინც იცოცხლებს სიმღერა, თუნდაც რენარი მოკვდეს“. უიტმენმა ამ სტრიქონს ეს ფრაზა მიანერა: „სიტყვამ ხორცი შეისხა“. თუ რას გულისხმობდა, როცა ენის შესახებ საუბრობდა, როგორც ხორცშესხმაზე, ან რამდენად დასცილდა ემერსონს, შეიძლება მოკლედ გადმოიცეს მისივე სიტყვებით.



უოლტ უიტმენი

ლექსის, „სიმღერა ჩემს შესახებ“, შავი ხელნაწერის დასაწყისში იგი აღიარებს თანასწორუფლებიან შერწყმას, რაც ბედისწერის ძალით მუდამ ენადა:

**და ვაცხადებ, რომ სული არ არის ხორცზე დიადი,
და ვაცხადებ, რომ ხორცი არ არის სულზე დიადი.**

რაც არ უნდა იყოს, სულისა და ხორცის თვითნებური გათანაბრება ნაკლებადაა დამახასიათებელი მისი მანერისათვის, მისი ყველაზე ინტიმური გულახდილობისათვის, ვიდრე ალტაცებული, თავზეხელაღებული განცდა „ადამის შვილებში“, რომ სხეული „მოიცავს სულს და არის სული“.

და თუ სხეული არ არის სული, რაღაა სული?

მაგრამ სხვა განწყობილებისას, ვთქვათ, „სიხარულის სიმღერაში“, იგი გეზს იცვლის და სხვა პოლუსისაკენ მიემართება, თითქოს ზიგზაგობრივი გზით უახლოვდება ბლეიკს, როცა ამბობს, ჩემი გრძნობების რეალური ყოფა აჭარბებს ჩემს გრძნობებსა და ხორცს, ბოლოს და ბოლოს მატერიალური თვალთ არ ვხედავ და სიყვარულითაც მატერიალური სიყვარულით არ მიყვარსო. ასეა თუ ისე, იგი შორს არ მიჰყვება ამ ძაფს და უფრო ხშირად ამბობს, სული აღწევს „პიროვნულობას“ დაკვირვების, სიყვარულის, კონკრეტულ საგანთა გათავისების შედეგად:

**სულს მხოლოდ თქვენით აღვიქვამთ, სანდო
სიმკვრივებო და სითხეობო.**

ეს განსაკუთრებული მატერიალური იდეალურობა, ზოგადად ფიხტეს რომ გვაგონებს, მის უმთავრეს თვალსაზრისად რჩება, ამიტომ ღირს დავაკვირდეთ, თუ როგორ ჩამოაყალიბა ეს აზრი ერთ-ერთ რეველში: „მწერალთა უმრავლესობამ უარყო ფიზიკური სამყარო, მათ გადაჭარბებულად არ შეუფასებიათ მეორე სამყარო ანუ სული, სხეული კი ძალზე დაკნინებულად შეაფასეს. განა შეუძლია ჩემს თვალს გამოჰყოს აყვავებული წინიბურას მდებლობა მშვენიერება ხელმეხსები მატერი-

ის ღეროსა თუ თავთავისაგან? განა შეიძლება ვიცოდეთ, რა არის ცხოვრება, გარდა იმისა, რასაც შევყურებ? ვერცერთს უერთმანეთოდ ვერ შევაფასებ და ვერც ერთმანეთზე მეტად“.

თავისი მემკვიდრეობის ნარევეზე საუბრისას უიტმენმა ერთხელ შენიშნა, „კვაკერებივით ჰოლანდიელებიც ძალზე პრაქტიკულნი და მატერიალისტურნი არიან... მაგრამ ძალზე ტრანსცენდენტურნი და ბუნდოვანიცო“. ეს ნარევი გიპირისპირდება და გტანჯავს მისი პოეზიის კითხვისას. იგი შეურყეველია, როცა ამბობს, „ნარმოსახვა და სინამდვილე უნდა გაერთიანდესო“. მაგრამ მიუხედავად მისი სიყვარულისა ბუნების მეცნიერებისადმი, ისევე, როგორც პროგრესის სხვა გამოხატულებებისადმი, იგი არასოდეს მიახლოებია მეცნიერულ რეალიზმს. როცა მე-18 საუკუნის სამოცდაათიან წლებში განაცხადა, „სხეული და გონება ერთიანიაო“, ამ თვალსაზრისამდე გერმანელი მეტაფიზიკოსების — ან მათ შესახებ — კითხვამ მიიყვანა. და მან გამოაცხადა, „ამერიკას მხოლოდ ჰეგელი შეეფერებაო“, რადგან მის სისტემაში „ადამიანის სული შუაგულშია და მთელი სამყარო მას ემსახურებაო“. სამოქალაქო ომის შემდგომ, და განსაკუთრებით ცხოვრების უკანასკნელ ოც წელს, „ფოთლებში“ ამბობდა, „ერთი მიზანი სჭარბობს დანარჩენს — და ეს რელიგიური მიზანიაო“. იგი ხშირად აყალიბებდა ამ საკითხის ნაირნაირ ვარიანტებს, „თუკი სულიერი არ დგას მატერიალურის მიღმა, მამ მატერიალურს რა მიზანი აქვს?“ და მაინც, მაშინაც კი, მისი ყველაზე ბუნებრივი გზა, მოენსოვებინა განხეთქილება ამ ორ ელემენტს შორის — რომელნიც „შერწყმულია, თუმცა ანტაგონისტები არიან“ — იყო განახლებული მტკიცება თავისივე ადრეული ანალოგიისა: „სამყაროს სული მამრობითი სქესის ბატონია, გამანაყოფიერებელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი — მატერია მდედრობითია, დედა და უცდის...“

ვერანაირი მონესრიგება და დალაგება უიტმენის აზრებისა ამ თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით ვერ ახსნის ამ პარადოქსებს და ვერ აღმოაჩენს მათში სავსებით თანმიმდევრულ ნიშნებს. მას არ შეეძლო მტკიცე ლოგიკას მიჰყოლოდა, მაგრამ ამან მკითხველი არ უნდა დააბრმავოს და მოუთმენლავდ. არ უნდა უკუაგდებინოს მის ანტითეზათა მიქცევა-მოქცევა. მათ აქვთ თავისი საკუთარი დიალექტიკა და გასაღები. თუ როგორ მივაგნოთ მას, ძვეს ენგელსის მსჯელობაში ფოიერბახის შესახებ: „ცნობილია, რომ ანტითეზებს მხოლოდ შეფარდებითი დამაჯერებლობა ახასიათებთ; იმას, რაც ახლა ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, აქვს დაფარული, ყალბი მხარეც, რაც მოგვიანებით იჩენს თავს, ისევე, როგორც იმას, რაც ახლა ყალბადაა მიჩნეული, თავისი ჭეშმარიტი მხარეც აქვს, რისი წყალობითაც შესაძლებელი იყო ადრევე ჭეშმარიტებად მიერჩნათ“. უიტმენის უნარი, ლექსებში კონტრასტული ელემენტების სინთეზი მოეხდინა, ელემენტებისა, რასაც იგი უწოდებდა სხეულსა და სულს, შესაძლოა გამოდგეს მისი პოეტური სიმალის საზომად. როცა მისი სიტყვები მიეკუთვნება კონკრეტულ გამოცდილებას, და მაინც, ნარმოსახვით ინმინდება, მისი ფორმულები ფართოდ წარმოგვიდგენს კაცობრიობას:

**იგი ვარ, ვინც თავს იკობდა და მოლოდინით
ივარცხნიდა თმას,
ჩემი ზარმაცი სიყვარული მოვიდა, და სიბნელეა.**

როცა ამ სინთეზს ვერ ახერხებს, მისი ენა იმსხვრევა და იმ უკიდურესობებში ვარდება, ემერსონმა რომ შენიშნა და „ბჰაგავატგიტასა და „ნიუ ოორკ ჰერალდის“ შესანიშნავი ნაზავი უწოდა“. უკიდურესი სივრცეები, რასაც მუდამ ესწრაფოდა უიტმენი, ყოველ მხრივ გვიჩვენებს, თუ რარივ ძნელი საქმე ეკისრა. ერთი მხრივ, სურვილი იმისა, რომ მოეცვა ამერიკული მოვლენები, მას მიუძღვოდა სლენგის მიღმა, უხეში ყარგონისაკენ, თანამედროვე მდარე ჟურნალისტური სტილისაკენ. მეორე მხრივ, მცდელობანი, გაეღწია ენობრივი შეზღუ-

დულობის მიღმა სივრცეში, სადამდეც კი ენა მისცემდა შესაძლებლობას, ხშირად მხოლოდ შიშველ ფორმულებს იძლეოდა. მისი არაჩვეულებრივი და გროტესკული ჩავარდნები ორივე მხრივ მეტ სინათლეს მატებდა მის იშვიათ წარმატებებსა და შერწყმას, რასაც ეს ჩავარდნები მოსდევდა.

სლენგი, რაც მას ატკობდა, რადგან უფრო მეტად ამხიარულებდა, ვიდრე „მთელი ამერიკის ჰუმორისტთა ნიგნები“, იყო ის ყოველდღიური საუბარი, რაც ესმოდა „მუშათა ჯგუფებისაგან, რკინიგზელთაგან, მემსახურებისაგან, მემანქანეებისა თუ მენავებებისაგან“, მათი ტენდენცია, „გამოეხატათ აზრი არა პირდაპირ და დალაგებულად“, არამედ შემოვლითი გზებით ცინცხალი ფანტაზიისა. ეს ტენდენცია გამოიხატებოდა მათი სიყვარულით მეტსახელებისადმი, როგორცაა: კერკეტა, მიჩიგანელი, ძუძუმწოვარა, ცხენისნაბლა თუ სხვა. მათი გამომგონებლობა ვრცელდებოდა, საზღვრებს იფართოებდა, იგონებდნენ „პერანგის ქობის მოსახვევსა“ და „ფეხის ფრჩხილის ტბას“. სიტყვათა მნიშვნელობების მალიმალ ცვლილებამ დილიფანსის კონდუქტორი „ჩამვლენად“ აქცია, გაუზავებელი ვისკი — „შიშველ ფეხად“ და ვირთვეზას ქვირითი — „სახელოს ღილებად“. და თუმცა უიტმენს ამგვარი სლენგი მიაჩნდა წყაროდ ყოველივე იმისა, რაც პოეტური იყო ადამიანის მეტყველებაში, მან იცოდა, რომ ამ სლენგის მოქცევა ხშირად არასწორი და არაფრისმთქმელი იყო და გარდა ზოგიერთი ძალზე ახლობელი ეპითეტისა, როგორცაა ოოსიერს ან ანუეს, იშვიათად იყენებდა ლექსებში. მართლაც, პირველი „ფოთლების“ ჩასახვის დროინდელ ზოგიერთ შენიშვნაში იგი საკუთარ თავს ურჩევს გამოიყენოს „უბრალო იდიომები და ფრაზები — იანიკიზმები და ყულგარიზმები — ყარგონული გამოთქმები, ოლონდ მხოლოდ ძალზე შესაფერის შემთხვევაში“. ამის შედეგად მისი პოეზიის ენა იშვიათად არის ისეთივე არაკონვენციური, როგორ რჩევასაც იძლეოდა ესეიში თანამედროვე მწერლობის შესახებ: „დასცხეთ დიკენსის მოთაყვანებებს“. მან „მძაფრი სიტყვების ნიმუშები გვიჩვენა „პრაიმერში“: „ათესვა“, „შებერტყილი“, „ჩვარი“, „უფარგისი“, „ალთა-ბალთა“, „მოლოკავი“ — ხან მთლად აიშვებდა ხოლმე საუბრისას, ტრაუბელმა რომ შემოგვიჩახა. მაგრამ მხოლოდ იშვიათად, როცა ზიზღს გრძნობდა, შეჰქონდა ლექსებში რამდენიმე თამამი გამოთქმა, როგორცაა

**ახლა ეს ძალზე სევდიანი სახეა კაცისათვის,
რაც საზიზღარი ჭია-ლუა ეთაყვანება მას,
სველთავა მატლი ლოცავს იმ თავშესაფარი
ხველისათვის.**

ამის საპირისპიროდ მისთვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი ჟარგონი მსუბუქია და თავისუფალი, ვთქვათ, როცა ტრაუბელს უთხრა, „გაუ“ და დაუმატა, „საარშიყოდ“ ვარ განწყობილი ან „ხოშიანად“ ვარო, ან ისე გადავარდა სლენგში, რომ ვერცკი გააცნობიერა, როგორ საუბრობდა დაუდევარი კილოთი იმ კაცისა, ვინც მისთვის ყველაზე უფრო ბუნებრივ ენაზე ლაპარაკობს:

**ვფიქრობ, მათი ბოსი ვარ, და, ამასთან, მანებვირებენ.
და მსურს საარშიყოდ გავეშურო ლალი და მხიარული.
დაუკვირდი შენს იაღლიშებს, ჩემო ბიჭუნი, მე კი
ჩემსას მივხედავ.
დედამინავ! თითქოს რაღაცას დასცქერი ჩემს ხელებზე,
თქვი, ბებერო ბეჩო, რა გასურს?**

უიტმენის ერთ-ერთი მოთხოვნილება იყო ისიც, რომ ლიტერატურაში სიტყვები უნდა შემოსულიყო ფაბრიკებიდან, ფერმებიდან, საწარმოებიდან, რადგან იცოდა, რომ „ბაზრობებზე, სათევზაო ნავებზე, ნავსადგურებში გაიგონებთ ათასობით სიტყვას, ჯერ რომ არცერთ ლექსიკონში არ დაბეჭდი-

ლა“. ამის შედეგი ხანდახან ისეთივე მექანიკური გახლდათ, როგორც გრძელი სიები ლექსში „სიმღერა საქმიანობებზე“, მაგრამ მისი მისწრაფება ყოვლისმომცველობისადმი წარმოშობს დუჟინობით ისეთივე გაუთვალისწინებელ, მაგრამ ზუსტ ხატებასაც, როგორიცაა:

**ყასაბი ბიჭი სამუშაო ტანსაცმელს იცვამს, ან დანას
ლესავს დახლზე ბაზარში,
მე შევჩერდები და ვტკბები მისი ენამახვილობით,
მისი მოხერხებითა და ხორცის დაკვებით.**

კაცი, ვისაც მისჩერებია, განუწყვეტლივ აგონებს მსუფთა ფრაზას, რაც თითქმის გარს ერტყმის და მოიცავს იმ საგანს, რასაც გამოხატავენ — ვთქვათ ეს, მჭედლები:

**მოქნილი რკალი მათი წელისა თითქოს მათ
სავსე მკლავებთან ერთად თამაშობს.**

ან ეს

**ზანგს მტკიცედ უპყრია ოთხი ცხენის სადავენი,
ქვევით ჭოჭონაქი მიკონნიალებს,
ჯაჭვზე დამაგრებული.**

ან ეს სტრიქონი, რომელიც თავისთავად გამოხატავს იმ პროცესს, რითაც იგი წვდება და მოიცავს ამგვარ მოძრაობას:

**ჩემში სუყველგან მოძრაობს ცხოვრება
წინ და უკან ერთნაირად მიმოიქცევა.**

ხანდახან იგი გვთავაზობს საკუთარ, დამაფიქრებელ ნეოლოგიზმს:

**(ტროტის* ბურტყუნი, დაქანცული ეტლები,
ლანჩები, მოსიერნეთა საუბარი).**

იგი მაინც სხვადასხვაგვარად უდგება ენას ამ ერთ სტრიქონშიც კი.

და „Blab“ (ბურტყუნი) და „Sluff“ (ზოზინი) შემოტანილია სურვილით, რომ აქტიური ბგერები შემოგვთავაზოს, მაგრამ „promenade“ (ცხენით სეირნობა) რომელიც ასევე კარგად ჟღერს, აშკარაა, მხოლოდ იმავე მიზეზით გამოიყენა, თუმცა ის ამერიკელი მოსახლეობის მეტყველებიდან არ არის ნასესხები. „Pave“ (ტროტ) ნაცვლად „pavement“-ისა (ტროტუარი) ერთგვარად უკანონო სიტყვაა, რომელთა „გამომზერებაც“ უიტმენს უყვარდა. ხანდახან ძნელია თქმა, ამგვარი სიტყვები წინასწარგანზრახვიდან მომდინარეობს თუ უეცრობიდან, განსაკუთრებით, როცა „seminal“-ის (ნაყოფიერი) ადგილას „semitic“ (სემიტური) იხმარება („semitic muscle“, „semitic milk“) 1855 წლის წინასიტყვაობაშიც და ლექსის „ქალი მიცდის მე“ პირველი გამოქვეყნებისასაც. ძალზე ხშირად მისი ჰიპრიდები თავისუფლად იცვლება ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორედ — ხან ძალზე ეფექტურადაც („the soothe of the waves“ ტალღების სიმშვიდე), ხან უფრო ნაკლებად („she that „birth'd him“ მან შობა).

მიუხედავად გამოანგარიშებისა, რომ უიტმენის ლექსიკონში ოცდაათათასზე მეტი სიტყვაა, რომელთაგან ნახევარზე ცოტა მეტი ერთადერთხელ თუ გამოუყენებია, ნამდვილად მის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმების რიცხვი არც ისე დიდია.¹ ალბათ ყველაზე დიდი ჯგუფი შექმნილია არსებითი სახელების მეშვეობით, რაც გასაკვირი არ არის პოეტისაგან,

* უიტმენი ტროტუარის შემოკლებულ ფორმას იყენებს (მთარგმნ.)

ვინც ასე გახლდათ მოცული კაცთა და ქალთა ტიპებისა და კლასების აღწერით. სამწუხაროდ ამ არსებობა სახელებმა მის ფურცლებზე შეჰქმნა ისეთი მოუხეშავი სიტყვებიც, როგორცაა „ornatress“, (წარმოშობა) „revoltress“ (ამბოხება) „dispensatress“ (განაწილება) თანაც იმდენი, რომ მათ რაოდენობას უძრავი ქონებით მოვაჭრისა და კოსმეტიკოსების ეპოქაშიც ვერ გადააჭარბებს. მისთვის უფრო ილბიანი გამოდგა იშვიათი აბსტრაქტული არსებითი სახელი „presidential“ (პრეზიდენტობა) თურმე ესეც გადაწონა გამოუყენებელმა და მახინჯმა სიტყვამ „savantism“ (სწავლულება). მისი ყური მგრძობიარობას იჩენდა ისეთი ფრაზების ჭედვისას, როგორცაა „გამჭვირვალე მწვანედ მზინავი“ წყალი შიშველი მობანავის გარშემო ლექსში „მე ვუმღერ ელექტრულ სხეულს“, ან ვაშლები, „ზარმაცად-მნიფედ“ რომ ჰკიდია ლექსში „ჭარლის დღეები“.

რწმენა იმისა, რომ საჭირო იყო ესაუბრა არამარტო ამერიკელებთან, არამედ მთელი ქვეყნიერების მშრომელებთან, როგორც ჩანს, იქცა ბიძგად მისი უცნაური ჩვეულებისა, შემოეტანა შემთხვევითი სიტყვები სხვა ენებიდან, რათა ესაუბრა „the ouvrier class“! (მუშათა კლასებს) იტალიურიდან ძირითადად ოპერის ტერმინები გამოიყენა, აგრეთვე „viva“ და „romanza“ (რომანსი) და „ambulanza“-ც (ამბულატორია) კი. ესპანურიდან საიმოვნებით ისესხა თავისი ქვეყნისათვის კეთილხმოვანი სახელი „Americanos“, მაშინ, როცა მექსიკური ფულიის დროდადრო ტრიალს მე-18 საუკუნის ორმოციანი წლების ამერიკაში შეედლო მისთვის მიენოდებინა სიტყვა „Libertad“. მისი საყვარელი „camerado“ არქაული ინგლისური ვერსია ესპანური „camerada“-სი, როგორც ჩანს, უნდა ესესხა უევერლის რომანების ციკლიდან, რაც სიჭაბუკისას მისი საყვარელი საკითხავი გახლდათ. ხოლო ფრანგულის წილმა, რაც მან ნიუ ორლეანში მოგზაურობისას აკრიფა და რამაც ჩამოუყალიბა ყველაზე ფართო ცოდნა, რაც კი ოდესმე ჰქონია სხვა ენაში, მოამარაგა იგი ნასესხობათა უმეტესობით. ამან საშუალება მისცა, ესაუბრა თავის „amour“-სა (სიყვარული) და თავის „eleves“-ზე, (მონაფეები) „soiree“ (სალამო) თუ „accoucher“, (აკუმერი, გინეკოლოგი) „trottoirs“-ისა (ტროტუარი) და „feuille-lage“ (ფოთლები) და „delicatesse“ (დელიკატესი) რათა ეთქვა, რომ არ გააჩნდა „the songs of an ennuyeed person“, (სიმღერა მონყენილი პიროვნებისა) ან ეყვირა „Allons! From all formules! ...Allons! The road is before us!“ (დატოვეთ ყველა ფორმულა, გზა წინაა) ხშირად იგი არცერთ ენაზე არ მეტყველებდა, ვთქვათ როცა საკუთარ თავს უცხადებდა „no dainty dolce affetuoso“, მაგრამ უფრო ღრმად შეღწევაც შეედლო უცხოურ ჟარგონში, როცა სურდა „eclaircise the myths Asiatic“ (გავანათოთ აზიური მითები) ლექსში „გზა ინდოეთისაკენ“, ან განეხორციელებინა „the rapt promises and lumin'e of seers“ (ალტაცებული დაპირებანი და მჭვრეტელთა გამონათებანი). მას შეედლო ღმერთისათვის მიემართა ექსტაზური და მონუმენტური უტაქტობით, როგორიცაა „thou reservoir“. (შენ, წყარო).

მრავალი ამგვარი სიტყვა წარმოადგენს არეულ-დარეულ ნიმუშს ამერიკული მცდელობისა, ისაუბროს ამაღლებულად, მაღალფარდოვანი და მყლერი ტერმინების დახმარებით, ისე, რომ მათ მხოლოდ ძალზე ბუნდოვანი კავშირი ექნებათ თავის საწყის მნიშვნელობასთან. შედეგად მიღებულმა ფანტასტიკურმა სახეცვალებადობამ გამოაცოცხლა ჩვენი ისტორიის ყოველი მხარე, დაწყებული საზღვრისპირა მცხოვრებთა მიდრეკილებით, ქემინკოვერტის (არკანზასის შტატი) ფრანგი მოსახლეობის მიბაძვით დაეგრისათ თავიანთი ენა მარცვლების გარშემო, რაც იმით დასრულდა, რომ ამას შემდგომ სმეკოვერი უწოდეს; რინგ ლარდნერის ყრუ ძიძით დამთავრებული, ვინც ფიქრობდა, ხალხი „მორმონს თუ რალაცას“ მეძახილიყო. რაც შეეხება უიტმენს, იმ ფაქტმა, რომ იგი მკითხველი იყო და, ამგვარად, მოსმენილი ბგერების გარდა შეედლო დაყრდნობადა ნაწერსაც, გადაარჩინა იგი ასეთ ჭრელ უკიდურე-

სობებს. მის მიერ სახეცვლილი სიტყვები ინარჩუნებენ ერთგვარ შერყეულ მსგავსებას საწყის სიტყვებთან, რასაც შემდგომ იმ ბედნიერი სიამაყით, რომ ნახევრად ესმოდა შესწავლილი ტერმინი, ფართოდ იყენებდა თავისი მიზნებისათვის. ხშირად ფრანგული სიტყვები მის ყურადღებას იმითომ იქცევდა, რომ ესმარებოდა სიტყვისა და საგნის მისადაგებაში, რაც მისი გაუნელებელი სურვილი გახლდათ, ბევრების მეოხებით საგანი თვლემისაგან გამოჰყავდა. ეს ტენდენცია შეგიძლიათ შენიშნოთ მის რვეულებში მოთავსებულ გაკვრით ჩანერილ სიტყვათა სიეზში, „Cantaloupe“ (ნესვი), „Muskmelon“ (საზამთრო) Cantabile. (მღერა) „Cacique City“, (კაკიკის ქალაქი) ან დედამიწის ამგვარ განზოგადებულ აღწერილობაში „O vast rondure swimming in space“ (ო, ფართო წრე, მოცურავე სივრცეში). როცა იგი შეპყრობილია სურვილით, მოიცვას, ხელი მოჰხვიოს მთელს სამყაროს, შესაძლოა შორს გაიტაცოს მეტისმეტმა უშინაარსობამ, ლექსში „ღამე პრერიებზე“ რომ უმღერის „უკვდავებასა და სინამდვილეს“:

რა სიუხვია, რა სულიერება, რა თავშესაყარი.

ენის გამოყენების ორი განსხვავებული ნაკადი ბოლომდე ახასიათებდა უიტმენს, რადგან ისე არასდროს გაცვილებია თავის ჩვეულებას, განსაკუთრებული სახეებიდან უსიცოცხლო და განურჩეველ აბსტრაქციებამდე ჩამოქვეითებულიყო, როგორც ეს პაპამისის აღწერის დამაგვირგვინებელ ფრაზაშია: „მხიარული, მნიშვნელოვანი, მტკიცე, ცხვირისმიერი ხმა და ნიშანდობლივი გარეგნობა“. ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში, „ქვიშა სამოცდაათი წლის ასაკში“, კვლავ უბრალო რიტორიკით კმაყოფილება:

შენგანაა, ო, ღმერთო, სიცოცხლე, ბუნება, თავისუფლება და პოეზია.

თავის ყველაზე უფრო საყვარელ „ფოთლებში“, როგორც ჩანს, არასოდეს ჩასწვდომია იმას, რაც შეგიძლია შევიწინოთ ერთი სტრიქონის ორ ნახევარში

მე ფიქრები მეძალებიან მათზე, ვინც ჩემს ახლო, ველი მათ კარის ზღურბლთან.

— კონტრასტი მოუხეშავ, მაღალფარდოვან დასაწყისსა და უბრალო დასასრულს შორის. ამიტომ მისი მეტყველების ტოტალური სტილი ძნელი აღსაქმია, რადგან ის ყალიბდება იმპროვიზატორის დაუდევარი დამოკიდებულებით სიტყვებისადმი და, აგრეთვე, გულიანი ყურადღებით მათდამი, რაც ჩანს უიტმენის ნათქვამში, კაროუსს რომ უთხრა, რომ იგი „ოცდახუთი წელიწადი ეძებდა სიტყვას, რითაც გამოხატავდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის გულწინად ხმა მწუხრისას“: უიტმენს, აგრეთვე, დაუსრულებელი შეჰქონდა უწერებელი შესწორებანი თავის ლექსებში, რისი შედეგიც ხშირად არასასურველი გახლდათ. ამასთან, ხანდახან ესწრაფოდა შეერწყა მარცვლები უკიდურესი რიტმით, როგორც ეს მოიმოქმედა, როცა სახე უცვალა სტრიქონს

მრწველ აკვნიდან

და აქცია ყველაზე უფრო დასამახსოვრებელ, საწყის სტრიქონად; ასეთი სტრიქონები, როგორც ჩანს, თითქმის არაფერს გვაძლევს შედეგად, გარდა დაუთინობით უარესი ვარიანტისა ლექსში „Salut au Monde“ და ისეთივე მოსაწყენსა და უფორმო კატალოგად რჩება, როგორც დასაწყისში იყო. ბერნისის გულთბილი შეფასებისას „ნოემბრის რტოებში“ უიტმენი ამბობდა, „ბერნისის უბრწყინვალესი გამარჯვება მის მიერ გამოყენებული შოტლანდიური დიალექტია, რაც ასე ალვ-

სილია სიტყვებით, რომელნიც ველური ხილისა და კენკრის სურნელითა შეზავებული“. იგი მხოლოდ ბერნსზე როდი ფიქრობდა, როცა ტკებოდა განსაკუთრებული მომხიბვლელობით „დიდი უგულბელყოფისა, დაუსრულებელი და დაუდევარი სიშშელისა“, რასაც ვერ ნახავდით უფრო დახვეწილ ენასა თუ ლექსში. მაგრამ უიტმენის მიერ შემოთავაზებული შედარება შოტლანდიელ პოეტსა და მას შორის, ერთბაშად გამოაჩენს მნიშვნელოვან განსხვავებას, იმას, რომ უიტმენი სახალხო მეტყველების მსგავსს არაფერს იყენებდა. მართლაც, მისი ფრაზები ძირითადად დაცილებულია ნებისმიერი ტრადიციული გამოთქმებისაგან, იმის მსგავსი გამოთქმებისაგან, ერთი დაუნერელი ლექსის შენიშვნებში რომ ჩაუნერია გაკვრით. ეს ლექსი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ, მშობლიურ სიტყვა-პასუხზე, როგორიცაა „აგე მოდიან შენი მშვენიერი, მსუქანი ხამანკები — კლდის ხამანკები — აგე, მოდიან“. როცა შევადარებთ ასეთ ბუნებრივ სიტყვებსა და რიტმს, გამოჩნდება, რომ უიტმენის ჩვეული მეტყველება სწორედ არა სოფელი კაცისაა, არამედ, როგორც თვითონ უწოდებდა თავს, „კვალიფიციური მბეჭდავისა“. თავისი უცნაური ჩვეულებით, შინაურულად და უბრალოდ გამოყენებინა ნახევრად დამახსოვრებული სიტყვები ოდესღაც სადღაც რომ წაეკითხა, ან ხშირად იქვე რომ იგონებდა, იგი ბევრჯერ აღძრავს შთაბეჭდილებას, რომ მაინცდამაინც არც თავის ენას იყენებს. გადამწყვეტილების გამო, რომ დაკავშირებოდა ახალ სამყაროს, იგი თავისი ნებით თავისუფლდება უცხოური მოდელებისაგან. მაგრამ იმდენად, რამდენადც მისი მეტყველება დამოკიდებული გახლდათ, ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესაძლებელი, და ამიტომ უიტმენი ახდენს სწორედ ამერიკულ შერწყმულ სიტყვებს სიტყვებისა ნიგნის ტერმინთა მექანიკურ და გამომშრალ გამეორებასთან, ტერმინებისა, რომელთაც მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ გაცილებით უფრო რთული ცივილიზაციისათვის, სადაც თავიანთი ფესვები და ყლორტები ექნებოდათ. სიახლე მოვიდა (ისევე, როგორც ჰექ ფინთან მივიდა ავტორიტეტულ ტერმინთა ინსტინქტური უარყოფით) უიტმენისეული უარყოფით იმისა, რასაც იგი ემერსონის ცივი ინტელექტუალობას უწოდებდა: „წარმოვიდგინოთ, რომ ემერსონის ნიგნები გახდეს სისხლბორცეული, ამერიკული სულისა და ხასიათის საკვები რძე, როგორც იმის დასუფთავებულნი, მაგრამ უსისხლონი და უნუგეშონი შვიკმენბოდით“.

და მაინც, ძველი შეზღუდულობის ნაშთები კვლავ ატყვია უიტმენს. თვითუფიციური გვერდი ამხელს, რომ მის ენაში ღრმად არის ფესვგადგმული განათლების ჩვეულებანი საშუალო ფენის ხალხისა, ვინც დიდად აფასებდა დანერვილი სიტყვის მნიშვნელობას. მისი მეტყველება არ შობილა უპირატესად მიწასთან კონტაქტით, თუმცა მამამისი ლონგ აილენდის ფერმერთა შთამომავალი გახლდათ, ამასთან იგი გონების ეპოქის მოქალაქე იყო, ტომ პეინის მცნობი და თავგანისმცემელი. უიტმენს არც ტოროსავით განუვითარებია თავისი ენა, ხალხური ჩვეულებების თვითუფიციური გამოვლინებისა და მიწის თვითუფიციური ნაგლეჯის თანამიმდევრული შეფასებით. მის ყურადღებას იზიდავდა უფრო ფართო სივრცე ქალაქისა, და თუმცა მისი ენა ბუნებრივი ნაყოფია, ეს არის ბუნებრივი ნაყოფი მე-19 საუკუნის ორმოციანი წლების ბრუკლინელი ჟურნალისტისა, ვინც უმთავრესად სოფლის სკოლის მასწავლებელი გახლდათ და ხუროს თანაშემწე, ვინც ბოლოსდაბოლოს იგრძნო დაუძლეველი იმპულსი პოეტისა.

ავტორის შენიშვნა:

1. შემონახულია რიცხვები: 13 447 და 6 978 უ. ჰ. ტრიმბლის გამოქვეყნებული ცხრილის მიხედვით. ყველაზე საქმიანი ნაშრომი უიტმენის მეტყველების მანერაზე გახლავთ ლუის პაუნდის რამდენიმე წერილი, განსაკუთრებით „უოლტ უიტმენის ნეოლოგიზმები“ („ემერიქენ მერკური“, თებერვალი, 1925) და „უოლტ უიტმენი და ფრანგული ენა“ („ემერიქენ სპიჩი“ მაისი, 1926).

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხაიძე

„ტკივილი უფრო მანერინებს“...

(თამარ შაიშველაშვილს
ქსაშხრება
თამარ ლომიძე)

— თამარ, როდის დაიწყეთ ლექსების წერა. პირველად, ალბათ, ლექსი იყო... თუ ნახატი?

— მოგესალმებით, მივესალმები ჩემს საყვარელ ჟურნალს „ჩვენი მწერლობა“ და უამრავ წარმატებას ვუსურვებ მას. კი, ლექსი იყო პირველად... ჯერ კიდევ 6-7 წლისა ვიყავი, სტრიქონებს გავრითმავდი, ჩემი ბებია მაშინვე ჩაიწერდა და მერე ყველას უკითხავდა, აი, რას წერს ჩემი გოგო. ცოტა მოზრდილიც, 12-15 წლისა, როდესაც ლექსს დაწერდი, პირველად ბებიას უკითხავდი. შორს ცხოვრობდა, მაგრამ ვინახავდი, მისთვის საგანგებოდ გადავწერდი და ვუგზავნიდი. გულში იკრავდა, ძალიან უხაროდა... მან შემყვარა პოეზია, თუკი რამ ლამაზია ამქვეყნად, თუკი რამ დადებითია ჩემში, საყვარელი ბებიის დამახსურება.

ხატვა გვიან დაიწყო, მიყვარდა ბუნება და ყველაფერს ვაკვირდებოდი, — ჩიტს, ცხოველს, ხესა თუ ყვავილს. რატომღაც ადამიანების მიმართ არ მქონდა იმხელა ინტერესი, რამდენიც თუნდაც ყვავილების ან ჩიტებისა. ლიტერატურის სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა და ამიტომაც ვარ ფილოლოგი.

უნივერსიტეტში მეორადზე — ფერწერასა და ხელოვნებათმცოდნეობაზე — ვსწავლობდი. ლიტერატურას და მხატვრობას ერთდროულად დავგნავდი. საკურსო თემებიც და სადიპლომო ნაშრომიც მხატვრობისა და ლიტერატურის ურთიერთობაზე მქონდა. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, „დავით გარეჯელის ცხოვრების“ სიუჟეტები დავით გარეჯში, მაინტერესებდა, როგორ იყო ასახული „წმინდა ნინოს ცხოვრება“ სვეტიცხოველსა და ბოდბის ტაძარში, როგორი ზეგავლენა მოახდინა მხატვარზე თვით ნანარმოებმა, რამდენად ჰგავდა, რამდენად მეტი იყო მხატვრისეული ფანტაზია...

ამ თემებზე მუშაობამ მიმხვედრა, რომ პოეზია სიტყვებით ხატვაა, ფერწერა კი ფერებით გართმული პოეზია. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გამოვეყო ერთმანეთისაგან. ორივე მავსებს და ორივე სასიამოვნოდ მდლის, ორივე ჩემი სულის ნაწილია.

— როგორ ფიქრობ, რამდენად საზრდოობს შემოქმედი ბავშვობის მოგონებებით? თქვენ, როგორც შემოქმედს, ეს მოგონებანი დაგეხმარათ?

— რასაკვირველია, დამეხმარა. თუკი რამ ძვირფასი, წრფელი და ხალასი მახსენდება, ყველაფერი ბავშვობასა და ბებია-ბაბუას უკავშირდება. მათთან გატარებული დღეები ყველაფერი იყო ჩემთვის, ისინი მასწავლიდნენ ბუნების, წიგნის სიყვარულს. ბებია იმდენად იყო მონდომებული, რომ მე-ხატა და მეწერა, აიკიდებდა ჩემს მოლბერტს და მივყავდი ტყეში: ნამო, ბებო, ვხატოთო, — მეტყოდა. იჯდა ნაძვის ძირას და ბედნიერი იყო, რომ მიყურებდა, როგორ ვმუშაობდი. თვითონაც მონანილობდა, როცა ნატურმორტის დახატვა მინდოდა, მომცემდა სხვადასხვა ნივთს და ახლაც, იმ ნახატებს რომ ვუყურებ, ასე მგონია, ბებიის სუნი ასდის. გული მწყდება, რომ ეს ცოტა მოგვიანებით იყო და არა ადრეულ ბავშვობაშივე...

ამას წინათ ნინო ჩაკვეტაძის გამოფენიდან ატირებული გამოვედი. ყველაფერი თვალწინ დამიდგა, ჩემი ულამაზესი სოფელი, ბებია-ბაბუა... „კუკუშკა“ მატარებელიც, რომლიც ბორჯომ-ბაკურიანის გზაზე დადის ტყეებში და რომლის ხმაც

მუდამ მახსოვს. ერთი სული მქონდა, არდადეგები მალე დამდგარიყო და ბებიასთან წავსულიყავი. რომ იცოდეთ, როგორ ველოდებოდი მის წერილებს, იმ წერილებმა გამზარდა. ჩემთვის თითო წერილს თითო წიგნის ფასი ჰქონდა. გული მწყდება, რომ წერილის კულტურა დაიკარგა. ეს მთელი რიტუალი იყო. წერილს უამრავი რამის გაკეთება შეეძლო. ახლაც ხშირად ვკითხულობ მათ, ამოვიღებ ბებიის ქუდს, სადაც მისი ჭალარა მაქვს შენახული და როცა სულიერად ძალიან მიჭირს, ლოცვასავით მეხმარება. დიდი ძალა აქვს ამ ყველაფერს, ძალიან ტკბილია და უამისოდ ვერც წარმომიდგენია.

რაც უფრო გვემატება წლები, უფრო ვუბრუნდებით ბავშვობას. მე ძალიან მინდა იქ ვიცხოვრო, სადაც ბავშვობა გავატარე... ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ოცნება შევისრულო. ბედნიერი ვარ, რომ მეუღლეს ეს ყველაფერი კარგად ესმის და ყველანაირად ცდილობს პატივი სცეს ჩემს სურვილს. თუ ჩვენ დავბრუნდებით ჩვენს ბავშვობასთან, ჩვენს ფესვებთან, გადავრჩებით!

— „მე ან აპრილი მომინებებს ან ოქტომბერი“, — წერთ ლექსში. როგორ იწერება ლექსი — დიდი ტკივილისა თუ სიხარულის დროს?

— არა, ეს ლექსი არაა, ფიქრია უბრალოდ... ლექსი დულს, დულილის დროს მე სულ მასზე ვფიქრობ, ემოციებში ვარ... ყოველთვის არ მაქვს წერის დრო და საშუალება, ათას საქმეს ვარ მოდებული... მაგრამ ნელ-ნელა გროვდება, გროვდება და ამომასკდება ხოლმე... ტკივილი უფრო მანერინებს... მიყვარს ნისლი, ნისლიანი ამინდი მუდამ წერის გუნებაზე მაცენებს.

ხატვა უფრო მზიან ამინდში მიყვარს, სინათლე უყვართ ჩემს ფერებს, სინათლე და სიხარული. თუმცა სიხარულის დროსაც ვწერ, მაგრამ უფრო იშვიათად. რაც შეეხება აპრილსა და ოქტომბერს, ჩემი საყვარელი თვეებია, ამ დროს მართლა ვერ ვცნობ თავს, ბუნებაში ისეთი ფერებია, შემოიძლია საათობით ვიდეგ ერთ ხესთან, ან ყვავილთან და არ დავივლო, თვალებით ვესაუბრო, ვხატო... ამ დროს ფერების ცეცხლი მიკივია... სიგიჟემდე მიყვარს მთები, ფერებს რომ იცვლის ოქტომბერში, კვილ-ნივილით დავდივარ ხოლმე... ბოტანიკურ ბაღთან ვცხოვრობ, ისეთი სასწაულია აპრილი, იქიდან ლამის გულწასული გამომასვენონ... სწორედ ამიტომ დამიწერია ასე...

— „დღეს სხვანაირად ვფიქრობ, მზე ორი გაჩნდა ცაზე“... რისი თქმა გინდოდათ ამ სტრიქონით და, საერთოდ, გიყვართ ფიქრი?

— ფიქრის გარეშე, ისევე როგორც უწყლოდ და უჰაეროდ, ვერაფრით გავძლებ. ფიქრი ჩემი საკვებია, მუდამ ვფიქრობ, მაგრამ რომ მკითხოთ, რაზე, ვერ გეტყვით, ყველაფერზე და არაფერზე... ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა იციან, რომ როცა რამეს მიაშობენ და უაზროდ ვუყურებ, ან უაზროდ ვეთანხმები ყველაფერზე, ე. ი. „აქ“ არ ვარ. იციან, რომ ერთი სიტყვაც არ გამიგონია, რაც თქვეს, ძალიან ვლლი მათ, განსაკუთრებით მითმენს ჩემი მეუღლე, მაგრამ ესმის, რომ ჩემთან საუბარს ყოველთვის აზრი არ აქვს.

როცა ლექსი დულს, ან როცა ნახატზე ვფიქრობ, მე აქ არა ვარ, მექანიკურად დავდივარ, მექანიკურად ვმოდრაობ და, ასე მგონია, ასეთ დროს ვარ თოჯინა, რომელსაც ვილაცა ამოდრავებს... ორი მზე სწორედ ასეთ დროს იბადება. როცა ზევიდან დაჰყურებ საკუთარ თავს, სხეულს მიღმა რომ ხარ და მოგწონს ფრენა. მუზები სამუდამოდ დაგვტოვებენ, თუ არ შევძელით მათთან ერთად სხვა სამყაროში ვიმოგზაუროთ, ეს სამყარო რომ არ იყოს, ფიქრი რომ არ მიყვარდეს, როგორ უნდა ვიცოცხლო, როგორ უნდა შევექმნა რამე, როგორ ვისუთქო...

— თქვენი ოჯახი ძველ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, საიდანაც სამება ჩანს... როგორია თქვენი საოცნებო თბილისი?

— გული მტკივა, როდესაც გადაკეთებული თბილისის ქუჩებში დავედივარ, გამოპრანჭულ და ევროპულ სამოსში გახვეულ სახლებს ვუმზერ, თბილისი, სამწუხაროდ, ძალიან შეიცვალა.. არ ფიქრობენ მის სულზე, არ შეიძლება ყველაფერი ერთად ჩააცვა ან აასხა ლამაზ ქალს, ის უფრო სასაცილო და უშნო ხდება. ბუნებრიობა დაუკარგეს დედაქალაქს, რიყეზე რომ რაღაც საშინელება დგას... უჰ! გახედვაც მეზარება იქით, ან ამ სოკოების ადგილი იყო ძველ თბილისში? თავისთავად, შენობა ლამაზია, საინტერესოა, მაგრამ ხომ უნდა იცოდეს, სად ჩადგა. ევროპიდან ჩამოსულმა არქიტექტორმა რა იცის, შენი ქალაქის სული რაშია... მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ძველ თბილისში მეცხოვრა.

ეს საყვარელი აივნებიანი, შუშაბანდებიანი „ბებო-სახლები“ სიგიჟემდე მიყვარს. შემიძლია საათობით ვიხეტილო ამ დანგრეულ და ვინრო ქუჩებში. ვიცი, სულს ლაფავენ დღეს, მათ როგორც პიროვნებებს, ისე ვესაუბრები და ძალიან, ძალიან არ მინდა გადააკეთონ ეს სახლები. განა არ შეიძლება, დაიცვან ის ყველა წესი, რაც აღდგენა-რესტავრაციას ეხება? შეიძლება, როგორ არა, მაგრამ მერე ფული ვინ მოიპაროს? მარტო ჩვენს ქუჩაზე, ჩვენს ულაშაზეს ბოტანიკურის ქუჩაზე მილიონებია შეჭმული... სამწუხაროა, რომ საკუთარ დედაქალაქზე ისე არ ფიქრობ, როგორც საკუთარ თავზე, სულზე...

ჩემი შუშაბანდიდან პირდაპირ ვუმზერ სამებას. უფალს მადლობა ამ უდიდესი წყალობისთვის. ასეთ ადგილას თუ ოდესმე ვიცხოვრებდი, ვერასოდეს წარმომედგინა... მანამდე 4 ბინა გამოვიცვალე, ვერსად ვისვენებდი, ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი. ახლა... ეზოდ — ბოტანიკური ბაღი, ულაშაზესი ხედები, ნარიყალა... თან ჩვენი სახლი კულტურული ძეგლია, მარტო ჩვენს სახლს აქვს შენარჩუნებული სიძველე, სხვანაირად არც გამოვიდოდა, გადაკეთების უფლება არ ჰქონდათ. 250 წლის კედლები, ერეკლე დროინდელი საძირკველი, მყარი და ძლიერი, ტრადიციული ქართული ნაგებობაა, ეს სიძველე, წარსულის სული სხვანაირად მავსებს. ამიტომაც მინდა იქ ძვირფასი ადამიანები იყრიდნენ თავს. აუცილებლად მექნება ლიტერატურული სალონი „გაცოცხლებული წარსული“ და გალერეა. ეს ოცნება არაა, ეს მიზანია. ჩემს მეუღლეს ისე უყვარს ეს ადგილი, ხანდახან მანქანას ქვევით, გოგირდის აბანოებთან ტოვებს და ან საბაგიროთი ან ფეხით ამოდის. უდიდესი სიამოვნებაა ჩვენს შუშაბანდში ჯდომა და ფიქრი.

— **„ჩვენი ვერაფერი მოგვერევა, სანამ „მრავალჭამიერს“ და „წმინდაო ღმერთს“ ვმღერით“**, — ამბობთ... როგორია თქვენი თვალთ დახახული დღევანდელი...?

— მართალია, ვერაფერი მოგვერევა, სანამ ამ საოცარი სიმღერების სიყვარული გაგვჩინა და სანამ ჟრუანტელი გვივლის მათი მოსმენისას. ვერ წარმომიდგენია ჩემი ოჯახი ქართული ხალხური სიმღერის გარეშე. ძალიან მტკივა გული, როდესაც უაზროდ ბაძავენ ევროპელებსა და ამერიკელებს ყველაფერში. ცუდი იქაც ცუდია... რატომ უნდა აიღო სხვა ერისგან ის, რაც იქაც დასაგმობია, არ მესმის. ადვილი გადმოსაღები რომ არის, იმიტომ? მივბაძოთ ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ბუნების მოვლაში, ცხოვრების დონით და ყოველდღიური რეჟიმით, შრომის სიყვარულით თუნდაც... რა გითხრათ, მე ვერ წარმომიდგენია ქართველი კაცი „წმინდაო ღმერთს“ და „მრავალჭამიერს“ გარეშე.

ვერ წარმომიდგენია საქართველო ქართული სულიერების გარეშე. ეს ყველაზე დიდი სიმდიდრეა და სწორედ ამას ებრძვიან შინ და გარეთ! იშვიათია ერი, ასე ღრმად ჰქონდეს გამჭდარი ტრადიციები ძვალსა და რბილში, ამიტომაცაა, აქამდე რომ ვერ ამოგვიძრკვეს, ვერ გაგვანადგურეს. პირდაპირ სულში გვიცემენ ლახვარს დღეს, იმიტომ, რომ იქ დაინახეს ერის ძლიერება.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ხალხი ხვდება ამას, ხვდება და უფრო მეტი ბავშვი დადის და ეუფლება ქართულ ფოლკ-

ლორს. სადაც ჩემი შვილი დამყავს სიმღერისა და ფანდურის შესასწავლად, ისეთი მერცხალივით გოგო- ბიჭები დადიან, გული სიამაყით მეგსება, ვზივარ და მეც ჩუმი ვმღერი... კუნთები მიხტის მათი ცეკვის ყურებისას. „ჩაკრულო“ თუ გიყვარს, თუ ამ სიმღერის მოსმენისას გული სიამაყით გიძგერს, ქართველი ხარ და ვერაფერი მოგვერევა! ასე უნდოდათ ჩვენს წინაპრებს. ასე უნდა გვიდოდეს ჩვენც!

— **თქვენი ინიციატივით გამოვიდა ემიგრანტების პოეზიის კრებული „სამშობლოს სურნელი“**. რატომ არის ამ ნიგნის გამოცემა მნიშვნელოვანი?

— ამ ნიგნის გამოცემა ძალიან მინდოდა. 43 ავტორი მოვიძიე, ვინც დღეს საზღვარგარეთ ცხოვრობს, ზოგი დროებითაა იქ, ზოგი — სამუდამოდ... ავარჩიე მათი ლექსები ნოსტალგიაზე, სამშობლოს თემაზე, საკუთარი ნახატებით გავაფორმე და გამომცემლობა „საუნჯის“ დახმარებით შევქმელი გამოშვება. რა გითხრათ, ცრემლებით გაჟღენთილი ნიგნია... „სამშობლოს სურნელიც“ იმიტომ დავარქვი, რომ ყველაფერი ამ სურნელს უკავშირდება, მშობლის, შვილის, საყვარელი ადამიანების, მშობლიური ადგილების, ქალაქისა თუ სოფლის მოხატვება...

სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს საზღვარგარეთ. ისინი სიდუხჭირეს, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს გაექცნენ, დატოვეს ოჯახები, დატოვეს საყვარელი ადამიანები და მუდმივად იტანენ ათასნაირ დამცირებას, მაგრამ რა ქნან, უმეტესობამ ოჯახები გადაარჩინა. სხვის კეთილდღეობას ანაცვალეს საკუთარი კეთილდღეობა. ძალიან მეცოდებიან. მინდა ყველას ვუსურვო დაბრუნება. მაინც ვერ ვხედავ ხსნას სხვაგან გაქცევაში. უამრავი ოჯახი დაინგრა, ზოგი ისე წავიდა ამქვეყნიდან, სამშობლოშიც ვერ გადმოსვენებს.

ტრაგედიაა, როცა საკუთარი მშობლის უკანასკნელად ნახვასაც ვერ შეძლებ. ასეთი ტკივილები საკუთარ თავზე გამოცვადე, მონატრების, ნოსტალგიის ტკივილები, ჩემი მეუღლე აქ ცხოვრობს და ისე წავიდა მამამისი ამქვეყნიდან, ვერ ჩაუსწრო ცოცხალს, საშინლად განვიცადეთ ეს ყველაფერი... ამ ნიგნის მიზანი საზოგადოებისთვის ემიგრანტთა ტკივილის გაზიარებაა. მინდოდა მეჩვენებინა სხვებისთვის, რომ ძალიან ძნელია ეს ყველაფერი და არ იფიქრონ გაქცევაზე, ისევ საკუთარ ქვეყანაში ყოფნა, მისთვის, მისი მომავლისთვის გარჯა ერჩიოს ყველას. ყველა რომ გავიქცეთ, ვის დაუტოვოთ ეს სამოთხესავით ქვეყანა? ან ჩვენ რომ ასეთი უნიათონი და ზარმაცები ვართ, რომ დავივიწყეთ მამაპაპისეული საქმე, მივატოვეთ ღვთისმშობლის ნილხვედრი მიწა და მის მოვლა-პატრონობაზე, დამუშავებაზე უარი ვთქვით, გვეპატიება? არა მგონია, არ გვაპატიებს ამას ღმერთი.

— **თქვენი მეუღლე სვენ ვოგე ნორვეგიელია**. როგორ გაიცანით იგი?

— დაახ, სვენი ნორვეგიელია, მაგრამ სიგიჟემდე უყვარს საქართველო, ქართული ხალხური სიმღერები. სანამ მე მას გავიცნობდი, ქართულმა სიმღერამ მოაჯადოვა. პოლიფონიით დაინტერესდა და როდესაც ჩვენი სიმღერები მოისმინა, ისე აღფრთოვანდა, საქართველოში ჩამოსვლა, სიმღერის დაუფლება და ქართულ ხალხურ სიმღერებზე სადისერტაციო თემის დანერა გადანიყვიტა, კერძოდ, გურულ და კახურ ორნამენტებზე. ძალიან ტკბილი ხმა აქვს და შესანიშნავად ასრულებს „წინწყაროს“, „ჩელას“... რა ვიცი... ყველაფერს.

მე ნორვეგიაში ენას ვეუფლებოდი, მერე ნორვეგიულმა ქანდაკებამ და მხატვრობამ გამიტაცა, ფაქტობრივად, ერთდროულად ვმუშაობდი ლიტერატურასა და ხელოვნებათმცოდნეობაში, შედარებითი პროექტები მქონდა, ქართული ქანდაკება და გუსტავ ვიკელანდის შემოქმედება, შალვა ქიქოძისა და ედვარდ მუნკის მხატვრობა. ძალიან საინტერესო იყო ამ პროექტებზე მუშაობა. სვენს მაშინ დავუახლოვდი.

ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, ვეხმარებოდი ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობაში. ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით, უსიტყვოდ, ენის გარეშეც შესანიშნავად გვესმოდა ერთმანეთის. ახლაც ასე ვართ. მე ვერასდროს წარმომედგინა ჩემს გვერდით უცხოელი მეუღლე, მაგრამ ბედია, ალბათ. თან ის მართლა არა ჰგავს უცხოელს, სულითა და გულით ემსახურება საქართველოს და ქართულ კულტურას, 3 წლის წინათ ტურისტული კომპანია „კულტურული მოგზაურობა საქართველოში“ დავაფუძნეთ. ჩამოგვყავს უცხოელი სტუმრები და ნამდვილ საქართველოს, მის კულტურას ვაცნობთ. ჯერ არ წასულა ჩვენგან სტუმარი ისე, არ ეთქვას, საქართველო მართლა რა ზღაპრული ქვეყანა ყოფილა, მართალი იყო კნუტ ჰამსუნით...

მეამაყება, როცა ჩვენთან ჩამოსულ ტურისტს ჩვენი ქვეყნის ისე გაცნობა შეუძლია, როგორც ეს საქართველოს ეკადრება. შარშან ერთ ჩვენს ტურისტს ქართველი ნათესავებიც კი ვაპოვნინეთ, რომელთაც მთელი ცხოვრება ეძებდა. სვენს ამაში დიდი წვლილი მიუძღვის. ის, როგორც უცხოელი, ისე აწვდის ყველა ინფორმაციას მათ, ხანდახან ექვიც შემპარვია მის ნორვეგიელობაში.

გაისად ჩვენი ქორწინებიდან 15 წელი სრულდება, ასე მგონია, 15 დღე გავიდა მხოლოდ. ისევე ისე გვესმის ერთმანეთის, საქმეც ერთი გვაქვს და მიზანიც. როდესაც შვილებს გზაზე დავაყენებთ, ჩვენ აუცილებლად წავალთ ჩემს სოფელში, სიბერეს ჩემს ბორჯომის რაიონში გავატარებთ.


— **თქვენმა მეუღლემ ანსამბლი „გიორგი“ შექმნა, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებს... შესანიშნავად მღერის თქვენი შვილი ლუკაც, ანუ როგორ ცხოვრობს თქვენი ქართულ-ნორვეგიული ოჯახი?**

— ჩემს მეუღლეს ისეთი მასწავლებელი ჰყავდა, არ შეიძლებოდა ანსამბლი არ დაარსებულიყო. გიორგი უშიკოშვილი ასწავლიდა, ნათლიაც არის და მისი სახელიც დაარქვა შემდეგ ქართულ-ნორვეგიულ ანსამბლს, სადაც ორი ნორვეგიელი და ორი ქართველი, ბექა სებისკვერაძე და ირაკლი ჩოლოყაშვილი, მღერიან. სამწუხაროდ, პეტერ სიმონსენი ნორვეგიაში ცხოვრობს და ამიტომ ხშირად ვერ ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც ახერხებენ ხოლმე კონცერტების გამართვას, ხან აქ, საქართველოში და ხან – ნორვეგიაში, ძალიან საინტერესო, წარმატებული ტურნეები ჰქონდათ. ამ ანსამბლზე სპეციალური გადაცემა გავიდა ნორვეგიის ეთერში და ყველამ იცის, საქართველო როგორი ქვეყანაა, მდიდარი ტრადიციებითა და საინტერესო ფოლკლორით. ამ გადაცემის მერე ბევრი დაუკავშირდა ჩვენს კომპანიას ნორვეგიიდან, ზოგს ღვინის ტური უნდოდა, ზოგს – სიმღერის, მითების და ლეგენდების. შარშან მწერალი ქალებიც ჩამოვიდნენ და „ხვარამზეობის“ პირველი პრემიაც დააფინანსეს.

ანსამბლი „გიორგი“ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერას მღერის, აქვთ საკუთარი აუდიოჩანაწერიც. მონაწილეობენ ფესტივალებში. ჩვენი შვილი, ლუკაც მღერის. ფანდურზეც უკრავს. ტკბილი ხმა აქვს მამასავით. ძალიან უნდა სვენის გვერდით იდგეს და ერთად იმღერონ. დადის „მნიგნობართუხუცესის“ სკოლა-ლიცეუმში, უყვარს ენები. მამას ნორვეგიულად ესაუბრება, მე — ქართულად. ნორვეგიაში წელიწადში ერთხელ მაინც ჩადიან ხოლმე სვენი და ლუკა, მე უფრო იშვიათად... ძირითადად საქართველოში ვართ, სვენი ქართველებთან ერთად მუშაობს გადაზიდვების კომპანიაში მენეჯერად. მე კი, თუ ტურისტები არ გვყავს, ვხატავ, ვწერ, ვუვლი ოჯახს.

— **„დღე ისე უცბად გაირითმება, თვალის ახელას ვერ ასწრებს მარტი“... — შეადარეთ ერთმანეთს ლექსისა და დღის გარიტმვა?**

— შევადარე იმიტომ, რომ როგორც ლექსი ირიტმება, ისეა ჩემი თითოეული დღეც აწყობილი, ხანდახან ორი საქმის კეთება ერთდროულად მიწევს, ზოგჯერ 3 და 4 საქმეც მიკე-



თამარ ლომიძე და სვენ ვოგე

თებია ერთად. დიასახლისს საქმეს რა დაუღვევს ოჯახში, სადილის კეთების ან უთოობის დროს ხშირად ლექსი დამინერია. სხვადასხვა სამეცნიერო პროექტზეც მიმუშავია და მასწავლებლის მძიმე ტვირთიც შემედიგამს მხრებზე, თან მიხატია და თან ბავშვი მიმეცადინებია. ხან ტურისტებთან ერთად ვმჯდარვარ, როგორც გიდი და ჩანახატები მიკეთებია. ძნელია ასე, ძალიან ძნელია ქალი ხელოვანიც იყო და მეოჯახეც.

ეგ კი არა, თარგმნაც დავინყე. ამას წინათ ნორვეგიულიდან ძალიან საყვარელი საბავშვო წიგნი „კარიუსი და ბაქტუსი“ გადმოვთარგმნეთ, ძალიან პოპულარული და საჭირო წიგნია და მიწოდდა ქართველ ბავშვებსაც ჰქონოდათ, ეს ოცნებაც შევისრულე. რა ვქნა, მოუსვენარი ვარ, სხვანაირად არ შემეძლია. როცა მარტოხელა დედა ვიყავი, რა არ ვაკეთე იმ დროს, არანაირი ფიზიკური შრომა არ მიუკადრისებია, არასდროს მიგრძობინებია ჩემი შვილებისთვის გაჭირვება.. არასდროს მილაღატია, ყოველთვის მათ გვერდით ვარ და ყველანაირად ვცდილობ ბედნიერი და მშვიდი ატმოსფერო შევქმნა. მათი წარმატება მილამაზებს ყოფას, მახარებს და უფალს მუდამ ერთ რამეს ვთხოვ — ჩემი შვილების ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. მერე ვფიქრობ ჩემზე და ჩემს შემოქმედებაზე. სხვანაირი ვერ ვიქნები. დედა თუ ხარ, ასე უნდა ფიქრობდე.

— **ყაყაჩო ჩვენთვის განსაკუთრებული ყვავილია. მე ის საქართველოს მაგონებს... რატომ გიყვარს ყაყაჩოების ხატვა?**

— ყაყაჩო თავისი ფერით, ფორმით, გულში ჩახატული ჯვრითა და, უპირველეს ყოვლისა, სიმბოლიკით მომწონს. ყაყაჩო ხომ უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა... საქართველოსაც იმიტომ გვაგონებს. მუდამ თავს იცავს, მუდამ საკუთარი ტერიტორიების შენარჩუნებისთვის იბრძვის ჩვენი ბედკრული სამშობლო... ალბათ ეს სევდაა, ყველაფერია ჩემთვის ყაყაჩო. ისეთი ფაქიზი სული აქვს, როგორც საქართველოს, ისეთივე თვალწარმტაცია, როგორც ჩვენი ქვეყანა. ნარიყალასთან ცვცხოვრობ და უამრავი ყაყაჩო ყვავის იქ... აი, აქ რამდენი სისხლია დაღვრილი, ნახეთ — მეთქი, ვეუბნები ხოლმე შვილებს. ვოცნებობ, რომ შევძლო და ყველა ჩემს მეგობარს სახლში ჩემი დახატული ყაყაჩოები ეკიდოს. ყველაზე ძალიან ყაყაჩოების გაჩუქება მიყვარს. მიწდა, ყაყაჩოს რომ შეხედავენ ჩემი ახლობლები, მე გავახსენდე...

— **ამოსუნთქვიდან ამოსუნთქვამდე... როგორია თამარ ლომიძე — ქალი, დედა, მეუღლე?**

— ძალიან მიყვარს ისეთი ქალი, რომელიც ყოველთვის უთმობს გარკვეულ დროს თავის სილამაზეს, გარეგნობას.

მონესრიგებულ ქალებს ძალიან დიდ პატივს ვცემ. სამწუხაროდ, ვერასდროს ვიცლი საკუთარი თავისთვის, იშვიათად დავდივარ საპარკმახეროში და იქიდანაც ხან ლექსით ხელდამშვენებული გამოვდივარ, ხან — ჩანახატი, ნიგნი ყოველთვის თან მაქვს... სანამ ჩემი „სიცელქით“ გადაღლილი პარკმახერი დამიტოვებია, ათასნაირი საქმეები მომიგვარებია ტელეფონით. არ მყავს არც საკუთარი პარკმახერი და არც კოსმეტოლოგი, ვერ ვისვენებ და ვტანჯავ ხოლმე მათ.

ამას წინათ ქალთა კოლონიაში მომიხდა წასვლა, ნორვეგიელთა პროექტის მიხედვით შეხვედრა უნდა მოგვეყო პატიმარ ქალებთან. ვიფიქრე კიდევ, აქ რომ ჩამსვან, ალბათ ვერც აქ მოვისვენებ- მეთქი... უერთგულესი დედა ვარ. თუკი რამ გამაჩნია ამქვეყნად, ყველაფერი ჩემი შოთასა და ლუკასთვის მინდა, მათით ვსუნთქავ, მათით ვარსებობ. მეუღლე კი, მგონი, ნამდვილად იდეალური ვარ, არანაირად არ ვარ პრეტენზიული, ყოველთვის ჩემი მეუღლის გვერდით ვდგავარ და, როგორც შემძლია, ვეხმარები. დიდებული სიტყვაა „მეუღლე“... საერთოდ, თუ ადამიანმა უღლის დადგმა გადაწყვიტე, კიდევ უნდა იცოდე მისი განევა. ოჯახი უდიდესი პასუხისმგებლობაა... მე მშვიდი, სიყვარულით სავსე ოჯახი მაქვს, რისთვისაც მუდამ მადლობას ვუხადი უფაღს. უსიყვარულო ოჯახი სათავეშივე განწირულია დანგრევისთვის. იქ, სადაც ურთიერთპატივისცემა და სიმშვიდე არ არის, ასეთ ოჯახში ბავშვები მეცოდებიან ყველაზე მეტად.

— „დგას სარკის მიღმა დაბზარული ქალი — ლოდინი და ნუთისოფელს მარტოობის ეკლებით კანრავს“... როგორია თქვენი მარტოობა?

— ეს ლექსი დედას მიეუძღვენი, რომელიც მარტო ცხოვრობს. რაღაცნაირად ყველა მეცოდება მარტოობისთვის, მაგრამ შემოქმედი ადამიანისთვის მარტოობა საჭიროა. მარტო როცა ხარ, საკუთარ თავთან უფრო ახლოს მიდიხარ, უღრმავდები შენს თითოეულ ემოციას. მე ძალიან მიყვარს ჩემი მარტოობა. საშინლად არ მიყვარს ხმაური, ხალხმრავლობა... ჩემს ფიქრებთან დარჩენა ნამდვილად მირჩევნია სცენაზე დღენიადაგ პოზირებას. ტაშის გრიალის მოსმენას ჩიტების ჭიკჭიკი და ყვავილების ხატვა მირჩევნია. რა ვქნა, ეგეთი ვარ. და ვერასდროს ვმეგობრობ ისეთ ადამიანებთან, ვისაც ეს არ ესმის. ამიტომაც მყავდა და მყავს ასაკით გაცილები ჩემზე უფროსი მეგობრები. მათ ყოველთვის იციან მარტოობის ფასი.

სოფელში ყოფნა და სიჩუმე ისე მიყვარს, ხანდახან ნეტარების ჟრუანტელი დამივლის ხოლმე, როცა გამახსენდება, როგორ ვზივარ მარტო ტყეში და ვფიქრობ ან ვწერ... როდესაც შინ მარტო ვარ, გავდივარ ბოტანიკურ ბაღში, იქ მაინც არ ვგრძნობ თავს მარტო. უამრავი ყვავილი, ხე მელოდება. ასეთი მარტოობა სიმდიდრეა ჩემთვის, ყველაზე ღირებული ნუთეზია. ასეთ დროს უკეთესი ვხდები. ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში. ჩემი მარტოობა არის ის მდგომარეობა, როცა ყველაზე უკეთ ვგრძნობ, რა უნდა გვაკეთო, რას მთხოვს სული...

— თანამედროვე ქართული მწერლობის წარმომადგენელს, რა მიგაჩნიათ მწერლის უმთავრეს პრობლემად დღეს?

— ამპარტავნება და უპასუხისმგებლობა. პროზაიკოსმა, პოეტმა, და თუ გნებავთ, მხატვარმა, ნებისმიერმა ხელოვანმა პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს უპირველეს ყოვლისა, ქვეყნისა და საყვარელი საქმის წინაშე, მერე მკითხველისა და მწახველის წინაშე. დღეს ვისაც რა უნდა, იმას წერს, რამდენ ნიგნსაც უნდა, გამოსცემს, უამრავ სალამოს გამართავს და ზოგი მეგობრობის ხათრით, ზოგი ოჯახის პატივისცემისა და ზოგიც რაღაცის გამორჩენის მიზნით დადის ამ სალამოებზე, არიქა, არ ვანწყინო, მერე ჩემს სალამოზე აღარ მოვაო, არიქა, ტკბილი სიტყვა უნდა ვუთხრა, ხოტბა შევასხა, რომ მისი გული მოვიგოო, რა ჰქვია ამას, თუ არა სიყალბე, უპასუხისმგებლობა საქმისა და მეგობრობის წინაშე. არადა, ბევრი ვი-

ცი, ზურგს უკან იცინის, ქილიკობს სალამოსა და გამოფენის მერე. იქ კი, ავტორის წინაშე, თაფლად დაიღვარენ...

ეს ყველაფერი მიუღებელია. არასდროს არ მიყვარს სიტყვებით გამოსვლა პოეზიის სალამოებზე, ყველამ იცის, მაგრამ მაინც მინევს მეგობრების სალამოებზე სიტყვით გამოსვლა, ვარ მოუშზადებელი, არც ვიცი, რა ვთქვა... მჭევრმეტყველებითაც არ გამოვიჩრევი მაინცდამაინც... მიმაჩნია, რომ ასეთ გამოსვლამდე სერიოზულად უნდა შეისწავლო იმ ადამიანის შემოქმედება, მოსაწონი მოიწონო, მაგრამ დასაწუნი უნდა დაიწუნო... საშინლად განვიცდი ხოლმე. მე ავტორის მოსასმენად მივდივარ და არა სიყალბის, იშვიათად გამოდის ვინმე და პროფესიულად იშვიათად იხილავს იმ ავტორის შემოქმედებას. ძირითადად მაინც არის ქება, ხოტბა და ჩახუტება.

ჩახუტებაც მიყვარს, ღიმილიც და ლამაზი სიტყვებიც, მაგრამ მირჩევნია ვინმემ გამაკრიტიკოს, რჩევა მომცეს, ნამდვილად არ მენყინება, რადგან ვიცი, იმ ადამიანს ჩემთვის კარგი უნდა... ალბათ სალამოების მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამაც გამოიწვია ბევრ მათგანში ამპარტავნობით დასნეულება, წელიწადში ერთი კი არა, ორი და სამი სალამოს გამართვა, ნიგნების რაოდენობის გაზრდა, ხარისხზე კი ნაკლებად ფიქრობენ. და რადგან სიმართლეს მაინც არ ამბობენ, იშვიათად ვბეჭდავ და იშვიათად ვმართავ სალამოებს, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ არასდროს მქონდეს სიტყვებით გაფორმებული სალამოები, ვამშვენებ ანსამბლ „გიორგის“ სიმღერებით და ჩემი ქმარ-შვილის ლამაზი ხმებით. მე მაყურებლის, მსმენელის წინაშე ყოველთვის ჩემი ოჯახით მინდა წარვდგე, აქ სათქმელი ცხადია... ჩვენ გავცნობით და თქვენ შეგვაფასეთ ასე, 3-5 წელიწადში ერთხელ... მირჩევნია, ცოტა იყოს მსმენელი და ვიცოდე, რომ აინტერესებს, ვიდრე ხათრის გულისთვის მოვიდეს ვინმე..

— „რამდენი ცუდი რამ მესმის, დავიღალე რა... ტელევიზორს აღარ ვუყურებ, გახუთს აღარ ვკითხულობ, აქაც შემოვალ და მგონია ლექსს ნავიკითხავ, დავმშვიდდები... მაგრამ... თურმე ერთ კორპუსში უკვე 9 ბინა გაქურდეს, სადღაც კაიფში გაიპარა ახალგაზრდა ბიჭი (უკვე მერამდენე...), ვიღაცამ ვიღაცა მოკლა ფულის გამო, ვიღაც მთვრალი იჯდა საჭესთან და ავარიით დაიღუპა... ვიღაცამ ოჯახი ამოხოცა... ვიღაცამ თავი მოიკლა, ჩვილი იპოვეს ნავაგში... უჰ, საშინელ დებურესიაში ვარ! ღმერთო, გვიშველე, ღმერთო... მშვიდობა დაამკვიდრე ჩემს სამშობლოში, ვიღუპებით... მშვიდობიანი გაზაფხული მინდა ჩემი ხალხისთვის, თორემ მრცხვენია ყვავილების ხატვა უკვე“... რას დაამატებდით თქვენს ნათქვამს?

— ჰო, მართლა ეგრეა... მე სილამაზის მსახური ვარ, სიცოცხლე და ნათელი ფერები მიყვარს. მაგრამ როცა ჩემ გარშემო ამდენი უბედურება ხდება, საშინლად ვითრგუნები. დამნაშავე მგონია თავი. სხვა რომ ასეთი გაჭირვებულია, უბედურია, სანყალია, შენ რა გიხარია, რა დროს ყვავილები და სილამაზეა-მეთქი, რამდენჯერ მითქვამს საკუთარი თავისთვის. არადა, ზოგჯერ პროტესტის გრძნობა უფრო მახატვინებს ასე, მინდა ასე ვებრძოლო ამ ყოველგვარ საშინელებას. ეს ყველაფერი ხომ ეშმაკიდან მოდის და ამიტომ შენ სათნოება და სიკეთე უნდა დაახვედრო, სილამაზე და მშვენიერება უნდა იყოს იარაღი ბოროტების დასამარცხებლად. ადრე ასე არ ვფიქრობდი. ადრე მუქ ფერებში ვხედავდი ყველაფერს... რა გითხრათ, ჩემს ცხოვრებაში ყველაწიერი დადებითი განცდა და ემოცია ჩემმა ოჯახმა, ჩემმა ქმარ — შეილმა შემოიტანა. ბედნიერების უფლება ყველას აქვს, მშვიდი და ლამაზი ცხოვრება ყველას უნდა, თუნდაც მშვენიერი ყვავილების ხატვაც, მაგრამ აი, მე რომ მაქვს და სხვას არა, ეს მანუხებს, მე რომ მიხარია, სხვაც მინდა იყოს გახარებული... ამიტომ დავწერე ასე... დღედაღამ ჩემი ხალხის კეთილდღეობაზე ვლოცულობ, არ ვიცი, როგორ გაუძღვებს ჩვენი ქვეყანა

ამდენ უბედურებას, ამდენ გამოწვევას, გამოცდას... განსაცდელი არ ელევა ხალხს და საშინლად მტკივა გული ამ ყველაფერს რომ ვუყურებ.

— **ძალიან მომწონს მეუღლისადმი მიძღვნილი თქვენი ლექსი. როგორ დაინერა ეს ლექსი, რომელიც ამ კითხვის პასუხიც არის: რატომ ვერ შეძელით ნორვეგიაში ცხოვრება?**

— „ჩემი სამშობლო“ ჩემი სავიზიტო ლექსია, მგონი... ეს არის წერილი მეუღლეს, სადაც ჩემს ტკივილს, სამშობლო-სადმი ჩემს სიყვარულს გამოვხატავ.

მახსოვს, ახალი ჩამოსული ვიყავი ნორვეგიიდან, 9 თვეზე მეტ ხანს არც არასდროს ვყოფილვარ იქ, 2 თვეში უკვე საშინელი ნოსტალგია მეწყება. როცა ქართულ მიწაზე ფეხს ვდგამ, ყველაფერი მინდა დავკოცნო. 2007 წლის შემოდგომაზეც ახალი ჩამოსული ვიყავი. ბაბუას ნაღვერში ვენახი ჰქონდა და ყურძნის დაკრეფა, ღვინის დაყენება სურდა. მაგრამ მოხუცი იყო უკვე და ვეღარ შეძლო, საკმაოდ კარგი მოსავალი ჰქონდა, შემეცოდა, გული არ დაწყდეს-მეთქი, ჩავაკითხე ნაღვერში, დავკრიფე ყურძენი, შევიძინე რაც დამჭირდებოდა ღვინის შესანახად, ავიტანე მე-მ სართულზე ეს ყველაფერი, ჩავაყენე ჩემი ლუკა უშველებელ ქვაბებში და დავანურინე ყურძენი, მერე გამოვიკითხე, როგორ უნდა გადამელო ერთი ჭურჭლიდან მეორეში, როდის რა უნდა მექნა, ამ ყველაფერს ხომ ცოდნა უნდოდა, მე კი ამის გამოცდილება არ გამაჩნდა. ასე ვიმუშავე მარტომ და როდესაც სვენი ჩამოვიდა, 60 ლიტრი ღვინო დავახვედრე. ეს ისეთი მოგონებაა, ახლაც სიამოვნების ჟრუანტელი მივლის, როგორ ვიმუშავე მარტო ქალმა ქართველი კაცივით... და ღვინოს ხომ საოცარი ძალა აქვს, მაჭართან ერთად ვგრძნობდი, როგორ დუღდა ჩემშიც ლექსი... ჰოდა, ერთხელაც ამოხეთქა. და ეს ლექსიც დავახვედრე მეუღლეს. ასე გავეცი პასუხი, რატომ არ მინდოდა ნორვეგიაში ყოფნა. და მიხარია, რომ მან ეს შესანიშნავად გაიგო.

— **პრეზიდენტი რომ ვიყო, ქართველ პოეტებსა და პროზაიკოსებს მიტოვებულ სოფლებში დავასახლებდიო, — ამბობ. მაგრამ იქ ახალგაზრდები არ სახლდებიან... მიტოვებულია ჩვენი მთა, საზღვრისპირა ზოლი, ამასობაში კი უცხო მკვიდრდება დაცლილ ადგილებზე...**

— საშინლად განვიცდი ამ ყველაფერს. მესმის, რომ იქ მიძიმე პირობებია, ვიცი, რომ არანაირი მხარდაჭერა არა აქვს მთის მოსახლეობას მთავრობის მხრიდან, მაგრამ მაინც ვერ ვგებულობ, მთელი ცხოვრება სადაც გაუტარებიათ, ასე ერთი ხელის მოსმით რანაირად შეუძლიათ დაივიწყონ და ასფალტზე დასახლდნენ... შენი ხელით მოყვანილ ხილ-ბოსტნეულს რა ჯობია, სუფთა ჰაერს... მთავრობამ პირველ რიგში ხალხი იქ უნდა დააინტერესოს, რომ არ ნამოვიდნენ ბარში, როცა ისინი უკეთეს პირობებს ნახულობენ, აღარ ბრუნდებიან, ამიტომაც არის საჭირო რეგიონებში ახალგაზრდობისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობა, დაასაქმონ, ნაახალისონ ისინი. სოფლებში ძირითადად მოხუცები და ბავშვები არიან, სევდისაგან გული დაუდნათ მიტოვებულ სახლებს. ეს სიტყვები იმიტომ დავწერე, რომ თუ ჩვენ, პოეტებს და მხატვრებს, ხელოვან ხალხს, ასე შეგვტკივა ქართულ მიწა-წყალზე გული, ნავიდეთ და ვიყოთ სოფლებში. ვაჟა-ფშაველა თუ ცალი ხელით მიწას ამუშავებდა და ცალი ხელით ლექსს წერდა, არ ქმნიდა შედეგებს? ასე უფრო ღირებულ ხელოვნებას შექმნით, მჯერა.

მთავრობამ გარკვეული დახმარება უნდა გაუწიოს ასეთ მონდომებულ ადამიანებს, დაუნიშნოს ყოველთვიური პენსია, შეუქმნას პირობები, რომ დასახლდეს ასეთი ხალხი იქ, თორემ მარტო გულზე მჯილის ცემა, რომ მიყვარს სამშობლო და ვუძღვნა მას ლექსები, არ კმარა.

სხვათა შორის, ნორვეგიაში ვნახე ხელოვანი ხალხის სოფლები. იცით რა კარგი პირობები აქვთ შემოქმედებითი მუშაობისთვის? ყველაფერი გაცილებით იაფია იქ, მისასვ-

ლელი გზა ადვილია, სახელმწიფო ხელს უწყობს მათ იქ ყოფნას, არის კულტურული სკოლები, ერთ-ერთი ასეთი სკოლის რექტორი სვენიც იყო, ერთმანეთის შვილებს ზოგი რას ასწავლის და ზოგი — რას, ასეთ სოფლებში ხელფასებიც მაღალია და ცხოვრების დონე არანაირად არ განსხვავდება ქალაქისგან. არის სიმშვიდე და ბუნება... თავის მხრივ ისინიც დაინტერესებულნი არიან, თითქოს ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, და ტურისტები რომ მიდის იმ სოფლებში, ყველას საკუთარი — ზოგს გალერეა აქვს, ზოგსაც — სალონი... იკრიბებიან, როგორც აქ ჩვენ ვმართავთ პომპეზურ საღამოებს, ისინი ერთმანეთს ასე უზიარებენ საკუთარ შემოქმედებას. ის რეგიონიც ყვავის ყველანაირად, ყვავილით დაწყებული და წიგნით და ნახატით დამთავრებული, და ხელოვნებაც ვითარდება...

— **რა უფრო გიმძაფრებს შთაგონებას — ფერი თუ მუსიკა... რომელია თამარ ლომიძის საყვარელი ფერი?**

— ძალიან რთული კითხვაა, საყვარელი ფერი ბევრია ჩემთვის, ზოგჯერ იმ ფერს კიდევ სხვა ფერი „მოჰყავს“, იმას — კიდევ სხვა, რომელსაც სახელი არ აქვს, არც იცი, რა ფერია... მე ასე ვერასდროს ვიტყვი, მიყვარს ნითელი, ლურჯი, მწვანე... ეს რადაცინაირად სასაცილო მგონია... თუ მხატვარს ფერების გამოყენება უყვარს, ყველა ფერი თუ არა, ბევრი ეძვირფასება. ფერწერა ის მუსიკაა, ის მელოდია, რომელიც ცალკეული ნოტებითა და ტონებით კი არა, მთლიანობაში უნდა მოგვენოს. მუსიკოსი ხომ ვერ იტყვის, უყვარს „ლა“ ან „დო“, ისე ვერ ვიტყვი მეც... ჩემი „ლა“ და „დო“ მელოდიებს ქმნიან... შთაგონებას ფერი მიძაფრებს... ხატვის ჟინი მაშინ ნამეკიდება, როცა ფერებით ავნიოკდები ხოლმე. მუსიკა ფონია, ჩემი შთაგონებისთვის მუსიკა ფონია... ლექსი და ფერი მუდმივად წრიალებენ ჩემში და არ მასვენებენ...

— **როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?**

— მე გეგმები არ გამაჩნია, ახლახან 12 თვე დავხატე, ქალების ტორსებით, ტონებით მინდოდა თვეებისთვის დამახასიათებელი განწყობა გადმომეცა. ეს არ დამიგეგმავს, არანაირად არ მქონდა მიზნად დასახული, ისე, შემთხვევით დამეზადა იდეა, მუშაობის პროცესში. შემოქმედი ადამიანისთვის გეგმები ცოტა ძნელი შესასრულებელია. ვერც ლექსის წერას დავგეგმავ და ვერც წიგნის გამოცემას... სამწუხაროდ, ამ მხრივ ძალიან პასიური ვარ, თითქმის არასდროს დავდივარ რედაქციებში და არავის ვთხოვ ლექსების დაბეჭდვას, კონკურსებში მონაწილეობაც მეგობრებმა გამაბეზინეს, კი, გავიმარჯვე, „შოთაობის“, „ხვარამზებობის“ კონკურსებზე, მაგრამ ის თანხები ქველმოქმედებას მოვახმარე. სოციალური ქსელის მეშვეობით ვაცნობ ხოლმე მეგობრებს ჩემს ახალ ლექსს თუ ნახატს. სამი კრებული მაქვს გამოცემული, მაგრამ რატომღაც მუდმივი უკმაყოფილების გრძნობა მაქვს.

სამწუხაროდ, არასდროს არაფერი მომწონს, რასაც ვაკეთებ და თვითკრიტიკაა ალბათ, საზოგადოებაში ყოველთვის ჩრდილისკენ რომ მექაჩება. არ მიყვარს, ხშირად რომ მართავენ საღამოებს და გამოფენებს. უნდა მოენატრო მნახველსა და მსმენელს. შენი შემოქმედებით უნდა დააინტერესო, კი არ უნდა მოაბეზრო თავი ხალხს. რა ვიცი... მე ასე მესმის. ვიცი, ბევრს ეს არ გაეგება.

ძალიან მინდა 12 თვის გამოფენა გავაკეთო, ახალი წიგნიც გამოვცე, 2011 წელს რომ გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „ზღვარი“, ისე ვწერვიულობდი, არცერთ წიგნზე ამდენი არ მინერვიულია, ალბათ გადამეტებული პასუხისმგებლობა ვიგრძენი მკითხველის წინაშე. წლის ბოლოსთვის მინდა გამოვცე მეოთხე კრებული, მაგრამ ეს მხოლოდ მინდა, გეგმაში არ და ვერ იქნება... გამოფენაც მინდა მქონდეს, 12 თვის კალენდარიც მსურს გავაკეთო, მაგრამ ვერ ვწყვეტ, ფინანსებს რომ თავი დავანებო, მუდამ სულ რაღაც მავრკოლებს შიგნიდან, ასე მგონია ადრე... არადა, წლები გადის, ვნახოთ...

ჩემო ძმაო ნოდარ! შენი თვალის გადავლება და აზრი ჩემთვის გადამწყვეტია. ხომ არ არის პრიმიტიული, სენტიმენტალური და ბებრის ნაბოდვარი. თავი არ მომეჭრას! დაუფარავად მითხარი შენი მოსაზრება. შენსას, როგორც რედაქტორის მითითებას, უყოყმანოდ მივიღებ. იმედი მაქვს არ დაიზარებ ჩემი თხოვნის შესრულებას.

სიყვარულით ალექსო თუთბერიძე

P.S. ეს ქვეყანა ინგრევა და რა დროს ინოლა და ნათია! ფართო საზოგადოებისათვის უცნობი პირები — ირაკლი სურგულაძე, ლინია ოკლეი რამდენად საინტერესოა მკითხველისათვის. ხომ არ შევითანო ეს მოსაზრება ჩემს პირველთქმაში?

ჩემო ძმაო, ალექო!

მშვენიერი ეტიუდებია. შესანიშნავად წერ, ცოცხლად. ვაკვადნიერდი და მცირე შესწორებანი შევიტანე.

მე მგონია, უკეთესი იქნება თუ დაიწყებ ალექსანდრე აბაშელით, მერე მოაყოლე კონსტანტინე გამსახურდია. მკითხველი უცებ მიხვდება ვინ არის ავტორი (ყოველგვარი წარდგინების გარეშე), აუცილებლად გააგრძელებ მოგონებების წერა. გილოცავ! გმადლობ!

ძმური სიყვარულით ნოდარ გურაბანიძე

ალექო თუთბერიძე

დასაკარგავად რაც მინანება

როცა ახალგაზრდა ვიყავი

ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. ჩემი თაობის ადამიანებსაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ. ჩემი თაობის ადამიანებსაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ. ჩემი თაობის ადამიანებსაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ. ჩემი თაობის ადამიანებსაც საკმაოდ დიდი ხნის წინათ.

სულ ცოტა რამ

ალექსანდრე აბაშელის შესახებ

მამაჩემი, ილია თუთბერიძე, არასოდეს ყოფილა პარტიული და არც რაიმე ოფიციალური თანამდებობა სჭერია. იყო იმ დროისთვის ერთ-ერთი ცნობილი ვეჟილი. როგორც შემდეგ მამის გადარჩენილი კოლეგებისა და დედაჩემისგან მსმენია, მამა შეეწირა მაშინ ერთ-ერთ „საჩვენებელ“ „ნითლიძისა და მისი ჯგუფის“ პროცესზე პროფესიულ და ობიექტურ გამოსვლას. ილიკომ თავი დაიღუპა ამ გამოსვლით, იმთავითვე უთქვამთ მეგობრებსა და კოლეგებს. 1938 წლის 28 იანვარს მამაჩემი დაკავებულ იქნა. შინსახკომთან არსებული სამეულის გადაწყვეტილებით 1938 წლის 14 მარტს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, რომელიც სისრულეში მოყვანილ იქნა იმავე დღეს. მე ჯერ ოთხი წლისაც არ ვიყავი და მამისა მხოლოდ სილუეტი მახსოვს. დედაჩემი, მედეა აბაშელი-თუთბერიძისა, რომელიც მაშინ სულ 22 წლისა იყო, დაბატონებულს გადაურჩა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემმა ბაბუამ, ალექსანდრე აბაშელმა თავისი ერთადერთი ქალიშვილი სასწრაფოდ გადაამალა და გააგზავნა ჯერ ბაქოში ბიძასთან, შემდეგ ლენინგრადში ბიძაშვილთან, მერე ისევ ბაქოში, ისევ ლენინგრადში. შემდეგ თითქმის წელიწადი ხაბაროვსკში იმყოფებოდა დეიდასთან.

ამრიგად, მე დედა 5-6 წელიწადი არ მინახავს. მზრდიდნენ ბაბუა და ბებია. ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო ბა-

ბუა, და თავისი მწირი შემოსავლით არჩენდა სამ ოჯახს. ბეზიჩემის სიძე, დის ქმარი ვასილ ცაბაძე დახვრიტეს 1924 წელს. მისმა მეუღლემ თავი მოიკლა და მათი სამი შვილი 1, 3, 4 წლის ბიჭები ბაბუაჩემის გასაზრდელი შეიქნა. ბაბუაჩემის დას, მარიამ ჩოჩიას, იმავე წელს დაელუბა მეუღლე, პოეტი ნოე ჩხიკვაძე, და მათი ორი მცირეწლოვანი ქალიშვილიც ბაბუაჩემის გასაზრდელი გახდა.

ასე შევიყარეთ 6 ობოლი ერთად. ერთი სიტყვით მთელი ბავშვობა და ყრმობა უმშობლებოდ და უალრესი გაჭირვების პირობებში გავატარე. ბაბუს უჭირდა სამი ოჯახის რჩენა და მან მელიტონ ბალანჩივაძეს მიმართა თხოვნით:

„ჩემი ცოლი (ეკატერინე ჩოჩია) სწავლობს კონსერვატორიაში რემიზოვას კლასში. სწავლის ფულის გადახდა უშეღავათოდ ჩემთვის მეტად საძნელო არის. მართალია მე ვლელულობ ჯამაგირს 10 ჩერვონეცს, მაგრამ ამით მე ვინახავ და ვასაზრდობ სამს ოჯახს. ჩემს საკუთარს, ჩემი ცოლის დის ოჯახს, რომელსაც მოუკვდა მარჩენალი და სრულიად უსალსროდ ჩემს ანაბარად დარჩა და ჩემი დის გარდაცვლილ პოეტის ნოე ჩხიკვაძის ოჯახს. ჩემი ჯამაგირი მიახლოებითაც ვერ აკმაყოფილებს ამდენი სულის შენახვისათვის საჭირო ხარჯებს. ამისათვის გთხოვთ შემიმციროთ სწავლის ფული.“

ალექსანდრე აბაშელი

19/IV-24.“

არ ვიცი რა შედეგი მოჰყვა ამ წერილს, მაგრამ ბებუას მამაც მოუხდა ვოკალისათვის თავის დანებება და მთელი სიცოცხლე ამ ოჯახს მიუძღვნა, დაიწყო კერვა, რითაც გარკვეულად ზრდიდა მწირ ბიუჯეტს. მახსოვს მე და ბებია მთელი დღეები როგორ ვიდექით ციხესთან გრძელ რიგში მამისათვის ამანათის გადასაცემად, რომელიც თურმე აღარ იყო ცოცხალი. მე დიდხანს დამყვებოდა „ხალხის მტრის“ შვილის სახელი და თანამდევნი მორალური წნეხი. აი მაგალითად:

ეს ის წელია, 1951, როდესაც საქართველოდან ოჯახების მასობრივი დეპორტაცია მიმდინარეობდა შუა აზიაში. ჩვენი სკოლის მოსწავლის, საფრანგეთიდან ახალჩამოსული ინასარიძეების ოჯახიც გაასახლეს. ისევ დაიზაფრა მთელი საქართველო. და სწორედ ამ დროს, რალაც ცულლუტობისათვის სკოლის საერთო კრებაზე ჩემმა მასწავლებელმა (გვარს არ დავასახელებ) გარკვევით თქვა: თუთბერიძე ჩვენ მამამისის დაბატონებისათვის გვიხდის სამაგიეროსო. პაუზა, სამარისებური სიჩუმე. ფეხზე წამოდგა ჩვენი სამხედრო მასწავლებელი, ომგამოვლილი, თვალდაკარგული, ვაჟკაცური აღნაგობის, მკაცრი, მაგრამ კეთილი გაიოზ რუსიშვილი და ხმამაღლა განაცხადა: ამას როგორ კადრულობთ, ქალბატონო... რის უფლებას აძლევთ თავს! თუთბერიძე კარგი ბიჭია და კარგი მოსწავლე. იმ მასწავლებელმა უკან არ დაიხია, მაგრამ სხვა პედაგოგების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ამ ამბავმა, ბუნებრივია, სკოლის გარეთ გაჟონა. მოაღწია ჩვენს

ოჯახამდეც. ბაბუამ, ალბათ რომ ანი მაინც ავერიდებინე ასეთი თავდასხმებისაგან, დიდი მორიდებით მითხრა, გადმომი ჩემს გვარზეო. მე არ ველოდი ამ შემოთავაზებას. ცოტა ფიქრის შემდეგ ვუპასუხე, შენ არ მეუბნებოდი, რომ მამაშენი უდანაშაულოაო. ბაბუ დაიხარა, მაკოცა, ყოჩაღ, ბიჭოო, — მითხრა და აღარასოდეს არაფერი თქმულა შემდეგ ამის თაობაზე.

ალექსანდრე აბაშელი მრავალი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობდა. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად. ომის დროს ჩვენი ბინიდან ორასიოდ მეტრზე მდებარეობდა მორებით გადახურული, და ზევით მინამოყრილი თხრილი, ე.წ. ბომბსაფარი. კარგად მახსოვს, განსაკუთრებით ღამით, როცა ცხადდებოდა საჰაერო განგაში ალექსანდრე აბაშელი მარტო (იქ აღარავინ აფარებდა თავს), მძიმე ჩემოდნით ხელში მიძუნძულებდა იმ თხრილისაკენ და იქ იცდიდა განგაშის შეწყვეტამდე. მეზობლებს უკვირდათ: რას მალავს აბაშელი, რა აქვს ასეთი ძვირფასიო — არადა ჩემოდანში ვაჟა-ფშაველას არქივი და მისი ტომეულების სარედაქციო მასალა ელავა.

რეზო ინანიშვილი ასე ხედავს ალექსანდრე აბაშელს: „ქუჩაში რამდენჯერმე შევხვედრივარ ალექსანდრე აბაშელს, თბილისელთა საეჭვოდ შემღვრეულ ტალღას იგი მოჰყვებოდა როგორც ქრისტე მშიერთა და დავრდომილთა ბრბოს“.

ამ ფრაზაში მე მხოლოდ აბაშელისაში მიძღვნილი ეპითეტი მებაძვამ.

ბატონი კონსტანტინე გამსახურდია

ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ბაბუაჩემის, ალექსანდრე აბაშელის ახლო მეგობარი იყო. ხშირად მოდიოდა ჩვენთან, საათობით ისხდნენ კაბინეტში და საუბრობდნენ. ქართულად, მეგრულად. მეც ბავშვობიდან მიახლოვებდა, მათამაშებდა. როცა წამოვიზარდე, როგორც წესი, ჩვენთან სტუმრობის მერე გამიყრიდა მკლავს და სეირნობით მიმაცილებინებდა თავს სახლამდე. ბევრი შემთხვევიდან მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ. ერთ-ერთი სეირნობისას მე-ლიქიშვილის ქუჩაზე მაშინ მდებარე წიგნების მალაზიაში შევიარეთ. ყურადღება მიაქცია ახლად გამოსულ ნიკო ბერძენიშვილისა და სხვა ავტორთა „საქართველოს ისტორიას“ და თაროდან გადმოაღებინა. დიდხანს, გულდასმით ათვალიერა, ზოგჯერ სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება გადაურბენდა. მაგრამ ბოლოს მიუტრიალდა გამყიდველს და ორი ეგზემპლარი შეიძინა. ერთს იქვე ჩემთვის სამახსოვრო წარწერა გაუკეთა და საზეიმოდ გადმომცა. „წაიკითხო — მითხრა — ბევრი რამ სწორად წერია, აბა სრულ სიმართლეს ვინ დაანერინებდა“. დღესაც ეს წიგნი ჩემი და ჩემი ოჯახის რელიკვიაა.


მე და ასტამურ არბამ სკოლაში რალაც დავაშავეთ, მგონი კლასის დიდი ფანჯარა გავტყუეთ, გაგვაძვევს კლასიდან და მშობლების მოყვანამდე დირექტორი კლასში არ გვიშვებდა. რამდენიმე დღე ვტკბებოდით თავისუფლებით, მაგრამ მერე ჩვენც შევწუხდით. შინ ვერ ვამხელდი იმიტომ, რომ ახლად ნაცულულუტარი უკვე ვიყავი და ვიცოდი, უსიამოვნება არ ამცდებოდა. მივედი ბატონ კონსტანტინესთან, ავუსხენი ჩემი „გამოუვალი“ მდგომარეობა და ვთხოვე წამომყოლოდა სკოლაში. დიდად სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ასნია ცალი წარბი და მითხრა — „წამოგყვები თუ დამეხმარები“. მოლაპარაკება მომენტალურად შედგა! იმ დროს ბატონი კონსტანტინე აშენებდა თავის კოლხურ კომპლ. სწორედ იმავე დროს შენდებოდა „შახტმშენიც“ (ახლანდელი მეცნიერებათა აკადემია). და მან მიმიყვანა იმ სახლის ეზოში. იქ კი

დიდ საბარგო მანქანაზე აწყობდნენ ოთხკუთხა დათოვლილ მორებს. მე დამევალა ამ მორებზე დაჯდომა (კაბინა დაკავებული იყო) და იქიდან მძლოსისათვის გზის მითითება კოლხურ კომკამდე. დავალეხა პირნათლად შევასრულე.

მეორე დღეს, საათის თერთმეტისთვის ბატონი კონსტანტინე მოვიდა (ვილისით) სკოლასთან. მე დავხვდი და ჩვენ ავედით მეორე სართულზე.

რატომ გამოვეცო ასე, არ ვიცი. ეცვა მუქი მწვანე რალაც კამზოლი, წვივებზე მოტკუცულ ყავისფერ კრაგებში ჩატანებულ თუთუნისფერი შარვალი, ხელში ჩაღის ქუდი ეჭირა. გამსახურდიას მოსვლას სკოლაში შესვენება დაემთხვა და მასწავლებლებიან-მოსწავლეებიან ყველა გამოეფინა კორიდორში. ატყდა ჩოჩქოლი, ბავშვების სირბილი. ისმოდა „გამსახურდია, გამსახურდია!“ კაბინეტიდან გამოვიდა დირექტორი იპოლიტე სურგულაძე და დაბნეული მიესალმა. შეიპატიჟა კაბინეტში და მეც შევყვევი. იქ თავშეკავებული ურთიერთმოკითხვისა და ჩადენილ დანაშაულში გარკვევის შემდეგ ბატონი კონსტანტინე მომიტრიალდა და მითხრა: „როგორ ბედავ და ასე აწუხებ ამ პირველ ინტელიგენტს“. „და შენ როგორ ბედავ და ასე აწუხებ ამ პირველ მწერალს“. მე სიცილი მინდოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, მაპატიეს. გამოცილებისას ჩუმად ვეუბნები: „კონია ბიძია, ცუცას ბიჭიც გარეთაა“. ბატონი კონსტანტინე კარებში შეყოვნდა და მიმართა სურგულაძეს: „იქნებ ცუცას ბიჭიც დაუშვათ“. ასტამურიც დაუშვეს. გარეთ მეკითხება: „ბიჭო, ვინაა ცუცა?“ მე ავუსხენი — დახვრეტილი საიდ არბას მეუღლეა-მეთქი. ვიცოდი, რომ საიდ არბასაც და ცუცა თოფურიასაც იცნობდა. კმაყოფილი დარჩა, რომ ასტამურსაც დაეხმარა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონი კონსტანტინე კონიაკს მიეძალა. ოჯახი ძალიან წუხდა და ყოველმხრივ უზღულავდნენ ამ გატაცებას. ცოტა ნაბიჯიც დაუშოკლდა და სიარულსაც მოაკლდა სიმტკიცე. მარტოს ქუჩაში იშვიათად თუ ნახავდით. თუ გამოვიდოდა, უმთავრესად ქალმშვილი თამარიკო ახლდა ხოლმე. და აი ერთხელ ვხვდავ ბატონ კონსტანტინეს ოპერასთან მოსეირნეს და სრულიად მარტოს. უმაღვეხელი. გაუხარდა, გამიყარა მკლავი და გამიყოლა თან. გავცდით რუსთაველის თეატრს და გავჩერდით სასტუმრო „თბილისთან“. ცნობილია, რომ ბატონ კონსტანტინეს უყვარდა „თბილისის“ კაფე და ადრე ხშირად უნახავთ იქ. უსიტყვეად შემეყვანა კაფეში, აირჩია მაგიდა და დავსხედით. კაფეში ოფიციალტად მუშაობდა ერთი ახალგაზრდა კოსტარუსის ქალი რაისა. მე და ჩემი ამხანაგები შევალბანდარებულეები ვიყავით მასთან და ისიც არ ვევერიდებოდა. როგორც ჩანს, რაისას გამსახურდია ჩვენი წრის კაცი ეგონა ან, როგორც ხშირად ხდებდა, მოხუცი კლიენტისაგან ფულის გამოძალვას აპირებდა, არ ვიცი, თამამად კი მოგვიახლოვდა, უკან მიუდგა ბატონ კონსტანტინეს, ლოყა ლოყაზე მიადო, წინ დაუდო მენიუ და **А я его не знала**-ო მითხრა. მე გამაცივა — **Прочь, Вы со своими солдатами разговаривайте так!** — შეუძახა ბატონმა კონსტანტინემ, შესე ამ თავხედს, — ჩაილაპარაკა. მე ხელით ვანიშნე რაი-



სას, გაგვცლოდა. ის ნავიდა ძალიან გაკვირვებული. სხვა ოფიციალური მოგვემსახურა. გვეკონდა 200 გრამი კონიაკი „ენისელი“ და შემწვარი სულგუნი. უცებ კაფეში თავი შემოყო თამრიკომ და შემფოთებულმა დარბაზში მსხდომნი შეათვალიერა. მე ხელის აწევით მივანიშნე ჩვენი იქ ყოფნა. დაგვიანება, დამშვიდებული ნავიდა. მამა არ იყო მარტო.

როგორც მოგახსენეთ, ბატონმა კონსტანტინემ დამიახლოვა და საკმაო დროს მითმობდა. მესაუბრებოდა, მიყვებოდა ამბებს თავისი ცხოვრებიდან, განსაკუთრებით საინტერესოდ 20-იანი წლების საქართველოში მიმდინარე პროცესებს. სამწუხაროდ, არ ვინერდი, არც მესმოდა ამის საჭიროება. ახლა კი ძალიან ვნანობ. შევძლებ კი დაუზიანებლად აღვადგინო ბატონი კონსტანტინეს მიერ აღწერილი, მაგრამ წლებით გაფერმკრთალებული დიდი და მცირე მოვლენები, ადამიანთა სახეები, საზოგადოებრივი სურათი ჩემი უნებური ინტერპრეტაციის გარეშე? შეიძლება კი ამის გარისკვა? რა თქმა უნდა არ შეიძლება! ჩემი დღევანდელი შეფასებით, გამსახურდია მაშინაც შემფოთებული იყო, თითქოს დიდ გართულებებს ელოდა. და მართლაც, მე ხელთ მაქვს მის მიერ მოცემული, გაყვითლებული, შელახული ფურცლებზე და ძველ რემინგტონზე დაბეჭდილი **ОТКРЫТОЕ ПИСЬМО УЛЬЯНОВУ — ЛЕНИНУ, 7-05 1921**, სადაც ნათლად ჩანს გამსახურდიას მაშინდელი შფოთვის საფუძველი.

შეუცდომლად, ჩემი ინტერპრეტაციის გარეშე, შემიძლია გადმოვცეთ მისი ორი გამონათქვამი, რომლებმაც მაშინ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ომის დროს მე, სულ პატარა ბიჭს, მითხრა: „უთხარი ბაბუაშენს, შეწყვიტოს გერმანელების სალანძღავი ლექსების წერა“. და კიდევ: ძველი კინოსტუდიის დარბაზში იყო კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი საღამო. მოგონებებით გამოვიდნენ ცნობილი მსახიობები, თეატრის მოღვაწეები, მწერლები. კონსტანტინე გამსახურდია იჯდა დარბაზში, არ გამოსულა. საღამოს დასრულების შემდეგ ერთად გამოვიდნენ დარბაზიდან ის და აკაკი განურელი. ბატონმა კონსტანტინემ დამინახა და თავისთან მიმიხმო. მე ბატონ აკაკისაც კარგად ვიცნობდი. ისინი საუბრობდნენ, მიყვებოდნენ მათ. შემდეგ შეჩერდნენ. ბატონმა კონსტანტინემ თქვა (მომეჩვენა, რომ მშრალად): „მარჯანიშვილი დიდი რეჟისორი იყო, მაგრამ არავინ გაუზრდია, სკოლა არ შეუქმნია“. ბატონი აკაკი არ შეკამათებია.

რამდენიმე შტრიხი აკადემიკოს ფერდინანდ თავაძის პორტრეტისათვის

ფერდინანდ თავაძე გახლდათ ქართული ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი — ინჟინერი, მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი, პედაგოგი, ხელმძღვანელი. მისი მოღვაწეობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა საქართველოში ი. ჯავახიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, ი. ბერიტაშვილის, გ. ნიკოლაძის, გ. გედევანიშვილის და სხვა დიდ გზისგამკვლევ მეცნიერთა ნამოღვაწარს სჭირდებოდა განმტკიცება, განვითარება, დარგობრივ სკოლებად ჩამოყალიბება და სწორედ ფერდინანდ თავაძეს დაეკისრა ურთულესი აღუქცია, საქართველოში მრავალწლიანი წყვეტის შემდეგ აღდგენილი მეტალურგიისათვის სამეცნიერო ბაზისის შექმნა.

მას ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა. გარშემო შემოიკრიბა იმჟამად საქართველოში მოღვაწე სპეციალისტები, გულანთებული ახალგაზრდები, პირადად ზრუნავდა სამეცნიერო თემისათვის, ლაბორატორიების მოწყობა-მომარაგებაზე, სამეცნიერო კავშირების დამყარებაზე მაშინდელი საბჭოეთის წამყვან ინსტიტუტებთან, სპეციალისტებთან ექებდა კავშირებს საზღვარგარეთ. დიდი ერუდიციის მეცნი-

ერს, ბუნებრივია, შემოქმედების ფართო ჰორიზონტი ჰქონდა. ფერდინანდ თავაძის თავგამოდებული შრომის, დიდი გონებრივი და ფიზიკური ენერჯის ხარჯზე ჩამოყალიბებულმა ინსტიტუტმა მოიცვა მეტალურგიული პროფესიების მთელი სპექტრი; თუჯის და ფოლადის წარმოება, ლითონების ჩამოსხმა, შედუღება, წნევით დამუშავება, ლითონმცოდნეობა, მოგვიანებით — ფერადი ლითონების წარმოება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი ჩაენერა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ელიტაში, მოიპოვა საკმაო ავტორიტეტი საზღვარგარეთ. მაგრამ მარტო ეს არ ყოფილა ფერდინანდ თავაძის ზრუნვის საგანი. არანაკლებ ყურადღებას აქცევდა ინსტიტუტში შექმნილ ფსიქოლოგიურ ამინდს, თანამშრომელთა ურთიერთობის ეთიკურ მხარეს. თითოეულ ჩვენგანში ჩამოყალიბდა გარკვეული თვითკონტროლი, უშურველობის, მეგობრობის, ურთიერთხელისგამართვის ატმოსფერო. ინსტიტუტმა თანდათან მისი შემქმნელის ცხოვრების წესით დაიწყო ცხოვრება.

ფერდინანდ თავაძის სამეცნიერო მოღვაწეობა ღირსეულად არის შეფასებულიცა და დაფასებულიც. მე კი მის კაცურ თვისებებზე მინდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა. მასთან ჩემი მრავალწლიანი, საკმაოდ ახლო ურთიერთობის ფონზე მინდა გავიხსენო რამდენიმე ეპიზოდი, ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი რომ განმანცობს ამ დიდებული პიროვნების მიმართ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი ლითონების წნევით დამუშავების სპეციალობით დავამთავრე. ლითონმცოდნეობას მიკითხავდა ბატონი ფერდინანდი, მაგრამ პარადოქსულია ის, რომ მისთვის გამოცდა არასოდეს ჩამიბარებია. გამოცდების ჩაბარება მომინია ახალგაზრდა, მაგრამ სტუდენტებში უკვე პოპულარულ პედაგოგებთან — ეთერ გიორგაძესა და ირაკლი ბაირამაშვილთან. ისე გულში მაშინ კმაყოფილიც ვიყავი, რომ ავცდი აკადემიკოს თავაძეს. ლითონმცოდნეობის კურსი დამთავრდა და დარჩენილ სამწლიან სტუდენტურ პერიოდში მასთან აღარ მქონია ურთიერთობა. დავამთავრე ინსტიტუტი და დავდექი არჩევანის წინაშე, თუ საით წავსულიყავი.

ამ დროს ფერდინანდ თავაძე აგროვებდა სამეცნიერო კადრებს, მათ შორის ახალდამთავრებულ მეტალურგთაგან. მაშინ კი ვინანე თავაძესთან თითქმის დაკარგული ურთიერთობის გამო. მეტალურგიის ინსტიტუტში მუშაობის დაწყება ოცნებად მექცა. მე პირადად აკადემიკოს ფერდინანდ თავაძესთან მისვლას როგორ გავხედავდი და ამიტომ მასთან შეხვედრის გზებს დავუწყე ძებნა. ბოლოს იძულებული გავხდი მიმელო უკიდურესი გადაწყვეტილება და ისევ მიმემართა კონსტანტინე გამსახურდიასათვის. მივედი მასთან და ვთხოვე წამომყოლოდა თავაძესთან რეკომენდაციის გასაწევად.

სექტემბრის ბოლოს ჩვენ მივადექით მეტალურგიის ინსტიტუტს. როგორც ჩანს, ვიღაცას შეუნიშნავს ინსტიტუტის ეზოში მომავალი გამსახურდია და შეუტყობინებია ბატონ ფერდინანდისათვის და ის უკვე კაბინეტის კარებში შემოგვეგება. ხაზგასმული ზრდილობით და მისთვის დამახასიათებელი ხალისიანი ღიმილით მოგვესალმა. შეიპატია ბატონი კონსტანტინე კაბინეტში და მეც მხარზე ხელის დადებით კაბინეტის სიღრმისაკენ გამიძღვა. მისიერად გაქრა ყოველგვარი დაძაბულობა და შეიქმნა თავისუფალი, მეგობრული ატმოსფერო.

მე მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მაინც შევაფასე ბატონ ფერდინანდის შინაგანი კულტურა და არისტოკრატიზმი.

აი რა მოხდა. ის, რა თქმა უნდა, მიხვდა ბატონ კონსტანტინეს მისვლის მიზანს და თვითონ გაათავისუფლა პროტექტო-

რის უხერხული როლიდან. მომიტრიალდა და მითხრა — ვხედავ ჩვენთან გინდა მუშაობის დაწყება, დაწერე განცხადება.

შემდეგ მიუბრუნდა ბატონ კონსტანტინეს: ვიცნობ, ეგ ჩემი სტუდენტი იყო, კარგი ბიჭია, გამომადგება! — მაღლობაც არ გადაახდევინა.


მათ შორის გაიმართა მარტივი, საყველპურო მასლაათი. უცებ ბატონმა კონსტანტინემ ჰკითხა: ბატონო ფერდინანდ, ნითლად გავარჯერებულ ხმლებს რომ ანთობდნენ ძველად ცხენზე ამხედრებული ვაჟკაცები, რა ხდება ამ დროს ლითონში? ფერდინანდ თავაძე წამიერად გარდაიქმნა და გატაცებით დაიწყო საუბარი. მართალი გითხრათ, მე უფრო ჩემი განცხადების ტექსტზე ვფიქრობდი მაშინ, მაგრამ მესმოდა — გისოსი, კრისტალიზაცია, განმტკიცება, მოშვება, ცემენტაცია, სვანეთი, ხალიბები. ბატონი ფერდინანდი გატაცებით ლაპარაკობდა, ბატონი კონსტანტინე დაძაბული უსმენდა. მე მონმე ვიყავი ამ ორი ბრწყინვალე პიროვნების გონებრივი თანშეწყობის. ვიზიტი დამთავრდა. ბატონმა კონსტანტინემ მაღლობა გადაუხადა ბატონ ფერდინანდს მიღებისათვის. ბატონმა ფერდინანდმა კიბემდე მიაცილა, ერთმანეთს ძველი მეგობრებით დაემშვიდობნენ. უკანა გზაზე ბატონმა კონსტანტინემ მითხრა: „კარგი ბიჭია ფრედი, ჭკვიანი, ნამდვილი ქართველი“.

1958 წლის 1 ოქტომბრიდან მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომელი გავხდი.

კიდეე ერთი ეპიზოდი. მამაჩემი, დედაჩემი და მე ვცხოვრობდით სოლოლაკში კარგ, იზოლირებულ ოთხთახიან ბინაში. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1938 წლის იანვარში მამა დააპატიმრეს და დახვრიტეს, მე და დედა კი ბინიდან გამოგვასახლეს. ჩვენ საცხოვრებლად გადავედით ბაბუასთან — ალექსანდრე აბაშელთან. 1960 წელს იმ ბინიდან გათავისუფლდა ერთი ოთახი. იმხანად მამაჩემი უკვე რეაბილიტირებული იყო და გადავწყვიტე იმ ბინიდან თუნდაც ის ერთი ოთახი დამებრუნებინა. მაშინ თბილისში უფულოდ ბინის მიღება თითქმის შეუძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისმარებოდა ნათესავთა და მეგობართა მთელი არმია, მხარს მიჭერდნენ იმ ბინის კარის მეზობლები, დაუძლეველ წინააღმდეგობას წავაწყდი სახელმწიფო იერარქიის ყოველ საფეხურზე. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხის ჩემს სასარგებლოდ გადაწყვეტა შეეძლო მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს ვასილ მუჟანაძეს. მაგრამ ვინ მისწერდა მას ოფიციალურ წერილს ბინის მოთხოვნის თაობაზე? ცნობილი იყო, რომ მუჟანაძეს აკრძალული ჰქონდა ამ საკითხზე მისი შენუხება. მწერალთა კავშირის გამგეობამ დიდი გაჭირვებით მომცა ასეთი წერილი, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, რადგან ჩემი პერსონა არ ჩანდა. ძალიან მეჩქარებოდა — პირველად, რომელსაც უნდა მიეტანა ეს წერილები მუჟანაძესთან, ქალაქიდან გადიოდა კარგა ხნით. მოვამზავე მეორე წერილი და ეზოში დავენიე ინსტიტუტიდან მომავალ ბატონ ფერდინანდს. მივანოდე წერილი, ნაიკითხა, შემომხედა, კიდეე წაიკითხა: „შვილო, შვილო, დამსჯიან“, — მითხრა და წასასვლელი ნაბიჯი გადადგა. მე ხელები ჩამოვუშვი. მერე უცებ შეჩერდა, მომატრიალა, დამადო ზურგზე თავისი საქალაქდე, ამოიღო კალმისტარი, მოაწერა ხელი წერილს. „შვილო, შვილო, მიილე ბინა“, — მითხრა და წავიდა. ასეთი იყო ის დალოცვილი კაცი. ასეთი სითბო ახსოვს ყველას, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან.

ლეონიდე ოკლეი

ლეონიდე ოკლეი, ინჟინერი მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



ალეკო თუთბერიძე და ალექსანდრე აბაშელი

ბატონ ლეონიდესთან ჩემი ურთიერთობა დაიწყო ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1953 წლის სექტემბერში, როცა ჩვენ, პირველკურსელებმა პირველად დავინახეთ (როგორც მერე დავადგინეთ, შვედური წარმოშობის) მზემოკიდებული, რუხთვალეა, სპორტული აღნაგობის მაღალი, ლამაზი კაცი, რომელთან ერთადაც ჩემდა საბედნიეროდ, ყოფნა შენეა მთელი ცხოვრება. ის იყო ჩვენი დეკანი, ლექტორი, გზის გამკვალავი, სამეცნიერო ხელმძღვანელი და ბოლოს კოლეგა. მთელი ეს ხანი ის იყო ჩვენი მეგობარი, ძალიან სანდო.

ყველგან, სამეცნიერო თუ მეცნიერებასთან დაკავშირებულ მაღალ ადმინისტრაციულ ასპარეზზე ოკლეი გამოირჩეოდა როგორც პროფესიონალი, დამოუკიდებლად მოაზროვნე, პრინციპული, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი.

იგი ფაქტობრივად საკუთარი სამეცნიერო სკოლის შემქმნელია.

ოკლეი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და მართვის უზადლო სპეციალისტი იყო. მისი ხელმძღვანელობით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მიღების ხარისხის ამაღლების მიზნით ჩატარდა ფართო მასშტაბის და მაღალი საიმედოების უნიკალური ექსპერიმენტი, რომელმაც მოიცვა მეტალურგიული ქარხნის ტექნოლოგიის მთელი სპექტრი. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა ოცდაოთხ საათს შეუწყვეტლად, ზაფხულის სიცხეებსა და გვიანი შემოდგომის ღამის სიცივეებში. მობილიზებული იყო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დიდი ჯგუფი და მეტალურგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერები. ბატონი ლეონიდე ჩვენთან ერთად, როგორც რიგითი წევრი, ცვლებში მუშაობდა, ხშირად გაზეთილი და ქარხნის მტვერში ამოგანგლული, მაგრამ მუდამ მხნე და ყველასათვის სამაგალითო.

პარადოქსია, რომ ბატონ ლეონიდეს, მისი პირადი თვისებებიდან გამომდინარე, შეეძლო უამრავი ადამიანის კონსოლიდაცია და ერთი საქმისათვის მათი დარაზმვა. არ გახლდათ ხმაურიანი, ძმაცაცების ფართო წრით გარშემორტყმული, ვილაცისაგან დავალებული, ვილაცისათვის ხმამაღლა დავალების მიმცემი. პირიქით, იყო საოცრად მორიდებული, შეიძლება ითქვას, მორცხვი ადამიანი და უცებ ასეთი პოტენცია. სამუშაოს შედეგები არამარტო რუსთავის, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე მეტალურგიულ ქარხანაში დიდი წარმატებით დაინერგა.

აი კიდევ ერთი მაგალითი ოკლეის ზემოქმედებისა ერთდროულად ბევრ ადამიანზე.

60-იანი წლების დამდეგს დნეპროპეტროვსკში მიმდინარეობდა მეტალურგ-მგლინავთა საკავშირო კონფერენცია, რომელსაც ამ დარგის მთელი ელიტა ესწრებოდა. სწორედ იმხანად რუსთაველ მეტალურგთა ჯგუფი აგრეგატ 400-ზე გლინვის პროცესის ავტომატიზაციისათვის წარდგენილ იქნა ლენინურ პრემიაზე. ამ პრემიაზე იყო წარდგენილი აგრეთვე დნეპროპეტროვსკის ერთ-ერთი მეტალურგიული ქარხანა, რომელსაც იგივე პრობლემა ჰქონდა გადაწყვეტილი, ოღონდ სხვა მეთოდით. ბუნებრივია, ეს საკითხი კონფერენციაზე წამოიჭრა. ისიც ბუნებრივია, რომ იქ დამსწრეთა უმრავლესობა მონდომებული იყო მეტალურგებისათვის გამიზნული პირველი ლენინური პრემია მიეღოთ რუსებს და არა ქართველებს. ტრიბუნიდან მაღალი ავტორიტეტის პერსონები აქტიურად უჭერდნენ მხარს დნეპროპეტროვსკელთა პროექტს. ქართველთა სამუშაო ფერმკრთალდებოდა. თვალნათლივ მახსოვს: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი სოლომონ შარაძენიძე დაიხარა ოკლეისაკენ და უთხრა: „ლიონია, ბიჭო, გადი და დაიცავი ჩვენი სამუშაო“. ლეონიდე ოკლეის მაშინ მეტალურგთა მხოლოდ შეზღუდული წრე იცნობდა. გარდა ამისა, დავალება სრულიად მოულოდნელად გაიცა და წარმოიდგინეთ, რა ძნელი იყო ამხელა ფორუმზე და ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მოუმზადებლად გამოსვლა. შევატყვე, ოკლეი შეკრთა, მაგრამ მოითხოვა სიტყვა. მისცეს. წამოდგა, დარბაზის სიღრმიდან დაიძრა ტრიბუნისაკენ. დარბაზმა თვალი გააღებინა ამ უცნობ წარმოსადგე კაცს. დადგა ტრიბუნასთან, ლელავდა, ჩვენც არანაკლებ ვლელავდით უკანა რიგებში. მცირე პაუზა და ოკლეიმ მშვიდად დაიწყო და ამ სამუშაოთა ძირითადი კვანძების ურთიერთშედარებით ბრწყინვალედ დაასაბუთა რუსთაველთა სამუშაოს რეალური უპირატესობა. რა თქმა უნდა, ამ გამოსვლას არ გადაუწყვეტია რუსთაველთათვის ლენინური პრემიის მინიჭების ბედი, მაგრამ დარბაზში კამათი ამ საკითხზე შეწყდა. ამას მოჰყვა მეტალურგ მეცნიერთა ერთი გავლენიანი ჯგუფის გადამტკერება და მისი სადოქტორო დისერტაციისათვის დაუძლეველ წინააღმდეგობათა შექმნა. ოკლეიმ ეს წინააღმდეგობაც წარმატებით დასძლია.

თუმცა თვით ლიონიასათვის ზოგი მამაკაცური სისუსტეც არ ყოფილა უცხო. უყვარდა ლამაზი ქალების საზოგადოება, ახლო მეგობრებთან სუფრასთან ჯდომა. ერთხელ მახსოვს, ჯამაგირის დღეს გადავწყვიტეთ „ცოტა არყიანი, ცოტა ლუდიანი, ქაბაბიანი-ხინკლიანი“ ღონისძიება ჩავვეტარებინა. ავედი ოკლეისთან კაბინეტში (იყო მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში), შევაღე კარი, დავინახე, რომ ხალხი ჰყავს. შემომხედა, რაშია საქმეო, მკითხა, ხომ ხელავ, თათბირი მაქვსო. დიახ ვხელავ და ჩვენც თათბირისთვის ვემზადებით და მივიღივართო, ვუპასუხე. „მერე ათ წუთს ვერ დამიცდით?“ მომესმა უკვე გამოსულს მისი ხმა. მშვენიერი დრო გავატარეთ. ან ასეთი ეპიზოდი. ვზივარ მასთან კაბინეტში და ის აღშფოთებით ლაპარაკობს ნატაშა ჩხიკვაძეზე, რამაზ ჩხიკვაძის მეუღლეზე, რომელიც მაშინ

ჩვენთან მუშაობდა, და მან დირექციისაგან დამოუკიდებლად რაღაც ღონისძიება ჩაატარა ინსტიტუტს გარეთ, რომ მკაცრად მოსთხოვს პასუხს ამაზე. გაისმის ჩუმი კაკუნი, ფრთხილად იღება კარი და კაბინეტში ჯერ იხედება და შემდეგ შემოდის ნატაშა. მაშინ სულ ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი. ხელში რაღაც ქალაღლი უჭირავს, კეკლუცი მოძრაობით მიდის ოკლეისკენ, დგება მის ზურგს უკან, იხრება და წინ უდებს იმ ქალაღს. ოკლეი კითხულობს, ხელს უწერს, ნატაშა ლოყაზე ეამბორობა — *Спасибо Ленечка* — იღებს ხელმონერილ ქალაღს და კეკლუცი მოძრაობით გადის კაბინეტიდან. კონფუზი! მე ამ ეპიზოდის უშუალო მონმე ვარ. „კარგი ქალია და რა ვქნა“ ამბობს დარცხვენლი.

ბატონ ლეონიდეს მშვენიერი ოჯახი ჰყავდა. ცოლი — მუდამ ღიმილიანი, სათნო, მონდენილი ივეტა ბახტაძე, მუსიკოსი, პოპულარული პედაგოგი, ზურაბ ანჯაფარიძის ყოფილი მეუღლე. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში იწყება პატარა, 5 წლის ეთერიკოს (შემდგომ ცნობილი პიანისტის ეთერ ანჯაფარიძის) პირველი საჯარო კონცერტი. დარბაზი საგსეა მსმენელებით, მათ შორის მესამე რიგში ზის ამ შემთხვევისათვის მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული ზურაბ ანჯაფარიძე. ბატონი ლეონიდე არასდროს შეხვედრია მას, არადა შინ დიდი სუფრაა გაშლილი, სტუმრები — მონვეული, სიტუაცია ძალიან უხერხულია. „რა ვქნა?“ მეკითხება ლეონიდე. „უნდა დაპატიყოთ“. ვპასუხობ მე. ლეონიდე უახლოვდება ზურაბს, თავს უკრავს, ეცნობა და რაღაცას ეუბნება. ზურაბი ფართოდ იღიმება და ორივე ხელით ხელს ართმევს ლეონიდეს. ბანკეტი მშვენივრად წარიმართა, ლეონიდემ ბრწყინვალედ ითამადა, ივეტამ მითხრა: „მე აქამდე მხოლოდ მიყვარდა ლიონია, ახლა კი ვალმერთებ“. სუფრა დიდხანს გაგრძელდა, „ივეტა, მიდი ერთი, დაუკარი“ — წამოისროლა შეზარხოშებულმა ზურაბმა. გაიმართა დაუვინყარი კონცერტი. ივეტა უკრავს, ზურაბი მღერის. დილისათვის გამოგველია სიგარეტი. მე გამოვედი გარეთ სიგარეტის შოვნის იმედით. კიბეზე ჩამომაგალს შემომხვდა ზურაბის ბიძა, ბატონი ოტოლო ანჯაფარიძე შეშფოთებული სახით. გასაგებია მისი შეშფოთება. ზურაბი ივეტას ახალ ოჯახშია და მთელი ღამეა არა ჩანს, რამე უბედურებას ხომ არ გადაეყარა — ამ დროს სადარბაზოში გაისმის „ადანდალი დანდალი, ჩემი ოქროს შანდალი“ *Ох, дуррак!* ჩაიქნია ხელი და დამშვიდებული წავიდა.

ლეონიდე ოკლეი ყოველთვის გაგვახსენდება გარშემორტყმული ახალგაზრდებით, მონაფეებით, კოლეგებით. გაგვახსენდება, როგორც კაცი, რომელიც დაუზარებლად გასცემდა ცოდნას, ასხივებდა სიკეთეს. იყო დახვეწილი გემოვნების, გამართული მოქართული, შესანიშნავი პედაგოგი და მეგობარი, სპორტსმენი და ბოლოს ბრწყინვალე თამადა. მედლობისათვის ისიც კმარა, რომ ნიკო მარივით ახალ ქართულ გვარს დაუდო სათავე. მისი შრომები კი მეტალურგთა და მექანიკოსთა სამაგიდო წიგნებია დღესაც. ამაზე მეტი ერთმა კაცმა რა უნდა ქნას.

მოულოდნელი შეხვედრა

1959 წლის მარტი. გალაკტიონი. მახსოვს, მისი დაკრძალვის დღეს ქალაქში სრული სიჩუმე იდგა. ჩემს მეგობრებთან ერთად დავადექი კიროვის (ამჟამად ლეონიძის) ქუჩას მაჩაბლის 13-საკენ. მოშორებით, ეროვნული ბანკის წინ მამაკაცების გამორჩეული, ყურადღებამისაქცევი ჯგუფი იდგა. თანდათან ვუახლოვდებოდით მათ. უცებ ჯგუფს გამოეყო ერთი წარმოსადეგი, სასიამოვნო შესახედაობის ჩემთვის უცნობი მამაკაცი, ვიგრძენი, მაკვირდებოდა. ხელი გამოსწია, ყმანვილოო — თითით მიხმო. მე გავიჭიმე მის წინ. რა

გვარი ხარო? მკითხა. დავუსახელე ჩემი გვარი. მამას რა ერქვაო? — ილია-მეთქი, — ვუპასუხე. მხარზე ხელი მომხვია და თავისთან მიმიზიდა. გულისჯიბიდან ამოიღო პორტმონე, გადახსნა და დამანახა მამაჩემის სურათი. მე გავოგნდი. მამა 38-ის მარტში დახვრიტეს. იგი არც კი მახსოვდა, მაშინ ჯერ ოთხი ან ოთხი წელი იყო. მერე, მართალია, ახლობლები კი მამსგავსებდნენ მას, მაგრამ ასე, ქუჩაში, მეგობრების წრეში მომავალი როგორ გამომარჩია, ეს დღესაც აუხსნელია ჩემთვის. ეს კაცი გახლდათ ცნობილი კინორეჟისორი ლელიკო ხოტივარი, როგორც მერე დედამ მითხრა: მამაჩემის, ილია თუთბერიძის ახლო მეგობარი.

ანზორ სალუქვაძე

კლასელები ვიყავით მე და ანზორ სალუქვაძე (ოლია), დღეს ცნობილი პოეტი. ვმეგობრობდით ბიჭობიდან. ანზორი სკოლაშივე წერდა ლექსებს. მაშინ მას მშვენიერი მერი ციციშვილი უყვარდა და ხშირად იმეორებდა ფრაზას თავისი ლექსიდან „და მეც მეტი შემეყვალდა სხვა ქალების ჯინაზე“. რ-ს ვერ გამოთქვამდა. ოლიაც იმიტომ დაერქვა — „რა მიიღე ანზორ?“ — ოლიანი. ჩემს პირად არქივში დევს მისგან მაშინ ნაკარნახები მერი ციციშვილისადმი მიძღვნილი ლექსი:

პაპიროსი

ვუძღვნი მუ-ს

როცა ნიავს ფრთებით ნაზით
მოაქვს სუნთქვა ვარდთა
როცა ღვინით სავსე თასი
მრგვალ მაგიდას შვენის
მე არ ვიცი პაპიროსი მომინდება რათა?
ლურჯი კვამლი რად მგონია დალალები შენი

ანდა როცა ლექსით ვიწვი
გრძნობა დაქრის ქართან,
როცა მესმის სუნთქვა მიწის
და ალერსი ხეთა,
მე არ ვიცი პაპიროსი მომინდება რათა?
ან შენს ღიმილს მის ლურჯ კვამლში ნათლად
როგორ ვხედავ.

როცა შენზე ფიქრით დაღლილს
მელანდები ბინდად
როცა მთვარე დამცქერს მალლით
და შენი ხმაც მესმის,
აი მაშინ, მხოლოდ ერთი პაპიროსი მინდა
რომ შენს თვალებს, ზღვისფერ თვალებს
ვუსახსოვრო ლექსი.

1951 წ.

არ ვიცი, გამოქვეყნებულია თუ არა ეს ლექსი. ანზორი ჩემზე უფროსი იყო, ჰქონდა კარგი გარეგნობა, იყო ნიჭიერი, გემოვნებიანი და იმთავითვე თავისუფალი. ჩემზე გავლენას ახდენდა. მე არაუშავს, კარგად ვსწავლობდი, ერთი სიტყვით, სამიანი მეოთხედში არ გამოიმყოლია. და აი ერთხელ მგონი მეცხრე ან მეთხუთსე კლასში (თავი რომ უკვე კაცებად მიგვანდდა) ახალი მასწავლებელი მათემატიკაში სამიანს მაყოლებს, ანზორს — ორიანს. ნიშნების გამოსასწორებლად მასწავლებელმა (მგონი ბურჯანაძე იყო გვარად) დაგვტოვა გაკვეთილების შემდეგ, მოგვცა დავალებები, რომლებიც ჩვენ გამოსაყოლებელი ნიშნების შესაბამისად

შევასრულეთ. მე ვერ ვეგუებოდი სამიანს და ვთხოვდი და ვთხოვდი მასწავლებელს — კიდე მკითხეთ, მასწ. ბოლოს ან-ზორმა ველარ მოითმინა და მკაცრად მომხედა — რა იყო, რას მათხოვრობ, ადე, წამოდი, კაცი არა ხარ?! და ჩემში უეცარი გარდატეხა მოხდა. იმ მომენტიდან სრულიად გავთავისუფლდი მასწავლებელთა ზემოქმედებისა და მათზე დამოკიდებულებისაგან. შემდგომ მთელი ცხოვრება მახსოვდა ეს ფრაზა და ვისწრაფოდი პიროვნული დამოუკიდებლობისკენ. ხანდახან კიდევ გამომდიოდა.

ანზორ სალუქვაძემ ცოლად შეირთო უფაქიზესი და უდაბვენილესი, მთელი საქართველოსთვის უსაყვარლესი ინოლა გურგულია. სამწუხაროდ, მათი ერთად ცხოვრება რატომღაც ვერ აეწყო — ისინი დაშორდნენ, მაგრამ მაშინ, მათი ურთიერთობის გარიჟრაჟზე, ეს იყო ულამაზესი წყვილი. 50-იანი წლების ბოლო ხანი იყო. შეზღუდულ მოთხოვნილებათა და ასევე შეზღუდული შესაძლებლობის წლები. ისინი თავიდან თავს ჩვენი საერთო მეგობრის გურამ ლომინაძის ბინაში (გურამმა ერთი ოთახი გამოუყო) ატარებდნენ. მე და ირაკლი სურგულაძე, ჩვენი საერთო და ჩემი უახლოესი მეგობარი, ახალდაქორწინებულების ხშირი სტუმრები ვიყავით. დაუფინყარი საღამოები იყო. ლექსები, სიმღერები, ლექსები, სიმღერები, სადღეგრძელოები, სიცილი. სუფრაზე იდგა „რომისებური“ რაღაც უბედურება სასმელი, იაფფასიანი ძეხვი და, თქვენ წარმოიდგინეთ, რძე, იქ, მაშინ, იმ სახლში დაინერა ანზორის შესანიშნავი ლექსი „ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში, თუ არ ჩამატანეთ იასამანები“ და იქვე იმღერა ეს ლექსი ინოლამ, ოღონდ მაშინ ოდნავ განსხვავებულად. არ ვიცი, ანზორს ჰქონდა ლექსის ასეთი პირველი ვარიანტი თუ ინოლამ მოირგო სასიმღეროდ.

**გული ამიმღერდა ცისფერ სავანეში
ასეთ სილამაზეს მივესალამები,
ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
თუ არ ჩამატანეთ იასამანები.**

ოთარ ჭილაძის ლექსი

ქართველ მწერლებს 50-იან წლებში დასასვენებელი სახლი — გარდა ქვიშხეთისა და საგურამოსი — კიკეთშიც ჰქონდათ საკმაოდ სიმპათიურ გარემოში. როგორც მახსოვს, იქ ზაფხულობით ხშირად ისვენებდნენ რაჟდენ გვეტაძის, კუკური გოგიაშვილის, იოსებ ნონეშვილის, ნიკოლოზ ჩაჩავას, ალექსანდრე აბაშელისა და სხვა მწერალთა ოჯახები. ერთ ზაფხულს იქ შეიყარა ჩემი თაობის — მეცხრე, მეთხუთსე კლასელების — წრე. მანანა გვეტაძე, დინარა კემულარია, მაკა მიქაბერიძე, ვაჟა კერესელიძე, ვაჟა ჩაჩავა, ასტამურ აჩბა, მე. ეს იყო დაუფინყარი ზაფხული. იქ დანყებულნი მეგობრობა ბოლომდე შემოგვრჩა. მაშინ მომავალი 60-იანელების, ფაქტიურად ჩვენი ტოლების, ლექსები თუ მცირე მოთხრობები ჯერ მხოლოდ ზეპირად ვრცელდებოდა. ერთ დღეს რომელიღაც ჩვენგანმა თბილისიდან მოიტანა ოთარ ჭილაძის ლექსი, რომელიც ძალიან მოგვეწონა და მანანა გვეტაძემ მას მთელი ზაფხული ხმამაღლა დეკლამირებდა. იმ ლექსის მცირე ნაწყვეტი დღემდე, მგონი, სწორად მახსოვს: „გზები, გზები. დანყვეტილი ბილიკები, და სახლები გადაყრილი კამათლებად“.

საქართველოში რა გამოლევს გამაოგნებელ სილამაზეს, მთებზე შეფენილ სოფლებს, მაგრამ იმ ზაფხულიდან სადღაც 65 წლის შემდეგ ბათუმში ყოფნისას, ფეხით ბევრი ვიარე მაჭახელას ხეობაში დახვეულ გზებზე, იმ ზღაპრული მთების ბილიკებზე და იქ, პირველად დავინახე თვალნათ-

ლივ გზები, გზები, დაწყვეტილი ბილიკები და სახლები გადაყრილი კამათლებად. და უკვე ხანდაზმული, ემოციური მუხტისაგან დაცლილი, ისევ ავივსე ემოციით და იმ ლექსის მიმართ დიდი მადლიერებით.

ქვიშხეთი

ქვიშხეთი, დიმიტრი ყიფიანის საცხოვრებელი სახლი — შემდეგ დიდი ხნით მწერალთა დასასვენებელი აგარაკი. სავანე, ჩემი ბავშვობის, ყმანვილკაცობის, მერე ჩემი შვილების მარადმოსაგონარი სამოთხე.

წყალუხვი წყარო, მისი ნაკადული ვრცელი ბაღის მთელ სიგრძეზე მოედინება. ნაკადულზე გადებული ხის პატარა გემოვნებით ნაგები მოაჯირიანი ხიდები, სხვადასხვა ჯიშის ვაშლის ხეები, სამი ამოლტილი ნაძვი, უსაშველოდ გრძელი (მაშინ ასე მეჩვენებოდა), გიგანტური ცაცხვების დაბურული ხეივანი. ადრე ეს ხეივანი ძირითადი გზა ყოფილა ყიფიანებთან მიმსვლელთათვის. ამ გზით სტუმრებია ილია ჭავჭავაძეც.

ჩვენ, ბავშვები, იმ გარემოში ვტრიალებდით, რომელსაც იქ ქმნიდნენ ნინო ნაკაშიძე, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, პოლიკარპე კაკაბაძე, დემნა შენგელაია, ვიქტორ გაბესკირია, ალექსანდრე აბაშელი, ქეთევან ირემაძე, ელიზბარ ზედგინიძე, ხარიტონ ვარდოშვილი და სხვები, ცოტა გვიან — ნოდარ ჩხეიძე და მედეა ჩახავა.

ყოველ ზაფხულს მატარებლის სადგურიდან ყიფიანის სახლამდე ურმებით რომანტიკული მგზავრობა. ბარგი — ლეიბები, საბნები, ბალიშები, თეთრეული, ჭურჭელი, „კერასინკები“, პრიმუსები... თითო ოთახი, წყალი წყაროდან, არცთუ მჭიდროდ დალურსმული ფეხსადგილი ეზოში. თან საკმაოდ ბევრი მომხმარებლისთვის. და მაინც...

ჩვენ, ბავშვები ვიყავით ლაღები ომის დროსაც და ომის შემდეგაც, ნაკლებ გვეხებოდა უფროსების გადაულახავი პრობლემები, კვითხულობდით „გრაფ მონტე-კრისტოს“, გურამ ასათიანის მეთაურობით მე, ლეო ანთაძე, აზიკო კაკაბაძე (მეკარე), გურამ ზედგინიძე, გია მიქაძე, გურამ ბუაჩიძე ვთამაშობდით ფეხბურთს მკვახე ვაშლებით, ქალბატონ ქეთევან ირემაძის ხელმძღვანელობით დავდგით „მატეო ფალკონე“. მატეო — გურამ ზედგინიძე, ფორტუნატო — ნათია ამირეჯიბი* ესწრებოდა მთელი ქვიშხეთი. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

მაშინ ნათიას ძმა ჩვენთვის რალაც ბინდში გახვეული, დიდი საიდუმლოებით მოცული შორეული გმირი იყო. მასზე არ ლაპარაკობდნენ და, თუ ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ჩუმად. ნათია ჭაბუკას ეძახდა, და მე მიკვირდა, რომ ასეთ მიუწვდომელ პერსონას უბრალოდ ჭაბუკა ერქვა.

მეზობლად, ჯუდო ქალიაშვილის სახლში, ერთ ზაფხულს ისვენებდა ჩვენზე ოდნავ უფროსი ყმანვილი. იგი კარგად ხატავდა, განსაკუთრებით სტალინს. მე მისი ხშირი სტუმარი ვიყავი. ერთხელ ქალაქზე ლამაზი შრიფტით, ლურჯი ფანქრით და წითელი ჩრდილებით დაწერა „მე შენ მიყვარხარ“ და ინიციალები. ორად გადაკეცა, მომანოდა და მთხოვა, გადაეცი ნათიასო. გამოვართვი წერილი, ნამოვედი ჩვენი სახლისკენ, ამაყად შევედი ეზოში. იქ თითქოს სალონში დარბაისი იყო, არისტოკრატი ქალთა საკრებულო დამხვდა. ულამაზესი თამარ ბოლქვაძე, ქალბატონი მერი ლორთქიფანიძე, თინა, მანანა ქიქოძეები დედასთან, უდარბაისლეს ქალბატონ ტასო ამირეჯიბთან** ერთად, მშვიდი, დახვეწილი გარემო.

* ნათია ამირეჯიბს დახვრეტილი ჰყავდა მამა, გადასახლებული დედა და ძმა ჭაბუკა ამირეჯიბი. იზრდებოდა გერონტი ქიქოძის ოჯახში.
** ტასო ამირეჯიბი — გერონტი ქიქოძის მეუღლე, ნათიას მამიდა.

ბავშვები მოშორებით თამაშობენ. ასე 14, 15 წლის უკვე ძალიან ლამაზი ნათია მშრალი აუზის ბეტონის წრიულ სარტყელზე დატყუნებული. მე მივუახლოვდი და გადავეცი წერილი. ამ ქმედებამ მთელი ბომონდის მყისიერი ყურადღება მიიპყრო. ქალბატონი თინა ქიქოძე მივიდა ნათიასთან, ხელიდან გამოართვა წერილი, გაშალა, ოდნავ გაიღიმა და წარმოთქვა: *Ну вот, друзья, началось!* წერილის შინაარსი ხმამაღლა გააცნეს დამსწრე საზოგადოებას. ყველა იღიმება, იცინის, ქალბატონმა თამარ ბოლქვაძემ ჩუმად თქვა: ბრავო — და ფრთხილი ტაში დაუკრა. მე სირცხვილით სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. საბოლოოდ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

არ ვიცი, ნათიამ მერე რამდენი წერილი მიიღო, მაგრამ პირველი სასიყვარულო წერილი, მართალია სხვისი დაწერილი, მე მივართვი და გზა დაველოცე მომავალ თაყვანისმცემლებს.

ქვიშხური სასწაული დიდხანს გაგრძელდა. მრავალი წლის შემდეგ უკვე ჩვენი შვილები იზრდებოდნენ ვერიკო ანჯაფარიძის, ლოლიტა ვირსალაძის, შალვა ხიდაშელის, დემნა შენგელაიას, სოფიკო ჭიაურელის, ჭაბუა ამირეჯიბის, გივი შაჰნაზარის გარემოცვაში. ჩვენი შვილების იქაურ ყოფას საოცრად აღამაზებდა და აზრიანს ხდიდა ბატონი რეზო კვერენჩილაძე, რომელსაც ბავშვებმა „კლოსი“ შეარქვეს. ქვიშხეთის ეს ხანა მას აღწერილი აქვს მშვენიერ ნიგნში „ქვიშხეთის ხიბლი“.

ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი სურგულაძე

ჩვენი სამეგობრო წრე სკოლაშივე შეიქმნა და მის შუაგულში იმ დროიდან და სიცოცხლის ბოლომდე იდგა ნიჭიერებით, იუმორით, მეგობრისადმი ფაქიზი მგრძნობიარობით გამოჩენილი ირაკლი სურგულაძე.

ჩვენი ერთმანეთის ოჯახებში ვიზრდებოდით. სურგულაძეთა პატარა, სულ უბრალოდ ნაშენი სახლი ვაკეში გზისპირიდან რამდენიმე საფეხურით დაბლა იდგა. მაგრამ იმ სახლში გატარებული წლები ყველა ჩვენგანისათვის ზღაპრულ მოგონებად დარჩა. ოჯახში ბევრნი იყვნენ — დედა, მამა და სუთი შვილი, ყოველდღიური მიმსვლელ-მომსვლელი, სტუმარი, მაგრამ სრული წესრიგი სუფევდა. სურგულაძეთა ოჯახი მკაცრ უფროს-უმცროსობაზე აგებული, პატრიარქალური ოჯახი იყო. დედა — ულამაზესი და უდარბაისლესი, არისტოკრატიული მიხრა-მოხრის ქალბატონი თინა. მისგან ხმამაღალი ლაპარაკი არ მახსოვს, ირაკლის მეზობელი ოთახიდან არ დაუძახებდა, გამოჩნდებოდა კარებში, მშვიდად იტყოდა სათქმელს, გაგიღიმებდა და ოთახში სითბო დაისადგურებდა. მამა, ბატონი კოტე, ბრგე აგებულების ვაჟკაცი, იშვიათად გამოჩნდებოდა, იგი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო და ყოველთვის რამდენიმე ადგილზე მუშაობდა.

ან როგორი სუფრები იშლებოდა იქ. განსაკუთრებული ლაზათი ამ სუფრებს ირაკლის ახალი მეგობრების — კოლეგების შემოსვლამ შესძინა. ისინი ჩვენზე ცოტა უფროსები იყვნენ, ახალგაზრდები, საოცრად სიმპათიურები. დავით (დათუნა) მუსხელიშვილი, ნოდარ ლომოური, ნოდარ ნაკაშიძე, ნოდარ ასათიანი, გივი აბრამიშვილი და კიდევ სხვები. ლამაზი სადღეგრძელოები, იუმორი, სიცილი და დაუვიწყარი სიმღერები. საკმარისია ითქვას, რომ იქ ნოდარ ნაკაშიძე (ქინქლა) მღეროდა. სამწუხაროდ, ბევრი აღარ არის.

ირაკლი სკოლაში კარგად სწავლობდა, ბუნებრივია, ძირითადად ჰუმანიტარულ საგნებს, მაგრამ საბუნებისმეტყ-

ველო საგნებსაც ადვილად სძლედა. ძალიან კარგად ყვებო- და გაკვეთილს. ასე მე-8 კლასიდან დამოუკიდებელი გახდა. სწავლობდა იმას, რაც უნდოდა, როგორც უნდოდა, არ აინტერესებდა „კრუგლი ატლინიკობა“, არადა შეეძლო. ძალიან ბევრს კითხულობდა ქართულ, რუსულ, უცხოურ (რაზედაც მაშინ ხელი მიგვიწვდებოდა) კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურას. მდიდრდებოდა მისი ბიბლიოთეკა. ჩანდა, რომ ყალიბდებოდა განათლებულ კაცად. მას უკვე ჰქონდა თავისი დამოკიდებულება ავტორებისადმი. რუსებიდან უყვარდა ლირიკული კუპრინი და გაბრაზებული (როგორც თვითონ ეძახდა მაშინ) ბუნინი.

დავამთავრეთ სკოლა. მოვეწყვეთ ზოგი პოლიტიკური-ში, ზოგი უნივერსიტეტში. მაინც ერთად ვართ. ახალი ნაც-ნობობა, სამეგობროს ახალი წევრები, გეპეი-ს ჯაზი (იქაც ჩვენი მეგობრები მღერიან), უნივერსიტეტის ლიტერატურული საღამოები, დამწყები მწერლები — მომავალი ნი-იანელები. ლექციები, ლექციები, გაცდენები. უნივერსიტეტის ბაღი, პირადი, ახლო ურთიერთობა ნოდარ დუმბაძესთან, მაშინ, ჯერ კიდევ ძალიან საინტერესო ნიაზ დიასამიძესთან, შოთა ჩანტლაძესთან. გოგოები. და მიუხედავად თავისუფლების ტოტალური შეზღუდვისა, თავისუფლების დამათრობელი შეგრძნება.

ერთ ზაფხულს, არ მახსოვს, სტიპენდიებით თუ ლაბორანტების მწირი ხელფასებით, მე და ირაკლიმ გადავწყვიტეთ გაგრაში წასვლა იმდენი ხნით, რამდენზედაც გაგვწვდებოდა თანხა. ეს ის დროა, როცა საბჭოთა კავშირი რალაც ახალ გამარჯვებას ზეიმობს. მშრომელები პარტიას უპატი-კებენ, ხალხი აღმაფრენას განიცდის, გაზეთები აჭრელებულია ბელადების სურათებით და ამ ფონზე, როგორც კი ხა-შურს გავცდით, ირაკლის თავში საოცრად ნიჭიერი აზრი გა-უჩნდა — ჩავიდეთ ძირულაშიო. იდეა ნათელია: ამ დროს მა-მამისი იქ მუშაობდა მშენებლობაზე. ჩავვით. დაგვხვდნენ ისე, როგორც იცოდნენ სურგულაძეებმა, გაგვიმასპინძლდნენ, მოგვეფერნენ, რა გზას ადგახართო — გვიკითხეს. ვსხედვართ, ვსაუბრობთ, მაგრამ ირაკლის იდეის განხორციელებას რალაცა პირი არ უჩანს. და ბუნებრივია, ბატონი კოტე პატიოსანი კაცი იყო, მთელი წვრილშვილი იქ ჰყავდა და ჩვენი გართობისათვის გამოსაყოფი ფული არ გააჩნდა. მაგრამ უცებ მოგვიტრიალდა, გაგვიღიმა და გვითხრა: „სტენგაზეტა“ გაგვიკეთეთო. ირაკლი ცოტას ხატავდა, არც მე ვიყავი ფანქართან მწყრალი. მოგვართვეს პლანშეტი, ფერადი ფანქრები. დავხატეთ ჰორიზონტისაკენ მიმავალი მატარებელი, შორს პიონერთა ბანაკი და ბავშვები დროებით ხელში. აქეთ, ამწებში, დატვირთული საბარგო მანქანებით, მუშები დაძაბულ პოზებში, ნახევარწრეზე დავანერეთ „მშენებლის ხმა“. გავაშანაშალეთ მგზნებარე მონიწივე, ვუპატი-კეთ სამშობლოს ძირულაში მშენებლობის წარმატებით მიმდინარეობა. დახედა ბატონმა კოტემ, მოიწონა, ფრთხილად დაახვია პლანშეტი და წაიღო. ცოტა ხანში გამომიძახეს კანტორაში — მხატვარ თუთბერიძეს გამოენერა ჰონორარი. 20-25 დღე მე და ირაკლიმ ვინებივრეთ გაგრაში.

სამოციანი წლების დასაწყისია. ირაკლი უნივერსიტეტში მუშაობს, ეთნოლოგიური ექსპედიციები. გიტარა, სიმღერა, სუფრები, ისევ ექსპედიციები, გოგოებს მოსწონთ, არც ის იშურებს მათთვის თავს. მისკენ მიილტვიან, მის გარშემო იკრიბებიან.

მე იმხანად ჩემი ნათესავის დროებით თავისუფალ ბინას ვვლობდი. მოგეხსენებათ, რა განძი იყო ეს მაშინ. ერთ მშვენიერ დღეს ირაკლი შემომიჩნდა. მათხოვე ბინა დროებითო. როგორ დროებით, მე თვითონ დროებით მაქვს-მეთქი. კი იქნება, არ იქნება. გასაღები წაიღო. წაიღო და ჩაიკეტა, აღარც ჩვენ გვღებულობს, აღარც თვითონ ჩნდება. ტელეფონი არ

იყო იქ. დავკარგეთ ძმაკაცი. როდის-როდის, კარგა ხნის მე-რე საიდანაც დამირეკა და, მოდიო, მითხრა. მივედი. დამხვდა წვერმოშვებული, დაჭმუჭნული, ულაზათო. არადა, იმხანად ირაკლი სულ გამონკეპილი დადიოდა, აუცილებლად თეთრი პერანგით, გახამებული საყელოთი, კარგად მორგებული ტანისამოსით. აქაც ნიჭიერი იყო. თვითონ ირგებდა სამოსს, საკერავი მანქანა ემარჯვებოდა. „რაშია საქმე, რად დაიკარგე“. ვკითხე მე. „გავაკეთე რალაც“, — მითხრა და გადმომანოდა ფურცლების კარგა მოზრდილი დასტა. ხელნაწერი იყო. დავხედე — კუპრინის „სულამითი“ ქართულად. მონაცვლეობით დაეინყეთ კითხვა. ვკითხეთ დიდხანს, შეუსვენებლად. გაოგნებული დავჩრჩი. ეს იყო იმ ლეგენდარული „სულამითის“ ბრწყინვალე ქართული ვარიანტი რიტმით, ლირიზმით, მდიდარი ლექსიკით, ბიბლიის პოეტური ტექსტებით. გადავკოცნე მივულოცე, ორივე ბედნიერი ვიყავით. ირაკლიმ მიატოვა თავისი ავტოტყეობა და ისევ ლალ ცხოვრებაში გადაეშვა.

გავიდა ხანი. მე ეს ამბავი მოვყევი შინ. უცებ ბებიაჩემი ადგა, მივიდა ტელეფონთან, დარეკა ბატონ სიმონ ჩიქოვანთან და აუდიენცია სთხოვა. (მასთან ჩვენი ოჯახური დამოკიდებულება ამის საშუალებას იძლეოდა). თუნდაც ახლავყო — ბატონმა სიმონმა. იგი მაშინ „მნათობის“ რედაქტორი იყო. ვავიდე უკვე გადათეთრებული ხელნაწერი და მე და ბებია ვახელეთ ბატონ სიმონს. ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, თითქმის სულ დაბრმავებული. ქალბატონი მარიკა კიდევ უფრო მძიმედ გახლდათ. ბატონმა სიმონმა გულთბილად მიგვილო, მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ — რამ შეგანუხა, შუშნტიკ, მკითხა (ასე მეძახდნენ მაშინ). მე ვუთხარი რამაც შემანუხა — მეგობარი, კუპრინი, თარგმანი. აი მაშინ კი ბატონი სიმონი მართლა შენუხდა, ისედაც ტანჯულმა სახემ ტრაგიკული გამომეტყველება მიიღო. იმ დროს მთელი საქართველო წერდა, გრაფომანთა ზღვა ტალღებად აწყდებოდა რედაქციებსა და გამომცემლობებს. და ამ მდგომარეობაში რალაცა ნაბოღვარის მოსმენა რა თქმა უნდა უჭირდა. უარი ვერ გვითხრა და: ნამიკითხე ერთი აბზაციო. მე ვღე-ლავედი, წყნარად წავიკითხე ნახევარი გვერდი და გავჩუმდი. ჩამოვარდა სიჩუმე. ბატონი სიმონი სადღაც სივრცეში იყურებოდა. გააგრძელეო, მითხრა. მე უფრო თამამად გავაგრძელე. კარგა დიდხანს ვიკითხე. ვიგრძენი დაილაღა და გავჩერდი. ნამაკითხა კიდევ ერთი-ორი გვერდი. გულდასმით მისმენდა. მაგრამ მე აღარ გავაგრძელე კითხვა, დიდი მადლობა და ბოდიში მოვახსენე. რა გვარია შენი მეგობარიო — მკითხა. სურგულაძეა-მეთქი. „შეხედე ამ გურულს, ნიჭიერი ბიჭი ყოფილა, დამიტოვე ეგ ხელნაწერიო“. მაგრამ სულ მალე ბატონი სიმონი ძალიან დაძმინდა, ჩამოშრდა რედაქცი-ას და კიდევ გარდაიცვალა. „სულამითი“ მაშინ ვერ დაიბეჭდა. მაგრამ ნიკა ჩიქოვანმა მითხრა, „სულამითის“ ის ხელნაწერი სიმონ ჩიქოვანის პირად არქივში ინახებაო. ესეც დიდი პატივია. ეს თარგმანი მოგვიანებით გამოიცა.

ბებია ვახსენე. ორიოდ სიტყვა მასზე. საინტერესო ქალი იყო, ფრიად განათლებული, კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და ირაკლის თავისი სასიძლერო რუსული რეპერტუარის დიდი უმრავლესობა მისგან ჰქონდა ნასწავლი. ჩვენი ოჯახის თავზე დატრიალებულ მძიმე ქარტყილთა გამო ბებია ნაადრევად მოხუცდა, მოტყდა და რალაცნაირად განმარტოვდა. და 25-26 წლის ირაკლი რეგულარულად დადიოდა მასთან ვიზიტად. ისხდნენ, საუბრობდნენ, იცინოდნენ, მერე გაუყრდა მკლავს და გაასეირნებდა. ამით ძალიან უმსუბუქებდა მოხუცობის სიმარტოვეს. არ ვიცი, ბევრს შეეძლო ამის გაკეთება? ირაკლის შეეძლო.

ან მთაში. მე მასთან ერთად ხშირად მივლია. ყველაზე მძიმე ტვირთი მას ეკიდა ხოლმე, ლამით, ძილიწინ დაივილიდა

ყველას, შეამონმბედა, სასთუმალს გაუსწორებდა, ბოლოს თავისუფლად დარჩენილ კუთხეში თვითონაც მიწვებოდა.

კიდევ ერთი თვისება. ამ მაღალინტელექტუალურ, განათლებულ, გამართული ფრაზით მოსაუბრეს, სერიოზულ მეცნიერს, მაღალი „შტილის“ თამადას შეეძლო ხანგრძლივი, სწორედ ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონოდა მიყრუებული სოფლის გლეხთან, ხელოსანთან, მუშასთან. მათ ენაზე ელაპარაკა, ყოფილიყო მათთვის საინტერესო, გამხდარიყო მათი ცხოვრების მომგვარებელი.

ირაკლის ცხოვრებაში შემოვიდა ია ფხაკაძე. და შეიქმნა მაღალინტელექტუალური დუეტი. მათი სამუშაო ოთახი სამკითხველოს, ნიგნების სამყაროს დაემსგავსა. ია ირაკლისთვის იყო არამარტო ერთგული მეუღლე, არამედ უახლოესი მეგობარიც, მისი აზრების და ნაწერების პირველი შემფასებელი, მაქებარი და დამწუნებელი, იუმორისტულ პაექრობაში უეჭველი დამჯანბნელი და ამით ირაკლის კედელზე გამყვანი. შესანიშნავი ენათმეცნიერი, დიასახლისი და მასპინძელი.

ირაკლი ცხოვრობდა ცხოვრების თავისი წესით. თავდავინცებით მუშაობდა — ერთი მონოგრაფია, მეორე, მესამე... საფრანგეთში გამოქვეყნებული მშვენიერი გამოკვლევა, პასტერნაკის, ბროდსკის, თომას მანის შესანიშნავი თარგმანები. ეს ყველაფერი მაღალი ნიჭიერებითაა აღბეჭდილი და როგორც მეცნიერის, მწერლის ცხოვრების შემოქმედებითი ანგარიშია. შემდეგ ასეთივე თავდავინცებით თავისუფლების შთანთქმა, სუფრები, მეგობრები, შეხვედრები. კიდევაც დაჭრეს, ავტოავარიაც მოახდინა, ბოლოს ტრაგიკომიკური შედეგი — პოლიტიკა, ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ვიცეპრემიერობა, ირაკლი სურგულაძე და ჩინოვნიკის კაბინეტი... დაბოლოს, რალა თქმა უნდა, ციხე. მაგრამ აქაც ირაკლი ირაკლად რჩება. მთელი ციხე თავს ევლება, მისი კამერის პატიმრები ორწლიან უმაღლეს განათლებას ღებულობენ.

გარდაიცვალა ირაკლი და თავზარი დამეცა. მოკვდა ლამაზად, შვილიშვილის მისაფერებლად მიმავალ გზაზე.

იმ სამგლოვიარო დღეებში, ერთ-ერთ პანაშვიდზე, ჩვენი ბავშვობის მეგობარმა ლილი ფარცხალაძემ შემომტირა: გახსოვს, რომ მითხარი, თქვენთან აბარებს ჩემი მეგობარი, ბაირონსა ჰგავსო?! მე მითქვამს. და როცა პირველ სექტემბერს მივედი უნივერსიტეტში და გადავხედეო ჩვენს ბიჭებს, მიხვდი, ვის გულისხმობდიო.

იგი მართლაც ჰგავდა ბაირონს თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით, სიყვარულის უსასრულო მარაგით, ბუნტარული სულით, ნიჭიერებითა და ახალგაზრდობაში — გარეგნობითაც.

ბერა აჯიაშვილი

დამიმეგობრდა გერა აჯიაშვილი. არქიტექტორი, ინტელექტუალი, კაცი დახვეწილი იუმორის გრძნობით. ყველაფერს ასწრებდა, თეატრს, გამოფენებს, სპორტს, მეგობრულ სუფრებს და თავხედაყრელ საქმეს. მუშაობდა მხატვართა ფონდში ე.წ. „ხუდფონდში“ ზურაბ წერეთელთან, მისი მარჯვენა ხელი იყო. ზურაბი იმ ფართო ჰორიზონტებს ჯერ ვერ სწავლობდა, მაგრამ უკვე ფლობდა გარკვეულ გავლენას, ფინანსებს და შიდა თუ გარე ურთიერთობებს. 1969 წელია, ლენინის დაბადებიდან ასი წლისთავი. ჩემთან მოდის გერა და მეუბნება: ფული გინდა? — აბა რა! — თუ შეგიძლიათ ინსტიტუტში ლენინის პროფილის ამოტივფრვა თუნუქზე, ფული იქნება. გეჭირდება 300 ცალი. ტვიფრსა (შტამპს) და თუნუქს მოგანვლით.

ავინთე, პირველად ჩემს ცხოვრებაში „ფული უნდა გავაკეთო“. მაგრამ ლენინის თავით? ცოტა არ იყოს მეჩროტირება. მაგრამ ფული ოხერია. პროექტი გავაცანი ჩემს უახლოეს მეგობარს კუკური ბედინიშვილს — ისიც აენტო. ჩავიქნიეთ ხელი და მივედით ინსტიტუტის მექანიკური სამქროს უფროსთან, არმო ლარიბიანთან, სომეხ ბუნჩულა კაცთან და ჩვენი საიდუმლო გავანდეთ, ისიც აენტო: „სლუში, სამსახურის მერე ჩუმით გავაკეთოთ რა!“ ტრიუმფირატი სრული თანხმობაა, საქმე გადაწყდა. გერამ მიგვიყვანა ზურაბ წერეთელთან. მე ვიცნობდი ზურაბს. რა თქმა უნდა, კარგად მიგვილო, გაეცნო ჩვენს სამუშაო პირობებს, გაერკვა ტექნოლოგიაში. დათანხმდა ჩვენთან თანამშრომლობას, ჯიბიდან ამოიღო ბანკნოტების კარგა მოზრდილი დასტა და შემოგვთავაზა. ვიუარეთ. „სამუშაოს დამთავრების შემდეგ“, ვუთხარი ჩვენ. ზურაბმა ფული შეინახა, ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. კეთილგანწყობით გამოგვეთხოვა. ლენინის ბარელიეფი ვილაც ებრაელებმა გაუკეთეს. „ვინც ფულს არ აიღებს, ვერც სამუშაოს გააკეთებსო“, შემოგვითვალა ზურაბმა. ლენინის თავმა არ გავვიმართლა.

გერას უეცარმა სიკვდილმა ძალიან დაგვწყვიტა გული. ოლეგ ქორჩაკიმ მშვენიერი ტილო უძღვნა მას: სიონის უბანი, ქარვასლასთან ვინრო ქუჩათა გადაკვეთა, მარჯვნივ გერას სახლის ფრაგმენტი, სურათის საერთო ფონი — დამამშვიდებელი, ჩამქრალი ოქროსფერი. ქუჩაში, ლანდად, ისე, რომ კიდევ ჩანს და კიდევ არა, დგას მაგიდა, ზედ ერთი ბოთლი, გვერდზე გერას სილუეტი. სურათს აწერია: „შესანდობარი გერას“. ჩანს ოლეგსაც უყვარდა გერა.

ჩამონახუნეს

ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანების განირვა ვიცით. ჩვენთვის მინაში დიდხანს, თითქმის 15 წელიწადს ესვენა ჩვენი ქვეყნის პირველი პრეზიდენტი. როგორც იქნა ჩამოასვენეს საქართველოში. დილით ადრე წავედი კოლხურ კოშკში. გრილოდა. ჩემი სახლიდან კოშკამდე არ მცილდებოდა ფიქრი, მოკლეს? თავი მოიკლა? რა თქმა უნდა მოკლეს. ალბათ ეს უფრო სავარაუდოა. მაგრამ, მე ვერც თვითმკვლელობას გამოვრიცხავდი. იქნებ იწამა, რომ ბრძოლით, მსხვერპლით მოპოვებული დამოუკიდებლობის გადასარჩენად მისი სიკვდილიც, მისი სისხლიც იყო საჭირო. აღშფოთებით მაგონდებოდა — როგორ ფეხდაფეხ მისდია ამ ჩვენმა ცნობილმა რეჟისორმა დეენილ ზვიად გამსახურდიას სომხეთში და როგორ მოითხოვა მისი გადმოცემა. ვისთვის? კიტოვანისთვის? ჯაბასთვის? მათ უნდა აღესრულებინათ სამართალი?..

ამ ფიქრით მივადექი კოლხურ კოშკს. კოშკის ჭიშკართან რამდენიმე კაცი იდგა. არც ერთი ნაცნობი. იყო სრული სიჩუმე. ეზო ისე გავიარე, არავინ შემხვედრია. კონსტანტინე გამსახურდიას საცხოვრისი სრულიად იავარქმნილი გახლდათ. ყველაფერი, რასაც ცეცხლი მოსდებოდა, აღარ არსებობდა. არც კარი, არც ფანჯარა, არც იატაკი, არც კიბე, არც ავეჯი. უბათქაშო კედლები შავად დამწვარ აგურებამდე იყო გამიშვლებული.

ასეთსავე განადგურებულ, სრულიად გაშავებულ სასტუმრო ოთახში პირდაპირ მინაზე ესვენა ზვიად გამსახურდიას ნეშტი თავდახურულ კუბოში. კუთხეში რამდენიმე შაოსანი ქალი იდგა. არავინ ტიროდა. სიკვდილის საიდუმლო დაუფლებოდა გარემოს. იყო რალაც შემზარავი და დიადი ამ ტრაგედიაში. დრო გაჩერებულიყო. მე ვიდექი... და ჩემში ჟღერდა ბეთჰოვენის გმირული სიმფონია.

ელგუჯა თავბერიძე

მე რომ ნარბუტოვი ვიყო

კარებს ზღურბლზე გადმოიჯვებინათანავე ხურავდა. გეგონებოდა, ვიღაც მოსდევს და ამიტომ კეტავს სწრაფად, არ უნდა ის ვიღაც საკლასო ოთახში შემოუფარდესო. ეგგენი ნარბუტოვი რომ არავინ მოსდევდა, თვითონაც იცოდა, სხვებმაც. იმაშიც ორივე იყო დარწმუნებული, საკლასო ოთახში შემოვარდნას ვაივარდნა ვერავინ გაუბედავდა, მაგრამ კარის სწრაფ მიხურვას იმიტომ დაჩვეოდა, აქაოდა, ჩემგან ნათქვამს ვერავინ გაიგონებდა. გიმნაზიელებს ნარბუტოს საცქიელი თავიდან აკვირებდათ, ერთი-ორი გაკვეთილის მერე სულაც ბუნებრივად ეჩვენებოდათ, მეტიც, ფანჯრებსაც ხურავდნენ, რამეთუ მისი მონათხრობი ყურში შეიშვებოდა, გარეთ არ გაიშვებოდა.

ფრანგული ენის მასწავლებელი ნამიერად მოავლებდა თვალს იქაურობას, ოთახის შუაგულში დადგებოდა და დაიწყებდა:

ჯუზეპე გარიბალდი, — ბავშვობიდანვე წყალს შეზრდილი მეზღვაური, წყლის სტიქიით გაჩენილი, თხუთმეტი წლისა სატვირთო გემით ჩამოვიდა ოდესაში, ათი წლის მერე კაპიტანი გახდა. შემთხვევით არ კაპიტნდებიან. მარტო ზღვა არა, ადამიანები ზღვაზე მეტად უყვართ, წყალი ხმელეთით მყარი ეჩვენებათ.

სამცოლგამოცვლილი გარიბალდი, თუმცა რატომ გამოცვლილი, ყველაზე ერთგული, მეუღლეს, მეგობარსაც, ანთა ადრეატის სანაპიროსთან ტყეში გარდაცვალა, მერე ჯუზეპინა, ბოლოს ფრანჩესკა შეერთო, ერთხანს მეკობრეობდა კიდეც.

ნათქვამს ჯუზეპეს ბრაზილიურ თავგადასავალს მოადევნებდა და უცებ სულ სხვა მიმართულებით გაუტყედა:

გარიბალდი და რისორჯიმენტო, იტალიის აღდგომა და აღორძინება, ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის გასაერთიანებლად, რომზე შეტევისას პოლონელები და უნგრელები ედგნენ გვერდით, „ათასშიც“ იყვნენ სხვა ეროვნებისანი, ისინი, სამშობლო რომ დაკარგვოდათ და იტალიელებს თუ აპოვინებდნენ, მერე საკუთარისთვისაც ეზრუნათ. გარიბალდობს მთელი ევროპა, პონჩოდა, სომბეროსნაირი ფართოფარფლებიანი ქუდი, წითელი ხალათი შიშის ზარს სცემდა, დღესაც სცემს დამპყრობლებსა და დამონებლებს.

ამას იტყოდა, გიმნაზიელებს დააკვირდებოდა, თითქოს ამონებდა, ვისზე როგორ მოქმედებდა მონათხრობი, და ისევ ზღვის ამბებს გაიხსენებდა: ბრაზილიაში, კომისრობიდან რომ გადადგა, ხარების ცხრაასათვიანი ჯოგი აჩუქესო. გარიბალდის ტურინში ჩასვლასა და პარლამენტის სხდომაზე გამოსვლას არ ივინებდა: არასდროს ჩამოვართმევ ხელს იმ კაცს, რომელმაც ჩემი სამშობლო (ნიცას გულისხმობდა) უცხოელებს ჩააბარაო, — გარიბალდმა იმ სხდომაზე უთხრა კავურს, რომელსაც მერე მეგობართან დაუჩივლია: აღეკვება რომ კაცს კლავდეს, სხდომაზევე მოვკვდებოდიო.

ნაპოლეონ მესამისა და პიუს მეცხრის ჯარებთან მეგრძოლი გარიბალდი სიკვდილს ეძებდა რომის ქუჩებშიო.

იტალია იმაზე ადრე გაერთიანდა, ვიდრე მოელოდნენ — საფრანგეთი პრუსიასთან ომში დამარცხდა, ნაპოლეონ მესამე, დასანახავად რომ ვერ იტანდა გარიბალდს, დაატყვევეს და იტალიის გაერთიანებას რალა დაუდგებოდა წინ.

გაერთიანდა, მაგრამ ის კაცი, ვინც მთელი სიცოცხლე ამისთვის იბრძოდა, არავის გახსენებია. მშობლიურ კაბრერაზე ათენ-ალამებდა სამშობლოს გაერთიანების საბოლოო ეტაპს ჩამოცილებული.

გარიბალდზე თხრობას ვიქტორ ჰიუგოსა და ალექსანდრე დიუმას ფრანგულად ნათქვამ-დანერხილით აბოლოვებდაო, —

გვეუბნებიან ნარბუტოს ყოფილი მოსწავლეები. ფრანგული ჩვენ არ გვესმოდა და რას ამბობდა, არ ვიცით, მხოლოდ ის დაგვაშინებდა, პალერმოში ალექსანდრე დიუმას იახტაზე რომ იკერებოდა წითელი ხალათები გარიბალდელთათვისო.

იტალია გაერთიანდა, ჯუზეპეს მშობლიური ქალაქი ნიცა დღესაც საფრანგეთის ხელშია, — იტყოდა თურმე ეგგენი ნარბუტი და გარიბალდის ნათქვამით დაასრულებდა — ადამიანებს, ფორთოხალივით, წვენს გამოწოვენ, ქერქს მოისვრიან. ასე მოიძულეს რისორჯიმენტოს თავკაციო.

ამ გაკვეთილის მერე გიმნაზისტმა გიმნაზისტს, ბესარიონ მიქელაძემ სეით იაშვილს ჰკითხა:

— ეს კაცი ფრანგულს გვასწავლის თუ იტალიურს?

— ხომ თქვა, იტალიის ნაწილი საფრანგეთს ჰქონდა დაპყრობილიო.

ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელმა ეგგენი ანტონის ძე ნარბუტმა 1894 წლის 4 აპრილს ამავე გიმნაზიის დირექტორს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ დიმიტრი სტოიანოვს უმორჩილესად სთხოვა, შვებულელებაში გამიშვითო. უფრო სწორად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან მიშუამდგომლეთ, შვებულელებაში გამიშვას, არდადეგების დროს ევროპის ოთხი ქვეყანა, — ავსტრია, იტალია, შვეიცარია და საფრანგეთი — რომ მოვიწახულოო.

უყვარდა მოგზაურობა, ავსტრიასა და იტალიაში ორი წლის წინათ, მაშინაც არდადეგების დროს იყო და შეთანხმებულ დროს დაბრუნდა. იტყობა, იმ ორში ბევრი რამ დარჩა უნახავი, იმათ ნახავდა, ნამოგზაურებ ქვეყნებს ორი დაუმატა, თუ მოგზაურობა, მოგზაურობა იყოს, კაცს ფრანგული ენის მასწავლებელი მერქვას და საფრანგეთი მხოლოდ წაკითხულით ვიცოდეთ?!

ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის (ასე სრულყოფილად იმიტომ ვწერ, ზოგმა არ იცის, ქუთაისში ორი გიმნაზია რომ იყო და თითოეულს თავისი სახელი ერქვა, ხშირად პირველს მეორეში ურევენ ან პირიქით) დირექტორის დიმიტრი სტოიანოვის ხელმოწერით, ნარბუტის თხოვნიდან ორთვენახევრის მერე, 1894 წლის 18 ივნისს, გაიცა ბილეთი, უფრო მართალი ვიქნებით, მოწმობა დავარქვათ, რომელშიც ეწერა — ეგგენი ანტონის ძე შვებულელებაში გაუშვით, იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში რომ იმოგზაუროს, ოღონდ 20 აგვისტოს აუცილებლად უნდა გამოცხადდეს სამსახურში.

კაცი საზღვარგარეთ ნასვლასა და ევროპის ოთხი ქვეყნის ნახვაზე ოცნებობდა, დირექტორმა — იმპერიის ქალაქებში მოგზაურობა და მათი დათვალიერებაც გეყოფათო.

სამოცდაცხრა წლის გახლდათ ამ დროს მოგზაურობის ტრფიალი ეგგენი ნარბუტი. 1825 წლის 20 იანვარს დაბადებულმა 1849 წელს სახელმწიფოს ხარჯზე დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტი და გახდა ლათინური ენის მასწავლებელი. ხუთი წელი, 1850-55 წწ., სტავროპოლის გიმნაზიასთან არსებულ კეთილშობილთა პანსიონში ოთახის მეთვალყურედ მუშაობდა და 200 მანეთს ღებულობდა წელიწადში.

1850 წლის 17 დეკემბრიდან მომდევნო წლის 1 თებერვლამდე სტავროპოლიდან გამოუშვეს თბილისში და მონაწილეობდა იმ კომიტეტის მუშაობაში, რომელსაც გიმნაზიელთათვის სახელმძღვანელოების შედგენა ევალებოდა. სტავროპოლის გიმნაზიაში ეგგენი ნარბუტი უსასყიდლოდ ასწავლიდა ფრანგულ ენას რამდენიმე თვე, როცა ამ საგნის მასწავლებელი არ ჰყავდათ. 1852 წლის 1 იანვრიდან 1855 წლის სექტემბრამდე გიმნაზიის სასკოლო წიგნების მალაზიის გამგედაც მუშაობდა. ერთხანს დაბალკლასელებს გეოგრაფიას ასწავლიდა, რამაც ხელფასის ნახევარს უხდიდნენ.

1854 წლის 28 ოქტომბერს ტიტულიარნი სოვეტნიკობა მიიღო. მომდევნო წელს კავკასიაში ნამსახურობის ხუთი წელი შეუსრულდა და ხელფასის მეოთხედი, 175 მანეთი, დაუმატეს წლიურად, მაგრამ მუშაობა აღარ გაუგრძელებია, წლის და-

სანყისშივე, 1856 წლის 11 თებერვალს, საკუთარი სურვილით დაითხოვეს სასკოლო უწყებებიდან. 1879 წლამდე არსად უმუშავია. ამ წელს კავკასიის სასწავლო ოლქის საგამოცდო კომიტეტში ჩააბარა გამოცდა, რის შედეგადაც პროგიმნაზიისა და გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებლობის უფლება მიეცა. დანარჩენს მერე ვიტყვით.

განათლებული და განვითარებული ევგენი ნარბუტი ფრანგული ენის მასწავლებლად არ ვარგოდაო, — გვეუბნება სეთ იაშვილი. ისეც, სხვებიც, იმას კი არ წერენ, ფრანგული არ იცოდაო, ენის სწავლების მაგიერ სხვადასხვა ამბებს გვიამბობდაო, — ჩივიან, თუმცა ნუხილზე უმეტეს სიხარული იკითხება ამ დაჩვილებში.

ქართული საჭმელების ნარბუტისეულ ქებაზეც სეთ იაშვილი მოგვითხრობს. პოლონელ კათოლიკეს ქართული კერძები ისე მოსწონდა თურმე, რომ ზოგიერთის დამზადებაც დაისწავლა.

კარის მიხურვისთანავე ესეც უთქვამს:

— ქვეყნებია, თანაც დიდი წარსულისა, რომელთაც რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი კერძები მოეძვეებათ, უფრო უარესი, ზოგიერთ კონტინენტზეც ერთსა და იმავეს ამზადებენ. არაბულ სამყაროში თითქმის ერთნაირად აკეთებენ ყველაფერს. საქართველოში ერთ კუთხეში სხვანაირი, მეორეში — სხვანაირი, მესამეში სრულიად უცხოა და განუმეორებლის დამზადება იცინ. კერძების სიმრავლე და სიგემრიელე ეროვნული განძია, საქართველოს მსგავსი, კლიმატურ პირობებს იყოს მისადაგებული საჭმელების გემო, იშვიათად მინახავს. სამეგრელოში, მაღარია რომ იცის, ცხარე კერძებს აკეთებენ, იმერეთში, სადაც ეს სენი იშვიათია, უფრო ნაკლებ ცხარეს, ქართლში სხვანაირს და ასე დაუსრულებლად, — იტყოდა თურმე და აბაშიძის რესტორნის ქებას მოაყოლებდა. ხშირად დადიოდა ამ რესტორანში, დღევანდელი წერეთლის ქუჩაზე (კომუნისტების დროს ამ შენობაში ზავშვთა სტომატოლოგიური კლინიკა იყო მოთავსებული) რომ უნდა ყოფილიყო და გემრიელ კერძებთან ერთად ზვანჭკარის ღვინითაც გაეთქვა სახელი.

შევიდოდა თუ არა ევგენი ნარბუტი, ლაქიებს თქმა არ სჭირდებოდათ, იცოდნენ, საუზმის დროს რა, სადილად რა და ვახშმად კიდევ რა უნდა მიერთმიათ. ადგილიც ჰქონდა ამოჩემებულს. შესასვლელიდან მარჯვნივ, ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მიუჯდებოდა, იქიდან ბაგრატიის ნანგრევები და წმინდა გიორგის ეკლესია ჩანდა. თავიდან ეულად ჭამდა, უმეტესად საცივსა და ღომს, სვამდა ზვანჭკარას, მალე გაიჩინა თანამეინახენი. მთვრალი არავის უნახავს. იცოდა, რომელი ღვინო რამდენი უნდა დაეღია. ხან გაკვეთილებამდე, ხანაც გაკვეთილებმოლეული, რამდენიმე ქართველთან ერთად, ჩამიუხლებდა აბაშიძის რესტორანში და, რა გასაკვირია, გიმნაზიელებს რომ ეუბნებოდა:

აბაშიძის რესტორნისნაირი ევროპაშიც არ მინახავს, საქმელიც, სასმელიც ჩინებულია.

ევგენი ანტონის ძემ 1891 წლის ივნისში ხელი მოიტეხა, რა ვითარებაში, არ ვიცი. სიმთვრალეს დავაბრალოთ, არ ვიქნებით მართალი, მითუმეტეს, მემუარისტები გვიბეჯითებენ — მთვრალი არასდროს გვინახავსო.

ყოფილი გიმნაზიელები კი ნუხან, ფრანგულს არ გვასწავლიდაო, მაგრამ ეს ენა ისე კარგად იცოდა, რომ ფრანგულის გრამატიკაზე სახელმძღვანელო დაწერა, რომელიც 1893 წელს კავკასიის სასწავლო ოლქმა აშეიბზე გაკეთებული შენიშვნებით დაუბრუნა. ნარბუტმა გაითვალისწინა ისინი და სახელმძღვანელო იმავე წელს გამრეკელოვის სტამბაში დაიბეჭდა. ბიბლიოგრაფიაში ევგენის მამის სახელი არასწორია, ალექსანდრე წერია ანტონის მაგიერ. ვრცელი და ცოტა გაურკვეველი სახელი ერქვა წიგნსა ნარბუტისა — ფრანგული ენის წესიერ ზმნათა ნებისმიერი ფორმის შედგენის ახალი გამარტივებული მეთოდი ერთი განუსაზღვრელი უღლილების დახ-

მარებით და ამავე არანესიერ ზმნათა განმარტება ლათინურ და ძველფრანგულ ენათა მოშველიებით.

ბოლო ფრაზა გასაგებია. დანარჩენი, ალბათ, ფრანგულის უცოდინარობის გამოა ბუნდოვანი.

უმუშევრობისას ევგენი ნარბუტმა ცოლად ლუთერიანელი ქრისტიან ევალდე შეერთო, 1868 წელს ქალიშვილი — ორსახელიანი ერნესტინა-პაულინა — შეეძინათ.

ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში 1879 წლის 12 ოქტომბერს დაიწყო ფრანგული ენის მასწავლებლობა და სამი წლის მერე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს მდივნად აირჩიეს. ამავე წელს კარგი შრომისათვის გიმნაზიის სპეციალური ფონდიდან 200 მანეთით ნახალისეს. 1883 წელს წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ბარემ აქვე ჩამოვთვლით, 1879 წელს კოლეჟსკი ასესორი, 1885 — ნადვორნი სოვეტნიკი, 1888 — კოლეჟსკი სოვეტნიკი, ხოლო 1891 — სტატსკი სოვეტნიკი გახდა.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასის დამრიგებელი რომ იქნებოდა, თქმა რად უნდა. პროგიმნაზიისა და გიმნაზიის ინსპექტორთა საზღვარგარეთ ყოფნისას მათ მოვალეობასაც ასრულებდა ხანდახან.

1891 წელს წმ. ანას III ხარისხის ორდენი მიიღო. 1893 წლის 20 აპრილს კავკასიაში ნამსახურობის 20 წელი შეუსრულდა: ითხოვა, პენსია დამინიშნეთ და თუ ჩემი შრომა სასარგებლოდ მიგაჩნიათ, მუშაობის გაგრძელების საშუალება მომეცითო. ყველაზე მაღალი პენსია — წელიწადში 700 მანეთი — დაუნიშნეს და ნება დართეს კიდევ 5 წელი ემასწავლეთო.

1894 წლის 4 აპრილს შვებულებში გამოვიდა, რომ ითხოვა, ვთქვი. თუმცა არსებობს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიმართვა გიმნაზიის დირექტორის, დიმიტრი სტოიანოვის სახელზე გამოგზავნილი, სადაც წერია — ევგენი ნარბუტს ეძლევა უფლება შვებულება უცხოეთში გაატაროსო. დირექტორმა იმპერიის ქალაქებში მოგზაურობის ნება დართო მხოლოდ.

მგონი თარიღებით გადავტვირთეთ ევგენი ნარბუტიზე საუბარი, თუმცა საარქივო მასალებით აკონსულტი მისი ბიოგრაფია რომ უნდა ვიცოდეთ, ამაში მალე დავრწმუნდებით.

1857 წელს გლაზგოში დამზადებული, ოდესის პორტის კუთვნილი სატივრო-სამგზავრო გემი „ვლადიმირი“ 1894 წლის 26 ივლისს ასრულებდა რეისს „სევესტოპოლი-ოდესა“. 27 ივლისის ღამის პირველსა და ორ საათს შუა ტარხანკუტის კონცხიდან 32 მილის მოშორებით „ვლადიმირი“ შეეჯახა იტალიურ სატივროთო ხომალდს „კოლუმბია“, რომელიც ოჩაკოვოდან ევპატორიაში მიცურავდა.

შეჯახებისას იმდენად დაზიანდა „ვლადიმირის“ მარჯვენა მხარე, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და ჩაიძირა.

ზოგიერთი ცნობით, „ვლადიმირზე“ მგზავრებიან-ეკიპაჟიანად 250, სხვათა ნათქვამ-დანერლით, 167 ადამიანი იმყოფებოდა. დაიღუპა 70 მგზავრი, ორი მატროსი და ოთხი დამხმარე პერსონალი. გადარჩენილთა და დაღუპულთა რაოდენობას ყოველთვის ერთსა და იმავეს წერენ. დაღუპულებზე ვთქვით, 103 ადამიანი გადარჩაო, 250-ის შემთხვევაში 176, ხოლო 167 ადამიანი თუ იყო გემზე მგზავრიან-ეკიპაჟიანად, მაშინ 91 გადარჩენილა.

„ვლადიმირის“ მგზავრებს გემი „სინეუსი“ მიეშველა. ეს ის „სინეუსია“, იმავე ტარხანკუტის კონცხთან შვიდი წლის წინათ სამსუნიდან ოდესაში მომავალ „ვესტას“ რომ შეეჯახა. „ვესტას“ ოცდათოთხმეტივე მგზავრი დაიღუპა.

„ვლადიმირის“ უფროსი მექანიკოსის ზდანკევიჩის ასავალ-დასავალს გამოძიებამ ვერ მიაგნო. მატროსმა ფელდმანმა თავი მოიკლა. დამნაშავეთა სკამზე ორივე გემის კაპიტნები აღმოჩნდნენ.

„ვლადიმირის“ კაპიტანი კ. კრიუნს ადანაშაულებდნენ, რომ „კოლუმბიას“ მოახლოებისთანავე არ შეანელა სვლა, არ შეჩერდა, არ დაიხია უკან და მგზავრების გადარჩენაზე არ იზრუნა. „კოლუმბიას“ მისი კაპიტანი ა. პეშე არ მართავდა, მას ეძინა და მის მაგიერ რიცო უძღვებოდა ხომალდს.

საზღვაო კანონია, ორი გემი თუ ერთმანეთს შეხვდება, ერთიც, მეორეც უხვევს მარჯვნივ და შეჯახება გამორიცხულია. კრიუნმა „კოლუმბიას“ მოახლოებისთანავე მარცხნივ მოუხვია, მეორედაც ამ მხარეს მოუხვია, შეჯახება შეუძლებელი გახლდათ, „კოლუმბიას“ მიახლოებამდე რამდენიმე წამით ადრე მარჯვნივ რომ არ მოუხვია, მოუხვია მარჯვნივ და მთელი ძალით შეეჯახა „ვლადიმირს“.

კაპიტან კრიუნს ცნობილი ვეპილი ნიკოლოზ კარბრეცსკი იცავდა, რომელმაც გამოძიებას დაუმტკიცა, რომ კრიუნის ნებისმიერი მოქმედება სწორი იყო, რომ გემი ჩაძირულია და ექსპერტებს არა აქვთ საშუალება დაათვალიერონ იგი, რომ კაპიტანის ნებისმიერი ბრძანება შექმნილი მდგომარეობით იყო ნაკარნახევი, რომ მას არ მიუტოვებია თავისი ადგილი და კიდევ ბევრი „რომ“-ით გააბათილა მონმეთა ჩვენებები, სასამართლო დაარწმუნა, რომ კრიუნი უბედური კაცია და არა დამნაშავე, რომ მას კი არ მიუტოვებია „ვლადიმირი“, პირიქით, „ვლადიმირი“ გამოეცალა ფეხიდან, რის მერეც ზღვაში გადაეშვა, მგზავრებთან ერთად რომ დახრჩობილიყო, მატროსებმა ძლივს ამოათრია გონდაკარგული.

კრიუნს ოთხი თვე და საეკლესიო მონანიება მიუსაჯეს. თეოდორ და ვასილ კამენსკები დედასთან ერთად მგზავრობდნენ „ვლადიმირით“, თავიდან გემ „მიხილით“ უნდოდათ ოდესაში წასვლა, მაგრამ ძველი და დაზიანებული ხომალდი იმ დროს და ამით ამოვარდნის საფრთხეში იყო.

თეოდორი და ვასილი გადარჩნენ, დედა დაიღუპა. „ვლადიმირით“ მგზავრობდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის გმირი შესტაკოვი, რომელიც 15 წლის გოგონასთან ერთად დაიხრჩო. დაიღუპა გენერალი კუვინოვიც, რომელსაც საფრთხის გააზრებისთანავე პაპიროსი გაუბოლებია, ვიცი ოდესმე მოკვდები, მთავარია, მშვიდად მოკვდეო.

„ვლადიმირით“ მგზავრობდა ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ევგენი ანტონის ძე ნარბუტი. გიმნაზიის დირექტორმა დიმიტრი სტოიანოვმა რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებას კატასტროფისთანავე უდებემა, საზოგადოების დირექტორმა პოლუშკინმა დებუთივე უპასუხა — ნარბუტი დაიღუპა და ოდესაშია დამარხული. იმავე წლის 6 ივლისს იმავე პოლუშკინს მიწერა: „ვლადიმირით“ ჩვენი გიმნაზიის მასწავლებელი მგზავრობდა და შეგვატყობინეთ, — რა ვითარებაში დაიღუპაო. 14 ივლისს უპასუხეს — ნარბუტისა არაფერი ვიცი, არც ისა ცნობილი, მგზავრობდა თუ არა „ვლადიმირით“, არც ის, ზღვაში დაიხრჩო თუ სამშვიდობოს გამოაღწია, მხოლოდ მგზავრთა საერთო რაოდენობა და იმათი გვარსახელება ჩვენთვის ცნობილი, ვინც ცოცხლები გადარჩნენო.

ერთი კვირის წინათ, დაიღუპაო, აცნობეს, მეტიც, ოდესაშია დამარხულიო, მერე არც დაღუპვისა, არც გადარჩენისა, მითუფრო დამარხვისა, ვიცით რაიმეო.

გაორჭოფებული დიმიტრი სტოიანოვი ორჭოფობის გასაქარწყლებლად ოდესის პორტის კაპიტანს უმორჩილესად სთხოვდა ეპასუხა კითხვებზე:

ნამდვილად დაიღუპა თუ არა ევგენი ნარბუტი „ვლადიმირის“ კატასტროფისას და რა ვითარებაში. რამდენად მართალია ოდესაში მისი დასაფლავების ამბავი. გარდაცვლილს აღმოაჩნდა თუ არა თანხა, რომელიც აუცილებლად ექნებოდა, რადგან ქუთაისში საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა, სამოგზაუროდ ნამოსულმა ფული ნამოიღო, რომელსაც გულისჯიბეში მიკრულ ქისაში ინახავდა. ფული მართლაც ექნებოდა. ევგენი ანტონის ძეს ამ დროს საკმაო შემოსავალი ჰქონდა: დამატებითი გაკვეთილებისთვის 480 მანეთს, კავკასიაში ნამსახურობისთვის დამატებით 400 მანეთს, მდივნობისთვის



მხატვარი ნოდარ ბაღურაშვილი

120, ოთახის მეთვალყურეობისთვის 240 მანეთს, პენსიას 700-ს, რაც საბოლოოდ 3190 მანეთი გამოდიოდა წელიწადში. იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი გასამრჯელო გახლდათ.

9 აგვისტოს მოვიდა საპასუხო წერილი, ნარბუტის დაღუპვისა ეს ვიცითო:

— მისი გვამი „ვლადიმირის“ კაპიტანის დამხმარის მეთვალყურეობით ამოიტანეს ზღვიდან და სხვა გარდაცვლილებთან ერთად „კოლუმბიას“ გემბანზე დაასვენეს. დააფარეს ბრეზენტი. დამხრჩვალნი მგზავრები ტანსაცმლიანად ეყარნენ გემბანზე, ნარბუტს არც რაიმე ნივთი, არც ფული, არც ქისა ჰქონია. მისი გვამი ამოსაცნობად 7 ივლისს გადაიტანეს ოდესის ძველ ქრისტიანულ სასაფლაოზე, სადაც იგი ამოიცნო ოდესაში მყოფმა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელმა მ. სალარაძემ, დავმარხეთ ოდესაშივე, ახალ ქრისტიანულ სასაფლაოზე, რა ვითარებაში დაიღუპა, არ ვიცი, საქმეს ოდესის პროკურატურა იძიებს.

არავის გამოუკვლევია, როგორ დაიღუპა ევგენი ანტონის ძე ნარბუტი.

სეთი იაშვილი წერდა: „1895 წელს იგი ქ. ოდესის მახლობლად, გემის ავარიის დროს დაიღუპა. საშველი ქამარი ნარბუტმა თურმე ერთ ახალგაზრდა სტუდენტს დაუთმო, შემდეგი განმარტებით: შენ ახალგაზრდა ხარ, ხოლო მე ჩემი წუთისოფელი მოვჭამეო“.

სეთის ემლება, ერთი წლით გვიან მომხდარი ჰგონია „ვლადიმირის“ კატასტროფა, ნარბუტის სახელის ინიციალიც არასწორია, ე-ს ნაცვლად ა-ს წერს (რაც უბრალო კორექტურაც შეიძლება იყოს), მაგრამ არა გვგონია, ევგენი ნარბუტის დაღუპვის გარემოება ემლებოდეს, ბევრს, ძალიან ბევრს უნდა სცოდნოდა იმ დროს ქუთაისის გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებლისაგან ჩადენილი გმირობა — მე ჩემი წუთისოფელი მოვჭამე, შენ ახალგაზრდა ხარ, მაშველი ქამარი შენთვის დამითმიაო.

ოფიციალური ხელისუფლება, ბუნებრივია, დუმის ამჯობინებდა, რა ხელს აძლევდათ, პოლონელის გმირობა.

ნარბუტის ოჯახს რჩენის თავიც აღარ ჰქონდა, მეუღლე სტოიანოვს ეხვეწებოდა, მიშუამდგომლეთ, ქმრის პენსია დამინიშნონ, ჩემი 26 წლის შვილი ავადმყოფია და საპატრონოო სტოიანოვი ცდილობდა, რას ახერხებდა, არ ვიცი.

სეთი იაშვილმა 1897 წელს დაასრულა ქუთაისის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს ბათუმიდან გემით ჩავიდა ოდესაში. გზაში სამინელი ლევა დაუსწყია ზღვას, სახლისოდენა ტალღები ასკდებოდნენ თურმე გემს, თითქმის ყველას, სეთისა და რამდენიმე მატროსის გარდა, ზღვის ავადმყოფობა დამართნია. მაშინაც უნდა გახსენებოდა სეთის ნარბუტის ამბავი, სამი წლის წინათ ჩაძირვა „ვლადიმირისა“...

სიკვდილის დამნახავი ნარბუტი იქნებ გარიბალდისეულ მეზღვაურობას ნატრობდა, სხვებს გადაარჩენდა, საკუთარი თავი დიდად არ ანაღვლებდა.

ნარბუტის, გმირობა რომ არ დავარქვით (თუმცა რატომაც არა?), დიდსულოვნებაზე, ჰუმანურობაზე, ვიმეორებთ, ოფი-

ციალურ მიმონერაში ერთი სიტყვაც არ თქმულა, იქ არ თქმულა, სეით იაშვილმა შემოგვიანა.

მეორე მონაწილე, სამსონ ფირცხალავამ საპეიტაფიო ფრაზით დაგვიხატა მისი პორტრეტი: „ნარბუტი არც პოლიტიკას იფინყებდა და ერთხელ იმ დროისათვის მეტად გაბედული სიტყვები

გვიტხრა: „ეჰ, ეჰ, მე რომ ნარბუტოვი ვიყო და არა ნარბუტი (პოლონელი იყო) ახლა ალბათ სადმე დირექტორი ვიქნებოდიო“.

რომ გავრუსებულიყავი, პოლონელობა უარმეყო. ნულარ გავაგრძელებთ, უკეთესად როგორ უნდა ეთქვა — მე რომ ნარბუტოვი ვიყო...

ეკა ბუჯიაშვილი

რას ღაღადებენ ქვები შინდისთან

დიდი ძალისხმევა კი დაგვჭირდება დიალოგზე დასათანხმებლად.

ბოლოდაბოლოს, როსტომ ჩხეიძეს ვერ გაუტეხს ხათრს, ვინც მშობლიური ყელქცეულისაკენ მიმავალი გზად ახალ მემორიალს რომ შენიშნავს, ამ კარგი საქმის მოთავეთაც მოძებნის და ასე მიაგნებს იაგო საურს.

მერე რედაქციაშიც მოინვეს, დიალოგზეც დაითანხმებს...

ოღონდ უმჯობესია, ყველაფერი თავიდან გიაბოთ:

ამ ბოლო ხანს ვისაც სოფელ შინდისთან ჩაგივლიათ, უთუოდ შენიშნავდით აგვისტოს თაკარა მზით გათანგულ ველზე დავანებულ ქვებს, უცნაური კედელი რომ აქვს შემორტყმული.

ეს 2008 წლის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალია.

აქ, შინდისის მისადგომებთან ყველაზე დრამატულად გადაეცემა ბრძოლებს და სამშობლოსათვის დაცემული 17 ახალგაზრდის ბედისწერაში გაესიმბოლოებინა ამ ომის ტრაგედია.

ისინიც აგვისტოს შვილები იყვნენ.

აგვისტოს შვილებიო, — ასე მოიხსენიებს როსტომ ჩხეიძე 1924 წლის აგვისტოს მოვლენათა მსხვერპლთ, მათ შორის მამას, თათარ ჩხეიძეს, ვის ოჯახსა და ცნობიერებასაც მძიმე კვალი დააჩნია ამ ტრაგედიამ. სწორედ ეს და შემდგომი გულისშემძვრელი მოვლენები აღმოჩნდა მისი საზოგადოებრივი საგის „მატიანე ქართლისაის“ მასაზრდოებელი ფესვი და კიდევ განსაზღვრა ის პროტესტი, მიმართული ყოველგვარი ძალმომრეობის, სახელმწიფოებრივი რღვევის, ზნეობრივი დაქვეითების წინააღმდეგ, მთელ მის შემოქმედებას რომ მსჭვალავს. ამ რომანების ციკლში ხელშესახებად იკვეთება რუსული ექსპანსიის მამხილებელი გამჭოლი ხაზიც, ის ბოროტება, მისი მშობლიური ყელქცეული რომ მოიცვა და აგერ, ლამის საუკუნის შემდგომ ამ მიდამოებში კვლავ საბედისწეროდ განმეორდა იმპერიული პოლიტიკისათვის ჩვეული ტრაგიკული მოვლენები.

აქ, შინდისის მისადგომებთან ყველაზე დრამატულად გადაეცემა ომს.

და სწორედ ამ მიდამოებში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართულიყო ეს მემორიალი.

— მაშინ შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი გახლდით. მემორიალის დადგმა შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დათო სუჯაშვილმა შემოგვთავაზა. ირაკლი ღარიბაშვილმაც მხარი დაუჭირა ამ პროექტს და ჩვენც მთელი ენთუზიაზმით შევუდექით საქმეს.

„ჩვენ“ ვის გულისხმობსო, თუ ჰკითხავთ, გეტყვით, რომ ეს ადამიანები შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები არიან, სამსახურის შემდეგ ფორმას რომ იცვლიდნენ და ფიზიკურად მუშაობდნენ მემორიალის ასაგებად.

მეტიც:

ეს ყველაფერი სწორედ მათი შემოწირულობით დაფინანსდა — ვისაც რისი საშუალება ჰქონდა, იმით შეენიათ პროექტს და



2008 წლის აგვისტოს ომის გმირთა მემორიალი სოფელ შინდისის რკინიგზის სადგურთან

შსს-ს თანამშრომლებმა ასე მიაგეს პატივი თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო დანაყოფის მებრძოლთა ხსოვნას, გმირულად რომ დაეცნენ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის დასაცავად.

სპეციფიკურ სამუშაოებზე ამ საქმის მცოდნე სპეციალისტები ეხმარებოდნენ — ხელოსნები რამაზ შევარდნიძე, ნოდარ სიმონიშვილი, ზაზა მინდიაშვილი, რამაზ სიმონიშვილი და გოგიტა დონღუზაშვილი უანგაროდ დაუდგნენ მხარში მემორიალის პროექტს.

მის არქიტექტურაზე კი თვითონ ბატონ იაგოს უზრუნია, მეგობრების დახმარებით.

— თავიდან, როცა არქიტექტორებს მივაკითხე, აღმოჩნდა, რომ ეს სფერო დაყოფილია სპეციფიკის მიხედვით და რომ მემორიალური არქიტექტურის ჩართვა ამ საქმეში კიდევ დამატებით ხარჯებს მოითხოვდა, ამიტომ ამ საქმის მცოდნე მეგობრებთან დისკუსიასა და კონსულტაციებს დავჯერდით.

ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი.

ჯერ ერთი, ქვები — შინდისთან დაღუპულ მებრძოლთა სურათებით, რომლებიც იქ უკვე ენყო, მათ მშობლებს, მებრძოლთა ოჯახებს მიეტანათ და მათი ხელის ხლება გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა. ამიტომ გადაწყვიტეთ, ამ სურათებს არ შევხებოდით, ქვებს კი გარკვეული სიმეტრიული ფორმა მივეცით.

რაკი ომში დაღუპულ გმირთა მემორიალზე ვმუშაობდით, ვიფიქრეთ, რომ მასზე აუცილებლად უნდა ამოტიფრულიყო სახელმწიფო სიმბოლიკა — დროშა და გერბი, რაც ძალიან მაღალი ხარისხით გაკეთდა მარმარილოს ქვაზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ოჯახის წევრები სშირად მივიდოდნენ იქ შესანდობარის სათქმელად, ამიტომ მოკრძალებულად, მაგრამ მაინც უნდა დაგვედგა მაგიდა და სკამები.

და კიდევ: რაკი მემორიალი ტრიალ მინდორზე დგას, ის დაცული უნდა ყოფილიყო ცხოველებისაგან. ამიტომ გავეუკეთეთ დამცავი კედელი, რომელმაც თავისი მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით სიმბოლური დატივრთვაც შეითავსა — ეს არის კიბეები, ჯერ აღმავალი, შემდეგ ქვემოთ რომ ეშვება და ამ 17 ახალგაზრდის ცხოვრების გზას ასიმბოლოებს.

მასალად ე.წ. სამების ქვა გამოვიყენეთ — რითაც სამების საკათედრო ტაძარი აშენდა. სხვათა შორის, ყველაფერი, რაც ამ პროექტისათვის დაგვჭირდა — რკინა-ბეტონი, ქვის მასალა, მეტალის კონსტრუქციები თუ სხვა რამ, მენარმეებმა

მეზღაპრის გზა

(გურამ პეტრიაშვილის ახალი წიგნის წარდგინება)

თვითღირებულების ფასში მოგვცეს. ამ მხრივ მინდა გამოვარჩიო ბატონები: **მამუკა ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ლაშქარაშვილი, პეპო კოდაშვილი, შალვა პავლიაშვილი** და მძღოლი **ნიკოლოზ ბათილაშვილი, ჯემალ ჯინიყაშვილი**.

ასე შეიქმნა შინდისთან დალუპულ გმირთა მემორიალი, რომლის წარდგინებაც 11 აგვისტოს შედგა. უნდა ითქვას ისიც, რომ პროექტი საარჩევნო პერიოდში კეთდებოდა, თუმცა ეს თემა პიარისათვის არავის გამოუყენებია. ხელისუფლება განსაკუთრებული ღირსებით, მონივნებითა და პატივისცემით მიუდგა მას და წარდგინებამდე არსად არანაირი სახით არ დატრიალებულა.

მემორიალამდე კიდევ ერთი კარგი იდეაც გვექონდა — გვინდოდა ე.წ. ქართულ-ოსურ საოკუპაციო ზოლზე ეკლესია აგვეშენებინა, წმინდა გიორგის სახელობის, მითუმეტეს, რომ ეს წმინდანი მეზღაპრულ მფარველიც არის. ტაძარში ქართველებიც შევიდოდნენ, ოსებიც, და პირველი ნაბიჯები გადაიდგმებოდა ხალხურ-დიპლომატიური პროექტის ფარგლებში, თუმცა ეს საკითხი მოცულობითიც აღმოჩნდა, ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, ამიტომ პროექტი ჯერჯერობით განიხილება.

აი, მემორიალის თემას კი მოვერიეთ და ბოლომდეც მივიყვანეთ.

ვფიქრობ, კარგი გამოგვივიდა.

ბიჭებმა ისე იმუშავეს, ყოველი დეტალი ისეთი პასუხისმგებლობით შესრულდა, ისე მკვიდრადაა ნაგები, ეს ძეგლი ალბათ საუკუნეებს გაუძლებს.

აკი იხუმრეს კიდევ წარდგინებაზე თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა:

— ისეთი მემორიალია, გმირობა გულში რომ არ გქონდეს ამოჭრილი, აუცილებლად ჩაგადენინებსო, — მიაშობს ბატონი იაგო.

ოღონდ როცა მისი ბიოგრაფიითაც ვინტერესდები, მხოლოდ ამ პასუხით შემოიფარგლება:

— გორში დავიბადე და გავიზარდე, წარჩინებით დავამთავრე სკოლა, მერე — ქუთაისის უნივერსიტეტიც. პირველი პროფესიით ტექნიკოსი ვარ, შემდეგ იურიდიული განათლება მივიღე, სხვადასხვა დროს ვმუშაობდი უშიშროების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზეც. ახლა კი ისევ მსს-ს კადრების განყოფილებაში ვარო.

მის შესახებ ჩვენ მიერ მოძიებულ საინტერესო ცნობებს რომ ვიშველიებ — აი, ისეთს, მის მოქალაქეობრივ პოზიციასა და მიდგომებსაც კარგად რომ წარმოაჩენს და პიროვნულ თვისებებსაც — უკან იხვეს:

— ყველაფერი ბატონი **დავით სუჯაშვილის** დამსახურებაა, მემორიალი სწორედ მისი მონადინებითა და ძალისხმევით გაკეთდა, და კიდევ — შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებისა და ყველა იმ ადამიანის თანადგომით, უანგაროდ რომ ამოგვიდგნენ მხარში, ამიტომ ჩემი ბიოგრაფია აქ არაფერ შუაშიაო.

ჩვენც ვუსრულებთ თხოვნას და მის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ვწერთ, რადგან გვჯერა, ამის საშუალება მომავალში აუცილებლად მოგვეცემა.

მანამდე კი...


ვისაც შინდისის მხარეს ჩაგვივლიათ, აუცილებლად შენიშნავდით აგვისტოს მზითა და ცეცხლით დამწვარ მინაზე აღმართულ მემორიალს, რომლის ქვებიც, ისტორიული ბედისწერით, საუკუნეები ილაღადებენ აგვისტოს შვილთა გმირობის ამბავს;

ამბავს სამშობლოსათვის დაცემული ამ მეზღაპრებისა:

ვეფხია ჯიშკარიანი, რომან ზოიძე, ემზარ ნილოსანი, შმაგი კუპატაძე, ლევან მექაძე, თეიმურაზ ბერიძე, ზვიად კაცაძე, კახა კოშაძე, ირაკლი ჯანელიძე, ფელიქს კაკაურიძე, ილია გაბუნია, რუსლან ნულაძე, მიხეილ დვალისვილი, ალექო ონანი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, ილია შეყლაშვილი.

ყველაფერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე დაიწყო. ციფრებსაც აქვს თავისი სილამაზე, რომელიც ძალიან ახლოს არის მუსიკასთან, მაგრამ ის კიდევ სხვა სიღრმეებს ეძებდა და თანდათან, გზადაგზა, კეთილი ადამიანების დახმარებით მიაგნო იმას, რასაც ეძებდა.

გურამ პეტრიაშვილი ეძებდა გზას ხელოვნებისაკენ. მათემატიკის გავლით. მეცნიერების საშუალებით. გერმანული ენის



ლექტორმა **ლია ძაძამიამ** ასწავლა, თუ როგორ მიახლოებოდა ხელოვნების კარიბჭეს. ისე, როგორც რომანტიკულ ზღაპარშია: ძალიან უნდა მოინდომო და შეუძლებელს შეძლებ. სხვათა შორის, ზღაპრის დაწერაც გაივლო გულში, მაგრამ თავი შეიკავა. ჯერ სხვა რამ იყო საჭირო.

შემდეგი ნაბიჯი **მიხეილ კვესელავამ** გადაადგმევინა. მის ლექციაზე პირველად თანაკურსელმა წაიყვანა. გაუკვირდა, კათედრასთან ჩვეულებრივი ადამიანი იდგა, მაგრამ ცეცხლივით აფრქვევდა აზრებს. გარდასახვის დიდი უნარი ჰქონდა და თვითონაც დიდი ჩანდა, როგორც მოვლენა. ერთდროულად ზღაპრის გმირსაც ჰგავდა და ისტორიისასაც.

მიხეილ კვესელავას ლექციებმა ლექსები დაანერინა გურამ პეტრიაშვილს. რა თქმა უნდა, ნაკითხა ბატონ მიშას. მოუწონა, კარგიაო, უთხრა. პროფესორმა **ტარიელ კვანჭილაშვილმაც** წააქეზა. შემდეგ **თამაზ ჭილაძესაც** წააკითხა. „ვიოლინოსავით ხარ თანამედროვე ცხოვრებაზე აწყობილი“ —ო, ასე უთხრა ბატონმა თამაზმა და დამწყებ პოეტს მეტი რაღა უნდოდა.

ცოტა უფრო მოგვიანებით იყო **ჩიტო ბაჯელიძეც**, მთარგმნელი, ლიტერატორი, ნამდვილი რედაქტორი, რომელმაც იცოდა, რა ნაშეშა და რა დაეტოვებინა გურამის ნიგნეში.

და მოვიდა დღემდე სოფელ ლილოში დაბადებული მათემატიკოსი, პოეტი, მეზღაპრე, პროზაიკოსი, მსახიობი და ერთ დროს პოლიტიკოსი გურამ პეტრიაშვილი, რომელმაც ყველაფერი ეს, რაც ზემოთ წაიკითხეთ, ვრცლად, ეპიკური სიღინჯით მოუყვა 2014 წლის 2 სექტემბერს მწერალთა სახლში შეკრებილ საზოგადოებას და ამგვარად გაუკეთა შესავალი თავისი ნიგნის წარდგინებას.

„**პატარა ქალაქის ზღაპრები**“. ასე ეწოდება ნიგნს, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობამ „**პალიტრა L**“.

მხატვარი — **ნინო ჩაკვეტაძე**.

რედაქტორი — **ნინო დეკანოსიძე**.

საერთოდ ნიგნისა და მასში შესული ზღაპრების ლიტერატურულ ღირსებებზე ბევრი ისაუბრა კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ**, რომლის სიტყვამაც განსაკუთრებით გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ დროის, თემებისა და თანამედროვე პრობლემების განზოგადების საკითხში გურამ პეტრიაშვილს ბადალი არ ჰყავს.

ანა ამირხანაშვილი

ერთი წიგნი, ორი კრიტიკოსი

ნინო ბაქანიძე

პარიაციები თემაზე: „ფარშევანგის სოლო“

ომი თუ მშვიდობა? სიკეთე თუ ბოროტება? ბნელი თუ ნათელი? — ადამიანური ყოფიერება ხომ ამ (და სხვა მრავალი) საწინააღმდეგო პოლუსების მარადიულ ურთიერთდაპირისპირებათა ერთიანობას წარმოადგენს. მთავარია, რა არჩევანს გააკეთებს მკაცრი რეალობის წინაშე მყოფი ადამიანი: თვითგამორკვევის რთულ პროცესში ჩამოყალიბდება როგორც ფრუსტრატი, დახლეჩილ-დანაწევრებული, ზნედაცემული ინდივიდი, თუ რწმენითა და სიმართლით დაადგება ცხოვრების გზას.

ავტობიოგრაფიულ რომანში „ფარშევანგის სოლო“ (რომლის ქვესათაურიც სწორედ „ომი თუ მშვიდობა“ გახლავთ) ჯანო ჯიქიძე ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამს: „ეტყობა, განვითარების პარალელურად გადაგვარების მექანიზმიც ძვეს ადამიანის პიროვნებაში. თუ გონება ფიზიკურად და სული — ჯანსაღი, გადაგვარების მექანიზმი გამორთულია და პიროვნება უკეთესისაკენ ვითარდება. ის არამარტო საკუთარი თავისთვის არის სასარგებლო, არამედ (მაპატიო, მაღალფარდოვანებისათვის) საზოგადოდ ქვეყნისათვის, გენებავთ — კაცობრიობისათვის“.

კითხულობ რომანს და უმაღვე რწმუნდები, რომ სწორედ ამგვარ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება თვითონ ავტორი, ცნობილი ექიმი და მწერალი ჯანო ჯიქიძე. აღწერს რა პირად თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მტკივნეულ მოვლენებს, იმავდროულად მთხრობელიც არის და დამკვირვებელიც. როგორც მთხრობელი, სავსებით გულწრფელია, გახსნილია, მისივე ტერმინი რომ მოვიხმოთ, „თვითდამსმენი“. როგორც დამკვირვებელი — უკომპრომისო, პირდაპირი, ხშირად ირონიული და თვითირონიულიც.

მართლაც რთულზე რთულია ე.წ. „ფრუსტრატოსფეროში“ ცხოვრება. დისონანსებით აღსავსე სამყაროში სრულყოფილებისა და ჰარმონიის ცნებები წამიერ გაელვებად თუ რჩება: „დისჰარმონია ლამის ცხოვრების წესია, ის დროში ხანგრძლივია, ჰარმონია კი მომენტია ისეთი, ბედნიერებას ჰგავს“.

თუმცა ავტორი გამუდმებით ძიების პროცესშია. რწმენითა და სიმართლით აღსავსეს შეუძლია (რეალური საფრთხის მიუხედავად) გაყინული ტბა გადაიაროს. დიახ, ეს გენისარეთის ტბა ვერ იქნება, „თუმცა რწმენა გაყინული ტბის ზედაპირზე სვლის დროსაც საჭიროა“. მას შეუძლია მოშლილი ონკანის შიშინ-თახ-თახი ერთ ბგერაზე დაიყვანოს, ლინ-ლინით მეორე ხმა შეუნახოს და ამგვარად განიცადოს „ჰარმონიის მომენტი“.

საერთოდ, მუსიკალური ფონი იმდენად მნიშვნელოვანია ნაწარმოებში, რომ თავისი მასშტაბურობითა და თემატური სიუხვით რომანის მხატვრული სტრუქტურა მრავალხმიან ფუგას მოგვარებთ (უფრო ზუსტად, მრავალხმიანი ფუგის ერთ-ერთ სახეობას), რომელშიც ინტერმედიები ჩართული. სწორედ ამგვარ ასოციაციას აღძრავს თავისთავად ავტობიოგრაფიულ რომანში ჩართული სოლო-პარტიები. თითოეული სოლო (ისევე და ისევე ფუგის არქიტექტონიკის გათვალისწინებით) ძირითადი შინაარსიდან გამომდინარეობს და ავსებს მას. რომანის ერთ-ერთი ასეთი დიდებული სოლოა „სეკუნდა და უნისონის მოლოდინი“. პარტიები ჯანო წერს სეკუნდებზე (სეპტიმებზეც), „ისინი ჟღერენ

დისჰარმონიულად, თუმცა კი თითოეული მათგანი მიისწრაფის უნისონისაკენ. რაც შეეხება ცხოვრების ჰარმონიას, ფოტოგრაფიული სიზუსტე და მყისიერი აღბეჭდვაა საჭირო, გაცნობიერებულად რომ დაიჭირო“. მუსიკალური ბგერების ურთიერთშერწყმა თუ დაშორება, მამა-დო-სა და ძე-რე-ს მაგალითზე, ერთობ ორიგინალურადაა დაკავშირებული უძღვები შვილის ბიბლიურ არაკთან, მამისეულ წიაღში მის დაბრუნებასთან (ამ შემთხვევაში — დაბრუნების მცდელობასთან). მაგრამ უნისონის მიღწევისას თანამედროვე სამყაროში საქმე გვაქვს არა პითაგორასეულ სფეროთა ჰარმონიასთან, არამედ, ავტორისვე სიტყვით, „სინანულის ჰარმონიასთან“. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: „სეკუნდების, სეპტიმების ყურთასმენაში გატარება უნისონის მოთხოვნილებას აძლიერებს“.

საინტერესოა, რომ ნაწარმოებში მაღალსტატუსად შესრულებული თერთმეტი სოლოა ჩართული, მაგრამ ვერსად შეხედებით რომანის სათაურად გამოტანილ „ფარშევანგის სოლო“. ტექსტებში ფარშევანგი საერთოდ არ ფიგურირებს (აი, ყვავები კი დიდი რაოდენობითაა, ისიც — შალახოს ფონზე). ფარშევანგი მხოლოდ ერთხელაა გაკვრით ნახსენები ვეტექიმთან საუბრის დროს. ეს ქალბატონი სსრკ-ს ზოოპარკს ამგვანებს: „თავისუფლება უნდა იყოს ზოოპარკს გარეთ და თუ შიგნით შემოაღწია, სასიკეთოდ არ იმოქმედებს... ყველა გალიის კარი თუ გააღე, ცხოველები ერთმანეთს დაერევიან, ფრინველები კი გაფრინდებიან... მინდოდა მეკითხა, ფარშევანგს რა ბედი ეწევა-მეთქი, მაგრამ ვეტექიმი არ მისმენდა, თავისთვის ჩურჩულებდა...“ სულ ეს არის. ჩვენ კი ფარშევანგის (უფრო ზუსტად — ფარშევანგის სიმბოლოს) აღწერა-დახასიათებას თუ მაინც შევეცდებით, ვნახავთ, რომ ეს სიმბოლოც საწინააღმდეგო პოლუსებს მოიცავს საკუთარ წიაღში: ფრინველია, მაგრამ არ ფრენს, ულამაზესია, მაგრამ ერთობ უსიამოვნო ხმა აქვს. ცხადია, დამოუკიდებლად ფრენა არც ადამიანს შეუძლია, სამაგიეროდ, ძლიერი ნარმოსახვისა და გახსენება-მონატრების ძალით ადამიანი (ამ შემთხვევაში — ავტორი) ინტერნეტშიც კი ახერხებს „გუგლს“ გადაუფრინოს და ძველი, ნაცნობი ადგილები მოიხილოს. ბატონი ჯანო საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს სლავურებაში გატარებულ წლებს, იმ ტრაგიკომიკურ სიტუაციებს, რომელშიც არაერთხელ აღმოჩენილა.

სხვათა შორის, ტრაგიკომიკული, როგორც საპირისპირო პოლუსთა შერწყმის, მუსიკალური არანჟირების მცდელობას ვხვდებით რომანის პირველივე სოლოში: „ხასანბეგურა“, „კრიმანჭული“. ავტორი ასკვნის: „ალბათ, თავიდან იყო კრინმანჭული (მანჭია კრინი)... და არის მასში რაღაც მასკარადული, უფრო სწორად — ჯამბაზური, ოლონდ... ვილაც ზემდგომის გასართობად კი არაა, არამედ ხალხის წიაღიდან, ხასიათიდან ამოსულ-ამოზრდილი-ტრაგიკომიკურია, სიცილ-ტირილია... „ხასანბეგურაში“ საომარი ყიჟინა, ბრძოლის გუგუნია და იქვე ზედ ერთვის მანჭია კრინი — სხარტი და მოხერხებული, როგორც თვითნაბადი ნიჭი“. ამ შეხედულებას მწერალი სხვა ეპიზოდშიც განავრცობს: „ტრაგიკომიკულია ცხოვრების ასლია — ვილაც უნდა მღეროდეს, ვილაც უნდა ჩხუბობდეს და ეს ერთად სანახავად თვალსასიერო რამაა, თუ თვითონვე არ მოგხვდა რიკომეტით გრაფინის ნატეხი, ან სკამის ფეხი...“

ტრაგიკომიკურ სიტუაციებში კი ჩვენი ავტორი მართლაც არაერთხელ აღმოჩნდება. ორწლიან სამხედრო სამსახურში მყოფი ექიმი-მწერალი მკითხველის თვალწინ რეალურად არსებულ პერსონაჟთა მთელ არმიას ჩაატარებს, მაგრამ მაღალი სამწერლო ხელოვნების გამოისობით, ეს პერსონაჟები სქემატურად და ეპიზოდურად როდი ჩნდებიან და ქრებიან. ისინი მთელი ნაწარმოების მანძილზე ექცევიან ავტორ-მთხრობე-

ლისა თუ ავტორ-დამკვირვებლის თვალსაწიერში. ასეთი თვითმყოფადი, სახასიათო სახეებია: ვლადიმირ-ექსპე-დაგოგი, სერგეი-ექსდესანტინიკი, რახმატულინა, კერკე-ზი, გარიგა და მრავალი სხვა. პერსონაჟთა კალიდოსკო-პური მონაცვლეობა და ტექსტში ჩართული ზოგადეპო-ქალური მოვლენების აღწერა (დანყებულ ლენინის ეპი-ზოდებიდან, დამთავრებული ირონიულ-კატეგორიული იმ-პერატივით: ქვიშა მაგარია!) მხატვრულ ტექსტს იმგვარ დინამიკურობასა და სიცინცხლეს ანიჭებს, რომ სოლი-დური მოცულობის მიუხედავად, გენანება კიდევ კითხ-ვის დასრულება. ამგვარი შეგრძნება, მეორე მხრივ, სწო-რედ მწერლის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

„ინტერმედიული ჩართვის“ სახით იმასაც ვიტყვი, რომ ჩემთვის, როგორც პროფესიით გერმანისტიკოსის, ერთ-თბო სასიამოვნო იყო ამ მრავალხმიანი ფუგა-რომანის გერმანულ მწერლობასთან დაკავშირებული ლაიტმოტივი. რომანში ვხვდებით რემარკის, ბრეხ-ტის, ჰესეს, თომას მანის, ნიცშეს სახე-ლებს. მაგრამ ეს არ ხდება ინტელექტის დემონსტრირების მიზნით, რაც ხშირ შემთხვევაში მანერულობისა და ხე-ლოვნურობის ელფერს სძენს ტექსტს. პირიქით, ამა თუ იმ მწერლის ხსენება, მათ მიერ გამოთქმული ესა თუ ის ფრა-ზა ყოველთვის რომელიმე კონკრეტულ სიტუაციასთანაა მისადაგებული.

ასეთია, მაგალითად, სოლოში „ომი თუ მშვიდობა“ ჩართული ბრეხ-ტის ცნობილი შეგონება: „ომი დამ-თავრდა. მშვიდობის გეშინოდეთ ხალხო!“ რაც, ვგონებ, დამატებით კომენტარს აღარ საჭიროებს. ავტო-რის მახვილ თვალს ისიც კი არ გამო-პარვია, თუ რა მითქმა-მოთქმა გამო-ინვია თავის დროზე თბილისში რე-მარკის ცნობილი რომანის „სამი მე-გობარი“ მდარე თარგმანმა.

ნიცშეს ეპიზოდში ბატონი ჯანო არ იხსენებს (და არც ვვალემა, რომ ასხენოს!) მის ცნობილ მხატვრულ-ფილოსოფიურ თხზულებას „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. სამაგიეროდ, ამ ეპიზოდმა გამახსენა ეს თხზულე-ბაც და მისი ქვესათაურიც „ნიგნი ყველასთვის და არა-ვისთვის“. როგორც ცნობილია, ნიცშე აფორისტული მეტყველების დიდოსტატი გახლდათ და ზემოხსენებუ-ლი გამონათქვამის ქვეტექსტიდან გამომდინარე, მი-მაჩნია, რომ ყველა დიდი და მნიშვნელოვანი ნაწარმოე-ბი ამ ქვესათაურს იმსახურებს, მათ შორის — ბატონი ჯანოს რომანიც.

„ფარშევანგის სოლო“ მთავრდება, მაგრამ მწერლის შემოქმედებითი ძიების გზები გრძელდება. ეს გზებიც აღარაა, ეს უკვე ზეგზებია, რომელზეც რწმენითა და სი-მართლით მიაბიჯებს ჯანო ჯიქიქი, თუ გნებავთ, მირონი-ნებს კიდევ, რადგან „რონინი“ ხომ, ავტორის დაკვირვე-ბით, ჰარმონიისა და სრულყოფილების აღმნიშვნელი ზმნაა. ამიტომაცაა, რომ ეს ზმნა „ჰარმონიული მომენტი-ვით“ აქა-იქ გაილევეს ტექსტში. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ რონინის თემას ეძღვნება მწერლის ერთ-ერთი საუკე-თესო მოთხრობა „რონინი, Trippeln და იგავი მარტისა“, რომელშიც ნესრიგისა და ჰარმონიის მაძიებელი მწერალი რონინის მაგალითზე შემდეგნაირად მოგვმართავს:

„სადაც მე ვარ, იქ თანხმობაა, პატივისცემაა, სიყვა-რულია, ურთიერთგაფრთხილება“.

მაია ჯალიაშვილი

თვითდასმენის ვნება

ჯანო ჯიქიძისთვის მხატვრული სამყარო ერთგვარი ზერეა-ლური სივრცეა, რომელში ხეტიალი მას ჭეშმარიტების მოსახელ-თებლად და საკუთარი მეს შესამეცნებელ გზად ესახება. იგი სი-ახლის მაძიებელი ავტორია, ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ იმას, რას მოგვითხრობს, არამედ იმასაც, როგორ წარმოაჩინოს განცდილი და ნაფიქრალი.

იგი ცდილობს ყოველ ახალ რომანში შემოგვთავაზოს თხრო-ბის თავისებური კომპოზიცია. ამ რომანში ამგვარ თავისებურე-ბას ქმნის თხრობის საერთო მდინარებიდან კუნძულებივით გა-მოყოფილი სოლოები.

ამ რომანში ცხოვრება წარმოჩენილია, რო-გორც კარნავალი, რომელიც ხელს უწყობს გაქ-ცევას საკუთარი თავისაგან. თუმცა ეს გაქცევა ჰგავს ზღაპრის გმირის სახლიდან ნასვლას სამ-ყაროს შესაცნობად. ყველა ბოლოს შინ ბრუნ-დება, საკუთარ თავში, ცხოვრების ტკბილ-მწა-რე გემონაგები. მეგრე თუ თხრობის ნიჭიც აქვს, სხვას უზიარებს შთაბეჭდილებებს. აქ გვახსენ-დება მისი მოთხრობიდან „ზეგზებზე“ ციტატა: „ცოდნას შეიძენ — ცოდვას ჩაიდენ, ცოდვას ჩა-იდენ — ცოდნას შეიძენ. ეს იყო ჩემი გეზი და რა თქმა უნდა, გვარიანად ვიყავი აცდენილი პირ-დაპირ და სწორ მიმართულებას უზენაესისკენ“.


ჩვენი ყურადღება უპირველესად მიიქცია სა-თაურმა „ფარშევანგის სოლო“, რომლის მნიშვნ-ელობაც ერთგვარად განტოტვილია რომანში ჩართულ სოლოებში. თუ ნინათქმასაც სოლოდ მივიჩნევთ, მაშინ 12 გამოვს, რაც სიმბოლურო-ბას მატებს მთლიან მხატვრულ ტექსტს.

სიმბოლოების გამოყენება მისთვის უცხო არ არის, თუ გავიხე-ნებთ მის ნაწარმოებებს, მაგალითად, „ზეგზებზე“, შეიძლება დავასკ-ვნათ, რომ იგავურობა, ქარაგმულობა, რაც მისი თხრობის მრავალპ-ლანიანობას ქმნის, მისი სტილის დამახასიათებელია. თუმცა ეს რომა-ნი ამ თვალსაზრისით განსხვავებულია.

როგორ გავიაზროთ სათაური?

ამისთვის, რა თქმა უნდა, ფარშევანგის სიმბოლური მნიშვნე-ლობა უნდა გავითვალისწინოთ: სიმბოლოების ლექსიკონის მიხედ-ვით, „ადრეული ქრისტიანული პერიოდის ხელოვნებაში უპირატე-ლობა ენიჭებოდა ფარშევანგის პოზიტიურ მნიშვნელობებს. იგი უკ-ვდავების სიმბოლოდ მიიჩნეოდა, რადგან ლეგენდარული ცრურწ-მენის მიხედვით, ფარშევანგის ხორცი სიკვდილის შემდეგ არ იხრწ-ნებოდა (გარდაცვლილი ქრისტეს სიმბოლო). სწორედ ამ აზრით ფიგურირებს ეს ფრინველი ქრისტეობის ამსახველ სცენებში. გარდა ამისა, ბუმბულის განახლება ყოველ გაზაფხულზე ამ ფრინ-ველს აღდგომის სიმბოლოდაც აქცევდა. ფარშევანგის კუდზე მო-თავსებული „ათასი თვალი“ ზოგჯერ ყოვლისმხედველი ეკლესიის სიმბოლური მნიშვნელობით გამოიყენება. მეორე მხრივ, თავმდაბა-ლი, მორჩილი ცხოვრების ქრისტიანულმა დოქტრინამ დასავლეთ ევროპის ხელოვნება იძულებული გახადა, რომ ამ ფრინველისთვის მიენიჭებინა სიამაყის, ფუფუნებისა და პატივმოყვარეობის ცოდვე-ბის მნიშვნელობა. ფარშევანგს მედიდური სიარული სჩვევია, რომ-ლის დროსაც წარმოაჩენს ლამაზად შეფერილ კუდს. ამ თვისების გამო დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში ფარშევანგი ამქვეყნიურ სიამაყესა და პატივმოყვარეობასთან არის გაიგივებული“.

მწერალი ითვალისწინებს ამ ყოველივეს და ფარშევანგს რო-მანში მთხრობელის სიმბოლოდ წარმოაჩენს მთხრობელისა, რო-



მელიც გულს გადაუშლის მკითხველს, გამოფენს თავის ცოდვა-მადლს.

პირველ პირში თხრობა ისედაც სოლოს შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ავტორი მაინც ცალკე გამოყოფს სოლოებს, რომლებშიც თავის თვალსაზრისებს გვთავაზობს.

ნიცშემაც „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ ერთ თავში „პოეტათათვის“ პოეტი (შეიძლება ვთქვათ, ხელოვანი) შეადარა ფარშევანგს: „ჭეშმარიტად, მათი სული ფარშევანგთ ფარშევანგია და ზღვა ამაოებისა! მზერალთ ეძიებს პოეტის სული: თუნდაც კამეჩი იყოს! ხოლო ეს სული მომბეზრდა მე: და ვხედავ, მოვალს ჟამი, მას თავი თვისი მომბეზრდება“.

ეს „თვითმობეზრება“ და მკითხველისთვის გაზიარება საკუთარი თავისა კარგად ჩანს სოლოში „თვითდასმენა“, რომელშიც წერს, რომ პირველ პირში თხრობა თვითდასმენაა, რაც მის სულს ეხმიანება. კლასიკოსები კი უფრო ნიღბებს ეფარებიან, როდესაც მესამე პირში წერენ. თუმცა ფლობერისა ის მოსწონს, რომ, მიუხედავად მესამე პირში მოთხრობილი ამბისა, რაც შთაბეჭდილებას ქმნის, რომ მწერალი „არაფერ შუაშია“, მან მიმართა თვითდასმენას და თქვა: „მადამ ბოვარი მე ვარ“.

და რა აქვს ჯანი ჯიქიძეს გასამხელი? როგორც თხრობისას წარმორჩნდება — ბევრი რამ: ნანახი თუ წარმოსახული. ამის შესახებ წერს სოლოში „შეჭამანი“, რომელშიც ირონიულად წარმოაჩენს საკუთარ პერსონას: „ჩემი ცხოვრება წვინანია, რომელსაც ბედისწერა ხარშავს... როგორც მიცხოვრია, იმგვარად კაზმავს და შეჭამანდიც გამოდის შესაბამისი... კაცი რომ 50-ს გადააბიჯებს, უკან მოიხედავს, ნახევარი საუკუნე სახუმარო არ არის! „ნახევარი“ თავისთავად არაფერია, მაგრამ „სა-უკუნე“ ხომ მოითხოვს დაფიქრებას. მოიხედავს კაცი უკან: როგორ მიცხოვრია აქამდე? როგორ? - კითხვითვე პასუხობს ბედისწერა, — აგე, შენი შეჭამანი! გასინჯე და მიხვდები! ჩა-უჯღღები მშვირვით, არა — დეგუსტატორით. წინასწარ იცი, ბოლომდე ამ შეჭამანდის შემჭმელი არა ხარ. ეგეც რომ არა, „მარტო კაცი ჭამაშიც (ხომ) ცოდვავა“, თუმცა ვიდრე სხვას მოინვევდე, მაინც სჯობს, ჯერ თვითონ გასინჯო, იქნებ არც ღირს, მასპინძლობა დაიჩემო?“ და სწორედ ამ დაფიქრებამ დაანერინა ეს რომანი და შეჭამანდით სთავაზობს მკითხველს და იცის, რომ ზოგს მოეწონება და ზოგსაც — არა.

მას განსაკუთრებით აღელვებს 53 წელი, რადგან სწორედ ამ ასაკში გარდაიცვალნენ მისი საყვარელი პიროვნებანი — დავით აღმაშენებელი და გოდერძი ჩოხელი. და საკუთარ თავს უსვამს კითხვას: თვითონ რა მოასწრო? ამ რომანში ცდილობს მხატვრულად წარმოაჩინოს თავისი ვინაობა. დავით აღმაშენებელი უპირველესად იმით ხიბლავს, რომ „გალობანი სინანულისანი დანერა“ და არ მოერიდა ადამიანურ სისუსტეთა გამხელას.

კიდევ ერთი ადამიანი ახდენს მის ცხოვრებაზე ზეგავლენას — ეს ჯეიმზ ჯოისია, რომლის ინიციალებიც მისას ჰვავს და ეს შემთხვევით დამთხვევად სულაც არ მიაჩნია. სოლოში „კედლის მხატვრობა“ იგი წერს, რომ შეეძლოს, „მეფე-დავითის ცნობიერების ნაკადში შეცურავდა, რათა გაეგო ეპოქის სუნთქვა და უმთავრესი — რატომღაც თვითნვით სიცოცხლის ხანგრძლივობა 53 წელი“.

აი, მისი აღსარება-თვითდასმენის ერთი ფრაგმენტი: „24 წელია, ჩემი ნიჭით და უნიჭობით, აქა ვარ“. „ჩემი ქალი-ქალაქი, რა თქმა უნდა, არ არის სრულყოფილი. შეიძლება ბევრი რამ აკლია, თუმცა მე ერთის ნაკლებობას ვგრძნობ — არ არის მონანიების ინსტიტუტი, რომ მივიდე და ცოდვები მოვინანიო“. იგი ალბათ საჯარო მონანიებას გულისხმობს და არა სინანულს, როგორც ღვთისმსახურების საიდუმლოს, მაცხოვრის დანესებულ შვიდ საიდუმლოთაგან ერთს.

პირველ პირში თხრობა ამბებს მეტ დამაჯერებლობას

ანიჭებს. ავტორიც თავიდანვე არწმუნებს მკითხველს, თუ აქამდე თამბაქოსა (მუზის ორიგინალური ნაირსახეობა) შთაგონებდა გამოგონილ ამბებს, ახლა მის გარეშე გადაწყვიტა თხრობის მდინარის ფონს გასვლა. რომანის კამერტონიკითაა კირკეგორის მახვილგონივრული დაკვირვება, რომელიც ეპიგრაფადაა გამოტანილი: „ადამიანი ცდილობს გართობის ან მუშაობის საშუალებით შეინარჩუნოს ბუნდოვანება საკუთარი თავის მიმართ“. ამას საინტერესოდ და ხუმრობით განაგრძობს ავტორი: რომ ადამიანს კითხვები: „რა, სად, როდის, ვინ, რატომ — ყოფით დონეზე აინტერესებს. აქედან აიღებს პირველ სამს (რა, სად, როდის), მოაწყობს შეჯიბრს და გულს მოიოხებს, თითქოს ვინ და რატომ გადასაგდები იყოს. მამული, ენა, სარწმუნოება, პირადი ღირსება და კერძო საკუთრება მოქალაქისთვის აუცილებელია, მაგრამ პირველი სამი შეიძლება ყველასთვის საერთო იყოს და დანარჩენი ორი შეიძლება სულ არ გააჩნდეს! მერე რა!“

საგულისხმოა მისი დაკვირვებანი პოლიტიკასა და პოლიტიკურ ფიგურებზე, მაგალითად, „სოლო: „ფრუსტრატოსფერო“, რომელშიც წარმოჩენილია როგორ იმართება საზოგადოება ძალადობითა და ტყუილით. „პოლიტიკოსებს, პოლიტიკანებს, პოლიტიკინებს თავიანთი წილი სიმართლე აქვთ, ამით ძალის ხუმევას გრძობენ და იბრძვიან და აყალიბებენ ფრუსტრატოსფეროს, რომელიც აგერ XXI საუკუნეში ახლებურ ფორმებს იძენს“.

აქვე კარგად არის შენიშნული თანამედროვე საქართველოში რელიგიური ცხოვრება: „ფრუსტრატოსფეროს ეტოქება რელიგიური გუმბათი — გარსში გარსი, სახელმწიფოში სახელმწიფო, ქვეყანაში — ქვეყანა. ყოველდღიურად მიმდინარეობს მრავალრიცხოვანი გადაბრუნება-გადმობრუნებები — ყოველდღიური ამაოებიდან რწმენის ტაძრებში დროებითი თავშეფარებები და ისევ ამაოებაში უკუქცევები. ზოგიც სულაც ვერ ხვდება, ფრუსტრატოსფეროშია თუ რელიგიური გუმბათის ქვეშ“.

ეს ყოველივე კი ქმნის ფსევდოცხოვრების განცდას, ტიცინი ტაბიქემ ბალაგანს რომ შეადარა: „ჩემი სამშობლო, საქართველო სხვა თეატრია, / ბევრი მინახავს ხეტილაში მე თეატრები, / გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია...“ („ქალდეას ბალაგანი“).

სოლოში „ომი თუ მშვიდობა“ ერთი ასეთი მახვილგონივრული ფრაზაა: „ომი გმირებს შობს, მაგრამ საშინელი მშობელია“, ამ სიტყვებმა ჰეროდოტეს ნათქვამი გაგვახსენა: „მშვიდობიანობის დროს შვილები მარხავენ მამებს, ხოლო ომის დროს მამები შვილებს“.

საინტერესო დაკვირვებაა სოლოში: „ხასანბეგურა“, „კრიმანჭული“. ავტორი „კრიმანჭულზე“ ამბობს, რომ სწორია „კრიმანჭული“ — მანჭია კრინი: „არის მასში რაღაც მასკარადული, უფრო სწორად ჯამბაზური... ხალხის ნიალიდან, ხასიათიდან ამოსულ-ამოზრდილი-ტრაგიკომიკურია, სიცოცხლე-ტირლია. ცხოვრებისეული წნეხისგან თავის დაღწევის, დამთრგუნველი სევდის გაქარვების ჯამბაზური ილეთია“.

რომანში ბევრი პერსონაჟია, რომლებსაც აქვთ თავიანთი ამბები და თავგადასავლები. საგულისხმოა, რომ ყველა ისინი გამოირჩევიან ტრაგიკომიკურობით, დამახასიათებელი შტრიხებით. ამ ყოველივეს კი შემოკრებს ავტორ-მთხრობელი, რომელიც ხალისით ჰყვება შეხვედრილსა თუ გაგონილს, რომანში ცოცხლდება ჩვენი უახლესი წარსული — საბჭოთა ეპოქა, თავისი სუთნულედებით, ბელადებით, ფსევდოარჩევნებით, ყალბი გმირებით, კომუნისმის, როგორც ამქვეყნიური სამოთხის, მშენებლობის ილუზიებით.

ერთი სიტყვით, ეს რომანი ფერადოვანი ზღაპარივითაა, რომლის კითხვისას მკითხველი გრძნობს, რომ ეს ყველაფერი იყო და ეთანხმება ავტორს: „ის იყო, თუ იყო!“ და მაინც: „იყო და არა იყო რა“.

ნანა კუცია

პატარა ქალაქების დიდი მისტიკები

(არქიმანდრიტ ადამის „ჩემი ბოცორია“)

„იყო“ რომ არსებულებოდა, ნუხილი და ტანჯვა არ იქნებოდა. უილიამ ფოლკნერი

ნაირა გელაშვილის ლაკონიური კონსტრუქცია — „თავიდან ყველანი პატარა და მყუდრო ბეთლემი ვართ, მერე — დიდი და ხმაურიანი იერუსალიმი“ („სარკის ნატეხები“) — უზუსტესად მონიშნავს პარაბოლურ ლოკალს, სულიერი არჩევნის ტრაგიკულ სიმძიმეს კონსტატირებს.

უგრძესი გზა დაღმა — ბეთლემიდან იერუსალიმამდის და, ბედნიერ გამონაკლისებში, აღმა — კვლავ ბეთლემისაკენ დიდი ლიტერატურის ერთი გამორჩეული „წყველა-კრულვიანი საკითხავია.“

„ეს რაგვარ ტყეში დანებულა ჩვენი ამბავი“ — ციტატაა არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) ლექსიდან (უფრო ლირიკული პოემა რომ ეთქმის) „ჩემი ბოცორია“ („ჩვენი მწერლობა“ 16, 8 აგვისტო, 2014).

პოსტმოდერნისტული ორმაგი კოდირებით დაიყურსება ტექსტი — რეალური ამბავი და პარაბოლა ერთად მოქსოვს მონუმენტურ ტილოს.

ზმნის თურმეობითი („დანყებულა“) ამბის სიზმარცხადობის, მიწიერ-ტრანსცენდენტურის ჯუფთობის ოქსიმორონს გაამკვეთრებს, „მქონდა იგი თუ მომაგონდას“ მისტიკურ ველს, ყოფიერების ნაქსოვობას რეალურად განცდილის თუ წარმოსახულის „გამჭვირვალე ბლონდებით.“

სიზმარ-ცხადის მიჯნა ტექსტში მყიფეა — ყოფიერების ველი ხან ბავშვობის ქუჩაა, ხან — ტაძარ-სასაფლაოს გზა, ხან — „უცხო კონტინენტები“, ხან — ზმანების ტერიტორია, ბოცორია და მთხრობელი რომ მკვიდრობენ და მიუყვებიან.

მყიფე და აღრულია დროთა შიშისტანსებლები — საღვთა-დორ დაღის საათებივით ერთმანეთში გადამღვარი წარსული, აწმყო, მომავალი.

მოგონების თუ წარმოსახვის, მომხდარ-მოსახდენის, ასახ-დენ-აუმხდარის იდუმალ სივრცეში მოძრაობს ორივე პერსონაჟი (ორივე — მთავარი), ავტორის ლირიკული ორანიც და ბოცორიაც — ბორხესისეულ მბრუნავ სარკეებსა თუ ლაბირინთში მოქმედება ვიზიონითა და სიზმრებითაა პროექტირებული.

სივრცე-დროსავით მთხრობლის ასაკიც „მიწყვიტ მბრუნავია“ ტექსტში — ავტორის ალტერ ეგო ხან ბაღია, „პროვინციულად მყუდრო, ნესტიან თბილ ქალაქში“ ჟამის ჟამიანობით პოეტურობისაგან განძარცვული დიდებისაგან ბოცორიათი დაშინებულ თანატოლებთან ერთად რომ დგას „გისოსებოვით ღობის უკან“ (მიჯნის თუ „ზონის“ პარადიგმა) და თითოს იშვერს განსხვავებულისაკენ (ვაჟასეული „ცნობისმოყვარე ბაღლებიც“ მოგვავკონდება), ხანაც „ბავშვობის ქუჩიდან სულ სხვა კონტინენტებზე — ათჯერ მაინც“ ნაყარბევი, საწუთრომთვლილი დროული.

დროისა და სივრცის „ვრცეული ველი“ (ანა კალანდაძე) გულის მხსიერების ციდა წერტილამდის დაიკუმშება (როგორც ამერიკულ ფილმში „კონტაქტი“), რომ გულისაგ მხსიერებიდან გამოჟონოს სისხლმა-ამბავმა — პიროვნებისა და ბზბოს, კაცისა და ჯოგის შეუთავსებლობის მარადმა იგავმა.

„პიროვნებები წარმოადგენენ უკუნის გამარღვეველ სინათლის სხივს. მას შემდეგ, რაც ასეთი კაცი ჩაივლის ჩვენ წინ-

ნაშე, ჩვენ მეტად აღარ შეგვეძლება, ისეთიარები ვიყოთ, როგორებიც მანამდე ვიყავით. პიროვნება შეკუმშული, დაწურული სახით მოცემული საზოგადოება და პიროვნების ზნეობა საზოგადოების შინაგანი საწყისია. „ცოდვას“ მხოლოდ პიროვნება ახსენებს, თემს მხოლოდ „ანდერძი“ აკონდებაო“, წერდა თამაზ ჩხენკელი (მშვენიერი მძლევარი, 1989).

განსხვავებულობა, როგორც სტიგმა, როგორც განჩრვისა და განაპირების უპირობო განაჩენი ჯერ ბაღლის ფაქიზ სულს შეამღვრევს, შეაშფოთებს, რათა მერე (სიყრმეში განცდილის დროულობაში გააზრებისას) მშვიდ სასონარკვეთად (სიბრძნედ) ჩამოინუროს — „ეს არ ყოფილა, ეს არის მუდამ.“

ბაღლობა (ბაღლად ყოფნა, იმავდროულად — „კეთილი მოხუცებულები გონებისა“) მუდმივი მდგომარეობაა რჩეულთა სულისა:

მწუხარებამ და მონატრებამ ერთად უცებ ბაღლად მაქციეს... რაღაც ძალა ფეხებს მიბორკავს, როგორც ხდება ბაღლის სიზმარში.

ნუთისოფლის „საქაჯავში“ ბაღლად დარჩენის ნიჭი თუ მაღლი გასაღებია ცათა სასუფეველისა, ბაღლის ზმანება — ყოფიერების უკეთესი პარაბოლა, „სიზმრისა უფრო სიზმრის“ — საწუთროს არსის „თარგმანება.“

ნანახ-განცდილი, ფაქტი იგავად განზოგადდება:

ვინ და რა იყავი, ჩემო ბოცორია, ან სადაური და რანაირი, და რამდენჯერ იყავი (ან იქნებ ხარ?!), ან სად ხარ, როგორ და როდემდის, თუ როდინდელი, ვისი სასო და რისი მაქნისი... რამდენჯერ მოგიკითხე, გაგიხსენე, ვის აღარ შევჩვიე, თვალები დავხუჭე და დავემუქრე, სანამ არ დამენახებო, არ გავახელ-მეთქი და, მაინც რომ არ გამოჩნდი, დაგისიზმრე!

დასიზმრება (დანასიზმრები) ტექსტად (გ)აცხადდება. ბათუმის ქუჩებში ოდესღაც „მონანწალე“ (და ეს აგასფერის ან კანის ნანწალი როდია — ინიციაციანა) ბოცორია ბავშვის მთრთოლარე წარმოსახვიდან თვითმკმარ პერსონაჟად ჩამოიბადება — რათა სინამდვილეთაგან ყველაზე ნამდვილს — მხატვრულს — ესაძირკვლოს, როგორც დავით წერედიანი-სეული დედა ევდოკია („მიძღვნა, 1967“).

ტექსტის — ნეორეალისტური ფილმივით შავ-თეთრ — ტილოზე მხოლოდ ბოცორიაა ფერადი ლაქა — რკინიგზელის ჩაღისფერ-მომწვანო ლაბადაშიც შუასაუკუნეების ბერს რომ უფრო ჰგავს და მოკვეთილიც ეთქმის.

ძველი ფილმების, გაცრეცილი კადრების ეფექტს, რემინისცენციას წვიმის ფონი თუ აკომპანემენტიც ამძაფრებს. მოიხაზება ამბის სინოპსისი:

„წვიმაში (ჩვენს ქალაქში ხომ ნიადაგ წვიმს!) ჩემი ბავშვობის ქუჩაში (რომელზედაც ყველას ვერ ვაძლევ გავლის უფლებას) ჩქარა ნაბიჯით მიმავალს (რადგან გავვირბოდი ყველას, ყველაფერს — სოფელს, გზებს, მეზობლებს) გაგიხსენებ, შევლივით დამფრთხალს... მონადირეები სულ ფხიზლობენ, შენისთანებზე ნადირობის სეზონი კი სულ გახსნილია.“

ტექსტი გახსენებაა („გაგიხსენებ“), შესხენებაც, რომ „ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა თურმე კაცს, თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს“ (კონსტანტინე გამსახურდია).

თუმც ბოცორიას და ყრმის შეხვედრა „გისოსებოვით ღობის მიჯნას“ არასოდეს გასცდენია, ქუჩიდან ეზოში არასოდეს შესული არასოდეს მიფერებია, შეუხედავს, უნუგეშებია პატარა, არასოდეს გაუმხელა საიდუმლოდ „იესო გლოცავს, ღმერთი არსებობს, ისევე მოვალე“, რობაქიძისეული მისტიკა — გულის გულისთვის გახსნისა — შედგა. უზუსტესია პა-

საჟი: „ჩემს გულს ახსოვს, როგორ შეტოკდი“ (ამდენ ბავშვში ჩემს დანახვაზე).

„ვენებებითა და განცდებით სავეს სრულყოფილი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ ჩვენი პატარები, მათ იდუმალ სამყაროზე კი უფროსებს ელემენტარული წარმოდგენაც არ გაგვაჩინია“ — ტრაგიკულსა და საცნაურს ლაკონიურად კონსტატირებს მაკა ჯოხაძე ლექსისათვის დართულ ტექსტად მინაწერში.

ბოცორიაც, სამუდამოდ რომ მოუპოვებია პროტაგონისტის ბავშვობის ქუჩაზე (ინიციაციურ გზანვრილზე) სვლის უფლება, საუფლო გზის განმმწენდად ტრანსფორმირდება ოდესმე. იმთავითვე ასეთი იყო, მაგრამ განსხვავებული მარტოკაცის ფუნქციას („დანიშნულებასა და საღმრთო ვალს“) ბოლომდის მაშინ გაცივობიერებს ლირიკული პოემის პერსონაჟი, წლების შემდეგ მინ დაბრუნებულს სხვათაშორის რომ ეტყვიან, ბოცორია მოუკლავთო.

მთავარი, მნიშვნელოვანი მოკლეულია და არა მკველელი, ნათლისმცემელი („განწმენდით გზანი უფლისანი“ — თემის დამმოდღვრავი) და არა ჰეროდე.

თუ სიკვდილი რეალური ყოფა სრულდება, ამბავი (მარადი ყოფა) — მხოლოდ ინყება. მრავალგზის გაუცნობიერებლად ნაფიქრი, ხილვად ადევნებული უცნაური მონატრება საფიქრალს ესაძირკვლება, რეალურის ჩენჩო მოსცილდება ძველისძველ თანმდევ ხატებას „მანანალასი“ და თითქოს სწორედ ნათლისმცემლის სტიგმით დაიტივფრება ბოცორია.

პერსონაჟად ტრანსფორმირებული უკვე აშკარად ატარებს ჩამოსხეულბული ანგელოზის სახებას. განდობა გულწრფელია:

მოგისაკლისებდა ჩემი სიბალღე-სიყრმის სინაცრისფრე, მომენატრებოდი, როგორც წამოლანდება კეთილი ანგელოზის, უსხეულოსი, ჭრიჭინობელას ფრთებივით გამჭვირვალის.

სახელი „ბოცორია“ სემანტიკურად თითქოს ეხმიანება საბასეულ ბოცომკალს — „მკალთა ჰასაკითა უდიდესია, მოგრძე, ფერხ-მოკლე, ჩჩვილს ფოთელსა (ფოთოლს) სჭამს, რომელსა ნათლისმცემელი ჭამდა“ (*სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული*).

„ანგელოზი“ და „მკალი“ (ვარიანტი „ჭრიჭინობელა“) ნათლისმცემლისავე საკრალურ სივრცეს უკავშირდება.

სხვა ციტატაშიც კონსტატირდება ბოცორიას ანგელოზური ბუნება — წმინდა კაცის ვერშემნახველი, ქალაქი (წუთისოფელი) თავის გამართლებას ლამობს: მკვიდრს არ მოუკლავს, „გადამთიელი ჩამოეხეტა ჩვენი ქალაქის ყველა ქუჩის, წვიმის, აკვნის და პალმის ხის მცველ ანგელოზის — ხორცშესხმულის — გასამეტებლად.

ესეც გვამშვიდებს — პილატეს ხელისბანასავით ცქაფი და მოკვეთილია ფრაზა.

საცნაური და ტრაგიკულია, რომ, მრავალგზისი ძიების მიუხედავად, ბავშვობის უნათლესი მოგონება — ბოცორია — ვერასოდეს იპოვა დროულობაშიც სულიერად ყრმად დარჩენილმა პროტაგონისტმა, განსხვავებით „ილბალ და ფიქრისისხლიანი“ მკველელისაგან, რომელიც მონადირეხავით ყოველთვის გუმანით (თუ სისხლის სუნით („სისხლში კვი სულია“ — *ლევიტელთა 17, 11*) იპოვის შველს — უწმინდური — წმინდას). არც ბოცორიას „შეფლივით დამფრთხალი“ ხატებაა შემთხვევითი. 28-ე ფსალმუნის მეცხრე მუხლის — „ხმამან უფლისამან განამტკიცის ირემი“ — განმარტებისას წმიდა ბასილი დიდი აღნიშნავს: „ირემი ისეთი აგებულებისაა, ქვეწარმავლები ზიანს ვერ აყენებენ... ირემის ამონასუნთქი ხვრელებში მობინადრე შხამიან ცხოველებს იზიდავს და სუნთქვის ძალით სიღრმეებიდან ამოჰყავს ისინი... „წმიდა“ ეწოდება ირემს იმ წინააღმდეგობისათვის, რომელსაც იგი ბოროტებას უწევს“ (*ფსალმუნთა განმარტებანი, თხზულებანი, 2002*).

ტრანსცენდენტურს წვდომის უმძაფრესი ვნება მწყურვალე ირემის განცდას თუ შეედრება. მეფსალმუნე მიმართავს უფალს:

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“ (ფს. 41, 1).

სიზმარ-ცხადის მიჯნა საბოლოოდ წაინისლება, როცა წმინდანის ცხოვრება ლოგიკურად დასრულდება — ჯვარცმით (თუ მისტერიას აქვს ლოგიკა).

„დამტოვეს გაოგნებული სიცხადით კი არა, სიზმრითო“, იტყვის ბოცორიას სიკვდილის ამბის შეტყობით დაზაფრული და მაინც — სწორედ ამგვარი ბოლოს გაუცნობიერებლად მომლოდინე, რადგან ბოცორია, ლეგენდის თუ მისტერიის ანამსხვრევი, ლეგენდის თუ მისტერიის კანონისავე ძალით, მოზაიკის კენჭივით უნდა დაუბრუნდეს პროვიდენციულ პანოს — ყოფიერების ველზე მარადისობიდანვე (თუ მარადისობამივე) განსაზღვრულ ალაგს.

ბოცორიას ვინაობა, მისამართი, სულის ძრაობა მისტერიის ველისაა და მისტერიის ველშივე რჩება, მერე რა, რომ სულ თვალთახედვის არემია — „სავსე ქუჩაზე“ („ქუჩა სავსეა, ხალხი, როგორც ყოველთვის, მოცალებს უპირატესად“ (*«Люди заняты ненужным, люди заняты земным»* (ნიკოლაი გუმილიოვი)).

ალარა აქვს მნიშვნელობა, დროის რომელი ჰიპოსტასისაა, ნამდვილია თუ წარმოსახული ხილვა — „სავსე ქუჩაზე ბოცორია ნაიქცა და იცლება სისხლად“, როგორც არცერთ დროში არავის აღლევებს სხვა მარადი ვიზიონი — „ქუჩაში, მტვერში ნაიქცა ბავშვი.“

არც იმასა აქვს მნიშვნელობა, რომელი ასაკის პროტაგონისტი ივედრება:

არ მოკვდე, გესმის?! ასე პატარას ნუ მიმატოვებ, თორემ მეტი ვინ ილოცებს, ვინ ილოცებს, მითხარი, ჩემთვის?!

„ელი, ელი, ლამა საბაქთანის“ მწუხარე მოტივს ამოიყოლებს ვედრება და გამეორებული „ვინ ილოცებს“, ისევე ამკვეთრებს ინტიმს, როგორს სათაური — „ჩემი ბოცორია.“

ბოცორია ავტორის ლირიკული ორანისაა, რადგან სწორედ უკანასკნელის მეხსიერებამ, ფაქტის პარაბოლად ტრანსფორმირების ღვთივმიმადლებულმა ნიჭმა ბრბოსაგან ქუჩის მანანალად აღქმული მოკვეთილი დაუფინყარ პარადიგმად გარდასახა. შედეგა სინერგია:

„ველოდები, როგორც მაშინ, როგორც ყოველთვის (და „მაშინ“ აქ „ყოველთვის“-ის სინონიმად აღიქმება და არა მხოლოდ ერთ-ერთ ნიუანსად — ნ. კ.). მოულოდნელად ხელს ჩამვიდებს და მივყავარ“.

სხვა საიდუმლოსაც გაანდობს „თავისი“ ბოცორია:

ყოცხლებს, დაინახონ ყველაფერი რომ არ ძალუძთ, შენც ხომ იცი...

იმ „ყოცხლებზე“ თუ მიანიშნებს, უფალი რომ მოციქულთ ეიგავებოდა — „აცადეთ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა“ (მათე 8, 22).

ბოცორია მარად თანამგზავრად დაურჩება დროულ ყრმას, მკვედარიც „აღმართ-აღმართ, საფლავ-საფლავ, გრანიტ-გრანიტ, სახელ-სახელ, ტკივილ-ტკივილ“ (და ეს, გავიმეორებთ, ინიციაციის აღმართებია) ემეგზურება, ეგზამკვლევება „ძველ, პანია, ცისფრად ლებილ, სინესტის, სიძველის, საკმეველის სურნელით გაჯორჯვებულ“ ხის ტაძრამდის. მანამდისაც და მერეც ყველაფერი პოეზიაა — „ბლუჯა-ბლუჯა“ სანთლებს დაანთებენ, საყდრიდან დაბრუნებულნი, ხელიხელჩაკიდებულნი („ხელიხელჩაკიდებულობის“ უღრმესი კამერულობა და ინტიმი უზუსტესად აირკვლება ნოდარ ბადურაშვილის გულისმომწყველელ (ჩა)ნახატზე, ლექსს რომ ახლავს), მთელი დღე (და მთელი წუთისოფელი) ერთად ივლიან, ერთად მიეფერებიან გალუმპულ ქალაქს — შემცივნულ სანთთროს. ან იქნებ აქ წვიმა განმწმედი, გამნათლავი წყლის მეტაფორაა? „წვიმები კლდესაც რეცხავენ და კაცის

გულსაც და, როგორც ბროლის მალალ ტაძარში, მთელი ქვეყანა შედის ნვიშაში“ (ოთარ ჭილაძე, ადამიანი გაზეთის სვეტში).

დრო ისევ იტრიალებს მბრუნავ სარკეებში, ყოფიერების ლაბირინთებში, ნამყო, ანმყო, მყოფადი ისევ აირევა, „მოსახედენის მოლოდინი [ისევ] შეზარავს“ (ედგარ პო), თუმც

**იმ საშინელი მკვლელობის ცივ ტკვილ-სირცხვილს
ჯერჯერობით მერმისი ფარავს,
სანამ ქვიშა საათებში და ისრები მონიკნიკე
ციფერბლატებზე არ მიაღწევნ
ნიშნულ ნუთებს
ან ვიდრე არ ჩაადნება დრო მომავალს შარშანდელი
თოვლივით ხელში,
ამ ნანახი სიზმრით ვსუნთქავ.**

პროვიდენციულია, წინასწარმეტყველურია, იგავურია ბოცორიას ამბავი. ამბის მერე ხილვაა:

**გადაისხნება თეატრონის ძველძველი ფარდა
და შეგვაძრუნებს ქალაქის დილის სანვიმარი
ღრუბლებისფერ სამოსელზე
დაჩნეული სისხლის წვეთები.**

სისხლისა, რომელშიც (გავიმეორებთ) სულია (ლევიტელთა 17, 11) და რომელიც, ზაქარია (და ყველა) წინასწარმეტყველის სისხლივით, „ანცა იხილვების, ვითარცა ახალი“ — მარად ახალი, რადგან წინასწარმეტყველთ ყოველდღე და ყველგან კლავენ — განსაკუთრებული ჟინითა და სიამოვნებით — საკუთარ მამულში, თავის ქალაქში.

მძიმე (მანაც განმწმენდი) ფიქრისთვის განგვანყოფს „უბოცოროდ დარჩენილი ქალაქის მისტერიების ცა და სცენები“ (ეს „ცა და სცენები“ ცნობიერების ისეთივე საკვანძო ოპოზიციაა, როგორც ტექსტშივე მოხმობილი „შველი — ჩახმახი“).

„ბოცორიას“ მხატვრული ქსოვილის არქეტიპულ მოდელად გალაკტიონისეული „სროლის ხმა მთაში“ მოგვაგონდება, ასოციაციურ-რემინისცენციული ველი ერთნაირ საფიქრალს წამოშლის:

**„გაისმა შორი სროლის ხმა მთაში და მონადირემ დაკოდა
შველი. საღამო იწვა ხვერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი
და ძველისძველი. ეს იყო მამინ, ეს იყო მამინ, როცა მე
ბავშვი ვიყავ.“**

არ არის რამე, უფრო მტანჯველი, როდესაც კუბოს მიჰყვები ქარში, „დარჩი“, — ქვითინებს ჰაერში მარში, მაგრამ ვერავის ქვეყნად ვერ შველი. ეს იყო მამინ, ეს იყო მამინ, როცა მე ბავშვი ვიყავ.

კუბო, უმიზნოდ მცურავი ქარში, და უმიზეზოდ მოკლული შველი აედევნება ბავშვებს სიზმარში ეს მოგონების ლანდი, სანთელი. რას იზამს მამინ, რას იზამს მამინ მზე, ნაკადული, მთები და ველი?“

კითხვა რიტორიკულია. „მზე, ნაკადული, მთები და ველი“ „არაფერს იზამს“, მხოლოდ გულგრილად დაინინკლება სისხლის წვეთებით, როგორც „ქალაქის დილის სანვიმარი ღრუბლებისფერი სამოსელი...“

ან იქნებ მანაც რჩება დილემა, ორგვარი პასუხი გალაკტიონის კითხვაზე: იმედინი — ჰაერში მოქვითინე მარში — „დარჩი“ აღარ დაშთება ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. ბოცორია მფარველ ანგელოზად განსხეულდება (გავიმეორებთ) „პროვიდენციულად მყუდრო, ნესტიან, თბილ ქალაქში“ და უკანასკნელს ოდესმე „ეს ეყოფა გამოსარჩლებად“, როგორც უაილდისეულ ქალაქს — მკვდარი მერცხალი და ბედნიერი უფლისწულის გამსკდარი გული.

იქნებ, „უცნაური ფეხშიშველა კაცი, მწირი, მგზავრი, ქრისტესთვის შეშლილი სალოსი“ (მაკა ჯოხაძე) მრავალთაგან ერთი კეთილი წინამორბედა, საღვთო გზის გამორჩეულობაზე რომ



არქიმანდრიტი ადამი

მინიშნებს სანუთროს „გისოსებვით ღობის უკან“ გაუბედავად მდგარ ყრმას, ჟამის „მღვრიე მრავლობის“ მიღმა, ოდესმე, მადლიერი რომ შეეხმინება „თავის ბოცორიას“ — თავის მარად ნათლისმცემელს?! აკი იოანე ოქროპირის განმარტებითაც, „უფალმა ყოველივე მდაბალი და შეურაცხი თავს იდვა და არცა სახლი აქუნდა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: ძესა კაცისა-სა არა აქუს, სად თავი მიიდრიკოს და ჰეროდესაგან ილტვოდა; და იშვა რაი, ბაგასა მიიწინა და დედაი არა მდიდართაგანი გამოიჩინა, რაითა ამით ყოვლისა ზუაობისა ვნებაი განაქარვოს კაცთაგან ... არცა ესევეთარისა რაისმე კაცობრივისა პატივისა ჯერ არს ძიებაი, არამედ მცნებაი ხოლო ღმრთისაითა“ (თარგმანებაი მათეს სახარებისაი, I, 1996).

სხვა პასუხი, მწუხარე — იქნებ დავით წერედიანისეული „ბავშვობის ერთადერთი მონაზვნის“, ჟამის ჟამიანობაში გაუჩინარებული დედა ევდოტი-ევდოკიასადმი „ნელსევდიანი“ მიძღვნა ესადაგებოდეს ერთგვარ რეზიუმედ მარადი ბოცორიების თუ ევდოკიების პარაბოლურ (ტრაგიკულ და სხივოსან) ყოფას:

**...ბაბილონის ვეება ჩრდილი ეცემა გუმბათს.
დასასრული ჯერ არ დამდგარა.
წმიდაო დედა ევდოკია, ხარ ცათა შინა,
სასძლო უფლისა, საუკუნო ნათელში ბრწყინავ.
ზიხარ ნეტარი, სიხარულის ცრემლებით სველი.
ხუხულა ყვავის, თხა კიკინებს, ხასხასებს ჯაგი...
უთხარი უფალს, სანატრელო, უხრწნელი ბაგით,
უთხარი უფალს —
აღარავინ აქ აღარ ელის...
(მიძღვნა 1967, „ოროინი“, 2010)**

ბოცორიების, დედა ევდოკიების გარეშე უღიმღამო და მქისეა ყოფა, ცოდოა (ცოდვილი და საცოდავია) „სავსე ქუჩა და ხალხი, რომელიც, როგორც ყოველთვის, მოცალეობს უპირატესად“ ...

ამ სიმქისეში, დანტესეულ „უსიერ ტყეში“, „რაგვარ ტყეში დანყებულნი ამბავი“ საღმრთო გზის იგავად ტრანსფორმირდება — პოეტის ნებით.

სანუთროული იერუსალიმის ყაყანი დაღალულს ხელს ჩაჰკიდებს და სულის ბეთლემისკენ გაუძღვება თავისი ბოცორია...

ეკატერინე ტუკვაძე

ამბავი „ლუზიადების“ საქართველოდან პორტუგალიაში გამგზავრებისა

მე-16 საუკუნის სახელოვანი პორტუგალიელი მწერლის ლუის დე კამონის ეპიკური ქმნილების — „ლუზიადები“ — ქართულენოვანი თარგმანი უკვე პორტუგალიაშია. რენესანსის ხანის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები ქართულ ენაზე ცნობილმა მთარგმნელმა და პოეტმა ჯემალ ინჯიამ აამეტყველა. ეს ამ პოემის პირველი ქართულენოვანი, მართლაც სრულყოფილი თარგმანია, რომელზე მუშაობასაც მთარგმნელმა წლები მოანდომა. მან წიგნი თავისი მასწავლებლის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის ხსოვნას მიუძღვნა. დიდი გემოვნებით შესრულებული ნამუშევრის გამო ჯემალ ინჯიამ ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია დაიმსახურა.

„ლუზიადების“ თარგმანი ჟურნალმა „ჩვენმა მწერლობამ“ გამოსცა. როგორც წიგნის რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, „ლუზიადები“ პორტუგალიელთათვის იმავე რანგის ნაწარმოებია, რა რანგისაც — ქართველებისთვის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. სწორედ ამიტომაც მისი ქართულ ენაზე თარგმნა და ქართველი მკითხველისათვის გაცნობა მეტად მნიშვნელოვანი იყო.

პორტუგალიაში წიგნის გატანა და იქაური მკითხველისათვის წარდგენა კი, როსტომ ჩხეიძის შეფასებით, არც მეტი, არც ნაკლები, ეროვნული საქმეა, რისი ინიციატივითაც „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია გამოვიდა. ამ ეროვნული საქმის შესრულების შესაძლებლობას კი რედაქციას საქართველო-პორტუგალიას შორის კალათბურთში დაგეგმილი შეხვედრა აძლევდა, რომელიც მიმდინარე წლის 27 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში უნდა ჩატარებულიყო. ნაწარმოების ქართულენოვანი თარგმანი ასპარეზობაზე მყოფი რომელიმე პორტუგალიელი ოფიციალური პირის ხელში აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო, რათა წიგნს დღის სინათლე პორტუგალიაში სწორედ ამ გზით ეხილა.

ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, დიპლომატიური მისიის შესასრულებლად მცირე ორგანიზაციული საკითხების მოგვარება ბატონმა როსტომ ჩხეიძემ თქვენს მონა-მორჩილს მიანდო. მატჩამდე ზუსტად ერთი დღით ადრე მან მთავრობის სხდომაზე მყოფს დამირეკა და „ლუზიადების“ შესახებ რედაქციის ჩანაფიქრი გამანდო. დრო არ ითმენდა. სამზადისი იმავე წამიდან და იმავე მთავრობის კანცელარიალიდან უნდა დამეწყო. რაკი საქმე სპორტულ ასპარეზობას ეხებოდა, სხდომის დამთავრებისთანავე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ლევან ყიფიანს მივმართე და „ჩვენი მწერლობის“ კეთილშობილური, მამულიშვილური გადანყვებილება გავანდე.

...რედაქციის თავდაპირველი ჩანაფიქრით, წიგნი ნაკრების მთავარ მწვრთნელს (ან რომელიმე ოფიციალურ პირს) შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაციის დაწყების წინ საზეიმოდ უნდა გადასცემოდა. როგორც ლევან ყიფიანმა მითხრა, ამ საკითხის მოსაგვარებლად საქართველოს კალათბურთის ფედერაციისათვის უნდა მიმემართა, რადგან ეს მისი უწყების უშუალო კომპეტენციაში არ შედიოდა. თუმცა მინისტრმა აქვე ისიც განმიმარტა, რომ ტელეტრანსლაციისას წიგნის გადაცემას ან მსგავს აქტივობას ოფიციალური სპორტული ასპარეზობის ფორმატი არ ითვალისწინებს. ამიტომ ეს საკითხი შეხვედრის ორგანიზატორებთან სერიოზულ შე-

თანხმებას საჭიროებს, რათა მათ და ზოგადად ქართულმა მხარემ ფიბა-საგან გაფრთხილება არ მიიღოს ანდა არ დაჯარიმდეს. ბატონი ლევანის რჩევით, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს გიგა ქართველიშვილს დავუკავშირდი და „ჩვენი მწერლობის“ გადანყვებილების შესახებ ამჯერად მას ვაცნობე. მან ჩანაფიქრი ძალიან მოიწონა — ნამდვილად მამულიშვილური საქმეაო; საქართველოს პოპულარიზაციისათვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნებაო; აბა, ამას წინ რა დაუდგება, თუ არა ფიბას მოთხოვნებიო. ეს მოთხოვნები კი, როგორც მან განმარტა, საკმაოდ მკაცრი ყოფილა და მათი დარღვევის შემთხვევაში შეხვედრის კომისრის შენიშვნაც არ დააყოვნებდა.

„ჩანაფიქრი მართლაც ძალიან კარგია. ლუის დე კამონის პორტუგალიაში ყველა იცნობს და მისი ნაწარმოების ქართულენოვანი თარგმანის რომელიმე ცნობილი პორტუგალიელისათვის საჯაროდ რადაცემა ნამდვილად საერო საქმე იქნება, მაგრამ ფიბას საკუთარი სტანდარტები აქვს განსაზღვრული და მას ყველანი უნდა დავემორჩილოთ. თანაც, პირდაპირი ტრანსლაციის ყოველი ნუთი, ყოველი წამი გათვლილია და თითოეული დამატებული წამისათვის გარკვეულ გადასახადს ვიხდით. ამიტომ პირდაპირ რეპორტაჟში წიგნის გადაცემის კომპონენტის ჩართვამ შესაძლოა ფინანსური სანქცია დაგვაკისროს. თქვენ უშუალოდ გიორგი ზამბახიძეს მიმართეთ, რომელიც ამ შეხვედრასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს კურირებს. ამავდროულად, მეც მოვიფიქრებ, თქვენთვის ხელსაყრელი რა ფორმა შეიძლება გამოიქმნოს“, — დამპირდა გიგა ქართველიშვილი.

გიორგი ზამბახიძეს ტელეფონი გამორთული აღმოაჩნდა. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ კვლავ გიგა ქართველიშვილს დავურეკე. მან უკვე საბოლოოდ მითხრა, რომ თამაშის დაწყებამდე, საქვეყნოდ, რედაქციის ჩანაფიქრის ხორცშესხმა პრაქტიკულადაც და თეორიულადაც გამორიცხული იყო, ერთადერთ გამოსავლად შეხვედრის შემდეგ დაგეგმილ პრესკონფერენციაზე დასწრება და სტუმართა მთავარი მწვრთნელისათვის „ლუზიადების“ საკონფერენციო დარბაზში გადაცემა რჩებოდა. იგი იმასაც დამპირდა, რომ ამ ფაქტის გაშუქებას კალათბურთის ეროვნული ფედერაცია საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე უზრუნველყოფდა.

ცნობილ უცხოელებთან სამახსოვრო ფოტოების გადაღება და მათთვის საქართველოს შესახებ წიგნებისა და სხვადასხვა სახის გამოცემების გადაცემა თქვენი მონა-მორჩილის ჰობია. როცა გაირკვა, რომ ეს დიპლომატიური მისია სწორედ მე უნდა შემესრულებინა და ამისათვის წარსულში არაერთგზის წარმატებით ნაცადი ხერხი კიდეც ერთხელ გამომეყენებინა, ძალიან გამიხარდა. ბავშვივით აღვფრთოვანდი, როცა წარმოვიდგინე, რომ ჩემი ჰობის საშვილიშვილო სამსახურში ჩაყენება მინევდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — ლუის დე კამონის უკვდავი ქმნილების ქართულენოვანი გამოცემა შორეულ პორტუგალიაში სწორედ ჩემი ხელიდან უნდა დაძრულიყო. თუმცა გიორგი ზამბახიძეს ამ საკითხზე ყოველი შემთხვევისათვის მაინც უნდა მოვთათბირებოდი. მან ამჯერად აიღო ყურმილი და გულდასმით მომისმინა.

რედაქციის იდეა ძალიან მომწონს, მაგრამ იქნებ რამე საჩუქარი (თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება გაქვთ) ქართველი კალათბურთელებისთვისაც მოგეფიქრებინათო. მითუმეტეს, ეს შეხვედრა გადამწყვეტია და, დიდი ალბათობით, სწორედ ჩვენი ნაკრები მოიგებსო.

„სტუმრის პატივისცემა და საქართველოს პოპულარიზაციაზე ზრუნვა ძალიან კარგია, მაგრამ ვფიქრობ, ცოტა უხერხული იქნება, მხოლოდ პორტუგალიელები დაასაჩუქროთ, სავარაუდოდ, გამარჯვებული ქართველები კი უსაჩუქროდ დატოვოთ. თუკი საჩუქრებს ორივე გუნდისთვის მოიფიქრებთ, ეს უფრო ეფექტური და გამართლებული ნაბიჯი იქნება და ამას პრესკონფერენციაზე მყოფი სპორტული მედიაც სათანადოდ გააშუქებს“, — გვირჩია გიორგი ზამბახიძემ.

ამ სატელეფონო საუბრიდან თამაშის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათი რჩებოდა და თანამემამულეთათვის ორიგინალური საჩუქრის სახელდახელოდ შერჩევამი ხელს როგორც უდროობა და უსახსრობა მიშლიდა, ისე ფანტაზია მღალატობდა. თანაც, თუ თანაბარი დონის საჩუქარზე იყო საუბარი, მაშინ გამოდიოდა, რომ იგორ კოკოშკოვის განვრთნილი გუნდისათვის „ვეფხისტყაოსნის“ პორტუგალურენოვანი, ახალი და სრულყოფილი თარგმანი უნდა გვეჩუქებინა, რაც არ მოხერხდებოდა...


ფედერაციის პრესსამსახურთან შეთანხმებისამებრ, სპორტის სასახლეში თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მივედი, რათა ჩემზე გამონაკლისი დაეშვათ და აკრედიტაცია სასწრაფოდ გაემზადებინათ (აკრედიტაციების დამზადება და გაცემა კარგა ხნის დასრულებული იყო). როგორც აღმოჩნდა, „ლუზიადების“ ამბავი მთელ კალათბურთის ფედერაციას ელვასავით მოსდებოდა.

„ა, თქვენ ხართ, ნიგნი რომ უნდა მოგეტანათ?“ — თავაზიანად მომესალმა კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის თანამშრომელი და პრესლოჟაში კუთვნილი ადგილი მიჩვენა.

აქვე ორიოდე სიტყვით თამაშსაც შევხვები. შეხვედრა ქართველი კალათბურთელთა დიდი უპირატესობით დაიწყო და ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა. ჯგუფის აუტსაიდერმა, პორტუგალიის ნაკრებმა მეტოქეს, პირველი მატჩისაგან განსხვავებით, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ქართველთა უპირატესობა მთელი მატჩის მსვლელობისას იგრძნობოდა. ნაკრების თითოეული მოთამაშე ბოლომდე დაიხარჯა და საერთო წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მასპინძლებმა სტუმრებს დამაჯერებლად (71 - 59) სძლიეს. შედეგიანობის მხრივ საუკეთესო იყო ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც 20 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ 15 ქულით დაიკავა. მესამეზე გასულმა დღედა სანაძემ კი 14 ქულას მოუყარა თავი. საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტი-2015-ის საკვალიფიკაციო რაუნდი წარმატებით დაასრულა და ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილით, ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე, ზედიზედ მესამედ გავიდა. მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია თავდაპირველად ქართველებმა გამართეს. ზაზა ფაჩულიამ აღნიშნა, რომ ეს წარმატება ადგილი მისაღწევი არ ყოფილა, მაგრამ ქართველებმა ტრავმების მიუხედავად, გამარჯვება მაინც მოიპოვეს.

სპორტსმენებმა უფრო მეტი დრო ქართულ კალათბურთში შექმნილ პრობლემებზე საუბარს დაუთმეს. ნაკრების კაპიტანმა ძლიერი ეროვნული ჩემპიონატის არსებობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი, რადგან მხოლოდ ლეგიონერთა იმედად ყოფნა შეუძლებელია.

„კალათბურთი ჩვენი სპორტია. ის ჩვენშია. ქართველ ხალხს კალათბურთი უყვარს. ამით ბევრი ბავშვია დაინტე-



ეკატერინე ტუკვაძე და მარიო პალმა

რესებული. თხოვნით მივმართავთ ყველას — პრემიერ-მინისტრს ირაკლი ლარიბაშვილს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ლევან ყიფიანს, რათა კალათბურთის მიეხედოს. იმედს ვიტოვებთ, მთავრობა გამოგვეხმაურება. ქართული კალათბურთი უკეთეს ყოფას იმსახურებს“, — აღნიშნეს ქართველმა კალათბურთელებმა.

პრესკონფერენციის დასასრულს ზაზა ფაჩულიასა და ვიქტორ სანიკიძესთან სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ. მათ გვერდით ისეთი პატარა და უმწეო გამოვჩნდი და ისე უხერხულად ვიგრძენი თავი, ვინანე კიდეც, ავსუს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მაინც ჩამეცვა, ხომ ვიცოდი, რამსიმაღლე ხალხთან მოვდიოდი-მეთქი.

ქართველი კალათბურთელთა გამოსვლის შემდეგ საკონფერენციო დარბაზი უკვე პორტუგალიელებს უნდა დათმობოდა. ნიგნი მოვიმარჯვე და გონებაში რამდენჯერმე გავიმეორე ის სიტყვები, რომლებიც სტუმართა ნაკრების თავკაცისათვის ნიგნის გადაცემისას უნდა მეთქვა. თუმცა არც ისე ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ გაირკვა, რომ განცდილი მარცხით განზილებული პორტუგალიელები პრესკონფერენციაზე ამოსვლას არ აპირებდნენ. მეტიც, რამდენიმე წუთში ვილაცამ ამბავი მოიტანა, რომ სტუმრებს სპორტის სასახლის ტერიტორია უცერემონიოდ, ვინმეს გაუფრთხილებლად დაეტოვებინათ და სასტუმროსაკენ დაძრულიყვნენ, საიდანაც მეორე დილით სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ. კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა თქმით, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პრესკონფერენცია რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის გამო შეიძლება ჩაიშალოს.

ისიც იტყვა, რომ პორტუგალიელებს თან გიგა ქართველიშვილი უნდა ხლებოდა. ამიტომ ჩემს უკანასკნელ იმედად

მასთან დაკავშირება დარჩა. თუმცა როგორც მან სატელეფონო საუბრისას მითხრა, მეტოქე გუნდის წევრები სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ უიმისოდ ბრუნდებოდნენ, თვითონ კი ამავე შეხვედრასთან დაკავშირებულ სხვა საქმეზე მიეჩქარებოდა. მირჩია, პორტუგალიელები „ქორთიარდ მარიოტში“ თავად მომენახულებინა და წიგნიც იქ გადამეცა.

უკვე გვარიანად დაღამებულიყო. ქუჩასა და ტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობასაც თანდათან ეკლო. პორტუგალიელთა მოსაძებნად მარტო გასაშვებად კალათბურთის მატჩზე მყოფმა ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, ციცი გაბიტაშვილმა ვერ გამიმეტა და თავისუფლების მოედნისკენ ერთ-ერთულად გამომყვა. ზედად, პორტუგალიელთა მთავარი მწვრთელი მარიო პალმა და, სავარაუდოდ, მისი თანაშემწე პირდაპირ სასტუმროს ვესტიბიულში დაგვხვდნენ. მარიო პალმას მარცხით გამონვეული წყენა, ჩანდა, გადასვლოდა, სიგარას აბოლებდა და თანამემამულეს მხიარულად ებაახებოდა. სპორტსმენები არსად ჩანდნენ — ალბათ გულს ნომრებში იოხებდნენ. მე და ციციმ კი არც პორტუგალიური ვიციით და არც ინგლისური, სტუმრებს რომ გამოვლაპარაკებოდით — ორივენი გერმანულისმცოდნეთა დაჩაგრულ თაობას ვეკუთვნი. მდგომარეობიდან გამოსასვლელად კონსიერჟს მივმართეთ (სასტუმროს ყველა თანამშრომლისათვის საერთაშორისო ენის ცოდნა ხომ აუცილებელია) და „ჩვენი მწერლობის“ დიპლომატიური წინადადება გავაცანით. რამდენიმე წუთში მარიო პალმას უკვე ინგლისურად უთარგმნიდნენ „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობას, ჯემალ ინჯიას ღვანლსა და „ლუზიადების“ ქართულენოვანი თარგმანის პორტუგალიაში გავზავნის აუცილებლობას.

მთავარი მწვრთნელი განათლებული ადამიანი აღმოჩნდა და საქმის ცოდნა არა მხოლოდ კალათბურთში, არამედ, მშობლიურ ლიტერატურაშიც გამოავლინა. — ლუის დე კამონის ჩვენი საუკეთესო მწერალიაო, მისი ნაწარმოებები ყველაზე ძლიერიაო, — გვითხრა სახეგაბრწყინებულმა და წიგნი ფაქიზად გამომართვა. აშკარად ეამა, რომ მის მშობლიურ მწერლებს ქართველებიც ვიცნობდით და, მგონი, ამ ამბავმა ისე გაახარა, ქართველებთან თამაშის წაგებაც კინაღამ გადაავიწყდა. სპორტის სასახლიდან გაბუტული ბავშვივით გამოპარული მარიო პალმა იმ წუთებში ქართველების ძმად და მეგობრად გადაიქცა. მე და ციცის ხელი მაგრად ჩამოგვართვა და სერიოზული სახე ღიმილმა გაუნათა. მისმა თანაშემწემ კი ისე გულთანად გადაგვკოცნა, თითქოს იმდღევანდელი ქართულ-პორტუგალიური დაპირისპირების შემდეგ შერიგების აქტს ატარებდა.

ამის შემდეგ უკვე ისტორიული მომენტი დადგა — საქართველოდან პორტუგალიაში „ლუზიადების“ გამგზავრების პირველი ეტაპი ფირზე მტკიცებულეზად უნდა აღგვებეჭდა. აქაც სასტუმროს პერსონალმა იმარჯვა და ფოტოპარატიც ხელად გაჩნდა. მარიო პალმასათვის წიგნის გადაცემის საზეიმო სცენის ამსახველი ფოტოს ავტორი თავოქვეხივილი გახდა.

ამ ერთი შეხედვით პატარა ამბავმა ისე გაგვახარა და ისე ხმამაღლა, აღფრთოვანებით ვსაუბრობდით, მგონი, სასტუმროში იმ ღამეს დაბინავებული ყველა სტუმარი ჩვენ გვიყურებდა.

ვინ იცის, მარიო პალმას რომელ თაროზეა შემოდებული ახლა ქართულად ამეტყველებული „ლუზიადები“, შეავლო თუ არა მას თვალის ვინმემ, მაგრამ იმის გახსენებისას, რომ ამ საოცარ წიგნს შორეული პორტუგალიისკენ გზა სწორედ მე დავულოცე, გული სიამაყით მევისება... მართლაც კარგია, როცა ცხოვრება იმის შანსს გაძლევს, შენს ქვეყანას იოტი-სოდენად მაინც წაადგე...

ალბათ ამადაც ღირს ცხოვრება...



ნინო უგრეხელიძე

(ცაგერის რაიონი, სოფელი ოყურეში)

ღამის მგზავრი

— შეგვიძლია გავიქცეთ, ყველაფერი მზად მაქვს.
— მე ვრჩები, საკმარისად ვირბინე, თავი რომ გადამერჩინა.
— კი მაგრამ... უკვე ნებდები? — გაოცებული შევეყურებდი სახელგანთქმულ ყაჩაღს და არ მჯეროდა, რომ ჩემ წინ კერპი იდგა, გაბზარული კერპი... ამის შემდეგ ტუსაღმა დაიწყო:
— ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამ ცხოვრებაში მხოლოდ სუნთქვა ვიცოდი, მშობლები სრულიად უაზროდ, გაუგებრად დამეხოცნენ. ვერაფერი გაიგო, რამ ან ვინ მომიკლა ჩემი მომავალი. რომ არა ის დაწყველილი დღე, ალბათ ახლა კაცი ვიქნებოდი და სხვის სიცოცხლეს დავიცავდი. ჯერ კიდევ პატარა ბიჭუნას არ მესმოდა დანაკლისის ფასი. ერთადერთი, რასაც ვხედავდი, ის იყო, რომ დედა კოცნით არ მალავდა, მამას მთის მარწყვი არ მოჰქონდა. იმას ვხედავდი, რომ მშობლები არ მიმოდიდნენ და ჩემ წინ მუდამ თვალცრემლიანი ბებო იდგა, რომელიც ვერაფერს აკეთებდა...
ასე გავიდა რამდენიმე მშვიდი წელი. უსაქმურობას თავიდანვე მიჩვეულმა ალლო ვერაფერს ავუღე. ერთადერთი, რაც შემეძლო, ქალაქში ჩამოსვლა და ვიტრინებიდან ლუკმაპურის მოპარვა იყო.
— ფუ, რა ბოროტი ხალხია, — მოვარდა ჩემთან ერთი ჩემნაირი, მკლავის ბერტყვით, თითქოს გაბრუებულ იდაყვს იცოცხლებს.
— რა იყო, დაგაპანდურეს? — მივუგე ფიქრებიდან უეცრად გადმოსროლილმა.
— ბიჭო, გუშინ „ღამის მონსტრები“ დავინახე. ცხვარს წვავენ. უჰ, რა სურნელი იყო... შემეშინდა, მაგრამ ოხმივარმა ფეხები და კუჭი ხის უკან მიმიბა და ვერ გამოვიქეცი.
— მერე, დანაყრდი?! — დავცინე დათოს.
— არ გინდა მათ რაზმში შევიდეთ? — გაოცებულმა შევხედე ძმაკაცს და უფრო გავოცდი, როცა მის პირისახეზე ერთი ირონიული ნაკვითი კი არ ატოკებულა, — მომწყინდა ძალღერი ცხოვრება. ვაჟკაცები ვართ... მიგვიღებენ.
— გამორიცხულია.
— რატომ?
— ისინი მკვლელები არიან. ჩვენ კაცს ვერ მოვკლავთ.
— მოვკლავთ! ხალხს ჩვენი შეეშინდება, ერთი იარაღის ამოღებაც კი საკმარისი იქნება, საქმელი ვიშოვოთ. თან როგორი საქმელი...
— გეყოფა! — ხმის აწევით გავანყვეტინე ბიჭს სიტყვა, — ჩვენ კაცს არ მოვკლავთ. ისედაც საკმაო ცოდვები გვაქვს, სისხლში ვერ ავურევთ ხელებს.

პ რ ო ე ქ ც ი : „ მ ო მ ა ვ ლ ი ს მ ნ ე რ ა ლ ი ”

— რა საჭიროა კაცი მოვკლათ?! „ღამის მონსტრების“ ტანსაცმლის დანახვაზეც კი ესენი კანკალებენ. სისხლს არ დავღვრით. უბრალოდ ვაჟკაცები ვიქნებით. ჩვენი ცხოვრების არ შეგვრცხვება. ახლა რა ვართ! მწვირიათი მოზრები. აი, მერე კაცები ვიქნებით.

მოკლედ, დათომ გეგმები დასახა: ბევრ კოშკს აშენებდა, თუ არ მოეწონებოდა, ანგრევდა და აშენებდა. თავბრუ დამახვია, მაცდური სიტყვები მითხრა და ბოლოს ჩემი „სინმინდის დაცვაზე“ ხელი ამაღებინა.

— რომ არ მიგვიღონ?

— ვაჟკაცები ყველგან საჭიროა ძმაო, მიგვიღებენ. ამ კუნთებს რომ შეხედავენ, მაშინვე მიგვიღებენ. — დაიწყო სიცილი დათომ და დახეული სახელური სახსრამდე აიწია.

რა აცინებდა, კუნთები მართლა კარგი ჰქონდა. ამდენი სირბილისა და გაიძვრობისგან ორივეს მშვენიერი სხეული დავიგდებოდა, თუმცა ჭუჭყში კი გვემალებოდა.

„ღამის მონსტრები“ საზიზღარი ხალხი იყო, უპატრონო, თავზეხელაღებული ბიჭებისგან შექმნილი, განმტკიცებული და უკვე ნამდვილ მონსტრებად ქცეულნი. ზოგჯერ ბიჭებს თვითონ ეძებდნენ, ვაჟკაცები რომ შემოაკლდებოდათ. ზოგჯერ იტაცებდნენ პატარებს და თავად აკაჟებდნენ. იმ დროს ჩვენში ხმა გავარდა, რაზმი შემცირდა და ჩვენიც, ორი სულელი, სიხარულით ტყისკენ გავიქეციით.

ბევრი რომ არ მოგანყინო, გეტყვი, რომ დიდი წვალებითა და რის ვაივავლახით რაზმის წევრები გაეხდით. განვერიანება ძვირად, დათოს — ნეკა თითად, ხოლო მე ცალ თვალად დავვიჯდა. დროთა განმავლობაში ყველაფერი ვისწავლეთ და რამდენიმე თვეში გაიძვრა ყაჩაღები გაეხდით. ზუსტად ისეთები, როგორებიც გვინდოდა ვყოფილიყავით. ზოგჯერ ერთად ვძარცვავდით ხალხს, ზოგჯერ ცალ-ცალკე. საჭმელი ხან თავზესაყრელი იყო, ხანაც ძველებურად გვპიოდა, ძირითადად მაშინ, როცა მარტონი დაგხეტილობდით. მაგრამ საერთოდ კი უზომოდ კმაყოფილნი ჩვენი ცხოვრებით. ყველგან გვიცნობდნენ, სადაც არ უნდა წავსულიყავით, ყველგან კვალს ვტოვებდით, სადაც კი ფეხს ვდგამდით. ვჩნდებოდით ღამით და ღამითვე ვანოკებდით ოჯახებს. თუმცა არც მე და არც დათოს კაცი არ მოგვიკლავს, მაგრამ სხვები ქათმებივით ხოცავდნენ ყველას, კაცსა თუ ქალს, ვინც კი გზაზე გადაელობოდათ. ამის გამო ჩვენს დამჭერებს, მეფურთხე ცხოვრებისათვის, საკმარის გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ...

ერთ დღეს, მაშინ, როცა რაზმი დროებით იშლება და ყველა თავის გზაზე დგას, მდინარის კალაპოტთან, ტყის პირას ვიჯექი. იარაღი, ყოველი შემთხვევისთვის მუდამ შემზადებული, დღესაც ამაყად მომარჯვებულიყო ჩემი ხელი, იარებით სავსე მტევანში. უცებ ცხენის ფლოკების ხმა გავიგონე და მოულოდნელი მტრით შემინებული ანაზად ზეზე წამოვიჭერი. ჩემ წინ წარმოაბრუნა, 60 წლამდე ასაკის კაცი იდგა. ზედ ეტყობოდა, რომ ახალგაზრდობაში კარგი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო. თვალის მოყვანისგან შეგატყობინებდათ, რომ მისი სათნოებით სავსე მზერა და პატარა ნაოჭები ყოველთვის სიკეთეს ემსახურებოდა. მიუხედავად ასაკისა, ცხენიდან მარდად ჩამოსხტა და ჩემს ვინაობაში სრულიად დაუეჭვებლმა მეგობრულად ხელი გამომინოდა. ის ერთადერთი კაცი იყო დედამინის ზურგზე, ერთადერთი, რომელმაც გულთბილად შემომხედა. ერთადერთი იყო, ვისი თვალებიც უდიდეს სიყვარულს აფრქვევდა და თითოეული ადამიანისკენ იყო მიმართული. უცნობი გამომეცნო: ერთი ჩვეულებრივი გლეხი იყო, სანადიროდ გამოსული. მოულოდნელად ზურგჩანთას თავი გადაუხსნა და იქვე, ამწვანებულ კორდზე საჭმელი დალაგა. მომხიბლა ამ კაცის ადამიანურობამ. ცხოვრებაში პირველად სიტბო ჩამეწვეთა გულში, იქ, სადაც კუნჭულში ყინული გააღლო და სამუდამოდ დაიდო ბინა. ცხოვრება-

ზე უზომოდ გულნატკენი, უზომოდ გაბოროტებული, იმ წუთში კაცობრიობისადმი დიდ სიყვარულს ვგრძნობდი. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ ცხადად მახსოვს, თუ როგორ შემეყვარდა იგი, ადამიანი, პიროვნება. ალბათ, შენ არ იცი — უცებ მომიბრუნდა, — რას ნიშნავს, როცა უსიყვარულობას მიჩვეული მამობრივ სიყვარულს იგრძნობს. იმ ნეტარების შეგრძნება, რაც გაკლია ყოველთვის დაუვინყარი, მუდამ ჟრუანტელის მომგვრელია.

ალმაფრთოვანა გლეხის პიროვნულმა სიდიდემ, მისმა გულგაშლილობამ, გულგაღებობამ. ბევრი რამე მომიყვანა თავისი ცხოვრებიდან, უზომოდ ბევრი, მაგრამ მე მხოლოდ ერთი მესმოდა: ჩემ წინ უიშვიათესი გული იდგა...

განვლო დღეებმა... შეიკრიბა რაზმი და დაიწყო ისევ მკვლელობა, დარცვა, წამება, გაუბედურებული ხალხის კივილი და „მონსტრების“ ნაკვალევით ხალხში ჩაბუდდა შიში. მათთვის დაღამება ეს... ეს ჯოჯოხეთი იყო სიცოცხლეში. და მეც, დღისით უბედურს ჩემი ხვედრით, ღამე ყველაფერი მავინყებოდა და ბოროტების სისხლიან ზღვაში თავით ვეშვებოდი.

ერთ დილას, ჩვეულებისამებრ, რაზმი შეიკრიბა. უნდა გენახა ამ მხეცი ხალხის ველური სახეები ნადავლის დანაწილების დროს. ოდესმე გინახავს ურჩხული? ეს თავად ჩვენ ვიყავით. გამძვინვარებული მონსტრები ნადავლის ვიტაცებდით ტორებით. იმავე დღეს მეორე ლაშქრობაც დაიგეგმა. ყველანი რიგრიგობით იმ სამ სახლს დავესხმებოდით თავს, სადაც ყველაზე მეტი ნადავლი გვეგულებოდა. წინ დიდი „ომი“ გველოდა, ამიტომ ბუნავის გრილ მინაზე კმაყოფილები გავიშოტეთ ღამის მოლოდინში. იმ დროს, როცა ნორმალური ადამიანი საჭმლისთვის ოფლს ღვრიდა, მუშაობდა და ოჯახს არჩენდა, ჩვენ — გვეძინა. ხოლო, როცა იგივე ნაოფლარ ნორმალურ ადამიანს ეძინა, ჩვენ მაშინ ვივლიძებდით და მონსტრულ უბედურებას ვატრიალებდით ირგვლივ.

დაღამდა. არაჩვეულებრივი სიწუმე და უმთვარო ცა, მუდამ ჩვენი საქმეების მოწმე, დღესაც მეგობრულად გვინვდიდა ხელს. „მონსტრები“ ტყიდან დავიძარით და დანიშნულ ადგილზე დავიყავით მცირე რაზმებად. მე, დათო და კიდევ ერთი, ერთ სახლში უნდა შევსულიყავით. ღამის შვილები, ღამესავით მარდები და ჩუმები, იარაღსა და დანებში ჩასხმულნი თავზარივით დავესხით უდანაშაულო ხალხს. დავინყეთ ძარცვა და მოსახლე ხალხის მუქარით გაჩუმება. უცებ განგამის ხმა გავგახედა და ჩვენ წინ აღმართულ ბობოქარ ცეცხლს შეგვაჩენა პირში.

— ჩავვიშვეს! გავიქეციით! — დაიწყო ერთმა ჩვენგანმა და ცეცხლის კლანჭებიდან გამოძრომას ეცადა.

— მოიცა, დათო სად არის?! ვერ დავტოვებთ! — მეგობრის გარეშე იქიდან წასვლა არც მიფიქრია, ამიტომ უმალ ძებნა დავუწყე. ცეცხლიდან გზა გავიკვლიე და სახლის ერთ კუთხეში მოძრავ ლანდს მოვკარი თვალი, რომელსაც დიდი ჩრდილი ცეცხლის ფონზე უფსკრულად გადაექცია. დათოს ზურგი შევიცანი, უცებ ხელი დავავლე და ცეცხლზე აპრიანებულ მისი სისხლიანი დანის პირს მოვკარი თვალი.

— რა ქენი, კაცი მოკალი? ჩვენ ასე არ შევთანხმებულვართ, არამზადა, ლაჩარო.

— ამის დრო არ არის. გავიქეციით.

— არაკაცო, ადამიანი მოკალი! — უცებ გვამს დაეხედე და თავზარი დამეცა. ჩემი მოხუცი გლეხი, ერთადერთი ადამიანი ამ კოლოებით სავსე ქვეყანაში, ჩემ თვალწინ უძრავად იწვა და დასერილი მკერდიდან სისხლი შეუჩერებლად სდიოდა.

— წამოდი, მკვდარია, — მექაჩებოდა დათო, — წამოდი, დაინჯები აქ.

ხმას არ ვიღებდი. გაოგნებული, თავზარდაცემული ვიდექი უძრავად. ჩემი არსებობის მიზანს ვერ ვხვდებოდი. რა იყო ეს? კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯა...

— ეს რა გააკეთე, დათო! — აღტკინებული, აბორგებულ გონებას გზა მივეცი, ვერ ვმშვიდდებოდი, რამდენ ადამიანს ვკლავდით მის გარდა? ბევრს, ძალიან ბევრს. სხვისი სისხლით ვიკვებებოდი, სხვისი სისხლით ვიბანდი ხელებს და ეს არსებობა იყო? ვეღარ მოვითმინე და სრულიად მოულოდნელად მკვლელ მეგობარს გული დავუფულითე, ნაკუნებდა ვაქციე. უდანაშაულო კაცს ზემოდან დავაკალი მკვლელი არამზადა.

შემდეგ მოვიდნენ და დამიჭირეს. წინააღმდეგობა არ გამინევია. განა აზრი ჰქონდა კი?! მე ვერ მოვიქეცი თავიდან ისე, რომ რაიმესთვის აზრი შემეძინა. ვილაც აუცილებლად უნდა გყავდეს, ვინც გზას გაგიკვალავს, სიცოცხლეს გასწავლის, ბურუსიდან გამოგათრევს. მე არავინ მყავდა, არავინ მასწავლა, არავინ დამეხმარა. ჩემმა ძალამ კი ვერ ძლია ბნე-

ლეთი. ცხოვრება სიბნელეა, სადაც გზა უნდა გაიგნო, თუ გაიგნებ, სინათლეს დაინახავ, თუ ვერა, ჩემნაირი გახდები. ღამით დავიბადე, ღამით ვცხოვრობდი, „ღამის მონსტრი“ ვიყავი და ხვალ ღამით მოვკვდები. ხედავ სადმე აქ სინათლეს?... შენ გაიქეცი, დიდი არაფერი დაგიშავებია, მაგრამ იცოდე თუ ძველ გზას გააგრძელებ, ჯობია დარჩე. კარგია, აქ დაფიქრდები მაინც. საბოლოო ტანჯვას ასცდები მაინც.

ვუსმენდი გულწრფელ აღსარებას და ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი ღამის მგზავრისთვის ცხოვრება ნამდვილი მამინაცვალი იყო.

— არა, მე არ ვავექცევი, — ყაჩაღმა მშვიდად შემომხედა. არ ვიცი რა იფიქრა, მაგრამ ნათქვამს კი ნამდვილად მიმიხვდა. მეორე საღამოს ობოლ ღამურას მოაკითხეს... ტუსალმა უხმოდ დატოვა ბნელი საპყრობილე...



შოთა ჩარქველიანი

(ლექსები, სოფელი ქალისთავი ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა)

ღამის მგზავრი

გიმგზავრია ღამით? — რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი მოგზაურობს ღამით ერთი სამყაროდან მეორე სამყაროში, ყოველგვარი ვიზის გარეშე. ზოგჯერ ისეც კი, რომ ვერც ამჩნევენ. საერთოდ სიზმრებს არავის ვუყვები და ჩემში ვინახავ, მაგრამ ეს არც მთლად სიზმარი იყო და არც სინამდვილე. ბოლომოჭმული ჩვეულებების არ მწამს, რომ სულელივით წყლიან ჭიქას ვუამბო. და არც ჭორიკანა ვარ. მაშინ რატომ ვყვები? — ვყვები იმიტომ, რომ იმედი მაქვს, ვინმე მაინც წაიკითხავს ან თუნდაც იმიტომ, რომ არ დამავინწყდეს. საერთოდ რა არის სიზმარი? — ამოუცნობი სამყარო, სადაც ილუზია რეალობაა, ფანტაზია კი — შემოქმედი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მთელი ღამე სიმღერებს ვუსმენდი „ARTPOP“-დან. გამუდმებით ერთი ფრაზა მიტრიალებდა გონებაში: „my ARTPOP could mean anything“. უცნაურია ის, რომ სიზმარში ვხედავდი, როგორ მეძინა და ვხედავდი სიზმარს. გამოდის, რომ სიზმარში ნანახ სიზმარს ვყვები:

გაურკვეველი ამინდი იყო, დაუდგენელი დრო და არეული ფერები. მგზავრის ჩანთა მეკიდა, ნისლში ვიდექი და გარკვევით ვხედავდი ვინრო ბილიკს, რომელსაც მიყვებოდი. არ მივდიოდი, მაგრამ მიყვებოდი... ირგვლივ ხეები იყო და თითქოს ტოტებზე რაღაც ჩამოეკიდათ. პატარა ხეს მიუვახლოვდი და ზედ ფოტოები ეკიდა, ფოტოებზე მე ვიყავი... ყველა მეცნო, მხოლოდ ზოგში ვერ ვიცანი თავი, რადგან რამდენიმე ფოტო ჯერ გაუმჟღავნებელი იყო. ქარი ქროდა და ფურცლის ნაგლეჯები მოჰქონდა. ერთ ფურცელს ვიღებ და ზედ ნაწყვეტია ჩემი ლექსიდან:

დედამინა თუ ვერ იტევს სიყვარულს, გავიჭრები პოლარულ არქტიკაში ვარსკვლავების გიტარაზე დაფუკრავ და ვიქნები ბოში — გალაქტიკაში.

მე სულ მეყვარები და შენც შემეყვარებ ხელს ვერ შემეშლის აგურის ლოდები ედვარდი ვიქნები, ხელმაკრატელა და ჩემს სამყაროში დაგელოდები.

გზას ჩემდაუნებურად ვაგრძელებდი და უცებ პატარა გოგო დავინახე, ძონძებში გამოწყობილი დახლთან იდგა, გასაყიდ სათამაშოს უყურებდა და გულამოსკვნილი ტიროდა. საიდან უღრან ტყეში დახლი? მაგრამ ეს ხომ სიზმარია და თან ტყე უკვე აღარსად იყო. გვერდით საშუალო ასაკის ქალი იჯდა, ხელში თოჯინათი და გიჟივით იავენანას უმღეროდა თოჯინას. მივდივარ და უცებ თეთრხალათიანი გოგონა მორბის თმაგანენილი, ნაშლილი სახით და კლდიდან ხტება. შემეშინდა და მადლობა ღმერთს, გზა თავისით გააგრძელა. უკვე საოცარ ადგილას ვარ, სასახლის დარბაზში, იატაკი ჭადრაკის დაფაა. დედოფლები და მეფეები ცეკვავენ, საინტერესო ისაა, რომ ყოველ ახალ მოძრაობაზე ერთი მოცეკვავე ქრება და ახალი ჩნდება. კედლებზე ნამდვილი ხელოვნების ზეიმი; სალვადორ დალი, მიქელანჯელო, და ვინჩი, ბანკსი, პიკასო... უცნაური ისაა, რომ ყველა ნახატი ცოცხალია, მოძრაობენ და მე მიყურებენ.

ყველაფერი ქრება და უკვე დილაა, სულ სხვა გარემო. პარკში პატარა ბავშვები თამაშობენ, განცალკევებით ერთი ბიჭუნა ზის, კენჭებისგან სასახლეს აშენებს, მიიზრუნენ ბავშვები და უნგრევენ, მერე ისევ აშენებს... სულელური სიზმარია, აბა ვის გაუგია მზიან ამინდში გათოვდეს?! თოვლიან მდელოზე მივდივარ, წინ სულ გაჩირადლებული სახლებია. ბედნიერების სუნი დგას... მართლა ბედნიერებაა სითბო, ოჯახი და მეგობრები. ალბათ ახალი წელია, რადგან ყველა ნაძვი მორთულია და საშობაო სიმღერები ისმის. ქუჩის კუთხეში პატარა ქოხი დგას, აივანზე მოხუცი ბებო ზის, ხელში ვაშლები უჭირავს და სათნო სახით ვილაცას ელოდება. მომორებით გოგონა დგას ლიანდაგებთან, მატარებლები კი არ ჩერდებიან, მიდიან დასავლეთიდან აღმოსავლეთით და აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

ერთი ნაბიჯიც და უკვე გაზაფხულია. ან უფრო ზაფხულია. ჩანჩქერთან ახალგაზრდები ერთმანეთს იჭერენ და თვალეზგაბრწყინებული იცინიან. ალბათ შეყვარებულები არიან, რადგან მხოლოდ ამ გრძნობას შეუძლია აგინთოს თვალში სხივი. მათთან მისვლა მინდა, მაგრამ რაღაც ძალას სიღრმეში მიყვავარ, გზაში ყველას ვხედავ, ვინც უკვე ვნახე. ოღონდ სახე არცერთს არა აქვს. აღარ მინდა მეტი! გამაღვიძოს ვინმემ... მაგრამ სიზმარი არ მთავრდება. ჩემ წინ მდინარეა, ვერ გამიგია, საით მიედინება. ნაპირზე ხალხია, ყველა სხვადასხვა ფორმით და გრძნობით, ზოგი ტირის, ზოგი იცინის, ზოგი კვდება და ზოგიც იბადება... ერთმანეთს ვერ ამჩნევენ. იქვე დიდი როიალი დგას და როიალთან შავებში ჩაცმული პიანისტი, საოცარი მელოდია ისმის, მაგრამ პიანისტი არ უკრავს... ხელთათმანები უკრავენ... ამ დროს ვილაც მიახლოვდება და მეკითხება:

— როგორ მოგეცონა?
— ვინ ხარ? — ვკითხე მე.

— შენ მიცნობ, მე შენში ვარ! შენ გგონია კომპარი გესიზმრა? მე შენ 5 წუთში სამყარო დაგანახე და ადამიანები გაგაცანი. შენ მგზავრი ხარ ამ სიზმრის და მოგზაური წუთისოფლის. დანარჩენი შენზეა, შეგიძლია ყველაფერი დაივიწყო, მაგრამ მოგვიანებით მაინც ნახავ. იცი, შენ უცნაური ბავშვი ხარ, შენზე მეტია შენში. შენი ზოდიქოსავით ორგვარი და ცვალებადი ხარ, ტყუპები ხარ. შენ შეგიძლია ერთ დღეს იყო მინამდე უბედური და მეორე დღეს ცამდე ბედნიერი. შენ შეგიძლია ღიმილით გადაფარო დარდი და სხვა გააბედნიერო. გჯეროდეს შენი თავის!

- სიზმარი იყო ყველაფერი?
- ჩათვალე სიზმარი იყო, გაგრძელებასაც ნახავ... ერთ

დღესაც ნიღბიანი ბრბო ტაშს დაგიკრავს და ნამოხვალ, ახლა კი დროა გაიღვიძო. სულ ეს იყო, ეს თქვა და გამომეღვიძა. ეს სიზმარი არასდროს მომიყოლია, რადგან ან არავის დააინტერესებდა, ან კიდევ თეთრ ხალათს ჩამაცვამდნენ.

ზოგჯერ ისიც ვერ გამიგია, მართლა მესიზმრა თუ კალმისა და ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. რაც უნდა იყოს, ყველაფერი სიზმარში დარჩა, სადაც მე უბრალო ლამის მგზავრი ვიყავი. არც მინდა ბევრი ვიფიქრო, რადგან მირჩევნია ვიყო ბავშვი და არ შევეხო ღრმა განზომილებებს, უფრო საინტერესოცაა, წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი.

ზოგჯერ არარაობაა ეს ყველაფერი, მაგრამ არარაობიდან რაობამდე ერთი ნაბიჯია...



ომარ ჩხეიძე

(აჭარა, ქედა, სოფელი მერისი)

მისი სახლი

ვიდრე წერას დავიწყებდე, მკითხველს ვეტყვოდი — შესაძლოა ეს მისთვის მოსაწყენი იყოს. შეიძლება არ მახასიათებდეს წერის ახალი სტილი, რომლითაც გაგაოცებთ, უბრალოდ მე როგორც დამწყები ან როგორც მომავალი მწერალი ვიტყვი: ის, რაც უნდა გიამბოთ, არის სინამდვილე, არის ჩემზე მიერ ნაწიანი აღბეჭდილია ჩემი განცდები და მოტანილია თქვენთვის — მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთი მკვიდრის მიერ. მიზნად არ ვსახავ, რომ გავხდე მეორე ვაჟა — როგორც მას ეძახიან — მთის შვილი. მე არ გამოვიჩინე არანაირი განსაკუთრებული ნიჭით, უბრალოდ ვწერ, ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა ჩემი ცხოვრების არაჩვეულებრივ მონაკვეთზე, რომელსაც სათაურად „მისი სახლი“ დავარქვი.

მე მაღალმთიანი აჭარის მკვიდრი ვარ. ბუნებრივია, როგორც სხვა აჭარელს, მინევს ძლიერი ფიზიკური შრომა. ხშირად ახალგაზრდებიც კი მიდიან საზღვარგარეთ (თურქეთში) სამუშაოდ. ერთმა ძალიან ლამაზმა, უსაყვარლესმა გოგომ, რომელიც 3 წელია მიყვარს და 3 წელი ჩემი ლექსებით მისი გულის დაპყრობას ვცდილობდი, იმედი ჩამისახა. სიხარულისგან აღარ ვიყავი. ხუთი წუთი გავშემდი, ჩავფიქრდი და ამ ხუთ წუთში მთელი ცხოვრება მოვიწყვე ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად. ამისთვის მინდოდა ფული. ფულის თხოვნა მამაჩემისთვის ძალიან მიძინელებოდა, რადგან უკვე დიდი ბიჭი ვიყავი და ფული ჩემით უნდა მეშოვნა. იმ ღამეს, როცა მამა სახლში მოვიდა, ვუთხარი, მამა, შენთან ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს-მეთქი. გისმენო და მე დაბალი ხმით დავიწყე: მამა, მე უკვე დიდი ბიჭი ვარ, თვითონაც შემიძლია ფულის შოვნა-მეთქი. ხომ იცი, აქ სახლში როგორ რთულ სამუშაოს ვასრულებ, არც თურქეთში არ გამიჭირდება, მითუმეტეს, რომ ქალებიც მუშაობენ. შენ ფულს

აღარ მოგთხოვ-მეთქი. ადვილად არა, მაგრამ მაინც დავიყოლიე. 2 თვეში უნდა წავსულიყავი მეზობლების ჯგუფთან ერთად.

ის, ვინც მე ძალიან მიყვარს, ქონებით ჩემზე გაცილებით მაღლა დგას, აქვს ძალიან დიდი სახლი, ჩემსას რამდენჯერმე აღემატება. ის დედისერთაა, მაგრამ მე მაინც არ მინდა ჩავესიძო. მინდოდა თეკლესთვის ამეგო იმაზე უფრო დიდი და ლამაზი სახლი, რომელიც იქნებოდა როგორც ჩემი, ასევე „მისი სახლი“. მის მშობლებზე კარგი შთაბეჭდილება დავტოვე. შემომთავაზეს, რომ როცა ქორწინების დრო მოვა, ჩვენს სახლში დაბინავდითო, მაგრამ, გავიფიქრე, ეს ხომ „მისი სახლია“ და ვუპასუხე, ჯერ 15-16 წლისანი ვართ, 5 წელი მაღე გავა და 20-21 წელი, სასურველი ასაკი იქნება-მეთქი. კარგი, რადგან შენსას არ იშლიო. კარგი-მეთქი, მეც ვუთხარი. და დავიფინე: აუცილებლად მექნება ახალი სახლი, რომელიც იქნება როგორც ჩემი, ასევე მისი სახლიც-მეთქი.

იმ ზაფხულს თურქეთში ვიყავი. მაღევე ჩამოვედი იმიტომ, რომ კი არ გამიძინელდა, უბრალოდ, სამუშაო ცოტა იყო. 600 ლარი გამოვიმუშავე. პირველად თეკლას შევხვდი, ძალიან მომენატრა.

ახლა 17 წლის ვარ და თურქეთში ხელახლა გავბრუნდი. უკვე სხვა ადგილას. უწინდელ ჩვენს ქართულ მინებზე, ჩვენს ქართველებთან ერთად — პატარა ქალაქ ბორჩხაში. ყველა ქართულად ლაპარაკობდა.

ერთხელ, როდესაც ბირჟაზე ვიდექი (ადგილი, სადაც სამუშაოს მაძიებლები დგებიან), მოვიდა ერთი თურქი ძირძველი ქართველი და წაგვიყვანა თავისთან სამუშაოდ. ვიდრე ყანაში მიგვიყვანდა, გზაში გამოგველაპარაკა. ქართული ესმოდა. ასეთი დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის:

- ჰიდან ხართ თქვენ, ბათუმიდან?
- ევეთ (კი) ბათუმიდან ვართ ჩვენ. შენ ბათუმი ჰიდან (სა-იდან) იცი?
- ჩემ ნენე და ბაბაი მეზნეოდენ ძალიან ლამაზიაო, მართლად ასე არის ხომ?
- კი ასეა, ასე. ჰაიდე წიგნიყვანთ მუშაობას რომ დავამთავრებთ მემრენ-თქო, არ გინდა?
- კი რავა არ მინდა, ჰამა (მაგრამ) აქ მე ვწალიჩობ (ვმუშაობ). დროი არამაქ ფაბრიკა მაქ. მე მემრენ განახვებთ. ჰოდა, ჰინ (საერთოდ) არ მცალია, მინდა, ძალვან (ძალიან) მინდა.
- ქართული ჰიდან იცი?
- ჩემმა ნენომ მასტავლა.
- შენმა ნენომ კარგად იცის გურჯი ენა?
- კი, აღმამზე მოდით და დეელაპარაკეთ, კაი?
- კაი, მაგფრა ვქნათ, სალამ წიგნიყვან, ხომ?
- კი, აღმამზე მითხარ სახლში გაგანურიებთ.
- თამამ (კარგი).

ის სალამოც მოვიდა. მართლა წაგვიყვანა თავისთან. სოფელს მივალნიეთ თუ არა, ვიგრძენი, რომ ჩემს საქართველოში ვიყავი, რომელზეც თურქები ამბობენ — ჩვენიაო. გამახსენდა ერთი ქართული და ძალიან კარგი ნათქვამი: „ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო“. ხოლო ეს ფესვები იყო, რომელსაც ბორჩხა ეწოდება.

- სალამი ბებო!
- სალამი, თქვენ ქართველები ხართ?
- ბათუმელები ვართ, კი, ქართველები ვართ.
- ძალიან კარგი, ბებო, რა ოფლი ხართ?
- ბებო, ჩვენ ოფლი არ გვაქვს, ალბათ გვარი უნდა გეკითხნა ხომ?!
- ჰო, ჰო, გურჯულა აღარ მახსოვს, ხომ გეიგევიტ და?
- კი, გევიგევიტ. ჩვენ ჩხვიძეები ვართ. თქვენც ხო ქართველები ხართ, იქიდან ნამოსულები?
- ასეა, ბებო, აბა ამდენი ქართული ჰიდან (საიდან) მეცოდინებოდა? მე ცხმორისიდან ვარ წარმოშობით, იცით ჰადა იგი?
- კი, რაფერ არა ვიცით, რა გვარის ხართ?
- მე ნაკაშიძე ვარ ძველი, არიან ახლა იქ ნაკაშიძეები?
- კი, ძალიან ბევრია.
- ჩემი ბაბუ და ბებო იქ ცხოვრობდნენ. მისი შვილიშვილები იქ არიან.

ამ დროს ქალს თვალზე ცრემლი მოადგება, მაგრამ არ იტირებს, რადგან ისიც ქართველია და მან იცის ქართველები არ ტირიან, ძლიერები არიან. ნამოსვლის დროს ამ ბებიამ ერთი ფრაზით ძალიან დაგვამახსოვრა თავი: საქართველო ჩემი სახლიაო, და დაგვემშვიდობა.

ამ სიტყვამ რატომღაც სულ სხვა განცდა დამიტოვა. ტანში გამაჟრჟოლა. ეს სიტყვა — საქართველოში ჩემი სახლიაო, — რატომღაც გამოცანად მივიღე, რომელიც უნდა ამომეხსნა. საქართველოში „მისი სახლი“ იყო. ვისი სახლი, ძველი ქართველის, რომელსაც ქართული არ დაუვიწყებია და თურქეთში, სადაც პატარა საქართველო „მისი სახლია“, სადაც ქართულს ისევ ასწავლიან, იქ, სადაც ქართული კულტურა არ ავინყდებათ. თურქეთში — იქ ერთი პატარა საქართველოა, ეს „მისი სახლი“, მისი პატარა საქართველოა. ალბათ მისი ნათქვამი — საქართველოში ჩემი სახლიაო, იგივეა, რაც — ჩემი სახლი საქართველოა.

ამ სიტყვებით ბებო დაგვემშვიდობა და ეს დაუვინყარი ნათქვამი ყურში ისევ ჩამესმის — საქართველოში ჩემი სახლია! მე ამ ბებოს ვეტყვოდი: საქართველო შენი სახლია. ეს ხომ მართლა ასეა, საქართველო „მისი სახლია“. საქართველო ძალიან პატარაა, როგორც ის მისი სახლი თურქეთში, მაგრამ საქართველო ბევრ ქართველს იტევს და ბევრსაც დაიტევს. მისი სახლი საქართველოა, ხოლო საქართველოს — როგორც — „მისი სახლის“ — კარი ყოველთვის ღიაა.

როცა საქართველოში ჩამოვედი, უუამბე ჩემს თანატოლებს უცხოეთში გადახდენილი. ჩემსას მგონი სხვა ხიბლი ჰქონდა, რადგან ამბავმა, გასაოცარი სახლის შესახებ, დიდი ინტერესი გამოიწვია. მეგობრები დამპირდნენ, რომ დამეხმარებოდნენ ამ სახლის პოვნაში. ძებნა რთული იქნება, რადგან ვიცით მხოლოდ გვარი — ნაკაშიძეები და ადგილი — ცხმორისი.

მე მინდა ვიპოვო მესამე საქართველო. პირველი არის ის, სადაც ქართველები ვცხოვრობთ, მეორე — თურქეთში, პატარა საქართველო და მესამე — ცხმორისი — დამალული, რომელიც „მისი სახლია“.

კვლევა-ძიების შედეგებს მოგანვით მეორე ტურში, თბილისში.



მარიამ ნინაშვილი

(თიანეთის რაიონი, I საჯარო სკოლა)

სახლი სხვაგან

მე დაკარგული მიწა ვარ, ვისთვის ძვირფასი, ვისთვის უფასური, თქვენთვის — სანატრელი.

იბრძოლეთ, იტირეთ, იჭირვეთ, გულში გყავდით, მაგრამ დამკარგეთ.

ომი, ტკივილი, ტყვიები, ცრემლები... მე ყველაფერს ვგრძნობდი. ძლიერი იარაღია თავდადება და სიყვარული, ორივე გქონდათ, ორი ძლიერი ფრთა, მაგრამ გაგიჭირდათ, ვერ შეძელით.

— მე ყველაფერს ვგრძნობდი, ყველაფერი მესმოდა...

შეუძლებელია არგასაგონი გაიგონო, არდასანახი დაინახო და შეუგრძნობელი იგრძნო. თქვენ შეუძლებელს შეეჭიდეთ, მაგრამ ისიც ვთქვით, ეს რამ გაგაბედინათ, რამ და... სიყვარულმა. თუმცა, შეუძლებელია, თავის მხრივ, იმედგაცრუებას გულისხმობს, იმედგაცრუება კი — ტკივილს.

თქვენც ძალიან გეტკინათ, თქვენც და მეც. უნდა გეტკინოს კიდევ! ქვეყანა შესძარით, მაგრამ სადღაც შეცდომა დაუშვით, რაღაც ან მეტი მოგივიდათ, ან ნაკლები, რადგან დღეს მისხენიებთ როგორც დაკარგულს. ვერ შეძელით! უბედურებაა იმან დაკარგოს, ვისაც უყვარხარ... ვისაც არ ვუყვარდი და ჩემს სიყვარულს იბრალებდა, იმან მიმითვისა, თუმცა მე ვერ შევითვისე, ჩემი არ იყო.

ტყე გაკაფეს, ხეები მოჭრეს, მაგრამ ის კი ველარ გაითვალისწინეს, რომ ჩემში ჩემიანების მოკვეთილი ფესვები დარჩებოდა და ეს მათ მუდამ აგრძნობინებდა დაკარგული სახლის სითბოს, დაკარგული მიწის სიყვარულს.

მე დაკარგული მიწა ვარ, ნატანჯი, შეურაცხყოფილი, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ არასდროს დაგივინყებთ. ოღონდ მეც იმავს ვითხოვ თქვენგან. მე კიდევ მოვითმენ, კიდევ ავიტან, ოღონდ თქვენ მყავდეთ. თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა, თქვენი სიკვდილი — ჩემი გარდაცვალება. შვილებს დედა სჭირდებათ, თუნდაც შორს, მაგრამ ცოცხალი.

სანამ ფესვებს არ დაუბრუნდებით, ბედნიერებას ვერ იპოვით. არ მინდა სხვა მიწაზე ისუნთქოთ, კი, ისიც თქვენია, მაგრამ მშობლიური მე ვარ, დედათქვენი მე მქვია.

მე მხოლოდ დაკარგული მიწა კი არა, თქვენი დაკარგული სახლი ვარ, რომელიც მოგონებებით და იმედითაა სულდგმულობს. ქუდზე კაცი გამოდით, სახლი დაიბრუნეთ, რომ მას აღარ ერქვას სხვისი, აღარ ერქვას დაკარგული და უიმედო. სახლი დაიბრუნეთ!

სანამ არ დაკარგავ, ფასს ვერ მიხვდებით, თქვენ ხომ დაკარგავამდეც იცოდით ჩემი ფასი?

ცოდნა ძლიერი იარაღია, რომელიც იმ მწუხარე დღეებმა შეგძინათ, როცა დაგპოროდით. მოდით, თქვენი ორი ფრთა — სიყვარული და თავდადება ახლა ცოდნით გააძლიერეთ, გაშალეთ ფრთები, ფენიქსივით დატყევის ჟამს, მოულოდნელად გაბრწყინდით და აფრინდით. თქვენ ძლიერი ფრთები გაქვთ, ყველას ერთად კი უფრო ძლიერი. როდემდე უნდა დაიარებოდეთ ფრთამომწვარი იკაროსივით?! როდემდე უნდა იკვებებოდეთ უიმედო მოგონებებით?

უნდა გაძლიერდეთ, უნდა გაძლიერდეთ და ჩემი სსოვნა მუდამ გულით ატაროთ.

ჩემ გარდა არაფერს არ შეიძლება ერქვას სახლი. თქვენი სახლი აქ არის, ჩემს გულში, სტუმრებივით არ უნდა მიდი-მოდიოდეთ ჩემს მინაზე.

მე ვარ დაკარგული სახლი, თქვენი ერთადერთი მიზანი და აღმავრენა თქვენი დაკარგული ფუძე, დაკარგული დედა. თქვენთვის საუკეთესო მემეტება, ჩემო მოწყვეტილო შვილებო, მაგრამ ჯერ აღმართი ავათაოთ, სული მოვიბრუნოთ და მერე ჩავეხუტოთ ერთმანეთს.

თქვენ მე ვარ და მე თქვენ. ჩვენ უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია! მოდი, გავხედოთ! როგორც ადრე — რწმენით, იმედით, სიყვარულით და თავდადებით. გარწმუნებთ, გავმთლიანდებით და გავიხარებთ, სულს მოვასვენებთ.

მე აფხაზეთი ვარ, დაკარგული, მაგრამ არა დავიწყებულა, რადგან ქართველისათვის დავიწყება, დამარცხებას ნიშნავს.

მე თქვენი სახლი ვარ!

ტკივილი, რომელიც ელავს

შენ გინდოდა, ვმსხდარიყავით მინებში და ყასიდად ჩაგრულეებზე გვეტირა.

გურამ პეტრიაშვილი

მენიშნა იოსებ ჭუმბურიძის ერთ-ერთი ჩანაწერი — „გუდამაყრის ხეობა. ჩოხი.

გოდერძი ჩოხელის დღე.

სცენა — სკოლის ეზო.

სკოლა — დანგრეული, სახურავახადილი, კარ-ფანჯრებგამოცლილი.

ეზო და შემოგარენი — მოუვლელი...

მანაც რამდენი ეყოფოდა აქაურობის მოვლას?“

სამი წლის წინათ მეც ვიყავი ჩოხში. მაშინ მეც ტკივილით შემეკუმშა გული მოუვლელი სკოლის შენობისა და უყურადღებოდ მიტოვებული ეზო-გარემოს დანახვაზე. მეც დაახლოებით იგივე გავიფიქრე — განა რა თანხა უნდა დასჭირდეს აქაურობის მოვლა-პატრონობას, ისე რომ აქ ამოსულ კაცს საკუთარი თავის არ შერცხვებს? დღემდე თურმე არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ, თორემ უარესობისკენ — კი.

მომავალ წელსაც ასე დაგვხვდება იქაურობა, კიდევ ერთხელ გვეტკინება გული და კიდევ ერთხელ გაგვიღვებს მწარე ფიქრი: „მანაც რამდენი ეყოფოდა აქაურობის მოვლას?“ კიდევ ერთხელ ვიტყვით სინანულითა და სიამაყით: „ჩვენი მთიანეთი უპატრონოდ არის მიტოვებული... არადა, ჩვენი გადარჩენის საიდუმლო მთაშია“. კიდევ ერთხელ წარმოთქვამს სიტყვას რომელიმე პარლამენტარი, სამართლიანი კრიტიკააო (უწინდელისგან განსხვავებით, დღევანდელ ხელისუფლებას ეს კრიტიკა ნაკლებად ეხებაო) და ამით დამთავრდება ყველაფერი.

ჩოხის სკოლა კი წელიწადში ერთხელ უჩვეულო თავყრილობის მოწმე რომ ხდება, დგას და იცდის... და არავინ იცის, როდის გამოინახება მის აღსადგენად საჭირო თანხა. ან გამომინახება კი საერთოდ?

გუდამაყრელთა ძნელ და რთულ ყოფას ადასტურებს სოფელ კიტოხის მოსწავლეთა ამბავიც (ნინო დეკანოიძე რომ გვამცნობს), ბედს რომ გაუნებვირებია და ქალაქს სწვევიან, ლექსებიც წაუკითხავთ და მსმენელიც მოუხიბლავთ, ქალაქიდან კი როდის ესტუმრებიან მათ, როდის იბრუნებენ მათი პრობლემების მოგვარებაზე, არავინ იცის, უფრო იოლი ხომ ამ ყველაფერზე წერა და ლაპარაკია. წერა მათზე, „შავი არაგვის ხეობის სოფლებს მეციხოვნეებივით რომ შემორჩენიან“. ლაპარაკი იმაზე, გაუსაძლისი ყოფითი პირობების მიუხედავად როგორ ერთგულეებენ მშობლიურ წყალ-ჭალას, მტვერნაყრილი ნაფუძრები კი როგორ ელიან ბარში ჩასახლებულთა დაბრუნებას. ალბათ, პატარა ნიკლაურები და ბექაურებიც ელიან. ელიან, კი-

დევ როდის გაუღიმებთ ბედი, კიდევ როდის ეწვევიან ქალაქს და დაატკობენ მსმენელთ თავიანთი უშუალობითა და სიხალასით.

ჩვენც ველოდებით, კიდევ როდის მოგვეცემა საშუალება, გულაჩუყებულეებმა და ცრემლმორეულეებმა ვისაუბროთ დაცლილ სოფლებზე.

კიტოხი კი ჩოხივით იცდის...

ნუკრი ბერეთელის პოეტურ დებიუტზე გვიამბობს ნინო ქუთათელაძე: „ნუკრი სოფელზე წერს და ფიქრობს... ეს კარგია“.

რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ჩვენს „სარჩულგამოხეულ“ სოფლებს მარტო მათზე წერა და ფიქრი რომ არ შევლის?

მიტოვებულ ჭურებსა და ჭიშკრებს პატრონობა რომ სჭირდება, პეპლებნამნამა ხბოებს კი — მომვლელი?

განა სწორედ ამიტომ არ ისაკუთრებენ ჩვენს მიწას ჩინელები და ინდოელები?

„აი, სწორედ ამიტომ უნდა ვწეროთ სოფელზე“ — ამბობს წერილის ავტორი. მე კი მგონია, კი არ უნდა ვწეროთ, უნდა მივხედოთ სოფელს და არაგვის ხეობის სიღამაზით მოხიბლული უდარდელი ქართველივით იმას კი არ უნდა ვამბობდეთ, მერე რა, რომ „სარჩულგამოხეულია“ ჩვენი სოფელიო, არამედ უნდა მივტიროდეთ მის უნუგემო ყოფას და მის უკეთესობაზე ვბრუნავდეთ, თუ გვინდა, რომ იქ კვლავაც „მმვიდად ყვაოდნენ ხეები“.

სოფელი მარტო წელიწადში ერთხელ გამართულ დღეობებზე, მყუდრო და კომფორტულ სალონებში გამართულ ლიტერატურულ საღამოებზე ან მოთხრობებსა და ლექსებში არ უნდა გვახსოვდეს: ადვილია წერა და სევდანარევი ხმით საუბარი მიტოვებულ ნაფუძრებზე, სიძველისგან ჩამორღვეულ ჭიშკრებზე, ბებოს მზითვიდან შემორჩენილი კარადის სურნელზე, შვილიშვილების მომლოდინე მოხუცებზე...

ძნელია სოფელში ყოფნა, სოფლის გასაჭირით ცხოვრება. ძველ სახლებსა და ხარატიტ ნაკეთებ აივნებზე დარდი არაფერს ცვლის, თუ იმ სახლებსა და აივნებს პატრონებად არ დაუბრუნდით. ხეხილით სავსე ეზოებსა და ორლობებზე სევდაც ფუჭი იქნება, თუ იმ ეზოებსა და ორლობებს ჩვენი ხმები არ აავსებს...

ჩოხისა და კიტოხის გარდა რამდენი დაცარიელებული სოფელია საქართველოში, რამდენი სკოლა ყველასგან მივიწყებული ბავშვებით და როგორ სჭირდებათ მათ სიტბო, სიყვარული, თანადგომა.

სამწუხაროდ, ჩვენს მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, გამომცემლებს — ნაკლებად უწინდებათ სურვილი, ყოველგვარი ოფიციალური მინგვეის გარეშე ესტუმრონ მთისა და ბარის სოფლებს, გააცნონ ახალგაზრდებს (და არამარტო მათ) თავიანთი შემოქმედება.

სწორედ ამიტომ, მხოლოდ მინის კედლებს მიღმა საუბარი რომ არ შეგვრჩეს ხელში, გვეწვიეთ სოფლებში და აქ გამართეთ პრეზენტაციები, გამოფენები, სპექტაკლები, კინოჩვენებები...

მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება, ვწეროთ და ვილაპარაკოთ საერთო ტკივილზე. ტკივილზე, რომელიც ელავს.

„ჩვენი მწერლობის“ 2013 წლის 25-ე ნომრის რამდენიმე პუნქტის საპასუხო ღ



ცნობილ ავსტრიელ პროზაიკოსსა და პოეტს ერიკა მიტერერს XX საუკუნის გერმანულენოვან ლიტერატურაში „შინაგანი ემიგრაციის“ მთავარ წარმომადგენლად მიიჩნევენ. თვითმყოფადი შემოქმედებით დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, რასაც იმ შინაგან პრინციპულობას უნდა უმადლოდეს, ლიტერატურის მოდურ მიმდინარეობებს არასოდეს რომ აპყლია და მშობლიური ენისადმი მონიჭებული დამოკიდებულება რომ გააჩნდა ნიდაგ.

იგი 1906 წლის 30 მარტს, ვენის მახლობლად, შიტცინგ-ში დაიბადა. სკოლის ასაკიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა პოეზიისადმი; სიყმაწვილეში გერმანული კლასიკოსების შემოქმედებით იყო გატაცებული, მოგვიანებით ასევე დიდი ინტერესით კითხულობდა დოსტოევსკისა და ტოლსტოის ნაწარმოებებს.

ახალგაზრდა ქალის ნიჭიერება რაინერ მარია რილკე-მაც შენიშნა, როდესაც 18 წლის ახალბედა პოეტის ლექსად დანერგულ ნერილს ლექსადვე უპასუხა და მათ შორის საკმაოდ ხანგრძლივი ლირიკული მიმონერა გაიმართა, რაც ორ წელიწადს გრძელდებოდა (ანუ რილკეს გარდაცვალებამდე: 1924-26). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მიმონერა მიტერერმა რილკეს გარდაცვალებიდან ოცდაოთხი წლის შემდეგ გამოაქვეყნა მხოლოდ, რამაც მის პოპულარობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. 1950 წელს გამოქვეყნდა ამ მიმონერის ნაწილი, სრული სახით კი — 2001 წელს გამოიცა. აღსანიშნავია, რომ მიტერერის შემოქმედების მნიშვნელობა მხოლოდ რილკესთან ეპისტოლური ურთიერთობით არ შეიძლება შემოისაზღვროს. მისი რელიგიური ლექსები შემოქმედისა და ადამიანის ურთიერთობის საზრისს უტრიალებს გამუდმებით. პოეტი ცდილობს ჩანვდეს ადამიანის არსებობის იდუმალებას, ჩაულრმავდეს პასუხ-გაუცემელ მარადიულ კითხვებს...

1930 წელს ერიკა მიტერერის პირველმა ლირიკულმა კრებულმა „სიცოცხლის მადლი“ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, შტეფან ცვაიგმა მას „დიდი პოეტი ქალიც“ კი უწოდა. მიტერერმა მალე თავისი პროზითაც დააინტერესა კითხველი. 1940 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი „სამყაროს მბრძანებელი“. სწორედ ამ ნაწარმოების გამო აღიარებენ მას ავსტრიის „შინაგანი ემიგრაციის“ პირველ წარმომადგენლად.

„სამყაროს მბრძანებლის“ გამოცემიდან 40 წლის შემდეგ, 1977 წელს, ერიკა მიტერერი იღებს ენრიკა ფონ შანდელ-მაზეტის პრესტიჟულ პრემიას ახალი მნიშვნელოვანი რომანისათვის „ყველა ჩვენი თამაში“ (საერთოდ კი, ლიტერატურული მოღვაწეობისათვის 13-მდე პრემია და ორი ოქროს მედალი აქვს მიღებული).

პროტესტანტულ ოჯახში დაბადებულმა მიტერერმა 1965 წელს კათოლიკური აღმსარებლობა მიიღო და მას მერე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა რელიგიურ და საზოგადოებრივ საკითხებს, იგი თავის მოსაზრებებს ესეებით და წერილებით უზიარებდა მკითხველს. ოფიციალურმა ავსტრიამ პოეტისადმი პატივისცემა უმადლესი ჯილდოთი გამოხატა და „ხელოვნების კურის“ ნევრობაც მიანიჭა.

გარდაიცვალა 2001 წლის 14 ოქტომბერს. მისი ხსოვნის პატივსაცემად დაარსდა ერიკა მიტერერის საზოგადოება, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალ გერმანისტსა და ლიტერატურის მოყვარულს აერთიანებს და დღემდე აქტიურად იღვწის პოეტის მემკვირეობის სრულყოფილად შესწავლისათვის.

ერიკა მიტერერი (1906-2001)

ყარიბთა სიმღერა

მე ვერ ვიქნები, ვინც ყოვნდება კარგა ხანს სადმე, ჩუმი და უცხო უნდა ვიყო, გზას მყისად ვადგე. არ ვცნობ სხვა მიზანს, თუმც მივიჩნევ კბოდედ გზას ჩემსას. თქვენ არც კი იცით, რა სიამით ვყოვნდები თქვენთან.

ვინც მელოდება, საპყრობილეს მიმზადებს მყისვე. სულ მოულოდნელ სტუმრად მინდა ყველასთვის ვიქცე. ნუ გეგონებათ, მიყვარს ლხენა, უქმი ბრჭყვიალი: მიზიდავს მხოლოდ წვიმიან დღეს ტლუ ხეტიალი.

დღეს სიზარმაცემ დამძლია და ვიამე ღვინით, და ავირიდე ბუზლუნი და ტიკტიკი ტკბილი, დამცინის ქარი, ძელზე ზარის რხევას რომ ბედავს: უცხო სუფრასთან უცხო სტუმარს უცხოსთან ხედავს!

ო, შორს ნასვლა მსურს, დამეხსენით, გამაგდეთ ახლა! თუმცა ქვეყანას უამრავი ხიფათი ახლავს! გარეთ გამაგდეთ, თუ არ ნაველ და დიდხანს შევრჩი! გზა, უდაბური, ალბათ ჩუმად შემოდის ჩემში.

აპოლონის მოხმობა

ბნელმობუზუნე კლდის ტყვეობას გამოერიდე, რუხი ბაზალტის ნიაღს მოსწყდი, ოქროდ ცვრეული — მუღერი, ვარდნილი წყაროს წყლიდან აღმოცენდი და კვლავ განსხეულდი!

შენი სამიში კამკამის ელფერს, არ ვუფრთხი მაინც, გავურბი მახეს: ცეცხლს შენი მზერის, მწველ ლაჟვარდისფერს მივაპყრობ შიშველ, დაუცველ სახეს — გესმის, აპოლონ?

ო, უკადრისობ ხელთ გეპყრას ქნარი, და უგვირგვინოდ მოდიხარ, მკაცრი? ვით ხისტ ხატებზე იმ ძველ მხატვართა, შენ მწყემსთმთავარო, სიმღერების მწყემსო, მრავალთა? დუმს ბაგე სიმწრით და ბრმაა მზერა წარბს შეხიზნული, არ ძალმიძს თმობა...

ვიდრე ჩამიკმენდს ხმას ბედისწერა, მინიერ ქალის ისმინე ხმობა!

კვლავ დაიბრუნე, ოდიტანვე რაც რამ მომმადლე: ძალა სიმღერის, ცდუნება და მონანიება! აღორძინდება უღირსთათვის გოდებად მადლი, თუმც გევედრება ყოველდღიურ ბედნიერებას: შუბლზე ჭკნობისთვის განწირულ გვირგვინს, მდელითა მიმქრალ ნათლიერებას, მყინვარი თოვლის მზისდაკრულ ციმციმს ვერ იტანს ქალის თვალი და მზერა!

მსურს ერთ მამაკაცს გავუჩინო მოკვდავი ყრმები, ყვავილებივით არსთა დარად რომ იზრდებიან, ცოტა ხანში კი დამტოვებენ მე ზრდასრულები, თუმც მცირე დროით მაინც ჩემად ჩაითვლებიან! და ვისურვებდი, სიხარულის და სნების შემდეგ, თუკი ორივე მათივ ნებით მხვდება მე ნილად, უსახელო და ნოყიერი მიწის ნიაღში თავისუფლება მომემადლოს მარადის ძილად. ამპარტავანი სიმღერების არ ძალმიძს სმენა, მზარავს, ქნარს ვკადრო სიტყვა ნაცადი, სხვებს სიამეს ჰგვრის ხალხის შეცდენა, ღვთის სასჯელს ინვნევს კაცადკაცადი!

მახარებს ცელის მოპირვა ბასრი
 და ნაპერწკლების ტკაცანით ცვენა,
 ჭის ონინარის ხრჭილი მკაცრი,
 და წყლის წვეთების რიტმული დენა.
 ის, რაც უმაღლეს განძად მიგაჩნდა,
 თვით უკვდავება, — არასდროს მნადდა!
 ნაილე, უნინ რაც მიწყალობე,
 სიმღერის მადლი, ჰანგი ვარსკვლავთა.
 რადგან გვთავაზობ ასეთ არჩევანს,
 ამქვეყნიურს და მიღმიერს შორის:
 ღმერთო! იცოდე, სიცოცხლეს ვარჩევ
 და არად მიღირს სიტყვა, ვით ჭორი!
 გესმის? ასტეხე თუნდ მეხთატეხა,
 თავი უხამსი რომ გაგესრისა?
 ახლა იქ, სადაც კლდის ნაპრალს ვხედავ,
 მეგონა სახე აპოლონისა...
 ჩემ ხმას შთანთქავდა გრგვინვა ძლიერი,
 რასაც ვერასგზით გადავფარავდი —
 არ გამაძევებს ხმა ზეციერი!
 დატყვევებული ვყავარ მარადის.

საიმედო

I.
 აღსავეს არის სამხილებით სამყარო ოღონდ
 იგი, ვინც ეჭვობს, ვერ შეიცნობს მათ ვერასოდეს,
 რადგან თუ ხედავს, ჰგონია, რომ ატყუებს თვალი
 და სურს ჩანვდომი. და თითებსაც აღარ ენდობა,
 სურს მოისმინოს. თუმცა სმენა ეჭვს ბადებს მაინც:
 ესმით კი სულით სნეულებს ხმები? უნდა გესმოდეს,
 ხედავდე, ჩანვდე... თუმცა ყოველი მცდარია იქნებ,
 და გვაცდუნებენ ჩვენნი გრძნობები! იქნებდა სჯობდეს
 მოგვცეთ ნება, გამოვითვალოთ; რიცხვებს ვენდობით!
 არა, — არც რიცხვებს, ვინაიდან ისინი მხოლოდ
 შემოფარგლული სივრცისათვის თუ გამოდგება.
 ან კი „აღბათ“-ზე საიმედო რა იქნებოდა?
 უარყოფა. ჯოჯოხეთი. ეული ნული.
 რადგანაც ვეჭვობ, ვარსებობ კიდევ! — მცდარი დასკვნაა!
 ვისაც რწმენა აქვს, დაცულია! — ვის ძალუძს რწმენა?
 მას, ვისაც უყვარს. გამოცდილებით ცოდნა რადგან
 ნიშნავს: ირწმუნო. რწმენა კი ისე იზიდავს სამხილს,
 ვით ანდამატი რკინის ნამსხვრევებს.
 რადგან ის ცოდნა, რაც გაგვაჩნია, წარმოსახვათა თამაშია,
 გასართობი თავსატეხია, ვერასოდეს რომ ვერ ავკინძავთ.
 რომელიც წმიდა პირველსახეს ველარ აღადგენს,
 რადგან რაიმე აკლდება მუდამ. თუმც ნიშუშები
 ხომ არსებობდა? მოძველებულად რომ მივიჩნევდით...
 ვისლა სჭირდება ისინი უკვე? ჩვენ დავწვით ყველა...

II.
 ვით უსინათლო თითოეულ რხევას გრძნობს უმაღლ,
 რასაც ჩვენ ვერ ვგრძნობთ, იცავს მანძილსაც,
 და მთელ სამყაროს აღიქვამს სრულად, ყოველი გრძნობით
 და არ შეცდება, რადგან ჩვენსავით გააჩნია თავდაჯერება —
 ასე ბავშვებს თუ შეუძლიათ ჩანვდენენ იმასაც,
 რაც არ იციან: ყოველგვარ საფრთხეს, ქებას, სიყვარულს...
 ბგერა და მზერა ატყობინებს მათ ყოველივეს.
 ვერ მოატყუებ ბავშვებს, რადგან სულ არ ფიქრობენ,
 ვერაფერს ნყვეტენ. ვერ მოატყუებ ცხოველებს და
 ვერც ანგელოზებს. რადგან ისინიც არ ფიქრობენ.
 მაგრამ ვაი, რომ სულ ადვილად ტყუვდება კაცი,
 რომელიც ფიქრობს, ბგერის და მზერის შეგრძნება რომ
 დაავინყდა, და ის ნათელიც, ტრფობას რომ ვარქმევთ!
 ვინც ფიქრობს, მხოლოდ ვარაუდობს. ვინც გრძნობს, მან იცის.

III.
 რა დიდიხანი დამჭირდა, რომ სხვა რამ მესწავლა!
 რადგანაც უნინ სიტყვის ნიაღვეძედი სამხილს,
 რითაც მავანის "დატყვევება" შეიძლებოდა!
 ვინ ინადირებს მეგობრის გულს მზერით, ღიმილით?!
 ველარ ვითმენდი, თუ მოხიბვლას თავს ვერ ვართმევდი;
 იმ შეგირდით კარგი ნიშნის მიღებამდე რომ
 აინტერესებს, ანგარიში თუ არის სწორი.
 მასწავლებელი ნამინერდა მოკლედ, „ვნახეო!“
 მავარჯიშებდა განტოლების სრულ ამოხსნამდე.
 რა შეცდომები დამიშვია მაგალითებში!
 დღეს კი დასრულდა! დავგირგვინდა გარჯა ხანგრძლივი,
 ზღვა მოთმინების ნაყოფი და სათნო ნიშანი —
 იმ უსახელო სახელისთვის გამოსადეგი,
 რომლის ამოთქმა ჩვენთვის მუდამ აკრძალულია.

შუაგული

მთვარეს რომ მისწვდნენ, მონდომებით ქმნიან რაკეტებს.
 თუ გამოთვალეს საკმარისად და დაიხარჯნენ,
 ბოლოს და ბოლოს დაივანებს ადამიანი
 მთვარეზე, მწირი იმედით, რომ დედამინაზე
 კვლავ დაბრუნდება, ერთხელ მაინც, შინ, სამშობლოში.
 უკაცრიელი დგას ტაძრები, ეკლესიები,
 უკეთესი გზა, ზეცისკენ რომ უწყოდნენ ოდენ.
 და ის ძალები, ახალგაზრდებს რომ იზიდავენ,
 რადგან მსხვერპლს ისევ მოითხოვენ, ბევრს ჰპირდებიან —
 არ ჰპირდებიან ოღონდ ზეცას! მხოლოდ და მხოლოდ —
 კონდიციონერს, საბოლოოდ, ჯოჯოხეთისთვის.
 ასე ამგვარად, დავმორჩილდეთ უნდა უძრავად
 თავგზააბნეულ სულთა როკვას, ან ელექტრონულს,
 საკუთარი მეს ერთგულებით და არვის სმენით.
 ვინც ამას შეძლებს, მარადიულ ხარების ტალღებს
 სიცარიელის ნიაღვეძის უაპარატოდ.
 ტალღები ერთად ქმნიან სანდო, შეცნობილი ნიშანს
 განსხვავებული სულებისთვის, მრავალ ენაზე.
 ჩვენს მემბრანაზე აჟღერდება ძველი, ნეტარი
 სამხმოვანება: სიყვარული — რწმენა — იმედი!

კაენის გამოსყიდვა

თქვენ, მწერლებო და მწიგნობრებო,
 რატომ მატირებთ ათასწლეულთა
 მანძილზე მე — აბელის გამო,
 იმ ყველასათვის საყვარელი აბელის გამო,
 რომ ხიბლავდა თვით იაჰვესაც?
 მე თვალბიცი კი ამევსო ცრემლით,
 ის გარდაცვლილი როცა ვიხილე,
 და გულიდან კი სისხლი დამდინდა.
 სისხლი ჭრილობას წმენდს, ასუფთავებს.
 სამშვიდობოს არის აბელი, შვილი ჩემი.
 მაგრამ სადღაა კაენი ახლა?
 ის დედამინის გარემო დამარცხის.
 და ვერასოდეს, ვერსად იპოვნის
 სამარადისო განსასვენებელს...
 მას ჩვენ გულგრილი სიყვარულით ვეკიდებოდით.
 არ ექნებოდა სიძულვილი განა ძმისადმი —
 ლაღის, უმურველ-უშიშარის, გულღიასადმი?
 კაენ, სადა ხარ, შენ, უღმობილო შვილო ჩემო?
 დაბრუნდი უკან, საკუთარ სახლში!

შვილო, თუ აღარ ძალგის სიკვდილი, რადგან კვლავ გიცავს მკაცრი ნიშანი — მეც ვერ გიშველი! დაბრუნდი სახლში! მიმოიფანტა ყველა უკვე დიდხანია. გადამავინყდნენ ისინი თითქმის მე, ხანდაზმულს და დაძაბუნებულს. გზააბნეული, უთავბოლოდ დახეტიალებ უხსოვარ დროის წყევლის კირთებით.. მაღალი ღმერთი ივინყებს რისხვას, თუ მოგეხვევი. მომიახლოვდი, ერთადერთო, ძვირფასო ჩემო! — მეჩე ორივე გავეშურით განსასვენებლად...

კაკუნის ენა (პატიმართა გადასახელი)

არ ვიცი გესმის, თუნდაც შენ მარტო, ვაგრძელებ კაკუნს, არ მკითხო რატომ. რისთვის ძეგრს, ალბათ არ იცის გულმა, ჰკითხო, არ იცის არც სიყვარულმა. ვიდრემდის ვსუნთქავ, ვიძლევი ნიშანს და ცდილობ შენც, რომ მისმინო ფხიზლად, მისწვდება ალბათ სიჩუმეც მიზანს, დუმილიც ველარ დაგტოვებს მშვიდად.

დროჟამთან ერთად

ჩვენ საკმარისად არ ვესაეთ ზეცას, რადგან არ ველტვით, არ გვენატრება. ვიცოცხლოთ მარად? ამაზრზენია! ყოველგვარ ტანჯვას იტანენ მაინც, უკვალოდ აქრობს ჟამთასვლა რადგან. წარმავლობით არსებობს აკი ბედნიერებაც; დრო განა მასაც თანდათან სულ არ გააფერმკრთალებს? მაგრამ ვიღლებით დროის დინებით. ბლაგვდება ჩვენში ყოველი გრძნობა. ვერ ვგრძნობთ ტოროლას წრფელ ალტკინებას. გემოს ვატანდით ყველაფერს უნინ. ძილიც ცინცხალი მუხტით გვაგვებდა. გვიძიმს ადგომა და სიარული. თუმც უკვე არვის აღარ ვჭირდებით. მალე ვისწავლით წყალობის თხოვნას. ალბათ თანდათან სწავლობ ამასაც? იმისათვის, რომ გვესწავლა თხოვნა, ვისწავლეთ ლოცვა, წრფელი ვედრება. ვისწავლეთ, თუმცა დაგვაგინყდა დიდხანია. კვლავ გვიბრუნდება შორი წარსული. დედამ იცოდა სიტყვები კარგად. ის დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. ჩვენ გადავეციტო სიტყვები შვილებს. რა დრო გასულა, შვილები უკვე... ხელდაკრეფილნი ვუმზერთ სიბნელეს. სიტყვები ჟონავს მჭვირვალ წვეთებად და სულ იოლად აღწევს ჩვენამდე. საით დანთქმულან უნაშთოდ წლები? და დროც ილევა დროჟამთან ერთად...

**გერმანულიდან თარგმნა
ლულუ დადიანა**

იბრაჰიმ ალ-ქუნე

**თითის ფალანგზე
მოკლე მოთხრობები**

ბავშვი

ქალს ჩვევად ჰქონდა ექვსი წლის ვაჟი მიეგზავნა ქმართან ფულის სათხოვნელად. კაციც მიჩვეული იყო ბავშვის ხელით გადაეცა ცოლი-სათვის აუცილებელი თუ არააუცილებელი სახარჯო ფული.

ერთ დღეს კაცი სატელევიზიო სპექტაკლის ორთაბრძოლას უყურებდა. ბავშვიც იქვე თამაშობდა. უცებ გმირმა ხმალი იძრო, მონინა-ალმდეგეს გულში ჩასცა და სული გააფრთხოვინა. ამ სცენამ ბავშვის ყურადღება მიიქცია და მამას ჰკითხა:

— ეს რომ მოგსვლოდა, რას იზამდი?

უპასუხა:

— არაფერს. მოვკვებოდი, ბუნებრივია.

ბავშვმა თამაში გააგრძელა.

მამამ ჰკითხა:

— აბა მითხარი...მე რომ მოვკვდე, რას იზამ უჩემოდ?

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, თავიც რომ არ აუნევი, უპასუხა:

— შენს ფულს დავეპატრონები.

მნარლის მხედველობა

არ სჩვეოდა ექიმებთან სირბილი იმ დაავადებათა გამო, მას რომ სჭირდა. მაგრამ თვალებმა ისე შეაწუხა, კითხვა ველარ შეძლო. წიგნი რომ გადაშალა, ასოები აცეკვდნენ და თვალის გუგებში ნემსისებური ჩხვლეტა იგრძნო. სამი დღე მოითმინა კითხვის გარეშე იმ იმედით, რომ გაუვლიდა, მაგრამ ამაოდ. იფიქრა: „რას იზამს თუ სენი გაურთულდება და მხედველობას დაკარგავს? როგორ ნაიკითხავს დოსტო-ვესკის, სტრინდბერგს, აკუტაგავა რიუნოსკეს? ან როგორ დანერს?

შიშმა აიტანა და მთელი ღამე არ სძინებია.

დილით...პირველი იყო ექიმის კაბინეტის წინ მომლოდინეთა შორის!

დიახ, ექიმს მიაშურა, როცა...

დიღები და პატარები

ბავშვთა საერთაშორისო დღეს დიქტორმა ბავშვს ჰკითხა:

— გინდა, რომ გაიზარდო და დიდი გახდე?

— დიახ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დიდებს ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ!

გამართულ წვეულებაზე ერთმა ხნიერმა მამაკაცმა მილოცვისას თქვა:

— გილოცავთ, ბავშვებო!... ჩვენ, უფროსები, ძალიან ვწუხვართ, რომ ბავშვები აღარ ვართ...

ო, რა ბედის დაცინვაა. ბავშვი დიდობაზე ოცნებობს, რომ ყველა-ფერი ჩაიდინოს და უპირველეს ყოვლისა — ცო დ ვა!

„დიდს“ კი ბავშვობა სურს, რომ ყველაფერს გაექცეს და უპირვე-ლეს ყოვლისა-ცო დ ვა!

ჩრდილოეთის ხა

ყოველ წელს, მაისის ბოლოს, ქალაქს ყვავილების თეთრი ღრუბ-ლები უტყვს, მატყლის ქულებივითა და თოვლის ფანტელებივით რომ დაფრინავენ ჰაერში, ინვევს: მწვავე ხველას, გაუთავებელ ცემინებას, ტკივილს ყელსა და ყურებში, სურდოს, ოფლიანობასა და...

დაიბადა ლიბიის ქალაქ ლადამესში. წარმოშობით ტუარეგია. 1977 წელს დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი მოსკოვში. 60-ზე მეტი წიგნი ავტორია: ეს რომანები, ნოველები, პუბლიცისტიკა, რომელიც ეძღვნება ტუარეგთა ცხოვრებას უდაბნოში. ცხოვრობდა ყოფილ სსრკ-ში და მისი დაშლის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა შვეიცარიაში(1993 წელს).

მიღებული აქვს მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემია, რომელთა შორისაა შვეიცარიის მთავრობის სახელმწიფო პრემია გერმანულ ენაზე ნათარგმნი რომანებისათვის. ფრანგულმა ჟურნალმა „Lire“ დაასახელა XXI საუკუნის ლიტერატურის 50 თანამედროვე გამოჩენილ მსოფლიო რომანისტს შორის, რომლებსაც „ხვალინდელი დღის მწერლები“ უწოდა. 2005 წელს მიიღო მუჰამედ ზეფაფის სახელობის მაროკოს პრესტიჟული ლიტერატურული პრემია. 2008 წელს მიენიჭა შიხ ზაიადის არაბული სამყაროს უდიდესი ლიტერატურული პრემია რომანისთვის „ძახილი“. მის კალამს ეკუთვნის: „რიგარეშე ლოცვა“(1974 წ., ნოველების კრებული), „მთვარის დაბნელება“(1989წ., რომანი 4 ნაწილად), „სისხლდენადი ქვა“(1990წ., რომანი), „ერთი ბენო ოქრო“(1990წ., რომანი), „გრძნეულის ცხოვრებიდან გამქრალი ფაქტები“(1992წ., ნოველ. კრებ.), „ერთი ყლუპი სისხლი“(1993წ.,ნოველ. კრებ.), „დერვიშის შემოდგომა“(1994წ., რომანი და ნოველ. კრებ.) და სხვა.

აქ წარმოდგენილი „თითის ფალანგზე მოკლე მოთხრობები“ აღებულია კრებულიდან „ესპანური კურდღლის ცოცხა“(1986 წ. ქ. ბენ-ლაზი). იბრაჰიმ ალ-ქუნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართულად იბეჭდება პირველად.

აუტანელ მდგომარეობას, სრული ერთი თვე რომ გრძელდება.

მეორე წელს უთხრეს:

— ალერგიაა.

— რისგან?

— TOPOLA-ს ხის ყვავილებისაგან

ლექსიკონში დაძებნა და აი, ისიც — „ალვის ხე“, რომლის შესახებაც ცხოვრებაში არაფერი სმენოდა და წაეკითხა...

მაშასადამე, ეს ყველაფერი ჩრდილოეთის ხეებისაგანაა? განკურნება? განუკურნებელია.

უთხრეს:

— ერთადერთი საშველი ისაა, რომ სამხრეთ რეგიონებში გადახვიდე, სადაც ეს ხე არ ხარობს.

ანუ განკურნება გაქცევაშია.

იკითხა:

— საინტერესოა, მხოლოდ ალერგიას იწვევს ჩრდილოეთის ხე? თუ ბევრად მწვავე ალერგითა და სხვა განუკურნებელ სენითაც შეიძლება დაავადდეს ადამიანი ჩრდილოეთში ცხოვრებისაგან, როცა ივინყებს, რომ საკუთარ ფესვებსაა მოწყვეტილი?

ცრემლები

ზღაპრებში ნათქვამია, რომ „ცრემლები შვებაა“, მაგრამ რატომ არ ძალუძს მამაკაცს ტირილი? ის ყოველდღიური ცხოვრების სიხარულისა და მწუხარების სიმწარეს გრძნობს, მაგრამ უძღლურია, იტიროს...ცრემლებით. არაფერია იმაზე საშინელი დასანახი, როცა კაცი უცრემლოდ ტირის! მან იცის ამ სასჯელის ფასი! ამიტომ მზადაა, ყველაფერი გაიღოს ერთი ცრემლის სანაცვლოდ!

აპუტაგავა

ყოველთვის ეჭვობდა, რომ მომავალში ვინმე სათანადოდ დაავასებდა. ხშირად იმეორებდა ამას თავის ნაწერებშიც და სწორიც იყო, რადგან ვერავინ იწინასწარმეტყველებდა ხელოვნების მომავალს ამ შეშლილ საუკუნეში. მაგრამ მიუხედავად ამ შეშლილობისა, მთელი მსოფლიო კითხულობს მას, ალბათ სახარებაზე ხშირადაც, რასაც აკუტაგავა ვერც წარმოიდგენდა. ო, ჩემო ბატონო, როგორც ჩანს, ხელოვნება რჩება — ჰიროსიმასა და ნაგასაკის კატასტროფის შემდეგაც, რომელსაც თავად არ მოსწონებხარ, და გაუძღვებს მომავალ კატასტროფასაც!

კავაბათა

აღმოსავლეთის მწერალთაგან ისე არავის დაუმარცხებია ევროპული კრიტიკა ლიტერატურული ნარატივის „აღმოსავლურ სტილზე“, როგორც შენ გააკეთე. დაამსხვრიე



მითი იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთი მის შესახებ ევროპულ მონაჩმასთა ტყვეა-განსაკუთრებით, ლიტერატურაში. გაღიარა ევროპულმა გონიერებამ — თუნდაც, ნობელის პრემიით ლიტერატურაში-რომელსაც არ მორიდებია, მიელო ცხოვრების იაპონურ-აღმოსავლური ფორმულირება. სტოკჰოლმიდან იაპონიაში დაბრუნდი და წერდი იაპონური სულის შესახებ, შვედეთის აკადემიამ რომ მოიწონა შენს ლიტერატურაში. დაბრუნდი და წერდი დიდებული სკოლის — „ცინის“ — შესახებ. არ დაგვიწყნია, რომ პრემიის მიღებიდან ოთხი წლის შემდეგ იაპონურ-აღმოსავლურად მოგეკლა თავი! დაბრუნდი, რათა დაგედასტურებინა იაპონურ-აღმოსავლური ტრადიციებისადმი ერთგულება არა მხოლოდ წერის მანერით, არამედ თვითმკვლევლობითაც. დიან, ჰარაკი-რი საიმპერატორო საჯარისო ძალების წინ მოწმე გახდა ამისა 1972 წელს.

პარიზი

ევროპის ბოლო ქალაქი იყო, რომელიც მოინახულა. საერთოდ არ უგრძვნია რაიმე შინაგანი კავშირი ან სიყვარული. მეგობრებმა ჰკითხეს:

— შთაბეჭდილებებს წერდი ყველა ქალაქზე, რომელიც კი გინახავს. რატომ პარიზზე — სიყვარულისა და სილამაზის ქალაქზე-ერთი სიტყვაც არ დაწერე?

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა, თან ყავას სვამდა და სიგარეტს აბოლებდა:

— როდესაც ეუფენიო მონტალეს ჰკითხეს, რატომ ლექსის ერთი ბეითიც კი არ დაწერა პირველ მსოფლიო ომზე, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა, როგორც იტალიის წინააღმდეგობის ჯარისკაცი, ძალიან მოკლედ უპასუხა:

— არ იმსახურებდა.

მერე კი ღრმად ჩაისუნთქა სიგარეტის კვამლი.

თარგმანი

მეგობარმა მსახიობმა ზიად ალიმ ჟურნალი მომიტანა და ჩვეული ხუმრობით მითხრა:

— ჩემმა მეგობარმა ქალმა თქვა, რომ თურმე ინგლისურადაც წერ! ჩემი ნოველა არაბულ ენაზე დაიბეჭდა ჟურნალ „ლოტუსში“, რომელიც სამ ენაზე გამოდის. სქოლიოში მიუთითეს, რომ ნოველა ინგლისურიდან იყო ნათარგმნი.

მინდოდა ინგლისურადაც დამეწერა, მაგრამ უკვე ნათარგმნი იყო რუსულად, ინგლისურად და ისევ არაბულად!

წავიკითხე და არ მომრიდებია მეთქვა ჩემი მეგობრისთვის, რომ ის ჩემი ნოველა აღარ იყო:

— მთარგმნელთა ნოველაა!
უცნაურია, რომ ჩვენმა დიდმა მწერალმა, აბდუ რაჰმან ალ-ხამი-სიმ, ბევრად ამაზე ადრე მითხრა:

— წავიკითხე...და ძალიან მომეწონა.
უეჭველია, მთარგმნელთა ნოველას გულისხმობდა!

მამაკაცები

ვერ წარმომიდგენია, მუშტი-კრივით როგორ უსწორდებიან ერთ-მანეთს მამაკაცები. ცემა-ტყეპა ხომ ქალების საქმეა.

მამაკაცები იარაღით უნდა აგვარებდნენ ერთმანეთში უთანხმოებას! სხვა — რაინდული სული ალაპარაკებდა!

პროზა და პოეზია

ჰკითხეს:
— რა სხვაობაა პოეზიასა და პროზას შორის?
— რაც პუშკინსა და ტოლსტოის შორის. მხოლოდ ის ჩანვდება ამას, ვისაც წაკითხული აქვს პუშკინის პოეზია და ტოლსტოის პროზა! პუშკინს შეუძლია ლექსის რამდენიმე სტრიქონში მოკლედ გადმოსცეს ცხოვრების აზრი, როგორც გრაფინია კერნისადმი* მიწერილ წერილში. ტოლსტოის შეუძლია განდევლივით იცხოვროს და შექმნას ხუთასზე მეტი პერსონაჟი, რომლებიც თავისუფლად მოძრაობენ-როგორც „ომსა და მშვიდობაში“.

უდიდესი უდაბნო

ვეროპულ ენებზე უამრავი სახელი აქვს: „უდაბნოთა დედა“, „მსოფლიოს უდიდესი უდაბნო“, „უდაბნოთა უდაბნო“, მაგრამ ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნდა მისთვის.

ის გულ-გვამით ატარებდა წვიმას მონყურებულ უდაბნოს, თავის სიღრმეებში წყლის მდინარეებს რომ იმარაგებს!

წვიმა

ბუნებრივია, წვიმის მარადიულმა წყურვილმა აიძულა, რომ ცხოვრებაში ქოლგა არ ეტარებინა. თავშიშველი, უქოლგოდ დადიოდა მოსკოვის ქუჩებში. კოკისპირულ წვიმაში დაეხეტებოდა „რინგშტრასეზე“ ვენაში. ჟუჟუნა წვიმის დროს თავისუფლად სეირნობდა „კონკორდის“ მოედანზე შანზ-ელიზე ბოლოს. „ტრაფალგარის“ მოედანზე იჯდა თავსხმაში. ყოველთვის სიამოვნებდა ამის გაკეთება ძლიერი წვიმის დროს... ევეროპელი გამვლელები გარბოდნენ, თავი რომ შეეფარებინათ და გაოცებულნი ეჭვის თვალთ უყურებდნენ. ერთხელ

* გრაფ კერნის მეუღლე, ანა პოლტორეცკაია, რომელსაც ა. პუშკინმა მიუძღვნა ცნობილი ლექსი — „Я помню чудное мгновение“...



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

ძველ ვარშავაში დაინახა, როგორ ახვეტა მხატვარმა თავისი ნახატები, გაიქცა და მახლობელ კედელს აეფარა. დაინახა, როგორ ადევნებდა თვალს, როცა ქუჩის ბოლოს მდგარს წვიმა უშხაპუნებდა თავზე. მხატვარმა ხელი ასწია და გასაფრთხილებლად საჩვენებელი თითი დაუქნია, მას კი სეტყვასავით წამოსულ წვიმაში სურდა ხეტიალი... ბუნებრივია, არავინ იცოდა, რომ წყალს მონყურებულ უდიდეს უდაბნო დაბორილებდა მის გულ-გვამში.

სიმღერები

ჩვენ შეგვიძლია მათი სიმღერები გავიგოთ და ვიმღეროთ კიდეც, მაგრამ მათ არ ძალუძთ ჩვენი სიმღერების გაგება და არც მათი მღერა.

სულის სიღრმეში ამას იმით ხსნიან, რომ ჩვენი სიმღერები პრიმიტიულია და შორსაა ცივილიზაციისგან!

მაგრამ ჩვენ რატომ ვიგებთ და ვმღერით მათ სიმღერებს? იმიტომ, რომ ჩვენ შემწყნარებლნი ვართ და შემწყნარებლობა ნიშანთაგანია ცივილიზაციისა, რომელიც სხვების გაგებას მოუწოდებს. სწორედ ამ გაგების ნაწილია ხელოვნება.

ქალი

როდესაც ქმარი ცოლს შორდება, ქალი ამბობს:

- მე გაგავდე!
- როდესაც ქმარი ცოლს აგდებს, ქალი ამბობს:
- მე გავეშორდი!

არაბულიდან თარგმნა იზოლდა ბრძელიძე

სპარსთა ენისა სიტკომან...

კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი (1589-1663) წლების მანძილზე თავგანწირვით იბრძოდა სეფიანთა ირანის ბატონობის წინააღმდეგ. სწორედ ამ დაუღალავმა შემართებამ, რასაც ვერ აფერხებდა ვერც ყიზილბაშთა შემოსევები საქართველოში და ქვეყნის აოხრება, ვერც მისი ახლობლების ტრაგიკული ხვედრი და ვერც საკუთარი ფათერაკები, ათქმევინა გამოჩენილ იტალიელ მოგზაურს **პიეტრო დელა ვალეს** შემდეგი სიტყვები: „...თეიმურაზ-ხანი, ვის მიმართაც, გარდა სარწმუნოების ინტერესებისა, არ ვიცი — რომელი იდუმალი ძალით მოხიბლული, განვიცდი უჩვეულო კეთილგანწყობას, თუმცა პირადად არც კი ვიცნობ“.

ცოტა მოგვიანებით, ფრანგი მოგზაური **ჟან შარდენი**, საქართველოსა თუ ირანში გაგონილის საფუძველზე, „მამაცსა და უბედურ მეფეს“ უწოდებს თეიმურაზ პირველს.

ახლა წუთით წარმოვიდგინოთ XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო — დანგრეული სასახლეები და პირისაგან მინისა აღგვილი სოფლები, ირანში ტყვედ წაყვანილთა გრძელი ქარავნები, სისხლისმღვრელი ომები და დაუცხრომელი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ბრწყინვალე გამარჯვება მარტყოფში და ბრწყინვალე დამარცხება მარაბ-დამი. და ბოლოს, ჟამი მყიფე მშვიდობისა, როდესაც უკვე ტკბილი სიტყვითა და ოქროს ბრჭყვიალით იწერება საქართველოში ყიზილბაშთა ზნე-ჩვეულებანი.

თუ გავიხსენებთ ყოველივე ამას, მართლაც მოულოდნელი და აღმამფოთებელი მოგვეჩვენება თეიმურაზ პირველის პოემაში „ლეილ-მაჯნუნიანი“ ამოკითხული სიტყვები: „სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი...“ რამ ათქმევინა, რამ დაანერინა ეს უცნაური ქება უცხო სპარსული ენისა ქართველ მეფე-პოეტს, ვისაც **ივანე ჯავახიშვილმა** უწოდა „სპარსეთის დიდი მტარვალის დაუღალავი მოწინააღმდეგე“, ხოლო **ნიკო ბერძენიშვილმა** — „სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე“.

როგორ შევეუთავსოთ ერთიმეორეს თავდადებული ბრძოლა სპარსელებთან და აღტკინებული ქება სპარსული ენისა? მაგრამ საქმე ასე მარტივად როდია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

უნინარეს ყოვლისა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სპარსული ენა არა ყოფილა ჩვენი მტრისა და დამპყრობლის ენა, იმათი ენა, ვინაც XVII საუკუნეში ენით აუნერგელი ნგრევა-ოხრება დაანია ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს.

აი, რას ამბობენ ამის თაობაზე ირანში ნამყოფი ევროპელი ავტორები:

ჟან შარდენი: სეფიანთა ირანში გავრცელებულია სამი ენა: არაბული — ღვთისმეტყველთა და სწავლულთა ენა, სპარსული — სიტყვაკაზმული მწერლობისა და უბრალო ხალხის [ე.ი. სპარსელთა] ენა, თურქული — სამეფო კარისა და სამხედრო ხალხის [ე.ი. ყიზილბაშთა] ენა.

ადამ ოლეარიუსი: სეფიანთა სამეფო კარზე საყოველთაოდ მიღებულია თურქული ენა და კაცი იშვიათად თუ გაიგონებს სპარსულ სიტყვას.

კარმელიტა ორდენის მისიონერი: ირანის შაჰი, დიდკაცები და მეომარნი, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ თურქულად. სპარსული მხოლოდ უბრალო ხალხისა და სახელმწიფო საბუთების ენაა.

პიეტრო დელა ვალე: სეფიანთა სამეფო კარზე, სამხედრო წრეებსა და მაღალ საზოგადოებაში, უფრო მიღებულია თურქული ენა... ქვეყნის კეთილშობილნი, განსაკუთრებით სამხედრონი, მეტწილად, თურქთა მოდგმისანი არიან. შაჰი და წარჩინებულნი სიამაყით ლაპარაკობენ თურქულად.

ჟან თევენო: სეფიანთა სამეფო კარზე მხოლოდ და მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ, ოღონდ იქაური თურქული ენა იმდენად განსხვავდება კონსტანტინოპოლში გავრცელებული თურქულისგან, რომ შეიძლება ითქვას, სრულიად სხვა ენაა.

დასავლეთ ევროპაში მოგზაურობისას **სულხან-საბა ორბელიანი** ამბობდა: ყიზილბაშური თათრული ვიციო. საქართველოში „თათრული“ ერქვა თურქულ ენას, ხოლო საბასეული „ყიზილბაშური თათრული“ საკმაოდ ზუსტი სახელწოდებაა სეფიანთა სამეფო კარზე მიღებული ენისა, რომელიც თურქულის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენდა („ისლამის ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია, რომ ადგილობრივი წყაროები „ყიზილბაშურ თურქულს“ ეძახიან სეფიანთა ირანში გავრცელებული თურქული ენის დიალექტს, რათა განასხვავონ ოსმალთა თურქულისაგან).

აღძრული საკითხის ირგვლივ საგულისხმო მინიშნებანი გვხვდება ქართულსა და სომხურ საისტორიო წყაროებში.

XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი **ფარსადან გორგიჯანიძე** წინამართან გამართული ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს: „ქართველნი ყიზილბაშთა ლაშქარში გამოერივნენ და შეიქნა ძახილი დაჰკარ დაჰკარისა და ურუზბუ გიდილარი“ (ამ უკანასკნელ სიტყვებს, ცხადია, ყიზილბაშები იძახდნენ. ქართული თარგმანი: „კახპებო, წაეთრიეთ!“). დასახელებული ავტორი, როგორც ცნობილია, მოგვითხრობს მარაბდის ომის ამბავსაც. როდესაც ყიზილბაშთა მამუელი ლაშქარი მოადგა ბრძოლის ველს, თურმე „მაღალის ხმით იძახდენ, რომ შაჰ გელდი, შაჰ გელდი“ (ე.ი. შაჰი მოვიდაო). „შაჰ გელდი“, ისევე როგორც „ურუზბუ გიდილარი“, ყიზილბაშური თათრული გახლავთ. დიახ, „ყიზილბაშური თათრული“ ისმოდა ხოლმე ბრძოლის ველზე და არა — „სპარსთა ენისა სიტკომ“.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **ზაქარია ქანაქერცი** გადმოგვცემს, რომ მენვერილმანე ვაჭრად გადაცმული **შაჰ-აბასი** ერთხელაც სომხურ სოფელს ესტუმრა და დიაკვნის სახლს მიადგა; დიაკვანი წიგნის გადაწერით იყო გართული. შაჰმა დიაკვანს ჰკითხა: ეგ რა წიგნიაო? დიაკვანმა მიუგო: ჩვენს ენაზე „აისმაჯურქ“ ჰქვია, თქვენს ენაზე კი „შეით ქეთაბის“ ეძახიანო.

რას ნიშნავს სომეხი დიაკვნის მიერ შაჰ-აბასის მისამართით წარმოთქმული „თქვენი ენა“? ნიშნავს ისე და ისე თურქული ენის „ყიზილბაშურ თათრულ“ დიალექტს, საიდანაც „შეით ქეთაბი“ ითარგმნება, როგორც „წმინდანთა წიგნი“ (უფრო ზუსტად: „რჯულისათვის წამებულთა წიგნი“).

ზაქარია ქანაქერცი შემდეგ აღნიშნავს, რომ დიაკვანმა, შაჰ-აბასის თხოვნით, უამბო მას წმ. აკოფის ცხოვრება. თურქულ ენაზე უამბოო (ცხადია, აქაც უნდა ვიგულისხმობთ „ყიზილბაშური თათრული“).

ამავე თხზულებაში ერევნის ბეგლარბეგის ამირგუენე-ხანის ვაჭიშვილი ქურთებთან ბრძოლისას თავის მეომრებს ასე მოუწოდებს: „ხავთურ, ყიზილბაშ, ხავთურ!“ (წინ, ყიზილბაშებო, წინ!); ისევე „ყიზილბაშური თათრული“ გახლავთ. ერევნის ხანად ნიშნავენ ვინმე ზაალ-ხანს, წარმოშობით ქართველს; ქუჩაში გამოსული მაცნე მოსახლეობას ხმამაღლა აუწყებს ამ ამბავს და საზეიმოდ გაჰყვირის: „უმრი ჩოხ ოლსუნ!“ (დღევრძელ იყოს იგი!); ისევე და ისევე „ყიზილბაშური თათრული“.

როგორც ვხედავთ, ქართული და სომხური წყაროები ცოცხალი მაგალითებით ადასტურებენ ევროპელ ავტორთა ჩანაწერებში დამონმებულ ინფორმაციას.

ინგლისელი ორიენტალისტი ედვარდ ბრაუნი აღნიშნავს ერთობ უცნაურ ფაქტს. სეფიანთა დინასტიის ფუძემდებელი შაჰ-ისმაილ I თურმე წერდა ლექსებს თურქულ ენაზე (მკვლევარის განმარტებით, ეს გახლავთ თურქული ენის თურქმანული დიალექტი); ხოლო სეფიანთა ირანის ხელმწიფის დიდი მეტოქე — ოსმალეთის ხონთქარი სელიმ I წერდა ლექსებს სპარსულად. პროფ. ვლადიმირ მინორსკის მიხედვით, ეს პარადოქსი გამომწვეული იყო მათი მიზნების განსხვავებით — ოსმალეთის ხონთქარი ლექსებს წერდა თავისი სიამოვნებისათვის, თავშესაქცევად და ამიტომაც „ტკბილი სპარსული“ უფრო ეჭაშნიკებოდა, ვიდრე მშობლიური თურქული, იმდროინდელი მოარული გამოთქმის თანახმად, მხოლოდ ომში რომ გამოდგებოდა. რაც შეეხება შაჰ-ისმაილს, მისი ლექსები გამიზნული იყო ყიზილბაშთა ტომების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ამიტომაც ინერებოდა თურქული ენის იმ დიალექტზე, რომელიც მათ დედაენას წარმოადგენდა.

თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი ნასრულა ფალსაფი, ავტორი მრავალტომიანი ნაშრომისა შაჰ-აბასის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, წერს: „იმ ეპოქაში, როდესაც ტკბილი სპარსული ენა ოსმალეთის იმპერიასა და ინდოეთში იყო პოლიტიკისა და თავაზიანობის ენა, შაჰ-ისმაილმა თურქული ენა გადააქცია ირანის სამეფო კარის ოფიციალურ ენად. თვითონაც ლექსებს თხზავდა მხოლოდ და მხოლოდ თურქულ ენაზე, და ამ უცხო ენამ ისეთი გავრცელება ჰპოვა სეფიანთა კარზე, რომ ხსენებული დინასტიის მმართველობის დასასრულამდე, და შემდგომშიც კი, თურქული რჩებოდა სამეფო კარის ოფიციალურ ენად“. სპარსელი ისტორიკოსი დასძენს: სეფიანთა ხელმწიფეს, მართალია, ირანის შაჰინშაჰს ეძახდნენ, მაგრამ თავად ქვეყანას ყიზილბაშთა სახელმწიფო ერქვაო.

ამგვარად, „სპარსთა ენა“ არ ყოფილა იმათი ენა, ვინც ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა XVII საუკუნის საქართველოში.

„სპარსთა ენისა სიტკობიან...“ რომ აღარაფერი ვთქვათ სპარსული მწერლობის ბრწყინვალე ვარსკვლავებზე, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოუხვეჭიათ, თავად ენის ამგვარი დახასიათება მარტოოდენ თეიმურაზ პირველის ახირება არა ყოფილა. სხვა ქართველ მწერლებსაც წამოსცდენიათ იგივე „მკრეხელობა“. ასე მაგალითად, ვახტანგ VI ამბობს: „ეს ქილია და დამანა, ბრძენთაგან გამოთქმულები, სპარსთა ენისა სიტკობით დაშაქრულ-დაამბრულები...“ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაც“ დავიმონმოთ: „სპარსული ლექსებშიაც ქებულია და ტკბილი სასმენლად“.

საგულისხმო ვარემოებაა, რომ იტალიელიც კი აღნიშნავს „სპარსთა ენისა სიტკობს“. კერძოდ, პიეტრო დელა ვალეს სიტყვით, სპარსული ენა არის ძალზე ტკბილი და ნაზი, და ზედგამოჭრილია ქალებისა და პოეზიისათვის. იტალიელს რომ „ტკბილ ენად“ მოეჩვენებოდა მისთვის სავსებით უცხო სპარსული, რაღა უნდა ეთქვა იმ ქვეყნის შვილს, სადაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში დიდად აფასებდნენ სპარსულ მწერლობას, დედანში კითხულობდნენ და მერე აქართველებდნენ.

სხვათა შორის, ჯორჯ ბაირონმა თავად დელა ვალეს დედაენა — იტალიური თავისი სინაზითა და ალერსიანობით (ქალის ამბორივით რომ დნებაო), რბილი და ნარნარი ბგერების შრიალით, დაუპირისპირა მშობლიურ ინგლისურს, რომელზედაც იძულებულნი ვართ ვისისინოთ, ვიფრუტუნოთ და ვიდუდუნოთ.

დაე, ინგლისური ენის სპეციალისტებმა განსაჯონ ამ სიტყვების სამართლიანობა, მაგრამ ჩვენებურ მკითხველს, ვაითუ, დაუშვებელ მკრეხელობად და სამშობლოს სიძულვილად მოეჩვენოს დიდი ინგლისელი პოეტის მიერ თავისი დედაენის ასე აბუჩად აგდება.

ქართული ენა ყოველთვის იყო დიდი საზრუნავი და საფიქრალი ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთათვის, მაგრამ მათ კარგად ესმოდათ, რომ დასაცავი და შესანარჩუნებელი იყო, უპირველეს ყოვლისა, ქართული მინა-წყალი და ქართული სული. უცხო ტომი არ უნდა ჩამოთესილიყო საქართველოს ტერიტორიაზე და უცხო ზნე-ჩვეულებანი არ უნდა გამჯდარიყო ქართულ სულში. უცხო ტომთან აღრევა მოასწავებდა კატასტროფას, თორემ სიტყვები რა სათქმელია, ქართული ენა უხსოვარ ჟამთაგან ითვისებდა უცხოურ ლექსიკას და ამით არაფერი აკლდებოდა. უცხო სიტყვები „ქართველდებოდნენ“ და ერთგულად ემსახურებოდნენ ახალ პატრონს. დღეს ვილას ახსოვს, რომ ჩვენი მშობლიური სიტყვები: ფიქრი, სევდა, ეშხი, სურათი, ხასიათი, ლალატი და სხვ. ოდესღაც „არაბები“ იყვნენ; ჭაბუკი და ჭარმაგი, ხანჯალი და ფანჯარა — „სპარსელები“; ოჯახი, იატაკი და ოთახი — „თურქები“... მხოლოდ ენათმეცნიერებს თუ ახსოვთ მათი წარმომავლობა.

თეიმურაზ მეფეს „სპარსთა ენისა სიტკობი“ სახელმწიფო კანონად არ შეურაცხავს და არც არავის უცდია მისი გატოლება ქართველი ხალხის მეხსიერებაში სამარადისოდ აღბეჭდილ უკვდავ აფორიზმებთან. ეს „მწვალელებური“ ფრაზა რაღაც მეორეხარისხოვანი დეტალია თეიმურაზ პირველის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მისი ასავალ-დასავალის ძიება მეფე-პოეტის „რეაბილიტაციის“ წყურვილით როდია გამოწვეული, მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენას ისახავს მიზნად.

თეიმურაზ პირველის პორტრეტისათვის „სპარსთა ენისა სიტკობიან“ კი არ არის არსებითი, არამედ მისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. სხვათა შორის, როდესაც თეიმურაზ მეფემ ოსმალეთის ხონთქარს სთხოვა შემწეობა ყიზილბაშთა წინააღმდეგ ომში, თვალმძაცური პასუხი მიიღო: შენ ქრისტიანი ხარ და მაჰმადიანებთან საბრძოლველად ლაშქარი როგორ მოგცეთ, მერჯულენი დაგვიშლიანო (თითქოსდა ოსმალეთი და ირანი ერთიმეორის დაუძინებელი მტრები არ იყვნენ!), გამაჰმადიანდი და ლაშქარსაც მყისვე მოგაშველებთო. მაშინ თეიმურაზს საკმაოდ ირონიული პასუხი გაუცია მაჰმადიანი მბრძანებლისათვის: ამდენს იმისთვის ვირჯები, რომ რჯული არ დავაგდო და თუკი ყიზილბაშთა რჯული არ დავიჭირე, თქვენსას რატომ დავიჭერო.

ალბათ განმარტებას არ უნდა მოითხოვდეს ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება უდრიდა „ქართველობის“ შენარჩუნებას და სწორედ ამ მიზანს შეაღია თეიმურაზმა მთელი სიცოცხლე და ფიზიკურ-სულიერი ძალები („სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია“ — ამბობს მეფე-პოეტი თავის ერთ პოემაში). ქართველად დაბადებული ქართველადვე მოკვდა. წუთითაც არ უფიქრია, მიელო მაჰმადიანური რჯული, „გათათრებულიყო“ და თავისი ტანჯვა-გასაჭირი, დევნილება და ხიზნობა გაეცვალა განცხრომასა და ფუფუნებაზე.

ვერაგიც იყო ხოლმე და დაუნდობელიც (გავიხსენოთ თუნდაც ზურაბ არაგვის ერისთავის მუხანათური მკვლევლობა საფურცლემში), მაგრამ არაერთ ადამიანურ სისუსტესა და ნაკლთან ერთად გააჩნდა უდიდესი ღირსება — არასოდეს გაუყვია თავისი სამშობლო, თავისი ხალხი და თავისი სული.

XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას იოანე ჯავახიშვილი წერდა: „როგორ შეიძლება, რომ ხარობდეს პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი იქ, სადაც ირგვლივ მტრისაგან აოხრებული ქვეყანა იყო და ომისა და სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დაძრწოდა. სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს და მის ქართველ თანამედროვეებს და მომდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უნგარო სამსახურის ხალისს არ უნშავდა“.